იუკიო მიშიმა

# ოქროს ტაძარი

# თავი 1

მამა ხშირად მიყვებოდა ოქროს ტაძარზე, ჯერ კიდევ ღრმა ბავშვობაში.

მე ქალაქ მაიძურუდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, იაპონიის ზღვაში შეჭრილ კონცხზე დავიბადე. მამაჩემი იქაური არ იყო – მამული შირაკუში ჰქონდა, მაიძურუს აღმოსავლეთ გარეუბანში. თავის დროზე ახლობლების დაჟინებულ თხოვნას დაჰყვა და ბერად აღიკვეცა; ბუდისტური ტაძრის წინამძღვარი გახდა სამყაროსგან მოწყვეტილ სწორედ იმ კონცხზე. იქვე ითხოვა ცოლი და შვილიც შეეძინა – ეს მე ვიყავი.

ნარიუს კონცხზე ბუდისტური ტაძრის მახლობლად საშუალო სკოლაც კი არ იყო. ამის გამო მალევე მომიწია დედის კალთასთან განშორება და მამის მშობლიურ მხარეში გადაბარგება – ბიძაჩემთან, საიდანაც ფეხით დავდიოდი აღმოსავლეთ მაიძურუს საშუალო სკოლაში.

მამის მშობლიური მხარე მეტად მზიანი აღმოჩნდა, მაგრამ ყოველი წლის ნოემბერსა და დეკემბერში, როგორი მოწმენდილი ცაც უნდა ყოფილიყო, დღეში ოთხი-ხუთჯერ მაინც, ცივი თავსხმა მოდიოდა ხოლმე. ალბათ ჩემი ბუნების ცვალებადობაც ამ მხარის ასეთმა ამინდმა განაპირობა.

მაისში, საღამოობით, სკოლიდან დაბრუნებული, ხშირად ვიკეტებოდი სამეცადინოდ გამოყოფილ ოთახში ბიძაჩემის სახლის მეორე სართულზე და ერთ პატარა გორაკს გავყურებდი. გორაკის ფერდობი, ახლად შეფოთლილი ხეებით, ჩამავალი მზის სხივებში ეხვეოდა და მეჩვენებოდა, თითქოს მისი შუაწელი ოქროს ფირფიტებით იყო გაწყობილი. ვუყურებდი ამ ყველაფერს და თვალწინ ოქროს ტაძარი მედგა.

რა თქმა უნდა, ნამდვილი ოქროს ტაძარი არაერთხელ მენახა სურათებზე და სახელმძღვანელოებში, მაგრამ ჩემს წარმოდგენაში მამის მონაყოლიდან გაჩენილი ტაძრის სახება უფრო მკაფიოდ ჩაბეჭდილიყო. არა, მამას არასოდეს უთქვამს, ტაძარი ოქროსფრად ბრწყინავსო, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ასეთი ლამაზი დედამიწაზე სხვა არაფერი იქნებოდა. მისმა მონაყოლმა და იმ იეროგლიფების მოხაზულობამ, რომლებითაც „ოქროს ტაძარი“ იწერება, ასევე თვით ამ სიტყვების ხმოვანებამ გულში ტაძრის ენით აღუწერელი ხატება ჩამისახა; და ეს ხატება უმოწყალოდ ამარცხებდა სურათებზე ასახულ სინამდვილეს.

ყოველთვის, როცა ვხედავდი, როგორ ბზინავდა მზის სხივები შორეული ბრინჯის ყანის ზედაპირზე – ეს თვალს მოფარებული ოქროს ტაძრის ანარეკლი მეგონა. აღმოსავლეთით გაწოლილი კიჩიძაკის უღელტეხილი ფუკუის პრეფექტურას ჩვენი – კიოტოს პრეფექტურისაგან ყოფდა. დილაობით სწორედ ამ უღელტეხილის უკნიდან ამოდიოდა მზე და მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი კიოტო სულ სხვა მხარეს მდებარეობდა, მაინც ვხედავდი, დილის ცაზე ხეობიდან ამოწვერილ მზესთან ერთად როგორ წამოიმართებოდა ხოლმე ოქროს ტაძარი.

ამგვარად, ყველგან და ყველაფერში ოქროს ტაძარს ვხედავდი. რა თქმა უნდა, ის ჩვენი სახლიდან არ ჩანდა და ამით ძალიან ჰგავდა იქაურ ზღვას. მაიძურუს ყურე ჩვენი დასახლებიდან ერთნახევარი რით[1]

[1] სიგრძის საზომი ერთეული შორეულ აღმოსავლეთში. იაპონური რი დაახლოებით 3927 მეტრი იყო.

იყო დაშორებული. ჩვენსა და ყურეს შორის აღმართული მთების გამო ზღვა არ ჩანდა, მაგრამ მისი არსებობა იმ ადგილებში მუდმივად იგრძნობოდა – ქარს დროდადრო მოჰქონდა ზღვის სურნელი, ძლიერი ღელვისას კი უამრავი თოლია მოფრინდებოდა ხოლმე და თავს ბრინჯის ყანებს აფარებდა.

ბავშვობაში სუსტი სხეული მქონდა და ყოველთვის ვიჩაგრებოდი სირბილისა თუ თამაშების დროს, ასევე ფიზკულტურის გაკვეთილზე. ამას თანდაყოლილი ენაბრგვნილობაც ერთოდა. ამ ყველაფერმა გულჩათხრობილ, მარტოსულ ბავშვად მაქცია. იცოდნენ, რომ ბერის შვილი ვიყავი და ონავარი ბავშვები ჩემს გასაჯავრებლად ხშირად ბონზეს ასახიერებდნენ, რომელიც სუტრებს ენის ბორძიკით კითხულობდა. ერთხელ კითხვის გაკვეთილზე წიგნში ენაბლუ დეტექტივი გამოჩნდა და ბავშვებმა რეპლიკების ხმამაღლა კითხვა დაიწყეს – ჩემს გასაგონად.

ენის ბორძიკმა, რა თქმა უნდა, დიდი დაბრკოლება წარმოქმნა ჩემსა და გარესამყაროს შორის. ყველაზე მეტად პირველი ბგერების გამოთქმა მიჭირდა. სწორედ პირველი ბგერები იყო ის გასაღები, რომელსაც უნდა გაეღო კარი ჩემს შინაგან სამყაროსა და გარესამყაროს შორის, მაგრამ ვერაფრით ვახერხებდი, სწორად გადამეტრიალებინა ეს გასაღები კლიტის ბუდეში. ჩვეულებრივ ადამიანებს, რომლებიც დაუბრკოლებლად წარმოთქვამენ სიტყვებს, შეუძლიათ ღია დატოვონ ამგვარი კარი, რათა ჰაერმა თავისუფლად იმოძრაოს მათ შინაგან სამყაროსა და გარესამყაროს შორის, მაგრამ მე ეს არაფრით შემეძლო. ჩემი გასაღები ჟანგით იყო დაფარული.

ენაბლუს წვალება, პირველი ბგერების გამოთქმისას, მახეში გაბმული ჩიტის ტანჯვას წააგავს – თავის გამოხსნას რომ ცდილობს. საბოლოოდ, თავს კი გამოიხსნის, **მაგრამ უკვე გვიან იქნება.** ხანდახან მეჩვენება, თითქოს გარესამყაროს სინამდვილე ხელებჩამოშვებული მელოდება, სანამ თავის გასათავისუფლებლად ვიბრძვი. თუმცა ეს – მომლოდინე – სულაც არ არის ახალი რეალობა. ვწვალობ და, საბოლოოდ, თავს ვაღწევ გარესამყაროს, იქ კი უეცრად ფერშეცვლილი, გაცრეცილი და დაბრეცილი რეალობა

მხვდება... იმხანად მეჩვენებოდა, რომ მხოლოდ ამგვარი სინამდვილე შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემთვის განკუთვნილი – ძველი, ნახევრად გახრწნილი, მყრალი.

ადვილი წარმოსადგენია, ჩემნაირ ბავშვს ძალაუფლების წყურვილი გასჩენოდა, თანაც ორი ურთიერთსაპირისპირო ძალაუფლების. ძალიან მომწონდა ისტორიული ჩანაწერები ტირანი მბრძანებლების შესახებ და თავიც ხშირად წარმომედგინა ენაბრგვნილ, უტყვ დესპოტად, რომლის ქვეშევრდომებიც დღემუდამ შიშით თრთიან მის წინაშე და თვალებში შესციცინებენ, რათა მბრძანებლის ყოველი სურვილი გამოიცნონ. ასეთ დესპოტს, სულაც არ დამჭირდებოდა, მკაფიოდ გამოთქმული, დახვეწილი სიტყვებით გამემართლებინა ჩემი შეუწყნარებლობა – დუმილი საკმარისი იქნებოდა ყოველგვარი სისასტიკის გასამართლებლად. ერთი მხრივ, დიდად მსიამოვნებდა იმის წარმოდგენა, თუ როგორ დავსჯიდი ყველა მასწავლებელსა და თანაკლასელს, რომლებიც სკოლაში მამცირებდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, ასევე განუზომელ სიამოვნებას მანიჭებდა ოცნებები, რომლებშიც შინაგანი სამყაროს მბრძანებელი და დიდებული ხელოვანი ვიყავი, აღსავსე მდუმარებითა და ნათელი ხედვით. ამგვარად, მართალია, გარეგნულად საცოდავი ვჩანდი, მაგრამ ჩემი შინაგანი სამყარო ყველა ჩემი თანატოლის სამყაროზე უფრო მდიდარი იყო. განა ბუნებრივი არაა, რომ ასეთი სამუდამო ნაკლის მქონე ბიჭს გულის სიღრმეში საკუთარი თავი რჩეული ეგონოს? ვგრძნობდი, რომ სამყაროს რომელიღაც ნაწილში მელოდებოდა განსაკუთრებული მისია, რომლის შესახებაც ჯერ არაფერი ვიცოდი.

ერთი ამბავი მახსენდება იმ დროიდან.

მთებში ჩაფლულ აღმოსავლეთ მაიძურუს საშუალო სკოლას საკმაოდ ფართო სათამაშო მოედანი და თანამედროვე შენობა ჰქონდა.

მაისის ერთ დღეს გვეწვია მაიძურუს საზღვაო სამხედრო-საინჟინრო სასწავლებლის კურსანტი, რომელსაც ჩვენი საშუალო სკოლა დაემთავრებინა. გამოსასვლელი დღე აეღო და მშობლიური

სკოლის მონახულება გადაეწყვიტა. კარგად გარუჯული სხეული, სამხედრო კეპით მოჩრდილული, ღრმად ჩამჯდარი თვალები და ჩრდილიდან ოდნავ გამოსული სწორი ცხვირი... თავიდან ფეხებამდე გმირი ჭაბუკის განსახიერება გახლდათ. ირგვლივ შემოჯარულ მოსწავლეებს სამხედრო ცხოვრების მკაცრ წესებზე გვიყვებოდა, თუმცა მისი მონაყოლი ისე ჟღერდა, თითქოს სირთულეებსა და სიმკაცრეზე კი არა, ფუფუნებითა და კომფორტით გამორჩეულ ცხოვრებაზე გვიამბობდა. მის ყოველ მოძრაობაში საოცარი სიამაყე ჩანდა, მაგრამ, ახალგაზრდობის მიუხედავად, თავმდაბლობის ტვირთის სიმძიმეს სრულად აცნობიერებდა. სამხედროფორმიანი მისი ძლიერი მკერდი იმ გემის ცხვირზე მიმაგრებული ქანდაკების მკერდს მაგონებდა, უდრეკად რომ მიაპობს ოკეანის ტალღებს.

კურსანტი ქვის კიბეზე იჯდა, რომლის საფეხურებიც სათამაშო მოედნისკენ ეშვებოდა. გარშემო მისი ამბით მოხიბლული მოსწავლეები შეჯგუფებულიყვნენ. ფერდობზე, კვლებში, მაისის ყვავილები ყვაოდა: ტიტა, ანემონი, არჯაკელი და ყაყაჩო, ცოტა ზემოთ, მაგნოლიის ხეზე კი ვეება, მრგვალი, თეთრი ყვავილები მოჩანდა.

მთხრობელი და მსმენელები ქანდაკებებივით გაშეშებულიყვნენ. მე ორიოდე მეტრში, მოედნის გრძელ სკამზე მარტოდმარტო ვიჯექი. ეს ჩემი მხრიდან ზრდილობისა და პატივისცემის გამოხატულება იყო – მაისის ყვავილების, საამაყო უნიფორმისა და მხიარული სიცილის მიმართ.

ეს გმირი ჭაბუკი კი ჩემ მიმართ უფრო მეტ ინტერესს იჩენდა, ვიდრე თავისი თაყვანისმცემლებისადმი. როგორც ჩანს, ქედმაღლობად მოეჩვენა, რომ სხვებივით არ ვეპირფერებოდი და ამან მისი სიამაყე შეურაცხყო. დანარჩენებს ჩემი სახელი ჰკითხა და გამომძახა:

– ოე, მიძოგუჩი!

უჩუმრად მივჩერებოდი. ჩემკენ მომართულ ღიმილში ისეთი პირფერობა იგრძნობოდა, მხოლოდ ძლიერთა ამა ქვეყნისათა რომ ახასიათებთ.

– რა, ხმა ჩაგივარდა? მუნჯი ხარ, ბიჭო?

– ე... ე... ე... ენაბლუ გახლავართ, – ჩემ მაგივრად უპასუხა თაყვანისმცემლებიდან ერთ-ერთმა და ყველა სიცილისგან ჩაიკეცა. განა ბრწყინვალე არაა დამცინავი ხარხარი?! თანაკლასელი ბიჭების სისასტიკეს, რომელიც მხოლოდ ბავშვობის ასაკს ახასიათებს, ჩემს თვალში, ფოთლებში გამოღწეული სხივის ბრწყინვალება ჰქონდა.

– აჰ, ენაბლუ ხარ? შემოდი ჩვენთან, საზღვაო ჯარში. ყბაში ისე მოგდებთ, რომ ერთ დღეში დაგავიწყებთ ენის ბორძიკს.

არ ვიცი, რა დამემართა, მაგრამ უეცრად სწრაფი და მკაფიო პასუხი დავუბრუნე. სიტყვები წყალივით გადმომეღვარა და უნებლიეთ ვუთხარი:

– არ შემოვალ. მე ბერი უნდა გავხდე.

ყველა დადუმდა. ჭაბუკმა გმირმა თავი ჩაქინდრა, ბალახი მოწყვიტა და კბილებში გაირჭო.

– ჰმ, მაშ, რამდენიმე წელში ჩემი სულიც შენი საზრუნავი გახდება.

წყნარი ოკეანის ომი უკვე დაწყებულიყო.

იმ წამს უდავოდ რაღაცამ გაიღვიძა ჩემში. გავაცნობიერე, რომ წყვდიადით მოცულ სამყაროში ფართოდ გაშლილი ხელებით მოველოდი ყველას. მაისის ყვავილებიც, ის უნიფორმაც და ბოროტი თანაკლასელებიც, საბოლოოდ, ჩემს ფართოდ გაშლილ ხელებში აღმოჩნდებოდნენ. როდესაც გააცნობიერებ, რომ შეგწევს ძალა, ეს სამყარო მკლავებში მოიქციო და ბოლომდე გამოწურო, მაშინ... მაგრამ ამგვარი თვითშემეცნება მეტად მძიმე ტვირთია პატარა ბიჭის სიამაყისთვის.

სიამაყე უფრო მსუბუქი, ნათელი, თვალისთვის ადვილად აღსაქმელი და მეტად ბრწყინვალე უნდა იყოს. მე ისეთი რამ მინდოდა, რაც სიამაყის განცდას მომანიჭებდა და ამავე დროს ყველას თვალში მოხვდებოდა. მაგალითად, ის ხანჯალი, რომელიც მას წელზე ჰქონდა ჩამოკიდებული, სწორედ სიამაყის განსახიერებად მეჩვენებოდა.

ხანჯალი, რომელსაც ასე შესტრფოდნენ საშუალო სკოლის მოსწავლეები, სამხედრო აღკაზმულობის უდავოდ ულამაზეს ნაწილს წარმოადგენდა. ამბობდნენ, საზღვაო სასწავლებლის კურსანტები ამგვარი ხანჯლებით ჩუმ-ჩუმად ფანქრებს თლიანო. მართლაც რა დარდიმანდობაა ასეთი ნატიფი ნივთის ამგვარი მიწიერი, ტრივიალური საქმისთვის გამოყენება!

ისე მოხდა, რომ გმირი ჭაბუკის სამხედრო-საინჟინრო სასწავლებლის უნიფორმა თეთრად შეღებილ ღობეზე აღმოჩნდა გადაკიდებული. შარვალი და თეთრი პერანგი ყვავილებთან ახლოს ეკიდა და ახალგაზრდა, ოფლით გაჟღენთილი კანის სუნს აფრქვევდა. ფუტკარსაც კი აერეოდა თავგზა – იქნებ ყვავილების ნაცვლად ამ თეთრად მოელვარე პერანგზე დაესვენებინა ფრთები. ოქროსფერი მოსართავებით გაწყობილი სამხედრო ქუდი ღობეზე ისე იყო ჩამოდებული, თითქოს პატრონს, წესისამებრ, თვალებამდე ჩამოეფხატა. ქუდის პატრონი სკოლის მოსწავლეს სუმოს საჭიდაოდ გამოეწვია და მასაც უკანა მხარეს მოწყობილი დოჰიოსკენ[2] გაეწია.

ეს გახდილი და მიტოვებული ტანსაცმელი ისეთ შთაბეჭდილებას მიქმნიდა, თითქოს ვიღაცის ღირსეულ საფლავს ვუცქერდი. მაისის ყვავილთა სიმრავლე კი ამ შეგრძნებას უფრო მიძლიერებდა. გიშერივით შავ წინაფრაში არეკლილი სამხედრო ქუდი და გვერდით გადაკიდული ტყავის ქამარი, ხანჯლითურთ, თითქოს გმირის სხეულიდან აეთალათ და განეცალკევებინათ... მაგრამ ამავე დროს ეს ყველაფერი საოცრად ლამაზი და პოეტური იყო. ნივთები ისეთივე სრულყოფილნი იყვნენ, როგორც თავად მოგონება, ახალგაზრდა გმირის მიერ დატოვებული რელიკვიები რომ აღძრავდა.

მიმოვიხედე და დავრწმუნდი, რომ ახლომახლო სულიერი არავინ იყო. საჭიდაო ადგილიდან აღტყინებულთა ხმები მოისმოდა. ჯიბიდან ფანქრის სათლელი დაჟანგებული დანა ამოვიღე, ღობეს მალვით მივუახლოვდი და ულამაზესი ხანჯლის ქარქაშის უკანა მხარეს რამდენიმე მახინჯი ნაკაწრი დავასვი...

---

[2] სუმოს საჭიდაოდ მოწყობილი მიწაყრილი ქვიშიანი ზედაპირით.

ზემოთ აღწერილის წაკითხვის შემდეგ მკითხველმა შეიძლება გადაწყვიტოს, რომ მე პოეტური სულის ბავშვი ვიყავი, მაგრამ დღემდე ლექსი კი არა, ჩანახატის მსგავსიც კი არაფერი დამიწერია. არასოდეს მქონია იმდენი ნებისყოფა, რომ რაიმე უნარი განმევითარებინა, რაც ნაკლს შემივსებდა და სხვების წინაშე თავის გამოჩენის საშუალებას მომცემდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელოვანისთვის ზედმეტად ამპარტავანი გახლდით. ოცნებები სასტიკ მბრძანებელსა და დიდებულ ხელოვანზე ოცნებებად რჩებოდა, სინამდვილეში სულაც არ მსურდა, ოდნავ მაინც გავრჯილიყავი მათ ასახდენად.

სხვებს ჩემი არ ესმოდათ და სწორედ ეს წარმოადგენდა ჩემი სიამაყის ერთადერთ წყაროს. შესაბამისად, არასოდეს მიჩნდებოდა სურვილი, რაიმე სახით გამომეხატა თავი და სათქმელი სხვებამდე მიმეტანა. ვფიქრობდი, თვით განგებამ არ მიწყალობა რაიმე ისეთი, რაც ადამიანს თვალში მოხვდებოდა-მეთქი. და ჩემი მარტოობაც ნელ-ნელა იზრდებოდა, ნასუქი ღორივით...

უეცრად გონებაში ჩვენს სოფელში მომხდარი უბედური შემთხვევა ამომიტივტივდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევასთან საერთო არაფერი უნდა მქონოდა, მაინც არ მტოვებდა შეგრძნება, თითქოს ეს მეც მეხებოდა – მეც მიმიძღოდა წვლილი ამ ტრაგედიაში.

ამ უბედურმა შემთხვევამ უამრავ რამეზე ამიხილა თვალი – სიცოცხლეზე, ვნებაზე, ღალატზე, სიყვარულზე და კიდევ ბევრ სხვაზე. ჩემი მეხსიერება კი გამიზნულად უგულებელყოფდა იმ დიდებულ მიზეზს, რომელიც ამ შემთხვევის საფუძველში იმალებოდა.

ბიძაჩემის საცხოვრებლიდან ორი სახლის იქით ლამაზი გოგონა ცხოვრობდა. სახელად უიკო ერქვა. დიდი, საოცრად ნათელი თვალები ჰქონდა. ალბათ მისი ოჯახის სიმდიდრის ბრალიც იყო, რომ ყოველთვის უკარება და ამპარტავანი ჩანდა. ყველას უყვარდა, ყველა ანებივრებდა, მაგრამ გოგონა მაინც გულჩათხრობილი და მარტოსული იყო – ვერ გაიგებდი, რა ედო გულში. უიკო, ალბათ, ჯერ კიდევ ქალწული იყო, შურიანი სოფლელები კი ჭორაობდნენ, რომ ზუსტად მისნაირი გოგოები ხდებოდნენ უნაყოფო და ალერსის მოძულე ქალები.

უიკოს ახალი დამთავრებული ჰქონდა ქალთა გიმნაზია, როცა მაიძურუს სამხედრო-საზღვაო ჰოსპიტალში მოხალისე მედდად ჩაეწერა. ჰოსპიტალი საკმაოდ ახლოს იყო, ასე რომ, თავისუფლად ახერხებდა სახლიდან ველოსიპედით სიარულს, მაგრამ ჩვენთან – მოსწავლეებთან შედარებით, ორი საათით ადრე, სისხამ დილით უწევდა ხოლმე სახლიდან გასვლა.

ერთ საღამოს უიკოს სხეულზე ფიქრებში ჩავიძირე, მელანქოლიურმა ოცნებებმა წამიღო და ვერაფრით მოვახერხე დაძინება. ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა ლოგინიდან წამოვხტი, სპორტული ფეხსაცმელი ჩავიცვი და ზაფხულის უმთვარო ღამეში გარეთ გავვარდი.

ეს პირველი საღამო არ იყო, როდესაც უიკოს სხეულზე ოცნება არ მასვენებდა. ის, რაზეც თავიდან მხოლოდ ხანდახან თუ გავიფიქრებდი ხოლმე, ნელ-ნელა ღრმად ჩამიჯდა გონებაში. უიკოს ტანი განსხეულებულ ოცნებად, ბნელი ჩრდილებით მოცულ, თეთრ, სურნელოვან სხეულად მევლინებოდა. ვფიქრობდი, როგორ ამეწვებოდა თითები მის ტანთან შეხებისას. წარმოვიდგენდი, როგორ აფრქვევდა ყვავილების სურნელს და როგორ უძალიანდებოდა მისი მკვრივი სხეული ჩემს თითებს.

სიბნელეში ჩაძირულ გზაზე უკანმოუხედავად მივრბოდი. ქვებიც კი ერიდებოდნენ ჩემს ტერფებს, თვით სიბნელეც კი გზას მითავისუფლებდა.

ბილიკი თანდათან გაფართოვდა და იასუოკის დასახლების მისადგომებთან გამომიყვანა. იქვე ერთი უზარმაზარი ძელქვა იდგა. ხე დილის ცვრით დანამულიყო. ძელქვის ფესვებთან ჩავიმალე და დასახლებიდან უიკოს გამოჩენას ველოდი.

ველოდი, მაგრამ აზრად არ მომსვლია, რამე ჩამედინა. აქამდე თავქუდმოგლეჯილმა მოვირბინე, მაგრამ ახლა, როცა ძელქვის ქვეშ, როგორც იქნა, სული მოვითქვი, ვერაფრით გამეგო, რა მინდოდა და რის გაკეთებას ვაპირებდი. ძალიან დიდხანს ვცხოვრობდი გარესამყაროსგან მოკვეთილად და ამიტომ მეჩვენებოდა, რომ, როგორც კი გადავეშვებოდი მასში, იმწამსვე ყველაფერი ხელმისაწვდომი და შესაძლებელი გახდებოდა ჩემთვის.

კოლოები ფეხებზე მკბენდნენ. დროდადრო სიჩუმეს მამლის ყივილი არღვევდა. გაფაციცებით მივჩერებოდი ჩაბნელებულ გზას. შორს რაღაც ნათება გამოჩნდა. თავიდან განთიადი მეგონა, მაგრამ ეს უიკო იყო.

უიკო ველოსიპედზე იჯდა. ბინდს მისი წინა ფანარი ანათებდა. ველოსიპედი უხმოდ მოსრიალებდა გზაზე. მე ძელქვის ჩრდილიდან გამოვვარდი და გზა გადავუჭერი. ველოსიპედმა მყისიერად დაამუხრუჭა.

იმ წამს ვიგრძენი, რომ სხეული გამიქვავდა. სურვილებიცა და ვნებებიც – ყველაფერი. გარესამყარო ისევ ისეთი დაშორებული იყო ჩემი სამყაროსაგან და ისევ ისე უდრტვინველად არსებობდა ჩემ გარშემო. ბიძაჩემის სახლიდან გამოვიპარე, თეთრი სპორტული ფეხსაცმელი ჩავიცვი და სისხამზე ძელქვის ჩრდილამდე თავქუდმოგლეჯილმა ვირბინე, მაგრამ თურმე ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ჩემს სამყაროში ხდებოდა. განთიადის ბინდში ოდნავ გამოკვეთილი სოფლის სახლების სახურავებიც, ხეების შავი სილუეტებიც, აობაიამის მთის შავი მწვერვალიც და თვით ჩემ თვალწინ მყოფი უიკოც კი თავზარდამცემად აზრმოკლებულნი მეჩვენებოდნენ. ჩემს ჩარევას არც დალოდებია, ისე დაისადგურა გარშემო სინამდვილემ – უაზრომ, უზარმაზარმა და ბნელმა; არნახული სიმძიმით დამაწვა მხრებზე და სრულ განადგურებას მიქადდა.

გავიფიქრე, ახლა მხოლოდ სიტყვებს შეუძლია ჩემი გადარჩენა-მეთქი. სულ ეს შეცდომა მომდის ხოლმე. სწორედ მაშინ, როცა მოქმედებაა საჭირო, მე მთელი ყურადღება სიტყვებზე გადამაქვს. სიტყვები კი ისე ძნელად ამომდის პირიდან, რომ გამართულად მეტყველებაზე ფიქრით დაძაბულს, მოქმედება მავიწყდება. ყოველთვის მეგონა, რომ ბრწყინვალე და ამაღლებულ ქმედებას აუცილებლად ასეთივე ბრწყინვალე და ამაღლებული სიტყვებიც უნდა ახლდეს თან.

თვალწინ ვერაფერს ვხედავდი. როგორც მახსოვს, უიკო თავიდან შეშინდა, მაგრამ როგორც კი მიხვდა, რომ მის წინ მე ვიდექი,

მაშინვე მზერა ჩემს პირზე შეაჩერა – ამ უაზროდ მობორძიკე ბნელ ხვრელზე. დიახ, ჩემი პირი, ალბათ, მინდვრის თაგვის სოროსავით ბინძურ პატარა ხვრელს აგონებდა. როცა დარწმუნდა, რომ ამ ხვრელიდან გარესამყაროსთან დამაკავშირებელი არაფერი გამოდიოდა, გოგო დამშვიდდა.

– რა გინდა? რას კადრულობ, შე ენაბლუვ! – მისი ხმა დილის ნიავივით გამომაფხიზლებლად და გამკიცხავად ჟღერდა. უიკომ ველოსიპედის ზარი დააწკრიალა, პედლები დაატრიალა და ისე ჩამიარა გვერდით, თითქოს გზაზე დაგდებული ქვა ვყოფილიყავი. ირგვლივ სულიერი არ ჩანდა, მაგრამ გოგონა ყანებშიც კი აგრძელებდა ზარის წკრიალს. ეს ხმა შორიდანაც კი სწვდებოდა ჩემს სმენას.

იმ საღამოს, უიკოს ენატანიობის გამო, დედამისი ბიძაჩემთან სახლში მოვიდა. მეორე დღეს თბილი და რბილი ხასიათის მქონე ბიძაჩემი საშინლად გამიჯავრდა. მე უიკოს ვწყევლიდი, მთელი არსებით მსურდა მისი სიკვდილი. ამ შემთხვევიდან რამდენიმე თვეში კი ჩემი წყევლა ახდა. მას მერე წყევლის ძალის ღრმად მჯერა.

ძილსა თუ ღვიძილში უიკოს სიკვდილს ვნატრობდი. ვოცნებობდი, მომკვდარიყო ადამიანი, რომელმაც ასეთი სირცხვილი მაჭამა. მეგონა, რომ სირცხვილიც მაშინვე გაქრებოდა, როგორც კი მისი მოწმე აღიგვებოდა პირისაგან მიწისა. სხვები რომ არ არსებობდნენ, სირცხვილიც ველარ იპოვიდა გზას ამ ქვეყნისაკენ. უიკოს გამოხედვა, მისი თვალები, რომლებიც წყალივით ბრწყინავდნენ სიბნელეში და ჩემს პირს მისჩერებოდნენ, სწორედ სხვების სამყაროს ნაწილი იყო – იმ სამყაროს ნაწილი, სადაც მარტო არასდროს რჩები, სადაც ვინმე სხვა ყოველთვის მზად არის, თანამონაწილე ან მოწმე იყოს შენი დანაშაულისა. სხვები უნდა განადგურდნენ! იმისათვის, რომ თავისუფლად შევხედო მზეს, ყველა სხვა უნდა განადგურდეს...

ჩემი დასმენიდან ორი თვის შემდეგ უიკომ სამხედრო-საზღვაო ჰოსპიტალში სამსახური მიატოვა და სახლში ჩაიკეტა. სოფლელები უამრავ ჭორს უგონებდნენ. შემოდგომის ბოლოს კი უბედურება დატრიალდა.

აზრადაც არ მოგვსვლია, რომ სოფელში სამხედრო ფლოტიდან გამოქცეული დეზერტირი იმალებოდა. ერთ შუადღეს სოფლის თვითმმართველობის შენობასთან სამხედრო პოლიციის ჟანდარმები გამოჩნდნენ. სამხედრო პოლიციის გამოჩენა არცთუ დიდი იშვიათობა იყო და ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია.

ოქტომბრის ნათელ შუადღეს, როგორც ყოველთვის, სკოლიდან დავბრუნდი, საღამოს კი ვიმეცადინე და დასაძინებლად ვემზადებოდი. შუქის ჩასაქრობად რომ წამოვიწიე, სოფლის გზას გავხედე – დიდი ბრბო სუნს ადევნებული ძაღლების ხროვასავით სადღაც მიიწევდა. კიბეზე ჩავირბინე და შემოსასვლელთან სკოლის მეგობარს შევეჩეხე. მან მე, ბიძას და ბიცოლას გაფართოებული თვალებით მოგვითხრო, რაც მომხდარიყო:

– ჟანდარმებმა უიკო დაიჭირეს. გავიქცეთ, ვნახოთ.

ფეხები გეტაში[3] გავყავი და დავედევნე. მთვარიანი ღამე იყო. მოსავლის აღების შემდეგ ყანებში გასაშრობად დაკიდული ბრინჯის ძნების ქვეშ გამჭვირვალე ჩრდილები ეფინა.

ხეების ქვეშ ადამიანთა შავ სილუეტებს მოეყარათ თავი. შავით მოსილი უიკო მიწაზე დამხობილიყო. სახე სრულიად გასთეთრებოდა. გარშემო მისი მშობლები და რამდენიმე ჟანდარმი იდგნენ. ერთ-ერთი ჟანდარმი ხელში ბენტოს[4] ფუთას ატრიალებდა და, გაბრაზებული, რაღაცას ყვიროდა. უიკოს მამა აქეთ-იქით აწყდებოდა, ხან ჟანდარმებს ებოდიშებოდა და ხან თავის შვილს ლანძღავდა. დედამისი კი იქვე ჩაკეცილიყო და ქვითინებდა.

ჩვენ ამ ყველაფერს შორიახლო, ბრინჯის ყანიდან ვადევნებდით თვალს. სეირის მაყურებლების რაოდენობა თანდათან იზრდებოდა. მხრებაწურული სოფლელები იქვე ჩამწკრივებულიყვნენ და უხმოდ შეჰყურებდნენ სანახაობას. გალეული მთვარე თავზე დაგვნათოდა.

მეგობარმა ჩურჩულით ამიხსნა ყველაფერი.

---

[3] ხისძირიანი ტრადიციული იაპონური ფლოსტები.

[4] ერთი ადამიანის სამყოფი საგზალი.

სახლიდან გაპარულ უიკოს ფუთა სადღაც მიჰქონდა, როცა ჩასაფრებულ ჟანდარმებს გადაჰყრია. ამბობდნენ, ბენტო დეზერტირისთვის მიჰქონდაო. უიკო დეზერტირს სამხედრო ჰოსპიტალში დაახლოებია, მისგან დაორსულებულა და ამიტომაც გაუგდიათ სამსახურიდან. ჟანდარმები კი ცდილობდნენ, დეზერტირის სამალავი გაერკვიათ და გოგოს მკაცრ დაკითხვას უწყობდნენ, მაგრამ ის გაქვავებულიყო და ხმას არ იღებდა...

თვალს ვერ ვწყვეტდი მის სახეს. შეშლილს ჰგავდა. სახე ერთიანად გაშეშებოდა მთვარის შუქის ქვეშ.

არასოდეს მენახა ამგვარი უარყოფით აღსავსე სახე. მე ჩემი სახე მიმაჩნდა სამყაროსგან უარყოფილად, უიკოს სახე კი თავად უარყოფდა მთელ სამყაროს. მთვარის შუქი უმოწყალოდ დანათოდა მის შუბლს, თვალებს, ცხვირსა და ლოყებს, თუმცა მის უმოძრაო სახეზე სინათლის ნაკადი ვერ ჩერდებოდა. თვალი ან პირი სულ ოდნავ რომ აემოძრავებინა, მისგან ამგვარად უარყოფილი სამყარო ამას სისუსტის ნიშნად მიიღებდა და ზვავივით შეიჭრებოდა მასში.

სუნთქვაშეკრული ვუყურებდი უიკოს სახეს. ეს იყო სახე, რომლის ამბავიც შეწყვეტილიყო; სახე, რომელსაც არც მომავლისთვის და არც წარსულისთვის არაფერი ჰქონდა სათქმელი. ასეთი უცნაური სახის ნახვა ახლად მოჭრილ ხის კუნძზე შეიძლება – ახალგაზრდული იერი შერჩენია, მაგრამ ზრდა შეწყვეტილი აქვს; ქარის ქროლასაც გრძნობს და მზის სხივების სითბოსაც, თუმცა, წესით, არ უნდა გრძნობდეს. ეს უცხო სამყაროს წინაშე მოშიშვლებული, მომნუსხველი, ხის ბოჭკოებით მოხატული უცნაური სახეა – სახე, რომელიც ამ სამყაროს მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის მოევლინა, რომ უარეყო იგი.

უნებლიეთ გავიფიქრე, უიკოსთვისაც და ჩემთვისაც, როგორც მაყურებლისთვის, ამ სახის სილამაზე აღარასოდეს განმეორდება-მეთქი. მაგრამ ეს წამი იმაზე ხანმოკლე აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა. უეცრად მის მომნუსხველ ნაკვთებს ცვლილება დაეტყო.

უიკო წამოდგა. მომეჩვენა, თითქოს წამიერად სახეზე სიცილმა გადაურბინა. დავინახე, როგორ გაკრთა მთვარის შუქი მის კბილებზე. მისი ნაკვთების ცვლილებაზე მეტს ვეღარაფერს დავწერ, რადგან ფეხზე წამომდგარი უიკოს სახე მთვარის შუქს დაუსხლტა და ხეების ჩრდილში დაიმალა.

დღემდე ვნანობ, რომ ვერ მოვახერხე დამენახა მისი სახის ცვლილება იმ წამს, როცა მან ღალატი გადაწყვიტა. ვინ იცის, ეს წამი რომ მკაფიოდ აღმექვა, იქნებ ჩემში პატიების უნარი გაჩენილიყო – უნარი, მეპატიებინა ადამიანისთვის ყოველგვარი თანამდევი ბოროტება.

უიკომ მეზობელ სოფელთან აღმართულ კაჰარის მთისკენ გაიშვირა ხელი.

– კონგოს ტაძარში ყოფილა! – წამოიძახა ჟანდარმმა.

იმ წამს ჩემში ბავშვმა გაიღვიძა, რომელიც ხალისით შეჰყურებს სადღესასწაულო ფუსფუსს. ჟანდარმები ჯგუფებად დაიყვნენ და გადაწყვიტეს, კონგოს ტაძრისათვის ოთხი მხრიდან ალყა შემოერტყათ. მოსახლეობის დახმარებაც მოითხოვეს. მე უკეთურმა ცნობისმოყვარეობამ მძლია და ხუთი-ექვს მოხალისე ახალგაზრდასთან ერთად პირველ ჯგუფს შევუერთდი, რომელსაც თავად უიკო მიუძღოდა. გაოცებული ვუყურებდი, როგორ მტკიცედ მიაბიჯებდა მთვარის შუქით განათებულ ბილიკზე ჟანდარმებით გარშემორტყმული გოგო.

იასუოკის დასახლებიდან კონგოს ტაძრამდე მისასვლელად თხუთმეტი წუთი იყო საჭირო. ეს მეტად ცნობილი ტაძარი გახლდათ – სახელი უძველესი მუხით გაეთქვა, რომელიც, გადმოცემის თანახმად, თვით უფლისწულ ტაკაოკას დაერგო თავისი ხელით; თანაც იქაურობას თვით ჯინგორო ჰიდარის მიერ შექმნილი ბრწყინვალე სამიარუსიანი პაგოდა ამშვენებდა. ზაფხულობით ხშირად დავდიოდი მთის ჩანჩქერზე საბანაოდ.

ტაძრის მთავარი შენობის კედელი მდინარის ნაპირს მიუყვებოდა. ტალახით ნაშენი კედლის ჩამონგრეულ ნაწილს ბალახი მოსდებოდა. თეთრი ღეროები ბნელ ღამეშიც კი მოჩანდნენ. მთავარი

ჭიშკრის გვერდით კამელიები ყვაოდნენ. ჩამწკრივებულები, მდინარის გასწვრივ უჩუმრად მივაბიჯებდით.

კონგოს ტაძრის მთავარი ნაწილი შემაღლებულ ადგილასაა. მორებისაგან შეკრულ ხიდზე რომ გადახვალ, მარჯვნივ სამიარუსიანი პაგოდაა, ხოლო მარცხნივ – ნეკერჩხლის ტევრი. ტევრის უკან კი ცნობილი ასხუთსაფეხურიანი, ხავსით დაფარული კიბეა. კირქვის საფეხურებზე ფეხი ხშირად სრიალებს ხოლმე.

ხიდზე გადასვლამდე ჟანდარმი მოგვიბრუნდა და ხელით გვანიშნა, შევჩერებულიყავით. გადმოცემის მიხედვით, ძველად ამ ადგილას უნკეისა და ტანკეის მიერ აღმართული დევების კარიბჭე იყო, კარიბჭის იქითა მიწები კი ტაძარს ეკუთვნოდა.

ჩვენ სულგანაბულები ვიდექით რაღაცის მოლოდინში...

ჟანდარმმა უიკო წინ გაუშვა. გოგონამ ხიდი გადაიარა და ცოტა ხნის შემდეგ ჩვენც უკან მივყევით. ქვის კიბის ქვედა ნაწილი ჩრდილით იყო დაფარული, ზედა ნაწილს კი მთვარის შუქი ანათებდა. ჩვენ ქვემოთ ჩავიმალეთ. ღამეში ნეკერჩხლის სინითლეშეპარული ფოთლებიც კი შავად მოჩანდა.

კიბის თავზე კონგოს ტაძრის მთავარი ნაწილი აღმართულა. მარცხენა მხარეს დახრილად მიუყვება გადახურული პავილიონი, რომელიც მთავარ შენობას ერთ-ერთ ისეთ დარბაზთან აკავშირებს, სადაც, ჩვეულებრივ, კაგურის ცეკვის რიტუალები იმართება ხოლმე. დარბაზი ჰაერშია გამოკიდებული და, კიომიძუს ტაძრის მსგავსად, მთლიანად კლდის ძირას დამაგრებულ ხის ბოძებს ეყრდნობა... დარბაზიც, პავილიონიცა და ხის საყრდენი ნაგებობაც ქარებსა და წვიმებს გადაერეცხათ – ღამის სიბნელეში ჩონჩხის ძვლებივით თეთრად ლაპლაპებდნენ. შემოდგომით, დღის სინათლეზე, ნეკერჩხლის გაწითლებული ფოთლები და ძვლებივით თეთრი ხის შენობები საოცარ ჰარმონიას ქმნიან, ღამის სიბნელეში კი ალაგ-ალაგ მთვარის შუქით განათებული ტაძრის თეთრი ჩონჩხი შემაძრწუნებლად და ამავე დროს მიმზიდველად გამოიყურებოდა.

როგორც ჩანს, დეზერტირი ზედა დარბაზში იმალებოდა. ჟანდარმები უიკოს მეშვეობით მის გამოტყუებასა და შეპყრობას აპირებდნენ. ჩვენ, მოწმეები, ჩრდილში ჩავიმალეთ და სუნთქვა შევიკარით. ოქტომბრის ცივი ღამე იყო, მაგრამ მე ლოყები მაინც საშინლად მიხურდა.

უიკო ასხუთსაფეხურიან კირქვის კიბეს მარტო აუყვა. შეშლილის სიამაყე გამოსჭვიოდა მის მოძრაობაში. შავ თმასა და შავ ტანსაცმელში მხოლოდ პროფილი მოუჩანდა თეთრად.

მთვარე, ვარსკვლავები, ღამის ბურუსი, ცას მიტმასნილი მთების ქედები, კედრებით დაფარული ფერდობები, მთვარის შუქჩრდილები, თეთრად მოლივლივე ტაძარი და ამ ყველაფერს შორის უიკოს ღალატის თვალწარმტაცი სილამაზე – გონებას მიბინდავდა და მათრობდა. უიკოს უფლება ჰქონდა, ამაყად მხარგაშლილს, მარტოს აევლო ეს თეთრი კიბე. მისი ღალატი, მთვარის, ვარსკვლავებისა თუ კედრის ხეების დარად, ბუნების ნაწილი იყო. ისიც, ჩვენთან, მოწმეებთან ერთად, ამ სამყაროს ეკუთვნოდა. უიკო კიბეზე ადიოდა, როგორც ჩვენი წარმომადგენელი.

სუნთქვა გამიხშირდა და უნებლიეთ გავიფიქრე: „ამ ღალატით მან მეც მიმიღო. ახლა ის მეც მეკუთვნის“.

უბედური შემთხვევები გარკვეული დროის შემდეგ ჩვენი მეხსიერებიდან იშლება ხოლმე, ხავსით დაფარულ ასხუთსაფეხურიან კიბეზე ამავალი უიკოს ლანდი კი დღესაც თვალწინ მიდგას. ჩემს გონებაში კიბეზე მისი ასვლა სამარადჟამოდ გრძელდება.

მაგრამ მას შემდეგ, რაც კიბეს აივლის, უიკო ისევ იცვლება. ის კიდევ ერთხელ ხდება მოღალატე – მღალატობს მე, ყველას გვღალატობს. გარდასახული უიკო აღარ უარყოფს მთელ სამყაროს, მაგრამ არც ბოლომდე იღებს მას. ის უბრალო სასიყვარულო ვნებას სწირავს თავის სხეულს, იქცევა ჩვეულებრივ ქალად, რომელიც ერთადერთ მამაკაცს უძღვნის საკუთარ თავს.

ამიტომაც, ყველაფერი, რაც მერე მოხდა, მეხსიერებაში ბუნდოვნად და გაურკვევლად ჩამრჩა, ძველი ლითოგრაფიული გამოსახულებასავით.

უიკომ პავილიონი გაიარა და ტაძრის სიბნელეს რაღაც გასძახა. იქიდან მამაკაცის სილუეტი გამოჩნდა. გოგონამ რაღაც გადაულაპარაკა. მამაკაცი კიბისკენ დაიძრა, პისტოლეტი ამოიღო და სროლა დაიწყო. კიბის ჩაბნელებული მხრიდან ჟანდარმების საპასუხო სროლა გაისმა. უიკო პავილიონისკენ გაიქცა. მამაკაცმა კიდევ ერთხელ შეაყენა პისტოლეტის ჩახმახი და ზურგში რამდენიმე ტყვია ზედიზედ დაახალა. უიკო ადგილზევე ჩაიკეცა. მამაკაცმა იარაღი საფეთქელთან მიიტანა და კიდევ ერთხელ გაისროლა.

ჟანდარმებით დაწყებული, ყველა იქ მყოფი გვამების სანახავად კიბისკენ გაიქცა. მარტო მე დავრჩი ნეკერჩხლის შეწითლებულ ფოთლებქვეშ ჩამალული. ტაძრის თეთრი შენობა ჩემ ზემოთ აღმართულიყო. პავილიონის ხის იატაკზე მორბენალი ხალხის ფეხის ხმა მსუბუქ ბგერებად ცვიოდა ზევიდან. ჯიბის ფანრების შუქი კიბის მოაჯირს სცდებოდა და დროდადრო ნეკერჩხლების კენწეროებზე კრთოდა.

არ მტოვებდა განცდა, რომ ეს უბედურება ჩემგან განყენებულად, სადღაც შორს მოხდა. ადამიანი მხოლოდ მაშინ იწყებს შფოთვას, როცა სისხლი დაიღვრება. მაგრამ როცა სისხლი დაიღვრება, ტრაგედია უკვე მომხდარია. ამასობაში თვლემა მომერია. როცა თვალები გავახილე, აღმოვაჩინე, რომ ყველას დავვიწყებოდი და იქვე მივეტოვებინე. გარშემო ყველაფერი ჩიტების ჟღურტულს აევსო, დილის მზის სხივებს კი ნეკერჩხლის ტოტებში ღრმად შემოეღწია. მზის შუქი ტაძრის თეთრ ჩონჩხს ქვევიდან ანათებდა და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ტაძარი გაცოცხლებულიყო. მისი დარბაზები მშვიდად და ამაყად გადმოჰყურებდნენ ნეკერჩხლის შეწითლებული ხეებით სავსე ხეობას.

სიცივისგან აძაგძაგებული წამოვდექი და ტანის შეცივებული ადგილები დავიზილე. მხოლოდ სიცივე შემომრჩენოდა იმ ღამის შემდეგ. სიცივის შეგრძნება და სხვა არაფერი.

***

მომდევნო წელს, საგაზაფხულო არდადეგებზე, მამაჩემი გვეწვია. ომის დროს მამაკაცებისთვის დაწესებული სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა და ზემოდან ბერის ლაბადა ჰქონდა წამოსხმული. მითხრა, რამდენიმე დღით კიოტოში უნდა წაგიყვანოო. ფილტვების დაავადება ძალიან გართულებოდა. საშინლად დამთრგუნა იმის ნახვამ, თუ როგორ დაესუსტებინა ავადმყოფობას. მე, ბიძა და ბიცოლა ვარწმუნებდით, რომ კიოტოში წასვლაზე ხელი აეღო, მაგრამ არც ერთის თხოვნა არ შეისმინა. მერე მივხვდი, რომ მამას უნდოდა, სიცოცხლეშივე მოესწრო და ოქროს ტაძრის წინამძღვარი გაეცნო ჩემთვის.

რა თქმა უნდა, ოქროს ტაძრის ნახვა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო, თუმცა მამასთან ერთად მოგზაურობისკენ გული არ მიმიწევდა. მართალია, თავი ვაჟკაცურად ეჭირა, მაგრამ მაინც ყველასთვის შესამჩნევი იყო მისი დაავადების სიმძიმე. რაც უფრო ახლოვდებოდა ჯერ კიდევ უცნობ ოქროს ტაძართან შეხვედრის დრო, მით უფრო ძლიერ ვყოყმანობდი. ოქროს ტაძარი უცილობლად ლამაზი იქნებოდა. ყველაფერი დამოკიდებული იყო არა იმდენად მის სილამაზეზე, რამდენადაც ჩემ მიერ ამ სილამაზის აღქმის უნარზე.

ყველაფერი ვიცოდი, რაც კი პატარა ბიჭს შეიძლებოდა სცოდნოდა ოქროს ტაძრის თაობაზე. ხელოვნების შესახებ დაწერილ ერთ წიგნში, რომელიც შემთხვევით ჩამივარდა ხელში, ტაძრის ისტორია შემდეგნაირად იყო აღწერილი:

„აშიკაგა იოშიმიცუმ შიონჯის კლანისაგან ძღვნად მიიღო კიტაიამის მიწები და ამ ადგილას უზარმაზარი აგარაკი ააშენა. კომპლექსში შედიოდა შემდეგი ძირითადი ნაგებობები: წმინდა ნაწილების განსასვენებელი, ცეცხლით განწმენდის დარბაზი, მონანიების დარბაზი, წყლით განწმენდის დარბაზი და სხვა შენობები; ასევე საერო დანიშნულების შენობები: მისი უზენაესობის მოსასვენებელი, დიდებულთა საცხოვრისი, სათათბირო დარბაზი, ზეციური სარკის სასახლე, ჩრდილოეთის თაღის სასახლე, წყაროს სასახლე, თოვლის ჭვრეტით ტკბობის სასახლე და სხვ. ყველაზე მეტი ძალა

მოხმარდა მისი უზენაესობის მოსასვენებლის მშენებლობას, რომელსაც შემდგომში ოქროს ტაძარი დაერქვა. რთულია გადაჭრით თქმა, თუ რის შემდეგ ეწოდა მას ეს სახელი, მაგრამ ნამდვილად ვიცით, რომ ეს ვერ მოხდებოდა 1467-1477 წლების შიდა ომებამდე. ბუმმეის ეპოქაში (1469-1487) კი ეს სახელწოდება უკვე საკმაოდ ფართოდ გამოიყენებოდა.

ოქროს ტაძარი სამსართულიანი კოშკია, რომელიც სარკის ტბას გადმოჰყურებს. ითვლება, რომ ტაძარი აშენდა დაახლოებით 1398 წელს (ოეის ეპოქის მე-5 წელს). პირველი და მეორე სართულები ჰეიანისა და კამაკურას ეპოქების არისტოკრატთა სასახლეების სტილისაა. გამოყენებულია შიტომიდო – ორი ნაწილისგან შემდგარი ასაწევი კარები. მესამე სართული წარმოადგენს სამი კვადრატული კენის[5] ფართობის მქონე ნაგებობას, რომელიც შესრულებულია წმინდა ძენ-ბუდისტურ სტილში. ცენტრალურ ნაწილში გაჭრილია ამ სტილისთვის დამახასიათებელი ხის კარი, მარჯვნივ და მარცხნივ კი – რომბისებური სარკმლები. ალვის ხის ქერქით დაფარულ სახურავზე მოოქროვილი სპილენძის ფენიქსია აღმართული, რაც ჰოგიო ძუკურის სტილს უსვამს ხაზს. ტაძრის მონოტონურობას არღვევს ორფერდა სახურავით დაფარული სათევზაო პავილიონი, რომელიც ზედ გუბურაზე გამოდის. მცირედ დაქანებული სახურავებითა და ხის ნატიფი კედლებით, ოქროს ტაძრის კომპლექსი საბაღო არქიტექტურის შედევრია და გამოირჩევა საერო და ბუდისტური არქიტექტურული სტილების საოცარი ჰარმონიით. ტაძარი კარგად ასახავს იმ ეპოქის ატმოსფეროს და იოშიმიცუს გატაცებას არისტოკრატთა კულტურითა და წეს-ჩვეულებებით.

იოშიმიცუს ანდერძის თანახმად, მისი სიკვდილის შემდეგ კიტაიამის სასახლე გადაეცა ძენ-ბუდისტურ სექტას და ეწოდა როკუონჯი. სასახლის კომპლექსის შენობათა უმეტესობა დაშალეს ან სხვაგან გადაიტანეს, ოქროს ტაძარი კი, საბედნიეროდ, დღემდე პირველადი სახით შემორჩა...“

---

[5] ძველი იაპონური საზომი ერთეული. უტოლდება დაახლოებით 1.8 მეტრს.

ოქროს ტაძარი ბნელი ეპოქის ნათელ სიმბოლოდ იქცა, ღამის წყვდიადში მოელვარე მთვარესავით. ჩემს წარმოდგენაში, ასეთი სიბნელის გარეშე ის ვერც იარსებებდა. ბნელით მოცული ტაძრის სვეტები მყარად იდგნენ და შიგნიდან მსუბუქ ნათელს ასხივებდნენ. რა სიტყვებითაც უნდა მიემართა ადამიანს მისთვის, ის, უმშვენიერესი და თვალწარმტაცი, მაინც მდუმარედ რჩებოდა – ასე აშიშვლებდა თავის დახვეწილ ფორმებს; ასე იდგა და უძლებდა გარს მომდგარი წყვდიადის შემოტევას.

ხშირად ვფიქრობდი ტაძრის სახურავზე აღმართულ მოოქროვილ სპილენძის ფენიქსზეც, საუკუნეების განმავლობაში უამრავი წვიმისა თუ ქარისათვის რომ გაეძლო. ვფიქრობდი, ამ მისტიკურ ოქროსფერ ფრინველს, რომელიც ერთხელაც არ ყოფილა განთიადის მაცნე და ერთხელაც არ შემოუკრავს ფრთები, დავიწყებია, რომ ფრინველია-მეთქი. თუმცა ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ ფენიქსს ფრენა არ შეუძლია. სხვა ფრინველები თუ ცაში დაფრენენ, ფრთებგაშლილი ოქროს ფენიქსი განწირულია, სამარადჟამოდ იფრინოს დროის სივრცეებში. დრო მის ფრთებს ასკდება, ასკდება და მათში გაედინება. ფრენისთვის ფენიქსს უძრავად დგომაც ჰყოფნის – საკმარისია, თვალები რისხვით აენთოს, ფრთები ფართოდ გაშალოს და კუდის ბუმბულები ამოიბრუნოს, მყარად გადგას ძლიერი, მოოქროვილი ფეხები და... ის უკვე დაფრინავს!

როდესაც ასე ვფიქრობდი, მეჩვენებოდა, რომ ოქროს ტაძარი იყო საოცარი გემი, რომელმაც დროის ოკეანე გადმოკვეთა და ჩვენამდე მოაღწია. „ჰაეროვანი არქიტექტურა და მსუბუქი კედლები“, იმავე წიგნში რომ იყო ნახსენები, ასევე მაგონებდა გემის კონსტრუქციას, ხოლო ის გუბურა, რომელსაც ეს რთული აგებულების სამსართულიანი გემი გადაჰყურებდა, ოკეანის სიმბოლოდ მესახებოდა. ტაძარმა უთვალავი უძირო ღამე გამოიარა ამ დაუსრულებელი მოგზაურობისას. დღისით ეს უცნაური გემი თავს იკატუნებდა, თითქოს ღუზა ჩაეშვა და უამრავ მნახველს უფლებას აძლევდა, თავისუფლად დამტკბარიყო სანახაობით. ღამღამობით კი გარს მომდგარი წყვდიადი ძალას მატებდა ტა-

ძარს, სახურავი აფრებად ეშლებოდა და ის ისევ სამოგზაუროდ გადიოდა ზღვაში.

არ გავაზვიადებ, თუ ვიტყვი, რომ პირველი სირთულე, რომელსაც ცხოვრებაში გადავეყარე, სილამაზე იყო. მამამ, ვინც ჩვეულებრივი სოფლის ბერი გახლდათ და მჭევრმეტყველებით დიდად არ გამოირჩეოდა, უბრალოდ ამიხსნა, ამ სამყაროში ოქროს ტაძარზე ლამაზი არაფერიაო. მაშფოთებდა და მაღიზიანებდა თვით ის აზრიც კი, რომ სადღაც, ჩემთვის უცნობ სამყაროში სილამაზე არსებობდა. თუკი სილამაზე სადღაც მართლაც სუფევდა, მაშ, ჩემი არსებობა მოწყვეტილი იყო ამ სილამაზეს.

თუმცა ოქროს ტაძარი ნამდვილად არ წარმომიდგებოდა რაღაც გაურკვეველ სახებად. მართალია, მთები ტაძარს ჩემს თვალთახედვას უმალავდნენ, მაგრამ თუ გადავწყვეტდი მის ნახვას, შემეძლო მივსულიყავი და დამეთვალიერებინა. ესე იგი, სილამაზე შეგიძლია ხელით შეიგრძნო და თვალით დაინახო. ვიცოდი და მჯეროდა, რომ ოქროს ტაძარი არსებობდა – უცვლელად, ჟამთა სვლისა და სამყაროს ცვლილებების მიუხედავად.

ოქროს ტაძარი ხან ხელისგულზე გადაგორებულ პატარა, დახვეწილ ნივთად წარმომედგინა, ხან კი – ვეება ურჩხულის მსგავს, ცად აწვდილ კათედრალად. პატარა ბიჭს, მიჭირდა იმ აზრთან შეგუება, რომ სილამაზე პროპორციულობას გულისხმობს – რაც ლამაზია, არც ძალიან პატარა უნდა იყოს და არც ძალიან დიდი. ამიტომ, როცა კი ვხედავდი, რომ ნაზად დაცვარული პატარა ყვავილი დილის შუქში ეხვეოდა, ოქროს ტაძარივით ლამაზია-მეთქი, ვფიქრობდი. როცა მთების თავზე შავი ღრუბლები ავისმომასწავებლად შეიკვრებოდნენ და მათი კონტურები ოქროსფრად ელავდნენ, ესეც ოქროს ტაძრის დიდებულებას მახსენებდა. საბოლოოდ, იქამდე მივედი, რომ ლამაზი სახის დანახვისას **გავიფიქრებდი ხოლმე,** ოქროს ტაძარივით ლამაზია-მეთქი.

მამასთან ერთად მოგზაურობა საკმაოდ მოსაწყენი გამოდგა. მატარებელი დასავლეთ მაიძურუდან კიოტომდე მაგუროში, უესუგიში და სხვა პატარა სადგურებში ჩერდებოდა. ქალაქ აიაბეს რომ

გავცდით, ჰოძუს ხეობის გვირაბები დაიწყო და ისედაც ბინძურ სამგზავრო ვაგონებში მატარებლის გამონაბოლქვმა შემოაღწია. მამა ლამის ხველებით დაიხრჩო.

მგზავრებს შორის ბევრი აღმოჩნდა ისეთი, ვინც მეტ-ნაკლებად დაკავშირებული იყო სამხედრო ფლოტთან. მესამე კლასის ვაგონები სავსე იყო უნტერ-ოფიცრებით, მეზღვაურებით, სამხედრო ქარხნების მუშებითა თუ სამხედროთა ოჯახებით, ნათესავთა მონახულების შემდეგ მაიძურუდან უკან რომ ბრუნდებოდნენ.

ფანჯრიდან გაზაფხულის ღრუბლიან ცას გავყურებდი. ვუყურებდი მამაჩემის სამოქალაქო ტანსაცმელზე წამოსხმულ ლაბადას, სისხლსავსე ახალგაზრდა უნტერ-ოფიცრების მკერდზე აკიაფებულ ოქროს ღილებს და ვფიქრობდი, რომ მეც ერთ-ერთი მათგანი ვიყავი. აი, 20 წლის გავხდები და მეც ჯარში წამიყვანენ. მაგრამ შევძლებ კი ამ მეზღვაურებივით ერთგულად ვიმსახურო? მე ხომ ორ სამყაროს ვემსახურები... მიუხედავად პატარა ასაკისა, მახინჯ და ჯიუტ თავში ასეთი აზრები მიტრიალებდა: სიკვდილის სამყარო, რომელიც მამაჩემისაა და ცოცხლების სამყარო, რომელშიც ეს ახალგაზრდები ცხოვრობენ, ომის წყალობით ახლა ერთ მთლიანობად ქცეულა. ან იქნებ მე ვარ მათი დამაკავშირებელი რგოლი? მე თუ ომში დავიღუპები, მაშინ ნათელი გახდება, რომ, საბოლოო ჯამში, სულერთია, ამ ორი სამყაროდან რომელს ავირჩევ...

ჩემი ახალგაზრდობის წლები გაცრეცილი ფერებით გამოირჩეოდა. ძალიან მეშინოდა ბნელი სამყაროსი, მაგრამ დღესავით ნათელი, მარტივი ფერებიც უცხო იყო ჩემთვის.

ვისმენდი მამის უსაშველო ხველებას და გავყურებდი მდინარე ჰოძუს ხედებს. მდინარის წყალი ისეთივე ხასხასა ლურჯი იყო, როგორც სპილენძის სულფატის კრისტალები, რომლებსაც ქიმიურ ექსპერიმენტებში იყენებენ ხოლმე. გვირაბიდან გასვლისას ყოველ ჯერზე ჰოძუს ხეობა ლიანდაგებს ხან შორდებოდა, ხან, პირიქით, უკიდურესად ეტმასნებოდა, ხან სალ კლდეებს შორის ექცეოდა და ხან ხასხასა ლურჯ ტალღებს ისე ხმაურიანად ატრიალებდა, თითქოს მეთუნის მორგვი ყოფილიყო.

მამას რცხვენოდა ხალხის თვალწინ თავისი საგზლის – თეთრი, გაპრიალებული ბრინჯის გუნდის ამოღებისა.

– შავ ბაზარზე ნაყიდი ბრინჯი არ გეგონოს. მლოცველების შემოწირულია, გემრიელად ჭამე, – ისე მითხრა, რომ გარშემომყოფებსაც გაეგოთ. საკმაოდ პატარა გუნდები იყო, მაგრამ მამამ ერთი ცალი ძლივს შეჭამა.

ვერც კი ვიფიქრებდი, თუ ეს ძველი, გამურული მატარებელი დედაქალაქისკენ მიემართებოდა. სიკვდილის სადგურისკენ მიმავალ მხრჩოლავ ორთქლმავალს უფრო წააგავდა. ბოლი კი, ყოველ გვირაბში შესვლისას ვაგონებს რომ ავსებდა, კრემატორიუმის სუნს მაგონებდა...

მაგრამ როგორც კი როკუონჯის ტაძრის ჭიშკართან აღმოვჩნდი, მაშინვე გული ამიჩქროლდა. სულ მალე ამქვეყნად ყველაზე ლამაზ ქმნილებას ვიხილავდი!

მზე უკვე გადახრილიყო და მთის მწვერვალები ნისლში ჩაძირულიყვნენ. რამდენიმე მნახველი ჩვენთან ერთად შემოვიდა ჭიშკარში. მარცხნივ, სამრეკლოს გარშემო, ქლიავის ხეები იდგა, ჯერ კიდევ შემორჩენილი ყვავილებით.

მამა ტაძრის მთავარი შენობის წინ, უზარმაზარ მუხასთან შეჩერდა და წინამძღვართან შეხვედრა მოითხოვა. უპასუხეს, რომ წინამძღვარს სტუმრები ჰყავდა და გვთხოვეს, ნახევარი საათი დავლოდებოდით.

– წავიდეთ, მანამდე ოქროს ტაძარი ვნახოთ, – შემომთავაზა მან.

ალბათ უნდოდა, უფასოდ გაევლო ტაძრის ჭიშკარში და ჩემთვის ეჩვენებინა, თუ რა ფართო სანაცნობო ჰყავდა, მაგრამ ბილეთების გამყიდველიცა და კონტროლიორიც შეცვლილიყვნენ იმ ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში, რაც მამა აქ არ ყოფილიყო.

– შემდეგ მოსვლაზეც, ალბათ, ისევ სხვები დაგვხვდებიან, – ჩაილაპარაკა, ცოტა არ იყოს, გაწბილებულმა. ვიგრძენი, რომ სიტყვები „შემდეგ მოსვლაზეც“ სრული უიმედობით წარმოთქვა. მაგრამ არაფერი შევიმჩნიე და ბავშვური ხალისით (მხოლოდ ასეთ

დროს, თავის მოკატუნებისას, შემეძლო ბავშვური ვყოფილიყავი) წინ გავიქეცი.

და ოქროს ტაძარი, რომელზეც ამდენ ხანს ვოცნებობდი, უეცრად სრული სიდიადით წარმომიდგა.

მე სარკის ტბის ერთ მხარეს ვიდექი, მეორე მხარეს კი ჩამავალი მზის სხივებით განათებული ოქროს ტაძარი აღმართულიყო. მარცხენა მხარეს სათევზაო პავილიონი სანახევროდ მოჩანდა. ტბის ზედაპირზე, წყალმცენარეებს შორის, ტაძრის ზუსტი ასლი ლივლივებდა, და ეს ანარეკლი უფრო სრულყოფილი მეჩვენებოდა. წყალზე ასხლეტილი მზის სხივები ყოველი სართულის საჩრდილობლის ქვედა მხარეზე კრთებოდნენ. დამაბრმავებელი ელვარება ტაძარს მედიდურად უკან გადახრილს წარმოაჩენდა, როგორც ისეთ ნახატზე, სადაც პერსპექტივა დარღვეულია.

– რას იტყვი? ლამაზია, არა? – ავადმყოფობისგან დასუსტებული მამაჩემის ხელი ვიგრძენი მხარზე. – პირველ სართულს წყლით განწმენდის დარბაზი ჰქვია, მეორეს – მოქცევის ქვაბული, მესამეს კი „მშვენიერების მწვერვალს“ უწოდებენ.

ხან ასე შევხედე ტაძარს, ხან – ისე, კუთხე შევიცვალე, კისერი წავიგრძელე, მაგრამ სილამაზე საერთოდ ვერ აღვიქვი. სიძველისგან გაშავებული უბრალო სამსართულიანი სახლი იყო. ფენიქსიც კი სახურავზე ჩამომჯდარ ყვავს უფრო ჰგავდა. ტაძარი სულაც არ მომჩვენებია ლამაზად, პირიქით, ერთგვარი დისჰარმონიის განცდასაც კი იწვევდა. ვიფიქრე, ნუთუ სილამაზე შეიძლება იყოს რაღაც ისეთი, რაც სილამაზეს ამდენად მოკლებულია-მეთქი?

მე რომ ჩვეულებრივი, თავმდაბალი და მონდომებული ბიჭი ვყოფილიყავი, მაშინ ასე ადვილად არ გამიცრუვდებოდა იმედი – ყველაფერს ჩემს აღქმის უნარს დავაბრალებდი. მაგრამ ისე ველოდი საოცნებო სილამაზის ხილვას, რომ ღალატის შეგრძნებით გამოწვეულმა ტკივილმა ყველა სხვა შეგრძნების უნარი წამართვა.

ვიფიქრე, იქნებ ოქროს ტაძარი სილამაზეს მალავს და სახეცვლილად მეჩვენა, ჩემთვის თვალი რომ აეხვია-მეთქი. ხომ შეიძლება, რომ სილამაზე თავის დასაცავად ადამიანების მზერას ატყუებ-

დეს? უფრო ახლოს უნდა მივიდე, ჩამოვიცილო ეს საძაგელი ბურუსი, რომელიც თვალზე გადამკვრია, ახლოდან აღვიქვა ტაძრის თითოეული ნაწილი და ჩავწვდე მისი სილამაზის დაფარულ არსს... ბუნებრივია, ასე ვფიქრობდი, რადგან მხოლოდ იმ სილამაზის მჯეროდა, რომელსაც თვალი აღიქვამს.

მამა წინ გამიძღვა და ქვედა სართულის ღია ნაწილში მორიდებით შევიდა. უპირველეს ყოვლისა, თვალში მომხვდა მინის ყუთში ჩასმული ტაძრის მაკეტი. ის ორიგინალზე ახლოს იდგა იმ ოქროს ტაძართან, რომელსაც წარმოსახვით ვაგებდი ამდენი ხნის განმავლობაში. დიდი ოქროს ტაძრის შიგნით კიდევ ერთი, ზუსტად ისეთივე ოქროს ტაძრის ნახვამ უსასრულობის ჰარმონიულობაზე დამაფიქრა, და კიდევ, იმ პატარა სამყაროებზე, რომლებიც დიდი კოსმიური სამყაროების შიგნით არსებობენ. თითქოს ჩემი ახდენილი ოცნება მედგა თვალწინ: ამ მაკეტზე ბევრად პატარა, სრულყოფილებამდე ლამაზი ოქროს ტაძარი, და ასევე, ორიგინალთან შედარებით მეტისმეტად დიდი, სრულიად სამყაროს მომცველი ოქროს ტაძარი.

თუმცა ფეხებმა ერთ ადგილას დიდხანს არ გამაჩერეს. მამამ ცნობილ ეროვნულ საგანძურთან – იოშიმიცუს ქანდაკებასთან მიმიყვანა. ამ ხის სკულპტურას როკუონინდენ მიჩიიოშის ქანდაკება ეწოდებოდა, იმ სახელის უკვდავსაყოფად, რომელიც შიოგუნმა ბერად აღკვეცის მერე მიიღო.

ვერც ამ ქანდაკებაში დავინახე სილამაზე – უბრალოდ, ძველ, გამურულ კერპს მაგონებდა. მამასთან ერთად მეორე სართულზე, მოქცევის ქვაბულში ავედი. ჭერზე მოცეკვავე ციური არსებები ეხატა, რომლებიც, გადმოცემის თანახმად, თვით მასანობუ კანოს[6] დაეხატა. მაგრამ ვერც ამ ნახატმა და ვერც „მშვენიერების მწვერვალის“ კედლებზე შემორჩენილმა ოქროს ფურცლების საცოდავმა ნაფლეთებმა ვერ მაგრძნობინა, რომ ჩემ თვალწინ სილამაზე იყო.

ვიწრო მოაჯირს დავეყრდენი და, ფიქრებში წასული, ტბის ზედაპირს დავყურებდი. ჩამავალი მზის სხივებით განათებულ წყლის

[6] მასანობუ კანო (1434 – 1530) – მურომაჩის ეპოქის ცნობილი მხატვარი.

ზედაპირზე, ძველ, დაჟანგებულ სპილენძის სარკეს რომ მაგონებდა, ოქროს ტაძრის სილუეტი ირეკლებოდა. წყალმცენარეების ქვეშ, სადღაც სიღრმეში, დაისის ცა ჩაწოლილიყო. ის ცა სრულიად არ ჰგავდა ჩვენ ზემოთ გადაჭიმულ ცას – სუფთა და გამჭვირვალე იყო, არაამქვეყნიური სიბრძნით განათებული; თითქოს სამყაროს სრულად შთანთქავდა და ოქროს ტაძარიც მასში ჟანგისაგან გამუქებულ უზარმაზარ ოქროს ღუზასავით ჩაძირულიყო.

ტაძრის წინამძღვარი დოსენ-ოშიო ტაიამა მამაჩემის ძველი მეგობარი იყო. სამი წელი ძენ-ბუდისტურ მონასტერში ერთად ცხოვრობდნენ და ლხინსა და ჭირს იზიარებდნენ. განათლება ორივემ მიიღო შიოკოკუს მონასტერში, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ასევე შიოგუნ იოშიმიცუს აშენებულია. ძენის უძველესი წესებით დადგენილი საფეხურების გავლის შემდეგ ორივე ბერი გახდა. შემდგომში წინამძღვარი დოსენ-ოშიო, როცა ამის განწყობა ჰქონდა, ხშირად მიყვებოდა ხოლმე, რომ ის და მამაჩემი ერთად მარტო ცხოვრებისეულ სიძნელეებს კი არ უმკლავდებოდნენ, არამედ გართობა და სიხარულიც საერთო ჰქონდათ. იგონებდა, როგორ არღვევდნენ ღამღამობით მონასტრის წესებს, ღობეზე ძვრებოდნენ და საროსკიპოებში გასართობად გარბოდნენ.

როცა ოქროს ტაძრის დათვალიერება დავამთავრეთ, მთავარი შენობის შესასვლელთან დავბრუნდით. იქიდან ფართო და გრძელი დერეფნით მიგვიყვანეს წინამძღვრის ოთახამდე, რომლის ფანჯრებიც ნავისებური ფიჭვის ცნობილ ბაღს გადაჰყურებდა. სასკოლო ფორმაში გამოწკეპილი, წელში გამართული, გაუნძრევლად ვიჯექი, მამამ კი მოურიდებლად გაშალა ფეხები. მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემს და წინამძღვარს ერთნაირი წარმომავლობა ჰქონდათ და ორივემ ერთი გზა განვლო, საბოლოოდ, მაინც განსხვავებული ბედ-იღბალი ერგოთ. ავადმყოფობით დასუსტებული მამა საცოდავად გამოიყურებოდა, დოსენ-ოშიოს კი სახეზე ატმისფერი ედო. წინამძღვრის მაგიდაზე ამ ცნობილი ტაძრის სახელზე გამოგზავნილი ამანათები, ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, წერილები და გაუხსნელი კონვერტები იყო ახოხოლავებული. ის, თავისი კო-

ტიტა თითებით, მაკრატელს დასწვდა და ერთ-ერთი ამანათი მოხერხებულად გახსნა.

– ტკბილეულია ტოკიოდან, – თქვა მან. – ბოლო დროს ასეთ ტკბილეულს იშვიათად შეხვდები. მაღაზიებში არ შეაქვთ, ძირითადად ჯარსა და უწყებებში ნაწილდება.

წინამძღვარი გაგვიმასპინძლდა ჩაით და რაღაც ევროპული სასუსნავით, რომელიც მანამდე არ გამესინჯა. სულ უფრო ვიძაბებოდი და ნამცეცები სასკოლო ფორმის შარვალზე მეყრებოდა.

მამაჩემი და წინამძღვარი ოშიო დიდხანს საუბრობდნენ იმაზე, რომ ჯარი და მოხელეები მხოლოდ შინტოისტურ ტაძრებს სწყალობდნენ, ხოლო ბუდიზმს საერთოდ არ აქცევდნენ ყურადღებას. ბრაზობდნენ, რომ მთავრობა მარტო უყურადღებობას კი არ იჩენდა, ბუდისტებს ხშირად ავიწროებდა კიდეც. ბჭობდნენ იმაზე, თუ როგორ უნდა იმართებოდეს ბუდისტური ტაძრები და ა. შ.

წინამძღვარი ჩასუქებული გახლდათ. რა თქმა უნდა, ნაოჭები ჰქონდა, მაგრამ თითოეული ნაოჭი მოვლილი და საგულდაგულოდ დაბანილი იყო. ჩამრგვალებულ სახეზე მხოლოდ ცხვირი მოუჩანდა გამოშვერილად, ხის გაქვავებული ფისივით. თბილი გამომეტყველება კი ჰქონდა, მაგრამ გადაპარსული თავი ძალიან მკაცრ იერს აძლევდა – თითქოს რაღაც ცხოველური ძალა ჩაჰბუდებოდა ამ თავში.

მამაჩემმა და წინამძღვარმა მონასტერში სწავლის დრო გაიხსენეს. მე ნავისებურ ფიჭვს გავყურებდი. უზარმაზარი ფიჭვის ტოტები მიწაზე გართხმულიყო და მხოლოდ ცალ მხარეს აზიდულიყო ზევით, რის გამოც მთელი ხე ნავს წააგავდა. ბაღის დაკეტვის დრო ახლოვდებოდა, როცა ღობის იქით, ოქროს ტაძრის მხრიდან ხმაური მოისმა – მნახველების ჯგუფი მოსულიყო. მათი ლაპარაკი და ნაბიჯების ხმა გაზაფხულის საღამოს ცაში ინთქმებოდა, ხმებს სიმკვეთრე დაჰკარგოდა და ჩვენამდე რბილი გარსით დაფარული ბგერებიღა აღწევდა. მერე ნაბიჯების ხმა დაგვშორდა და სადღაც სიღრმეში ჩაიკარგა. იმაზე დავფიქრდი, თუ როგორ ქრებოდა მიწაზე მოსიარულე მოკვდავთა ნაბიჯების ხმა. თვალს ვერ ვაშორებდი

ჩამავალი მზის სხივებით განათებულ ფენიქსს ოქროს ტაძრის სახურავზე.

– ჩემს შვილს რაც შეეხება... – უეცრად მამაჩემის ხმა მომესმა და მისკენ შევბრუნდი. თითქმის ჩაბნელებულ ოთახში ჩემს მომავალს წინამძღვარ დოსენ-ოშიოს აბარებდა. – ვფიქრობ, დიდი დრო აღარ დამრჩენია და იქნებ ჩემი შვილი შენთან...

დოსენმა ნუგეშისცემა არ დაუწყო და მოკლედ მოუჭრა:

– კარგი, მივიღებ.

ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ ამის მერე, თითქოს აქ არაფერიაო, საუბარი ცნობილი ბერების მიერ სიკვდილის წინ ნათქვამ სიტყვებზე გადაიტანეს. ერთ-ერთს წამოუძახია: „ოჰ, როგორ არ მინდა სიკვდილი!“, მეორეს გოეთესავით უთქვამს: „სინათლე, მეტი სინათლე!“, ერთ ბერს კი სიკვდილის წინ მისთვის მინდობილი ტაძრის ფინანსები გადაუმოწმებია.

მოგვიანებით ვახშმით გაგვიმასპინძლდნენ, რომელსაც, ძენის ტრადიციით, იაკუსეკი (მკურნალი ქვა) ეწოდება[7]. გადაწყდა, რომ იქვე გავათევდით ღამეს. ცაზე მთვარე ამოსულიყო და მამა შევაგულიანე, რომ ძილის წინ კიდევ ერთხელ შეგვევლო თვალი ოქროს ტაძრისთვის.

მამაჩემი ძველ მეგობართან შეხვედრით გამოწვეულმა მღელვარებამ ძალიან დაღალა, მაგრამ როგორც კი ოქროს ტაძარი ვახსენე, მაშინვე წამოდგა, მხარზე დამეყრდნო და ხვნეშით გამომყვა.

მთვარე ფუდოს მთის მხრიდან ამოცურდა. მისი შუქი ოქროს ტაძარს უკნიდან ეცემოდა და უცნაურ ჩრდილებად აქცევდა. მხოლოდ „მშვენიერების მწვერვალის“ სარკმელში კრთებოდა მთვარის დახვეწილი სილუეტი. სინათლე მესამე სართულის სიფრიფანა კედლებში ატანდა და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს მთვარის მქრქალ შუქს „მშვენიერების მწვერვალში“ დაედო ბინა.

---

[7] ძენის ძველი ტრადიციით, ბერებს ვახშმობის უფლება არ ჰქონდათ. ამიტომ შიმშილისა და სიცივის შეგრძნების შესამსუბუქებლად თბილ ქვას იდებდნენ მუცელზე, რომელსაც მკურნალ ქვას უწოდებდნენ. შემდგომში იაკუსეკი ვახშმის სინონიმად იქცა.

აშიჰარის კუნძულიდან ღამის ფრინველი გამყინავი ყივილით აფრინდა. მხარზე მამის დასუსტებული ხელის სიმძიმეს ვგრძნობდი. შევხედე და მომეჩვენა, თითქოს მთვარის შუქზე მისი მტევანი თეთრ ჩონჩხად ქცეულიყო.

***

იასუოკაში დაბრუნების შემდეგ ოქროს ტაძარი, რომელმაც ასე გამიცრუა იმედი, სულ უფრო ლამაზდებოდა ჩემს გონებაში – კიდევ უფრო მშვენიერი ხდებოდა, ვიდრე მანამდე მეგონა. არ შემეძლო ამეხსნა, თუ რა იყო მასში ლამაზი. ჩემი წარმოსახვით შექმნილი ტაძრის სახება სინამდვილემ გადაახალისა და უფრო მომხიბლავ ოცნებად აქცია.

უკვე აღარ ვუკავშირებდი ოქროს ტაძრის სახებას სხვადასხვა ხედსა თუ მოვლენას. ტაძარი უფრო და უფრო მყარად მკვიდრდებოდა ჩემს გონებაში. ყოველი სვეტი და სარკმელი, სახურავი და მისი გვირგვინი – ფენიქსი იმდენად ნათლად წარმომიდგებოდა თვალწინ, რომ მეგონა, ხელითაც კი შევეხებოდი. ტაძრის ყოველი ნაწილი ჰარმონიულად ერწყმოდა მთლიან კონსტრუქციას, ნებისმიერი დეტალის გახსენებისას ტაძარს სრულად ვხედავდი, ისევე როგორც ერთადერთ მუსიკალურ ფრაზას შეუძლია მთლიანი კომპოზიცია მოგასმენინოს გონებაში.

მაშინ პირველად მივწერე მამას: „მართალი იყავი, როცა ამბობდი, ამქვეყნად ოქროს ტაძარზე ლამაზი არაფერიაო“.

როცა ბიძასთან დავბრუნდით, მამამ მალევე მიაშურა თავის კონცხსა და ტაძარს.

პასუხად დედაჩემის ტელეგრამა მოვიდა. მამაჩემს ძლიერი სისხლიანი ხველება დასწყებოდა და გარდაცვლილიყო.

# თავი 2

მამაჩემის სიკვდილთან ერთად ჩემი ბავშვობაც დამთავრდა. თუმცა ეთქმის კი ამას ბავშვობა?! ყოველთვის მაოცებდა, რომ სრულიად მოკლებული ვიყავი ადამიანურ შეგრძნებებს. მაშინაც ძალიან გავოცდი, როცა გავიაზრე, რომ მამის სიკვდილმა ოდნავადაც არ დამამწუხრა. გაოცება არც ეთქმის ამ გრძნობას – რაღაც გაურკვეველი, უძლური განცდა იყო.

როცა ჩავედი, მამა უკვე კუბოში ჩასვენებული დამხვდა. არც იყო გასაკვირი: უჩიურის პორტამდე ფეხით სიარული მომიწია, იქიდან ნარიუს კონცხამდე ზღვით ვიმგზავრე და მთლიანობაში მთელი დღე დამჭირდა მამაჩემის ტაძრამდე მისაღწევად. წვიმების სეზონი ახლოვდებოდა და მზიანი ამინდი იდგა. გადაწყვეტილი იყო, რომ ჩემი მისვლის შემდეგ ცხედარი სწრაფადვე უნდა გადაესვენებინათ კონცხის უკაცრიელ ნაპირზე და იქვე, ზღვის პირას კრემაციის რიტუალი ჩაეტარებინათ.

სოფლის ტაძრის წინამძღვრის გარდაცვალება ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა. იქაურობის სულიერი ცხოვრება ტაძრის წინამძღვრის გარშემო ტრიალებს. ამ ადამიანს მინდობილი აქვს ყოველ გარდაცვლილზე ზრუნვა, ის აცილებს ყველას ბოლო გზაზე და შემდგომშიც ზრუნავს მათ სულებზე... და ეს ადამიანი ახლა

თავად ესვენა ტაძარში. შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს ზედმეტად გულმოდგინედ მიუდგა თავის მოვალეობას. გარშემო ყველას ასწავლიდა, როგორ უნდა შეხვედროდნენ სიკვდილს; მაგალითს აძლევდა, ველარ გათვალა და მართლა დატოვა ეს სამყარო.

კუბო ტაძრის შესაფერისი იყო, ყველაფერი წინასწარ მომზადებული და გათამაშებული ჩანდა. დედა, ახალგაზრდა ბერები და მომსვლელები ქვითინებდნენ. ახალგაზრდა ბერებმა ბლუყუნით დაიწყეს სუტრების კითხვა – გეგონებოდა, წინამძღვარს ახლაც მითითებებსა და დარიგებას სთხოვენო.

მამაჩემის სახე ადრეული გაზაფხულის ყვავილებში ჩაფლულიყო. ისინი ისე ქორფად და ცოცხლად გამოიყურებოდნენ, რომ კაცს შეზარავდა კიდეც. მეჩვენებოდა, რომ ყვავილები უძირო ჭის სიღრმეში იყურებოდნენ, რადგან როგორ ცოცხლადაც უნდა მოჩანდეს გარდაცვლილის სახე, ეს მხოლოდ გარსია – სინამდვილეში ის უწყვეტად ვარდება უსასრულობაში, საიდანაც ველარასოდეს მობრუნდება. ცხედრის სახე ყველაზე გულწრფელად მოგვითხრობს, თუ რამდენად შორეული და მიუწვდომელია ჩვენთვის მატერია. პირველად ვნახე, სიკვდილის შედეგად როგორ გარდაიქმნება სული მატერიად. ამან თითქოს ფარდა ახადა იმ მიზეზს, თუ რატომ იყო მაისის ყვავილები, მზე, მაგიდა, სკოლა, ფანქრები... მთელი სამყარო ასე შორს ჩემგან.

დედაჩემი და გარშემომყოფები მიყურებდნენ, თუ როგორ ვემშვიდობებოდი მამას. ჩემი ჯიუტი სული კი ვერ ხედავდა მსგავსებას ამ სცენასა და სიტყვა „განშორების“ იმ მნიშვნელობას შორის, რომელიც ცოცხალთა სამყაროშია მიღებული. ეს არ იყო განშორება. მე, უბრალოდ, მკვდარი მამაჩემის სახეს ვუყურებდი.

გვამი ესვენა და მეც ვუყურებდი. ჩვეულებრივ, ყურება გაუაზრებელი ქმედებაა, მე კი მაშინ გავაცნობიერე, რომ ყურება შეიძლება იყოს სისასტიკისა და ამავე დროს ცოცხალთა უპირატესი უფლების დემონსტრირება. ამგვარად, ბიჭუნა, რომელიც არასდროს მღეროდა ხმამაღლა და არც ყვირილით დარბოდა ქუჩა-ქუჩა, სწავლობდა, როგორ შეეგრძნო სიცოცხლე.

მუდამ გულჩათხრობილსა და თავმდაბალს, იმ დღეს არ მომრიდებია, დედისა და გარშემომყოფებისთვის მეჩვენებინა ჩემი წყნარი და ნათელი სახე, რომელიც წვეთი ცრემლითაც არ იყო დანამული. ტაძარი კლდის თავზე იდგა და ზღვას გადაჰყურებდა. მგლოვიარეთა ზურგს უკან, იაპონიის ზღვის თავზე, ზაფხულის ღრუბლები შეგროვილიყო.

ბერმა დაკრძალვის რიტუალის უკანასკნელი სუტრის – კიგანის კითხვა დაიწყო და მეც ავყევი. ტაძარში ბნელოდა. სვეტებზე დაკიდულ სამგლოვიარო ალმებზე, სვეტებსა და ფანჯრებს შორის ამოკვეთილ ორნამენტებზე, სასაკმევლეებსა და ბრინჯაოს ვაზებზე სანათების მქრქალი შუქი თამაშობდა. დროდადრო ზღვიდან წამოსული ქარი შემოიჭრებოდა და ლაბადის სახელოებს მიბერავდა ხოლმე. ვკითხულობდი სუტრას და თვალის კუთხით ვხედავდი ზაფხულის ცაზე მოლივლივე ღრუბლებზე არეკლილ ნათებას.

ოჰ, ეს უმოწყალო შუქი, განუწყვეტლივ რომ მინათებდა ნახევარ სახეს. ოჰ, ეს ნათელი სისაძაგლე...

ორიოდე ჩიოლა[8] იყო დარჩენილი და სამგლოვიარო პროცესია კრემაციის ადგილს მიაღწევდა, უეცრად წვიმამ რომ დასცხო. საბედნიეროდ, იქვე, ახლოს სახლი იდგა და მოვახერხეთ, კუბო შეგვეფარებინა. წვიმის გადაღებას პირი არ უჩანდა, ასე რომ, როგორმე მსვლელობა უნდა გაგვეგრძელებინა. ხალხმა ქოლგები და საწვიმრები მოამზადა, კუბოს ცხიმით გაპოხილი ქაღალდი გადააფარეს და ცხედრის დასაწვავ ადგილს როგორღაც მივაღწიეთ.

ეს იყო ქვიანი სანაპიროს ზოლი, სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზედ კონცხის თავში. ამ ადგილს ოდითგანვე იყენებდნენ ცხედრების დასაწვავად – როგორც ჩანს, აქედან ბოლი სოფლის მხარეს არ იფანტებოდა.

ამ სანაპიროზე ზღვა განსაკუთრებით ბობოქრობდა. ტალღები თრთოლვით იბერებოდნენ, სივდებოდნენ და ნაპირს ეხეთქებოდნენ, წვიმის წვეთები კი უწყვეტად ესობოდნენ მათ დაუცხრომელ ზედა-

[8] ძველი იაპონური სიგრძის საზომი ერთეული. უტოლდება დაახლოებით 109.9 მეტრს.

პირს. თითქოს მრუმე წვიმა ცივსისხლიანად ცდილობდა ბობოქარი ზღვის გარღვევას. ამ დროს კი ქარი მოულოდნელად ატყდებოდა თავს წვიმის ნაკადებს და შეუვალ კლდოვან ნაპირებს ახეთქებდა. თეთრი კლდეები, თითქოს მელანი მიესხათო, უმალ მუქად იღებებოდნენ.

ნაპირზე გვირაბი გამოდიოდა და სანამ მუშები სარიტუალო ცეცხლს ამზადებდნენ, ჩვენ თავს გვირაბს ვაფარებდით.

ნაპირიდან ზღვის ხედი არ იშლებოდა, მხოლოდ ტალღებს, სველ შავ ქვებსა და წვიმის კედელს ვხედავდით. წვეთებს რაკა-რუკი გაჰქონდათ დაზეთილ კუბოზე, რომელსაც ხის ქერქის ფერი მიეღო. კუბოს ცეცხლი მოუკიდეს. ტაძრის წინამძღვრის კრემაციისათვის ზეთი არ დანანებიათ – ცეცხლმა, პირიქით, წვიმას შეუტია. ისეთი ხმები გაისმა, თითქოს ალი წვიმას შოლტავსო. სქელ ბოლში ნათლად იკვეთებოდა ალის გამჭვირვალე სილუეტი. ქარმა ბოლი ნელ-ნელა წაიღო კლდეებისკენ და ცოტა ხნით წვიმაში მხოლოდ ცეცხლის ალიღა მოჩანდა.

უეცრად მსხვრევის ხმა გაისმა და კუბოს თავსახური ასძვრა.

ცალი თვალით გვერდზე მდგომ დედას გავხედე. ორივე ხელით კრიალოსანს ჩასჭიდებოდა. გახევებული, პირქუში სახე ისე დაპატარავებოდა, რომ ხელისგულზე დაეტეოდა.

***

მამის ნების თანახმად, კიოტოში წავედი და ოქროს ტაძარში მორჩილად შევდექი. წინამძღვარმა ბუდიზმის არსს მაზიარა და სწავლის ხარჯებსაც ის ფარავდა, სამაგიეროდ, მე ვალაგებდი და ვემსახურებოდი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეგირდად ვიქეცი.

მოსვლისთანავე შევამჩნიე, რომ ტაძარში მოხუცებისა და პატარა ბიჭების მეტი აღარავინ დარჩენილიყო. საერთო საცხოვრებლის მკაცრი უფროსიც კი ჯარში წაეყვანათ. აქ მოსვლით ბევრი სადარდებელი მომეხსნა. ყველანი ბერის შვილები ვიყავით და ერთმანეთისგან არ გავირჩეოდით... სხვებისგან მხოლოდ ენაბლუობა და სიმახინჯე განმასხვავებდა.

სემესტრის დაწყებამდე თვეზე ნაკლები იყო დარჩენილი, როცა მაიძურუს საშუალო სკოლა მივატოვე. წინამძღვარ დოსენ-ოშიოს რეკომენდაციით, რინძაის ბუდისტურ სკოლაში მიმიღეს, მაგრამ ვიცოდი, რომ, როგორც კი სწავლა დაიწყებოდა, რომელიმე სამხედრო ქარხანაში მუშად გამამწესებდნენ. ზაფხულის არდადეგების დარჩენილი რამდენიმე კვირა ახალ გარემოში უნდა გამეტარებინა. ეს იყო ომის მიწურულს, შოვას ეპოქის ოცდამეცხრე წელს – უჩვეულოდ წყნარი, გლოვის არდადეგები... ტაძრის მკაცრი წესებით ცხოვრება რთული იყო, მაგრამ ეს არდადეგები უკანასკნელ ნამდვილ დასვენებად მახსენდება. გუშინდელივით მახსოვს იმ ზაფხულის ციკადების ხმა...

როცა რამდენიმეთვიანი განშორების შემდეგ ოქროს ტაძარი ისევ ვნახე, გვიანი ზაფხულის მზის შუქში წყნარად და უდრტვინველად იდგა. მორჩილად შედგომისას, წესისამებრ, თმა გადამპარსეს და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ახლად გადაპარსულ თავზე ჰაერი მეკრობოდა. არ მასვენებდა შიში, რომ გარესამყაროსა და ჩემს გონებას შორის ადვილად გასარღვევი, სიფრიფანა კანის მეტი არაფერი იყო. როცა ოქროს ტაძარს ვუმზერდი, ვგრძნობდი, რომ არა მხოლოდ თვალებიდან, არამედ თავის კანიდანაც აღწევდა ის ჩემში. ასევე შთანთქავდა ჩემი თავი შუადღის სიცხეს და საღამოს სიგრილესაც...

„ოქროს ტაძარო! როგორც იქნა, მოვედი და შენ გვერდით ცხოვრება მეღირსა, – ცოცხს გვერდზე გადავდებდი და ჩემთვის ვჩურჩულებდი ხოლმე. – გევედრები, დამიახლოვდი და ერთ დღესაც შენს საიდუმლოებას მაზიარე. ასე მგონია, სადაცაა, შევძლებ შენი სილამაზის სრულად აღქმას, მაგრამ ჯერ მაინც ბევრია ჩემგან დაფარული. როგორ მინდა, ჩემს გულში ჩაბუდებული სახების კი არა, შენი ნამდვილი სილამაზის აღქმა შევძლო. გამიმხილე: თუ ამგვარი სილამაზე ამქვეყნად არ არსებობს, მაშ, რატომ ხარ ასეთი ლამაზი? რატომ უნდა იყო ასე წარმოუდგენლად ლამაზი?“

იმ ზაფხულს ოქროს ტაძარი უფრო მეტი ბრწყინვალებით შემოსილიყო – თითქოს ის ტრაგიკული შეტყობინებები კვებავდა,

ერთიმეორის მიყოლებით რომ მოდიოდა. ივნისში ამერიკელებმა უკვე საიპანზე გადასხეს ჯარი, მოკავშირეები კი ნორმანდიის ველებზე დათარეშობდნენ. მნახველთა რიცხვი მკვეთრად შემცირდა და ტაძარიც თითქოს მარტოობითა და სიწყნარით ტკბებოდა.

ომიანობის შფოთი და არეულობა, აურაცხელი გვამი და სისხლის მდინარეები – ეს ყველაფერი ოქროს ტაძარს უფრო თვალწარმტაცს ხდიდა. ის თავად იყო შფოთისა და არეულობის ნაყოფი, ბნელი სულის ადამიანების აშენებული, ასევე ბნელი სულის შიოგუნს რომ ემსახურებოდნენ. პროფესიონალი ხელოვნებათმცოდნე მასში არქიტექტურული მიმდინარეობების ნარევის მეტს ვერაფერს დაინახავდა, თუმცა ამ ნაგებობაში მიწიერი შფოთი და ქაოსი დაიწმინდა, კრისტალიზებული სახით წარმოგვიდგა. ოქროს ტაძარი ერთი არქიტექტურული სტილით რომ აშენებულიყო, მაშინ ვერ შეძლებდა სამყაროს ქაოსთან ჰარმონიულ თანაარსებობას და დიდი ხნის წინ დაინგრეოდა.

ბევრჯერ გადამიდვია ცოცხი გვერდზე და მონუსხულს მიმზერია ტაძრისთვის. ვერ ვიჯერებდი, რომ ოქროს ტაძარი აქვე, ჩემ გვერდით იყო. იმ ღამეს, როცა მამასთან ერთად მოვინახულე, ასეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ჩემზე. ახლა კი ვერაფრით დამეჯერებინა... ნუთუ იმ თვეებისა და წლების მანძილზე, აქ რომ უნდა გამეტარებინა, ტაძარი მუდამ ჩემ თვალწინ იქნებოდა?

მაიძურუში ყოფნისას ვიცოდი, რომ ოქროს ტაძარი კიოტოს რომელიღაც კუთხეში იდგა. აქ დასახლების შემდეგ კი მხოლოდ მაშინ წარმომიდგებოდა თვალწინ, როცა ვუყურებდი. ღამღამობით კი, როცა მთავარ შენობაში დასაძინებლად ვბრუნდებოდი, ის თითქოს არსებობას წყვეტდა. ამიტომ ვცდილობდი, დღისით რაც შეიძლება მეტჯერ გავსულიყავი მის სანახავად, რითაც სხვა მორჩილებს ძალიან ვახალისებდი. თუმცა რამდენჯერაც უნდა მენახა, ვერაფრით ვიჯერებდი, რომ ის აქვე, ჩემ თვალწინ აღმართულიყო. როცა ცქერით გულს ვიჯერებდი და მთავარი შენობისკენ გამოვბრუნდებოდი, არ მასვენებდა კოშმარული აზრი, რომ თუ უკან მივიხედავდი, ოქროს ტაძარი მყისიერად გაქრებოდა.

***

დილის მზეს თანდათან ძალა ემატებოდა. ოქროს ტაძრის შემოგარენის დასუფთავება მოვათავე თუ არა, მზის მწველ სხივებს თავი ავარიდე და სეკატეის ჩაის დარბაზისკენ მიმავალი ვიწრო ბილიკით აღმართს ავუყევი. დარბაზი ჯერ კიდევ დაკეტილი იყო და კაციშვილი არ ჩანდა. უეცრად ოქროს ტაძრის თავზე, საკმაოდ დაბლა, საშინელი ღრიალით გადაიფრინა გამანადგურებელთა ესკადრილიამ – ალბათ მაიძურუს საავიაციო შენაერთი იყო.

მთის უკან წყალმცენარეებით დაფარულ გუბურას იასუმიძავას უწოდებდნენ. გუბურის შუაში კი, პატარა კუნძულზე, შირაჰებიძუკად – თეთრი გველის ბორცვად წოდებული ხუთიარუსიანი ქვის პაგოდა იყო აღმართული. დილაობით აქაური ტყე ჩიტების ჟღურტულით ივსებოდა ხოლმე, თუმცა თავად ჩიტები არსად ჩანდნენ.

გუბურის ნაპირები მწვანე ბალახით დაფარულიყო. მდელოსა და ბილიკს დაბალი ღობე ყოფდა. ბალახზე თეთრპერანგიანი ბიჭი წამოწოლილიყო, მისი ბამბუკის ფოცხი კი, იქვე, დაბალ ნეკერჩხალზე იყო მიყუდებული. ბიჭი ისე წამოხტა, თითქოს თავით ზაფხულის რბილი ჰაერი უნდა გაარღვიოსო, მაგრამ თვალი შემავლო თუ არა, დაწყნარდა.

– აჰ, ეს შენ ხარ?

ბიჭს ცურუკავა ერქვა – წინა ღამით გავიცანი. ცურუკავა ტოკიოს მდიდარ ტაძარს ეკუთვნოდა. ოჯახი სწავლის გადასახადს უხდიდა და ჯიბის ფულსა და სანოვაგესაც უხვად უგზავნიდა. უბრალოდ, უნდოდათ, რომ ბიჭს მორჩილის ცხოვრებით ეცხოვრა და ამიტომ მიაბარეს ოქროს ტაძრის წინამძღვარს. ცურუკავას ზაფხულის არდადეგები შინ გაეტარებინა და ტაძარში სემესტრის დაწყებამდე ცოტა ადრე დაბრუნებულიყო. ვიცოდი, რომ შემოდგომიდან ჩემი კლასელი უნდა ყოფილიყო. მისმა ტოკიოურმა კილომ, ხალისიანმა და სწრაფმა მეტყველებამ წინა დღით, ჩვენი პირველი შეხვედრისას, ძალიან დამთრგუნა.

და ახლაც, როცა გამომძახა: „აჰ, ეს შენ ხარ?“, მეტყველების უნარი დავკარგე. მან კი, როგორც ჩანს, ჩემი მდუმარება ისე აღიქვა, თითქოს ჩუმად განვსჯიდი.

– კარგი, რა დაგემართა? არ არის საჭირო ეგრე გულმოდგინედ დალაგება. მნახველები მაინც ყველაფერს დასვრიან. თან ამ ბოლო დროს ხალხიც ცოტაა.

ჩამეცინა. თურმე ღიმილი, რომელიც სახეზე უნებლიეთ გამიკრთება ხოლმე, ზოგიერთს ჩემ მიმართ კეთილად განაწყობს. ასე და ამგვარად, იმის განსაზღვრაც კი არ შემიძლია, თუ რა შთაბეჭდილებას ვტოვებ ადამიანზე.

ღობეს გადავაბიჯე და ცურუკავას გვერდით ჩამოვჯექი. მდელოზე წამოგორებულს, ხელები თავქვეშ ამოედო. შევამჩნიე, რომ ხელის ზურგი საკმაოდ გარუჯოდა, ხოლო შიდა მხარეს ისეთი თეთრი კანი ჰქონდა, სისხლძარღვებს დაუთვლიდი. მდელოზე ფოთლებში გამოღწეული შუქის მოცისფრო ლაქები გაფანტულიყო. ვხვდებოდი, რომ ამ ბიჭს ოქროს ტაძარი ჩემსავით ვერ ეყვარებოდა. ტაძრით ჩემი ავადმყოფური გატაცება ხომ ჩემსავე სიმახინჯეში იღებდა სათავეს.

– გავიგე, რომ მამა გარდაგეცვალა, – მითხრა მან.

– ჰო.

ცურუკავას თვალები აუციმციმდა, ყმაწვილური ცნობისმოყვარეობა ვერ დამალა და მკითხა:

– ვიცი, რატომაც გიყვარს ოქროს ტაძარი ასე ძალიან: მისი დანახვისას მამა გახსენდება, არა? ის, ალბათ, ძალიან გატაცებული იყო ამ ტაძრით, არა?

გამიხარდა, რომ სახეზე ერთი ნაკვთიც არ შემტოკებია ამ ვარაუდის მოსმენისას, რომელიც სიმართლეს ნახევრად შეესაბამებოდა. ეტყობა, ცურუკავას ადამიანის ემოციების შეგროვება გატაცებად ჰქცეოდა, იმ ბავშვივით, მწერებს რომ აგროვებს, ნიმუშებს პატარა უჯრებში ახარისხებს და დროდადრო შესამოწმებლად ამოალაგებს ხოლმე.

– რომ გაგიცანი, მაშინვე ვიფიქრე, რომ შენთვის ძალიან დამთრგუნველი უნდა ყოფილიყო მამის სიკვდილი. ალბათ ძალიან განიცდი, არა?

სულ მცირე წინააღმდეგობის სურვილიც კი არ გამჩენია. პირიქით, იმის გააზრებამ, რომ სხვების თვალში ნაღვლიანად ვჩანდი, უფრო მეტი სილაღე და თავდაჯერება შემმატა.

– არაფერსაც არ განვიცდი, – მივუგე სხარტად.

ცურუკავამ გრძელი წამწამები აახამხამა – ნეტა არ აწუხებდა ამსიგრძე წამწამები? – და გაოცებული მომაჩერდა.

– ჰაა? ესე იგი, მამაშენი გეჯავრებოდა? ან, სულ ცოტა, არ გიყვარდა, არა?

– სულაც არ მეჯავრებოდა.

– კი მაგრამ, მაშინ როგორ მოხდა, რომ არ განიცდი?

– არ ვიცი, როგორღაც, აი ასე...

– ვერაფერი გავიგე... – ცურუკავა წამოჯდა და წელში გასწორდა, იმ კაცივით, რთულ ამოცანას რომ შეეჩეხა. – თუ ეგრეა... მაშ, ალბათ, უფრო დიდი უბედურება შეგემთხვა, არა?

– არ ვიცი, თვითონაც ვერაფერი გამიგია, – ვუპასუხე და მერე ვინანე ეს გატაცება – გარშემომყოფებს გულში ეჭვს რომ ვუთესავდი ხოლმე. ჩემთვის არაფერია ამაში გაუგებარი. პირიქით, სრულიად ნათელი და გასაგებია. საქმე ისაა, რომ ჩემს გრძნობებსაც ისეთივე ბორკილები ადევს, როგორიც ენას, და ამიტომ ყოველთვის აგვიანებენ ხოლმე. მამის სიკვდილი და დარდი – ეს ორი სხვადასხვა მოვლენა იყო, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი. დროში სულ მცირე აცდენა, ოდნავი დაგვიანება ჩემს წარმოდგენაში მოვლენასა და გრძნობას აცალკევებდა და სწორედ ასეთი განცალკევება მექცა ბუნებრივ მდგომარეობად. თუ ვდარდობ, ეს განცდა მოულოდნელად მატყდება ხოლმე თავს, სრულიად უმიზეზოდ.

და აი, უკვე მერამდენედ ვერ ვახერხებდი, ეს ყველაფერი ჩემი ახალი მეგობრისთვის ამეხსნა. საბოლოოდ, ცურუკავა ახარხარდა:

– უცნაური ვინმე ხარ, ხომ იცი!

სიცილისგან მუცელზე თეთრი პერანგის ნაკეცები აუთამაშდა. ვაკვირდებოდი ცურუკავას მუცელზე მოხტუნავე მზის სხივს, რომელსაც ფოთლებში გამოეღწია და ეს, რატომღაც, ბედნიერებას მანიჭებდა. ჩემი ცხოვრება მისი პერანგივით დაჭმუჭნული იყო. მაგრამ, მიუხედავად ნაკეცებისა, მაინც როგორ ბზინავდა ეს თეთრი ნაჭერი! და იქნებ – მეც?..

ძენ-ბუდისტური ტაძარი სამყაროსგან განყენებულად, ძენის წესების მიხედვით აგრძელებდა ცხოვრებას. ზაფხული იყო და დილით ხუთ საათამდე ვიღვიძებდით. გაღვიძებას „წესების გახსნა“ ეწოდებოდა. ადგომისთანავე დილის გაკვეთილს, ანუ სუტრების კითხვას ვიწყებდით. დილის სუტრას „სამმაგი“ ეწოდება და ჩვენც სამჯერ უნდა გაგვემეორებინა, რის შემდეგაც ტაძრის მთავარ შენობას ვალაგებდით და იატაკს ვაპრიალებდით. საუზმის წინაც ვკითხულობდით სუტრებს და მხოლოდ ამის მერე ვიღებდით „დილის ფაფას“ – ასე ეწოდებოდა საუზმეს. ნასაუზმევს მდელოს ვაწესრიგებდით, ეზოს ვალაგებდით, შეშას ვაპობდით და ბევრ სხვა საქმეს ვაკეთებდით. როცა სემესტრი დაიწყებოდა, ამ დროს უკვე სკოლის გზაზე ვიქნებოდით. სკოლიდან დაბრუნების შემდეგ „მკურნალი ქვის“, ანუ ვახშმის დრო იყო, რასაც ზოგჯერ წინამძღვრის გაკვეთილი მოჰყვებოდა. ამ გაკვეთილზე წმინდა სუტრებს ვსწავლობდით. ცხრა საათზე კი „ბალიშის გახსნის“, ანუ ძილის დრო დგებოდა.

ასე მიედინებოდა დღეები და ყოველ დილას მაღვიძებდა მამასახლისის ზარის ხმა, რომელიც ტრაპეზის რიტუალებსაც ხელმძღვანელობდა.

ჩვეულებრივ, ოქროს ტაძარში, უფრო სწორად, როკუონჯის ტაძარში, თორმეტი-ცამეტი ადამიანი მაინც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯარში და შრომით ფრონტზე საყოველთაო გაწვევის შემდეგ სულ რამდენიმეღა დავრჩით: სამოცდაათს გადაცილებული გიდი, რომელიც ბილეთების გაყიდვასაც ითავსებდა, სამოცი წლის მზარეული ქალი, მამასახლისი ბერი, მისი თანაშემწე და ჩვენ – სამი მორჩილი. მოხუცებს ცალი ფეხი უკვე სამარეში ედგათ, ხოლო

ჩვენ, ახალგაზრდები... უბრალოდ, ბავშვები ვიყავით. მამასახლისს, წინამძღვრის თანაშემწის მოვალეობებთან ერთად, ფინანსური საკითხების მოგვარებაც ევალებოდა და საქმეს ძლივს აუდიოდა.

ტაძარში მისვლიდან რამდენიმე დღეში წინამძღვრის (მას უხუცესს ვეძახდით) ოთახში გაზეთების მიტანა დამავალეს. როცა გაზეთები მოჰქონდათ, იმ დროისთვის დილის სუტრების კითხვა და მთავარი შენობის დალაგება უკვე დამთავრებული გვქონდა. მორჩილების პატარა ჯგუფისთვის რთული დავალება იყო ასეთი შენობის დასუფთავება, ოცდაათზე მეტი ოთახით და უზარმაზარი დერეფნებით. გაზეთებს შემოსასვლელში ვიღებდი, დერეფნით გავდიოდი მოციქულთა დარბაზის წინ, სტუმართა დარბაზს გარს ვუვლიდი და მეორე დერეფნით დიდ წიგნთსაცავთან მივდიოდი, სადაც უხუცესი მელოდებოდა. დერეფნების იატაკი ჯერ კიდევ სველი იყო, რადგან მოწმენდისას წყალს პირდაპირ სათლებით ვასხამდით ხოლმე. იატაკის ფიცრებზე გუბეებიც კი დგებოდა, რომლებშიც დილის მზის სხივები თამაშობდნენ. სანამ უხუცესის ოთახამდე მივაღწევდი, ფეხები კოჭებამდე მისველდებოდა, მაგრამ ზაფხული იყო და ძალიან მსიამოვნებდა. წინამძღვრის ოთახის შესასვლელთან მუხლებზე დავდგებოდი და მონიწებით შევძახებდი ხოლმე:

– ნება მიბოძეთ.

– მოდი.

უხუცესის პასუხს რომ გავიგონებდი, უფრო გამოცდილი მეგობრების რჩევით, მოსასხამის კალთით ფეხებს ვიმშრალებდი და ისე შევდიოდი.

სანამ დერეფნებში მივრბოდი, ხშირად ვაპარებდი თვალს საგაზეთო სათაურებისკენ, რომლებსაც საბეჭდი მელნისა და გარესამყაროს სუნი ასდიოდა. ერთხელაც თვალში მომხვდა სტატიის სათაური: „აიცილებს თუ არა საიმპერატორო დედაქალაქი ავიაიერიშს?“

როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, აქამდე ავიაიერიში და ოქროს ტაძარი გონებაში ერთმანეთისთვის ერთხელაც არ დამეკავშირებინა. საიპანის დაცემის შემდეგ მთავარი კუნძულის დაბომბვა

მხოლოდ დროის საკითხი იყო. ზარალის შესამცირებლად კიოტოს ერთ-ერთ ნაწილში მოსახლეობის ევაკუაციაც კი დაიწყეს, ოღონდ ჩემთვის ავიაიერიშით გამოწვეული ნგრევა და მარადისობის სიმბოლოდ ქცეული ოქროს ტაძარი ორი სხვადასხვა რამ იყო, რასაც ერთმანეთთან არაფერი აკავშირებდა. ვთვლიდი, რომ შეუდრეკელ ოქროს ტაძარსა და მეცნიერულად დადასტურებულ ცეცხლის არსს კარგად უნდა სცოდნოდათ, რამდენად განსხვავებული იყო მათი ბუნება და თუკი ოდესმე შეხვედრა ეწერათ, აუცილებლად გვერდს აუქცევდნენ ერთმანეთს...

მაგრამ სინამდვილე არ იცვლებოდა. სულ მალე ოქროს ტაძარი შეიძლება საჰაერო დაბომბვით გამოწვეულ ხანძარს შთაენთქა. თუ ასე გაგრძელდებოდა, ნამდვილად ფერფლად იქცეოდა... ასეთმა ფიქრებმა დამრია ხელი, რამაც ოქროს ტაძარი უფრო დიდებული, ამჯერად ტრაგიკული სილამაზით შემოსა.

ეს ზაფხულის ბოლოს, სკოლაში სწავლის დაწყების წინადღეს მოხდა. წინამძღვარი და მამასახლისის თანაშემწე მოსახსენებელი რიტუალის ჩასატარებლად სადღაც წასულიყვნენ. ცურუკავამ კინოში დამპატიჟა, მაგრამ დიდი ინტერესი არ გამჩენია და მასაც უცბად გაუნელდა წასვლის სურვილი – ასეთი ხასიათი ჰქონდა. თავისუფალი რამდენიმე საათი გაგვიჩნდა და ჩვენც ამოვიცვით ხაკისფერი შარვლები, შემოვიჭიმეთ სახვევები, დავიფარეთ სასკოლო ფორმის ქუდები და გარეთ გავედით. ზაფხულის მზე დაუნდობლად აცხუნებდა და ტაძრის ეზოში არავინ იყო.

– სად წავიდეთ? – მკითხა ცურუკავამ.

ვუპასუხე, რომ სანამ სადმე წავიდოდით, მინდოდა, კიდევ ერთხელ მენახა ოქროს ტაძარი. ხვალ სწავლა იწყება და შუადღით მის ნახვას ველარ მოვახერხებთ-მეთქი. თან შეიძლება, სანამ ჩვენ სადმე ქარხანაში ვიმუშავებთ, ტაძარი დაბომბვისას განადგურდეს-მეთქი. ჩემს უთავბოლო განმარტებას ენაბლუობა უფრო გაუგებარს ხდიდა. ცურუკავას სახეზე მოუთმენლობა აღებეჭდა.

ამდენი ლაპარაკის შემდეგ სახეზე ოფლმა დამასხა, თითქოს რაღაც სასირცხვილო მეთქვას. ცურუკავა ერთადერთი იყო, ვისაც

ჩემი ავადმყოფური მიჯაჭვულობის ამბავი გავანდე. მის სახეზე კი მხოლოდ და მხოლოდ ის მოუთმენლობა იკითხებოდა, რომელიც ბევრჯერ შემინიშნავს, როცა ადამიანები ცდილობდნენ, ჩემს ბლუყუნში რამე გაერჩიათ.

ყოველთვის ამგვარ სახეს ვაწყდები, მაშინაც კი, როცა ვინმეს უძვირფასეს საიდუმლოს ვანდობ, როცა სილამაზით გამოწვეულ აღტაცებას ვუზიარებ; საკუთარი გულიც რომ ამოვიღო და წინ დავუდო, პასუხად მხოლოდ ამგვარ სახეს ვიღებ. ჩვეულებრივ, ადამიანები ერთმანეთს ასე არ უყურებენ. ეს სახე უკიდურესი ერთგულებით იმეორებს ჩემს სასაცილო მოუთმენლობას, ასე ვთქვათ, ჩემივე თავის საშინელი სარკეა. როგორი ლამაზი სახეც უნდა იყოს, ამ დროს ჩემსავით მახინჯდება. მისი დანახვისას ის ძვირფასი, რის ამოთქმასაც ვლამობ, სახურავიდან ჩამოვარდნილი კრამიტივით იმსხვრევა, გაუფასურებულ და არაფრისმომცემ ნაწილებად იქცევა...

ჩემსა და ცურუკავას შორის სივრცეს ზაფხულის მწველი მზის სხივები ავსებდნენ. ნორჩ სახეზე ოფლი უბზინავდა, წამწამები ოქროსფრად უელავდა, ნესტოები კი ცხელი ჰაერისგან დაბერვოდა – იდგა და მელოდა, სანამ ლაპარაკს დავამთავრებდი.

ლაპარაკი დავამთავრე თუ არა, ბრაზმა ამიტანა. ცურუკავას, ჩვენი გაცნობის დღიდან, ერთხელაც არ დაეცინა ჩემი ენაბლუობისთვის.

– რატომ?.. – მოვითხოვდი პასუხს. მე ხომ დაცინვა და სალანძღავი სიტყვები უფრო მომწონდა, ვიდრე თანაგრძნობა.

სახე ენით აღუწერელი, კეთილი ღიმილით გაუნათდა.

– იცი, მე მათ რიცხვს ვეკუთვნი, ვინც ასეთ რამეებს საერთოდ არ აქცევს ყურადღებას, – თქვა მან.

**გავოცდი. სოფლის უხეში ბიჭების გარემოცვაში გაზრდილს,** ასეთი სიკეთე მეუცხოვა. ცურუკავას სიკეთემ მიმახვედრა, რომ შესაძლებელი იყო, ენაბლუობის გარეშეც იმავე ადამიანად დავრჩენილიყავი. ვიგრძენი, როგორ გავშიშვლდი – როგორი შეუბილწავი აღმოჩნდა მისი სული. ცურუკავას უზარმაზარ წამწამებში ჩაფლულმა თვალებმა ჩემგან ენაბლუობა გამოაცალკევა და ისე მიმიღო. აქამ-

დე შეპყრობილი ვიყავი უცნაური რწმენით, რომ ჩემი ენაბლუობის შეუმჩნევლობა ჩემივე არსის განადგურება იქნებოდა...

გრძნობათა საოცარ ჰარმონიასა და ბედნიერებას განვიცდიდი. რა გასაკვირია, რომ იმ წამებში დანახული ოქროს ტაძრის ხედი დიდი ხნით ჩამებეჭდა გონებაში. ჩავუარეთ მოხუც მებილეთეს, შესასვლელში რომ თვლემდა, აჩქარებული ნაბიჯით გავუყევით უკაცრიელ გზას ღობის გასწვრივ და ტაძრის წინ გავედით.

ის სცენა დღემდე ცხადად მახსენდება. სარკის ტბის პირას სახვევებშემოჭერილი, თეთრპერანგიანი ორი ყმაწვილი ხელიხელგადახვეული იდგა, ამ ორის წინ კი ოქროს ტაძარი აღმართულიყო – მათ შორის არავითარი ბარიერი აღარ არსებობდა.

უკანასკნელი ზაფხული, უკანასკნელი არდადეგები და ამ არდადეგების უკანასკნელი დღე... ჩვენი ახალგაზრდობა დამაბრმავებლად ბრწყინვალე ზღვარზე გამოკიდებულიყო. ოქროს ტაძარიც, ჩვენსავით, ზღვარზე იდგა, ამიტომაც პირდაპირ თვალებში გვიყურებდა და გვესაუბრებოდა. საჰაერო დაბომბვის მოლოდინმა საოცრად დაგვაახლოვა ტაძართან.

გვიანი ზაფხულის მზის მშვიდ ნათებას „მშვენიერების მწვერვალის“ სახურავისთვის ოქროს ფურცლები გადაეკრა. სხივები სახურავიდან შვეულად იღვრებოდნენ და ამის გამო ტაძრის შიდა დარბაზები წყვდიადით იყო მოცული. მისი არქიტექტურის მარადიულობა ყოველთვის მთრგუნავდა, არ მაძლევდა საშუალებას, დავახლოებოდი, მაგრამ ახლა საერთო ბედისწერამ დაგვაახლოვა, რადგან ორივეს ცეცხლგამჩენი ბომბისგან განადგურება გვეწერა. ვინ იცის, ოქროს ტაძარი შეიძლება ჩვენზე ადრეც კი განადგურებულიყო.... იმ აზრამდე მივედი, რომ ოქროს ტაძარი ჩვენი ცხოვრებით ცხოვრობდა.

ირგვლივ წითელი ფიჭვებით დაფარული მთები იყო, **რომელთა** ფერდობებიც ციკადების ხმაურს აეკლო. თითქოს უთვალავი უჩინარი ბერი უბედურების დაძლევის ლოცვას ერთად ლუღლუღებდა: „გიაა-გიაა, გიაა-კი, გიაა-კი, შიფურა-შიფურა, ჰარაშიფურა-ჰარაშიფურა“.

არ მასვენებდა იმაზე ფიქრი, რომ ეს სილამაზე სულ მალე ფერფლად უნდა ქცეულიყო. ჩემს გულში არსებული ტაძრის ხატი ნამდვილ ტაძარს ისე გადაეფარა, როგორც გამჭვირვალე აბრეშუმით გადახატული ასლი ედება ხოლმე ნამდვილ ნახატს: სახურავი – სახურავს, ტბაზე გამავალი სათევზაო პავილიონი – პავილიონს, მოქცევის ქვაბულის მოაჯირები – მოაჯირებს, „მშვენიერების მწვერვალის“ სარკმლები – სარკმლებს. ოქროს ტაძარი უძრავი ნაგებობა აღარ იყო – ის წარმავალი სამყაროს ამაოების სიმბოლოდ იქცა. და ამით ნამდვილმა ტაძარმაც ჩემს გულში არსებული ხატების სილამაზე შეიძინა.

შეიძლებოდა მეორე დღესვე დაშვებულიყო ზეციდან ცეცხლი და ეს ნატიფი სვეტები და დახვეწილი სახურავი ფერფლად ექცია. შეიძლებოდა ჩვენი მზერა ვეღარასდროს შეხებოდა მას. მაგრამ იმ წამს მისი ყოველი ნაკვეთი შეუდრეკლად იდგა – მხოლოდ ალმური ასდიოდა ზაფხულის ხვატში.

მთებზე ისეთივე მრისხანე ღრუბლები გროვდებოდნენ, როგორებიც თვალის კუთხით დავლანდე მაშინ, მამის კუბოსთან სუტრებს რომ ვუსმენდი. მქრქალი შუქით სავსე ღრუბლები ზევიდან დაჰყურებდნენ ამ დახვეწილ ნაგებობას. გვიანი ზაფხულის მწველი მზის ქვეშ ტაძრის ნატიფი დეტალების მოხაზულობა გაბუნდოვანებულიყო, შიდა სივრცეში ცივი წყვდიადი ჩამდგარიყო. თავისი მისტიკური სილუეტით, ტაძარი თითქოს უარყოფდა განათებულ გარესამყაროს. მხოლოდ სახურავზე მდგარი, ბასრი კლანჭებით კვარცხლბეკს ძლიერად ჩაჭიდებული ფენიქსი ცდილობდა, წინ აღდგომოდა მზის მხურვალებას.

სანამ მზერით ტაძარს ვიყავი მიჯაჭვული, ცურუკავამ მოიწყინა, ფეხქვეშ ქვას დასწვდა და სარკის ტბაში ისროლა – სწორედ იქ, სადაც ოქროს ტაძრის ლანდი ირეკლებოდა.

წყლის ზედაპირზე წარმოქმნილმა რგოლებმა წყალმცენარეებს გადაურბინეს, გაიშალნენ და ულამაზესი, დახვეწილი ნაგებობა უსწრაფესად გაანადგურეს.

***

იმ დღიდან ომის დამთავრებამდე ერთი წელი გავიდა. ეს იყო დრო, როცა ყველაზე მეტად დავუახლოვდი ოქროს ტაძარს, გამუდმებით ვწუხდი მის უსაფრთხოებაზე და სულ უფრო მეტად ვიძირებოდი მის სილამაზეში. ეს იყო დრო, როცა ტაძარი ჩემს გულამდე მოვიყვანე, რამაც უფლება მომცა, ყოველგვარი შიშის გარეშე მყვარებოდა. მისი ბოროტი ზეგავლენა, მისი შხამი ჯერ კიდევ არ მქონდა მიღებული.

ძალას მმატებდა იმის გაცნობიერება, რომ ამ სამყაროში მე და ოქროს ტაძარს საერთო საფრთხე გვემუქრებოდა. ამგვარად მივაგენი შუამავალს, რომელიც მე და სილამაზეს ერთმანეთთან გვაკავშირებდა. თითქოს ხიდი გადებულიყო ჩემსა და იმას შორის, რაც ყოველთვის უარმყოფდა და მრიყავდა.

მათრობდა იმაზე ფიქრი, რომ ცეცხლი, რომელიც განადგურებას მიქადდა, ასევე გაანადგურებდა ოქროს ტაძარსაც. საერთო უბედურებამ, საზიარო ბედისწერამ და ავბედითი ცეცხლით განადგურების მოლოდინმა ჩემი და ტაძრის სამყაროები ერთსა და იმავე განზომილებაში მოაქცია. მიუხედავად სიძლიერისა და სიმტკიცისა, ნახშირბადისგან შემდგარი მისი კონსტრუქცია ისევე ადვილად დაიწვებოდა, როგორც ჩემი სუსტი და მყიფე სხეული. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ შევძლებდი, ოქროს ტაძარი საკუთარ სხეულში დამემალა და გავქცეულიყავი სადმე შორს, ისევე როგორც ქურდი ყლაპავს ხოლმე მოპარულ ძვირფას ქვას და გარბის.

იმ ერთი წლის განმავლობაში არც სუტრებს ვსწავლობდი და არც წიგნებს ვკითხულობდი. დილიდან საღამომდე როგორც მორალურ, ასევე სამხედრო მომზადებას გავდიოდი, ორთაბრძოლის ხელოვნებას ვეუფლებოდი, ქარხნებში ვმუშაობდი და მოსახლეობას ვეხმარებოდი ევაკუაციის დროს. ომის წყალობით, ჩემი მეოცნებე ბუნება ძალას იკრებდა და სულ უფრო ვშორდებოდი სინამდვილეს. ჩვენნაირი ყმაწვილებისთვის ომი უშინაარსო, საშინელი სიზმრის მსგავსი რამ იყო – სიცოცხლის აზრს მოწყვეტილი და საგიჟეთის იზოლატორს დამსგავსებული.

შოვას ეპოქის მეცხრამეტე წლის ნოემბერში B29-ებმა პირველად მიიტანეს იერიში ტოკიოზე. გაჩნდა შიში, რომ მალე კიოტოსაც იგივე ბედი ელოდა. ცეცხლში გახვეული კიოტოს ხილვა ფარულ ოცნებად მექცა. ეს დედაქალაქი ყველაფერ ძველს, ყავლგასულს იცავდა და უცვლელად ინახავდა, ამასობაში კი უამრავ ტაძარს დაევიწყებინა ის ცეცხლი და ფერფლი, მათი წიაღიდან რომ ჩნდებოდა ერთ დროს. როცა წარმოვიდგენდი, თუ როგორ გაანადგურა ონინების აჯანყებამ დედაქალაქი, ვფიქრობდი, თუ კიოტო კიდევ დიდხანს არ ნახავს ომის უბედურებას, მაშინ სილამაზის ნაწილს აუცილებლად დაკარგავს-მეთქი.

იქნებ სულაც ხვალ დაიწვას ოქროს ტაძარი. დაიკარგება სილუეტი, რომელიც ამ სივრცეს ავსებს... მაშინ ალბათ სახურავზე მდგარი უკვდავი ფენიქსი ფერფლიდან აღდგება და ზეცაში აიჭრება. ტაძარი კი გათავისუფლდება თავისი ფორმისგან, ასე რომ ბოჭავდა ყოველთვის, ღუზას მოწყდება და შემსუბუქებული სხეულის მქრქალი ნათება ტბების ზედაპირებზე თუ ბნელი ზღვის სივრცეებში გაკრთება... სულმოუთქმელად ველოდი, მაგრამ კიოტო გადაურჩა საჰაერო დაბომბვას. მომდევნო წლის ცხრა მარტს მოვიდა შეტყობინება, რომ ტოკიოს ძველი ნაწილი მთლიანად ცეცხლში გაეხვა, თუმცა ეს უბედურება შორს იყო ჩვენგან – კიოტოს თავზე მხოლოდ და მხოლოდ ადრეული გაზაფხულის ცა გადაჭიმულიყო.

იმედი თითქმის გადამეწურა, მაგრამ მაინც ველოდი და მჯეროდა, რომ გაზაფხულის ცა ცეცხლსა და განადგურებას მალავდა თავის თავში, იმ შუშასავით, შუქს რომ ირეკლავს და არ გაჩვენებს, რა ხდება მის უკან. როგორც აღვნიშნე, ადამიანური გრძნობები მოჩლუნგებული მქონდა – არც მამის სიკვდილს და არც დედის უკიდურეს სილატაკეს ჩემს შინაგან სამყაროზე გავლენა არ მოუხდენია. ვოცნებობდი მხოლოდ ისეთ უბედურებასა და ტრაგედიაზე, რომელიც ადამიანის წარმოსახვასაც კი გასცდებოდა – ციდან ჩამოსულ უზარმაზარ დგუშზე, რომელიც ადამიანებსა თუ ნივთებს, სილამაზესა თუ სიმახინჯეს, ყველაფერს ერთიანად გასრესდა და გაანადგურებდა. ზოგჯერ ადრეული გაზაფხულის ცის უჩვეულო ელვარებაც კი დე-

დამიწაზე აღმართული გიგანტური ცულის პირის ცივ ნათებად მეჩვენებოდა. მხოლოდ და მხოლოდ მის დარტყმას ველოდი – ელვის უსწრაფეს დარტყმას, რომელიც ფიქრის დროსაც კი არ დაგვიტოვებდა.

ახლაც უცნაურად მეჩვენება ხოლმე – მსგავს შავბნელ აზრებს თავიდანვე არ ვყავდი შეპყრობილი. ჩემი ცნობისმოყვარეობის ობიექტი, ჩემთვის ბოძებული გამოცანა მხოლოდ სილამაზე და მისი შეცნობა უნდა ყოფილიყო... თუმცა კი, არა მგონია, ომის გამო ავყოლოდი ამ ბნელ ფიქრებს. ადამიანი, თუკი მხოლოდ სილამაზის აღქმას ესწრაფვის, გაუაზრებლად შეეჩეხება ამქვეყნად ყველაზე ბოროტ ზრახვებს. ალბათ ასეა ის მოწყობილი.

ერთი შემთხვევა მახსენდება, რომელიც ომის მიწურულს კიოტოში მოხდა. მეტად უცნაური და დაუჯერებელი შემთხვევა იყო, მაგრამ მე არ ვიყავი ერთადერთი, ვინც ამას შეესწრო – ცურუკავაც ჩემთან ერთად იყო.

ერთ დღეს, როცა ელექტროენერგია გაგვითიშეს, მე და ცურუკავა ნანძენჯის ტაძრისკენ გავემართეთ, რომელშიც ნამყოფი არ ვიყავი. ფართო სამანქანო გზა გადავკვეთეთ და ხის ხიდზე გადავედით. ხიდი ფუნიკულიორის სადგურზე გადიოდა, რომელიც ტბას უკავშირდებოდა და ტვირთის გადასაზიდად იყენებდნენ.

მაისის ნათელი დღე იდგა. ფუნიკულიორი გაეუქმებინათ და მის რელსებს, რომლებიც თავის დროზე ნავებსაც კი ეზიდებოდნენ, ახლა ჟანგი ჭამდა. რკინიგზა მთლიანად ბალახს დაეფარა, აქა-იქ ქარისგან აკანკალებული, თეთრი, პატარა, ჯვრისებური ყვავილებიც მოჩანდა. აღმართთან, ტალახიან წყალში, ნაპირზე გაშენებული საკურის ხეივნის ანარეკლი ჩაყინულიყო.

იმ პატარა ხიდიდან წყლის ზედაპირს უაზროდ დავცქეროდით. ომისდროინდელი ამბებიდან ყველაზე ნათელ მოგონებად, რატომღაც, ასეთი უაზროდ გაფლანგული წუთები დამრჩა. გონებადაფანტულობის მოკლე წამები იმ ლურჯ ნაგლეჯებს ჰგავს, ღრუბლებით დაფარულ ცაზე ხანდახან რომ გამოჩნდება ხოლმე. უცნაურია, ეს მოგონებები ისე ცოცხლად შემომრჩა, თითქოს უკიდურესი სიამის წამები ყოფილიყო...

– კარგია, არა? – ისევ ისეთი უაზრო ღიმილით ვთქვი.

– უჰუ, – ცურუკავამ შემომხედა და გამიღიმა. ორივე მძაფრად ვგრძნობდით, რომ ეს ორიოდე საათი მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნოდა.

ფართო, ხრეშიანი გზის გასწვრივ არხი გადიოდა, რომლის გამჭვირვალე წყალშიც ულამაზესი წყალმცენარეები ტივტივებდნენ. სულ მალე ტაძრის ცნობილი ჭიშკარი გამოჩნდა.

გარშემო სულიერის ჭაჭანება არ იყო. ახლადშეფოთლილ ხეებს შორის კრამიტის სახურავი მოჩანდა – ვერცხლით მოვარაყებული წიგნივით გადაფარებოდა ტაძარს. ნეტავ რა საერთო შეიძლება ჰქონოდა ომს ამ ადგილთან? გავიფიქრე, ზოგჯერ ომი მხოლოდ ის ამოუხსნელი უბედურებაა, რომელიც ადამიანის გონების გარეთ არც არსებობს-მეთქი.

ალბათ სწორედ ამ ჭიშკრის თავზე ჩამოჯდებოდა ხოლმე ცნობილი ყაჩაღი გოემონ იშიკავა და აყვავებულ საკურის ხეებს გადაჰყურებდა. მართალია, საკურის ყვავილობას უკვე ჩაევლო, მაგრამ მაინც აგვიტანა ბავშვურმა სურვილმა, გოემონ იშიკავასავით ჩამოვმსხდარიყავით ჭიშკრის თავზე და არემარისთვის გადმოგვეხედა. შესასვლელში მცირე თანხა გადავიხადეთ და დროისგან გაშავებულ, დამრეც ხის კიბეს ავუყევით. კიბის თავზე, დარბაზში, სადაც რიტუალური ცეკვები იმართებოდა, ცურუკავამ ჭერს თავი მიარტყა. გადავიხარხარე და იქვე მეც მივარტყი თავი. კიდევ ერთი მოხვეული კიბეც და სახურავზე აღმოვჩნდით.

სასიამოვნო დაძაბულობის შეგრძნება დაგვეუფლა, როცა ვიწრო კიბის მერე თვალუწვდენელი სივრცის შუაგულში აღმოვჩნდით. საკურისა და ფიჭვის ხეები, სახლების უკან გადაჭიმული ჰეიანის ტაძრის ტყე, ქალაქის განაპირას აღმართული ქედის დანისლული მწვერვალები, არაშიამა, კიტანოკატა, მინოურა, კომპირა – მას შემდეგ, რაც ამ ყველაფრის ჭვრეტით გული ვიჯერეთ, ფეხსაცმელები გავიძრეთ და მოწიწებით – ისე, როგორც ტაძრის მორჩილებს შეეფერებათ – დარბაზში შევედით. ჩაბნელებული დარბაზის იატაკი ოცდაოთხი ტატამით იყო გაწყობილი. შუაგულში შაკიამუნის ქანდაკება იდგა. მის გარშემო თექვსმეტი ერთგული ბერის ქანდაკება განელაგებინათ,

დარბაზის წყვდიადში ოქროსფრად მოელვარე თვალებით. ეს ადგილი ცნობილი იყო, როგორც გოჰორო, ანუ ხუთი ფენიქსის კოშკი.

ნანძენჯიც, ოქროს ტაძრის მსგავსად, რინძაის სექტას ეკუთვნოდა. ჩვენი სკოლა სოკოკუჯის განშტოებას ექვემდებარებოდა, ეს ტაძარი კი ნანძენჯის განშტოების მთავარი სალოცავი იყო. გამოდიოდა, რომ ჩვენივე სარწმუნოების სხვა განშტოების ტაძარში ვიმყოფებოდით, მაგრამ ამას არ შევუწუხებივართ. ჩვეულებრივი სკოლის მოსწავლეებივით, ხელში გზამკვლევი გვეჭირა და მჭახე ფერებში შესრულებულ ნახატებს ვათვალიერებდით ჭერზე. გადმოცემის თანახმად, ამ დარბაზის ჭერის მოხატულობა კანოს სკოლის წარმომადგენლის, მორინობუ ტანუს და დოსის სკოლის წარმომადგენლის, ტოკუეცუ ჰოგენის ფუნჯს ეკუთვნოდა.

ჭერის ერთ მხარეს მოფარფატე ანგელოზები გამოესახათ, რომლებიც ფლეიტასა და ბივაზე – ამ უძველეს ინსტრუმენტზე უკრავდნენ. მეორე მხარეს, თეთრი პიონით კლანჭებში, კარიობინგა დაფარფატებდა. ეს არსება ტენჯიკუ სესენის მთაზე ცხოვრობს და მომაჯადოებელი სიმღერით არის ცნობილი. ტანის ზედა ნაწილი მკერდსავსე ქალისა აქვს, ქვედა ნაწილი კი – ფრინველის. ჭერის შუა ნაწილში ოქროს ტაძრის თავზე აღმართულის მსგავსი ფენიქსი იყო გამოსახული. თითქოს ჰგავდა კიდეც და არც ჰგავდა თავის ოქროსფერ მეგობარს – მისგან განსხვავებით, ცისარტყელას ფერებით იყო მოხატული.

ჩვენ შიაკამუნის ქანდაკების წინ დავიჩოქეთ და, ლოცვის ნიშნად, ხელისგულები შევატყუპეთ. შემდეგ დარბაზიდან გამოვედით, მაგრამ დაბლა ჩასვლა არ გვინდოდა და კიბის თავზე, სამხრეთისკენ გამავალი აივნის მოაჯირს დავეყრდენით.

თვალწინ ლამაზი ფერების პატარა ქარბორბალა დამიტრიალდა – ალბათ ჭერის მოხატულობისგან მიღებული შთაბეჭდილების ბრალი იყო. მდიდარმა ფერებმა ისეთი შეგრძნება გამიჩინა, თითქოს ქვევით, ახლად გაშლილ ფოთლებსა და ამწვანებული ფიჭვების ტოტებს შორის, კარიობინგა ჩამალულიყო და მხოლოდ ულამაზესი ჭრელი ფრთების კუთხეს აჩენდა.

თუმცა ვცდებოდი. ქვევით, გზის იქით, ტენჯუს ტაძარი აღმართულიყო. ტაძრის უბრალო ეზოში, ტანდაბალ ხეებს შორის, მიიკლაკნებოდა მოკირწყლული ბილიკი, რომლის ოთხკუთხედი ქვებიც ერთმანეთს მხოლოდ კუთხეებით ეხებოდა. ბილიკის ბოლოს კი დიდი დარბაზი იყო, რომლის ქაღალდაკრული გასაწევი კარებიც ფართოდ გაეღოთ. დარბაზი თითქოს ხელისგულზე იყო – ხელოვნების ნიმუშების გამოსაფენი ნიშა, ტოოკნომაც და დარბაზის სილრმეში ჩამალული თაროებიც კი მოჩანდა. იატაკზე ღია ფერის ხალიჩა ეფინა. როგორც ჩანს, დარბაზი ჩაის ცერემონიის ჩასატარებლად ქირავდებოდა. ჩემი მზერა მიიპყრო ახალგაზრდა ქალმა, რომელიც იატაკზე იჯდა. ომის პერიოდში ასეთ თვალშისაცემ, გრძელსახელოებიან კიმონოში გამოწყობილ ქალს იშვიათად ნახავდი. კიმონო იმდენად პომპეზური იყო, რომ თუკი ვინმე ასეთი სამოსით გარეთ გამოვიდოდა, ხალხი შეძახილებით შეარცხვენდა და შუა გზიდან სახლში გააბრუნებდა. დეტალებს ვერ ვარჩევდი, ცისფერ ნაჭერზე ყვავილები იყო დახატული ან ამოქარგული, ხოლო ქამარზე ოქრომკედი ბრჭყვიალებდა – თითქოს გარშემო ყველაფერი მისი სამოსის სილამაზით იყო განათებული. ქალიც ლამაზი იყო – ისე დახვეწილად იჯდა, თეთრი, თითქოს ქვაში ნაკვეთი პროფილი ისე გაშეშებოდა, რომ ეჭვიც კი გამიჩნდა, ნამდვილად ცოცხალი ადამიანია თუ არა-მეთქი. ბლუ ენა ძლივს დავიმორჩილე და როგორღაც წარმოვთქვი:

– ნეტა ცოცხალი ადამიანია?

– მეც ზუსტად მაგას ვფიქრობდი. თოჯინას ჰგავს, – მიპასუხა ცურუკავამ, რომელიც მკერდით მოაჯირს დაყრდნობოდა და ქალს თვალს არ აცილებდა.

ამ დროს დარბაზის სილრმიდან სამხედრო ფორმიანი ახალგაზრდა ოფიცერი გამოვიდა და, ეტიკეტის დაცვით, ქალის წინ ორიოდ მეტრში დაჯდა. ცოტა ხანს ერთმანეთს უსიტყვოდ უყურებდნენ. შემდეგ ქალი წამოდგა და დერეფნის სიბნელეში უხმაუროდ გაუჩინარდა. რამდენიმე წუთში კი, ჩაის ფიალით ხელში, უკან შემობრუნდა. კიმონოს დაშვებულ სახელოებს ნიავი უთამაშებდა. კაცს

ჩაი შესთავაზა და, ცერემონიის წესების მიხედვით, თავის ადგილს დაუბრუნდა. კაცი რაღაცას ამბობდა. ჩაის არც გაჰკარებია. დრო უცნაურად გაიწელა და გაუგებარი დაძაბულობის შეგრძნება დამეუფლა. ქალს თავი დაბლა დაეხარა...

სწორედ ამის მერე მოხდა ყველაზე დაუჯერებელი რამ. გამართულად მჯდარმა ქალმა მოულოდნელად კიმონოს საკინძე შეიხსნა. თითქმის გავიგონე, როგორ ამოშრიალდა მაგრად შემოჭერილი ქამრიდან აბრეშუმი. გამოჩნდა ქალის თეთრი მკერდი. სუნთქვა შემეკრა. ქალმა თავისი ხელით მოიშიშვლა თეთრი, სავსე ძუძუ.

ოფიცერმა ღრმა, მუქი ფერის ჩაის ფიალა წინ გაიშვირა და, დაჩოქილი, ქალთან მიჩოჩდა. ქალმა მკერდი ორივე ხელით მსუბუქად მოისრისა.

არ დავიწყებ მტკიცებას, დავინახე-მეთქი, მაგრამ თვალწინ კი მკაფიოდ წარმომიდგა, როგორ ჩაიწურა თეთრი, თბილი რძე მუქი ფერის ფიალაში, როგორ გაჩნდა მომწვანო ჩაიზე თეთრი წვეთები და სითხის მშვიდი ზედაპირი აიმღვრა.

კაცმა ფიალა მოიყუდა და ეს უცნაური ჩაი მთლიანად გამოცალა. ქალმა ისევ დამალა თეთრი მკერდი.

მე და ცურუკავა მათ გაშეშებულები მივჩერებოდით. მერე, როცა ყველაფერი კარგად გავიაზრე, მივხვდი, რომ ეს განშორების რიტუალი უნდა ყოფილიყო – ომში მიმავალი ოფიცერი მისგან დაორსულებულ ქალს ემშვიდობებოდა. მაგრამ იმ წამებში განცდილი გრძნობები ყველანაირ ახსნა-განმარტებას უარყოფდა. გაოგნებისაგან ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ გაქრა წყვილი დარბაზიდან და იატაკზე ხალიჩაღა დარჩა.

თვალწინ მედგა ქალის თეთრი ნაკვთები და შეუდარებელი თეთრი მკერდი. მას შემდეგ, რაც ჩემი თვალსაწიერიდან გაქრა, მთელი დარჩენილი დღის განმავლობაში, მომდევნო დღესაც და იმის მომდევნო დღესაც, არ მტოვებდა ერთი აკვიატებული აზრი: ის ქალი მკვდრეთით აღმდგარი უიკო იყო.

# თავი 3

მამაჩემის წლისთავი ახლოვდებოდა და დედას თავში უცნაური აზრი მოუვიდა. რადგან მე ვმუშაობდი და შინ დაბრუნებას ვერ მოვახერხებდი, გადაწყვიტა, მამაჩემის ფერფლი კიოტოში ჩამოეტანა და წინამძღვარ დოსენ-ოშიოსთვის ეთხოვა, რომ სუტრები წაეკითხა და რამდენიმეწუთიანი რიტუალი ჩაეტარებინა გარდაცვლილი მეგობრის სახელზე. რა თქმა უნდა, რიტუალის შესაკვეთი ფული არ ჰქონდა და მხოლოდ წინამძღვარ ოშიოს დიდსულოვნების იმედად უნდა ყოფილიყო, ამიტომ თხოვნა წერილით შეატყობინა. წინამძღვარი დედას დასთანხმდა და ეს მეც მამცნო.

ამ ამბავს არ გავუხარებივარ. აქამდე ტყუილად არ ვერიდებოდი დედაჩემის შესახებ წერას. მიზეზი მქონდა, გვერდი ამევლო მისი ამბებისთვის.

ერთი სიტყვითაც არ დამიდანაშაულებია დედაჩემი. ხმაც კი არ ამომიღია. ალბათ არც შეუმჩნევია, რომ მე ყველაფერი ვიცოდი. თუმცა კი მას შემდეგ ჩემს გულს ვერაფრით ეპატიებინა მისთვის.

ეს მოხდა ზაფხულის არდადეგებზე, პირველად რომ დავბრუნდი სახლში, მას მერე, რაც ბიძაჩემს მიმაბარეს და აღმოსავლეთ მაიძურუს სკოლაში შემიყვანეს. იმ დროს ნარიუში იყო დედაჩემის ნათესავი, სახელად კურაი, რომელიც ოსაკაში რაღაცას საქმოს-

ნობდა, კრახი განეცადა და სახლში დაბრუნებულიყო. მისი ცოლი, რომელიც შეძლებული ოჯახიდან გახლდათ, ქმარს შინ არ უშვებდა და მასაც სხვა გზა არ ჰქონდა – თავი მამაჩემის ტაძრისთვის შეეფარებინა, სანამ მის ცოლს ბრაზი არ გადაუვლიდა.

კოლოსგან დამცავი ბადე ბევრი არ გვქონდა. არ ვიცი, როგორ არ გადაგვედო მამაჩემისგან ტუბერკულოზი – მე, მამას და დედას ერთად გვეძინა ხოლმე. მერე კი ბადის ქვეშ კურაიც დაგვემატა. მახსოვს, ერთ ღამეს ხეებს შორის მოფარფატე ციკადები როგორ იკლებდნენ ტაძრის ბაღს. ალბათ სწორედ ამ ხმაურმა გამაღვიძა. ტალღების ხმაც ისმოდა. ზღვიდან წამოსული ბრიზი დამცავი ბადის ღია მწვანე ბოლოებს აფრიალებდა. მაგრამ იყო რაღაც უცნაური ამ ფრიალში.

ბადე ქარისგან იბერებოდა და თან ისე ძლიერ ირხეოდა, თითქოს ქარს ფილტრავსო. ამგვარად, ქარი კი არ ამოძრავებდა, პირიქით, თითქოს ის სდევნიდა და ძალას ართმევდა ქარს. ტატამიზე მოსრიალე ბადის ბოლოები ბამბუკის ფოთლებივით შრიალებდა, მაგრამ მისი რხევა ქარის ნაკადის მოძრაობას არ ემთხვეოდა. ბადის უხეში ქსოვილი მოკლე ტალღებად ირხეოდა და ტბის მღელვარე ზედაპირს წააგავდა – თითქოს შორიდან მომავალი გემის მიერ გამოწვეულ ტალღებს მოეღწია ჩვენამდე, ანდაც, პირიქით, უკვე წასულ გემს დაეტოვებინა ტალღოვანი კვალი...

შეშინებულმა, ამ ტალღების გამომწვევს დავუწყე ძებნა. წყვდიადს მივაჩერდი და უეცრად თვალის გუგებში თითქოს უხილავი სადგისები შემესო.

ბადე ოთხი ადამიანისთვის მეტად ვიწრო იყო და, როგორც ჩანს, ძილში იმდენს ვბორგავდი, რომ მამა კუთხეში მივამწყვდიე. ჩემსა და ჩემ მიერ დანახულს შორის გათელილი თეთრი ლეიბი იდო, კისერთან კი ოთხად მოკეცილი, მძინარე მამის სუნთქვას ვგრძნობდი.

არათანაბარმა, არეულმა სუნთქვამ მიმახვედრა, რომ მას არ ეძინა. როგორც ჩანს, ცდილობდა, როგორმე ხველება შეეკავებინა. მოულოდნელად ცამეტი წლის ბიჭუნას ფართოდ გახელილ თვალებს უზარმაზარი, თბილი რაღაც გადაეფარა და სიბნელემ დაი-

სადგურა. უცბადვე მივხვდი, რაც მოხდა: მამამ თვალებზე ხელისგულები ამაფარა.

იმ ხელისგულების შეგრძნება ჩემში დღემდე ცოცხლობს. მისი შეუდარებლად ფართო ხელისგულები... ის ჯოჯოხეთი მყისიერად რომ მოაშორეს ჩემს მზერას. თითქოს სხვა სამყაროდან მოვლენილი ხელისგულები... არ ვიცი, რის გამო გააკეთეს ეს – სიყვარულის, თანაგრძნობისა თუ სირცხვილის გამო... იმ ხელისგულებმა მყისიერად მოსპეს და წყვდიადში დამარხეს ჩემ თვალწინ გადაშლილი საშინელი სამყარო.

მამის ხელისგულებში ჩარგული თავი ოდნავ შესამჩნევად დავიქნიე. ეს მსუბუქი მოძრაობა თანხმობის ნიშანი იყო – ვაგრძნობინე, რომ დავყვებოდი მის ნებას, და ხელებიც მომაცილა... მისი ხელისგულების ბრძანებას დამორჩილებულმა, მთელი ღამე უძილოდ, თვალდახუჭულმა გავატარე, სანამ დილის შუქმა ქუთუთოებზე არ დამანათა.

მკითხველს ვთხოვ, გაიხსენოს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ იმდენად გავერთე გარდაცვლილის სახის ყურებით, წვეთი ცრემლიც კი არ გადმომვარდნია. მამის სიკვდილთან ერთად მისი ხელისგულებისგან საბოლოოდ გავთავისუფლდი და მისმა მკვდარმა სახემ მაგრძნობინა, რომ ცოცხალი ვიყავი. ამგვარად, ხელიდან არ გავუშვი შესაძლებლობა, სამაგიერო მიმეზღო მამაჩემის ხელებისთვის, მაგრამ არასოდეს გამივლია გულში, შური მეძია დედაზე, თუმცა არც მიპატიებია მისთვის.

დედაჩემი წლისთავის წინა დღეს უნდა ჩამოსულიყო და, წინამძღვრის ნებართვით, ტაძარში უნდა გაეთია ღამე. წინამძღვარმა სკოლასაც მისწერა წერილი, რომ წლისთავის დღეს ჩემთვის გაცდენა ეპატიებინათ. წინა საღამოს ქარხნიდან როკუონჯის ტაძარში გულდამძიმებული ვბრუნდებოდი.

სუფთა და უბრალო სულის მქონე ცურუკავას ძალიან უხაროდა, რომ ამდენი ხნის მერე დედას უნდა შევხვედროდი. სხვა მორჩილებიც ცნობისმოყვარეობით ელოდნენ ჩვენს შეხვედრას. მე კი მძაგდა ღატაკი და დაძონძილი დედის ნახვა. ვწუხდი, რომ არ შემეძლო ამეხსნა კეთილი ცურუკავასთვის, თუ რატომ არ მინდოდა

დედაჩემთან შეხვედრა. მან კი, ქარხანაში სამუშაოს მოვრჩით თუ არა, მკლავში ხელი ჩამავლო და სწრაფად მომაძახა:

– წამო, სირბილით დავბრუნდეთ.

გავაზვიადებ, თუ ვიტყვი, რომ საერთოდ არ მინდოდა დედაჩემის ნახვა. განა არ მენატრებოდა?! მაგრამ მაღიზიანებდა ის ნაზი გრძნობები, მშობლები რომ მოურიდებლად გამოხატავენ ხოლმე და ალბათ ამ გაღიზიანებაში ვეძებდი საკუთარი თავის გამართლებას. რას ვიზამ, ასეთია ჩემი უზნეო ხასიათი... იმას კიდევ არა უშავს, სხვადასხვა მოგონილი მიზეზით ჩემი ნამდვილი გრძნობების გამართლებას რომ ვცდილობდი. ხანდახან ტვინში გაჩენილი უთვალავი მიზეზი თავს მახვევდა ისეთ ემოციებსაც, რომლებიც იმთავითვე უცხო იყო ჩემი ბუნებისათვის.

მაგრამ ჩემს ზიზღს ნამდვილად ჰქონდა გამართლება – მე ხომ თავად ვარ ადამიანი, რომელიც ზიზღს იმსახურებს.

– რომ გავიქცეთ, რა მერე? – ვუპასუხე მე. – უბრალოდ, დავიღლებით და ეგ იქნება. მოდი, წყნარად წავიდეთ.

– მიგიხვდი. გინდა, დედას ანახო, რომ ბევრს მუშაობ, დაღლილობისგან ველარც კი დარბიხარ და თავი შეაბრალო, არა?

ცურუკავა ყოველთვის ასე მცდარად იგებდა ხოლმე ჩემს ზრახვებს, მაგრამ არასოდეს მკიცხავდა და ამიტომ მექცა საჭირო ადამიანად. ის იყო გულწრფელი, კეთილგანწყობილი თარჯიმანი – შეუცვლელი მეგობარი, რომელიც ჩემს სიტყვებს ამ სამყაროს ენაზე თარგმნიდა.

ჰო! დროდადრო ცურუკავა ისეთ ალქიმიკოსადაც კი მეჩვენებოდა, ტყვიისგან ოქროს გამოდნობა რომ შეეძლო. მე ფოტოს ნეგატივი ვიყავი, ის კი – გამჟღავნებული, ნათელი ვარიანტი. რამდენჯერ დავკვირვებივარ აღტაცებით, თუ როგორ იფილტრებოდა, იწმინდებოდა და გამჭვირვალე შუქს იძენდა ცურუკავას სულში ჩემი ბნელი და მღვრიე გრძნობები. სანამ მე ენა მებმებოდა და ვყოყმანობდი, ცურუკავას ხელები ჩემს გრძნობებს ამოაბრუნებდნენ და გარესამყაროს ასე გადასცემდნენ ხოლმე. ამ დაკვირვების წყალობით ერთ რამეს ჩავწვდი: რომ ამ სამყაროს ყველაზე ამაღ-

ლებული გრძნობები ყველაზე ბინძური გრძნობებისგან არ განსხვავდება, რომ ორივეს ერთნაირი ეფექტი აქვს და რომ მკვლელობის სურვილიც კი არ განსხვავდება ღრმა თანაგრძნობისაგან. ეს რომ ცურუკავასთვის ამეხსნა, ალბათ ვერ დაიჯერებდა, მე კი ეს აზრი შემაძრწუნებელ აღმოჩენად მექცა. ცურუკავას წყალობით, ფარისევლობის აღარ მეშინოდა, რადგან თვით ფარისევლობა უმნიშვნელო ცოდვად ქცეულიყო ჩემთვის.

კიოტოში დაბომბვას ვერ შევესწარი, მაგრამ ერთხელ, როცა სამსახურიდან ოსაკას ახალ ქარხანაში თვითმფრინავის ნაწილების შესაკვეთი საბუთები გამატანეს, დაბომბვის მოწმე გავხდი და ჩემი თვალით ვნახე, როგორ გადაჰქონდათ ნაწლავებგადმოყრილი მუშის გვამი საკაცით.

ნეტავ რატომ მიიჩნევენ ნაწლავებგადმოყრილ ცხედარს საშინელ სანახაობად? რატომ ვიფარებთ თვალებზე ხელს შეძრწუნებულები, როცა ვხედავთ ადამიანის შიგნითა მხარეს? რატომ აგდებს შოკში ადამიანს გადმომდინარე სისხლის ხილვა? განა რა არის ასეთი მახინჯი ადამიანის შიგნეულში? განა ახალგაზრდა მბზინვარე კანის სილამაზე და შიგნეულობა ერთი ბუნების არაა? ნეტავ როგორ სახეს მიიღებს ცურუკავა, თუ ვეტყვი, რომ მან შთამინერგა ეს აზრი, რომელიც ჩემს სიმახინჯეს არარაობად აქცევს? განა ბუნებრივი არ იქნება, რომ ადამიანსაც ისევე შევხედოთ, როგორც ვარდს, რომელსაც არც შიგნეული და არც გარსი არ გააჩნია? ადამიანებსაც რომ შეძლებოდათ, საკუთარი შიდა სამყარო და შიგნეული ვარდის ფურცელივით დახვეწილად ამოებრუნებინათ, მზისთვის და მაისის ნიავისთვის გადაეშალათ, მაშინ...

***

დედა უკვე ჩამოსულიყო და უხუცესს ესაუბრებოდა მის ოთახში. მე და ცურუკავამ ადრეული ზაფხულის ჩამავალი მზით განათებულ დერეფანში, კართან დავიჩოქეთ და ჩვენი მოსვლა შევატყობინეთ.

უხუცესმა მარტო მე შემიყვანა ოთახში, დედის წინ დამაყენა და ყოჩაღი ბიჭიაო, თუ რაღაც მსგავსი სიტყვებით შემაქო. თავ-ჩაქინდრულს, დედისთვის თითქმის არ შემიხედავს. მხოლოდ რეცხვისგან გადახეხილ, ბამბის ლურჯ სამუშაო შარვალზე დაწყობილი ბინძური თითები დავინახე.

უხუცესმა დედა-შვილს ნება დაგვრთო, ჩემს ოთახში განვმარტოებულიყავით. თავი რამდენჯერმე დავუკარით და ოთახიდან გამოვედით. ჩემი საცხოვრისი წარმოადგენდა ხუთი ტატამის სიდიდის ოთახს, მცირე წიგნთსაცავის სამხრეთით. ფანჯრები შიდა ეზოს გაჰყურებდა. როდესაც ოთახში პირისპირ აღმოვჩნდით, დედა ატირდა.

ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა, ამიტომ მოვახერხე, სრული გულგრილობა შემენარჩუნებინა.

– მე ახლა უკვე როკუონჯის ტაძარს ვეკუთვნი, – ცივად მოვუჭერი, – ამიტომ, გთხოვ, სანამ წოდებას არ მივიღებ, მანამდე ნულარ მოხვალ ჩემს სანახავად.

– ჰო, გასაგებია, გასაგებია, – მიპასუხა დედამ.

მიხაროდა, რომ მას ასეთი ცივი ფრაზით შევეგებე. თუმცა მაღიზიანებდა, რომ ძველებურად არავითარი წინააღმდეგობის სურვილი არ უჩნდებოდა. ამასთან შიში მიტანდა, როცა წარმოვიდგენდი, რომ შეიძლებოდა ზღურბლი გადმოელახა და ჩემს სამყაროში შემოჭრილიყო.

დედაჩემის გარუჯულ სახეში ღრმად ჩამჯდარი, პატარა თვალები მზაკვრულად იყურებოდნენ. მისი წითლად მბზინვარე ტუჩები თითქოს ცალკე ცხოვრებით ცხოვრობდნენ, მათ უკან კი სოფლელი ქალის დიდი, ჯანმრთელი კბილები იყო ჩალაგებული. უკვე იმ ასაკში გახლდათ, როცა ქალაქელი ქალები ფერ-უმარილის სქლად წასმას იწყებენ, დედა კი თითქოს განგებ ცდილობდა, მახინჯად გამოჩენილიყო. თუმცა მასში მინავლული ავხორცობის ნიშნები ჯერ კიდევ იგრძნობოდა და ეს სიძულვილს მიღვივებდა.

ჯერ გემოზე იტირა, მერე ხელბარგიდან სინთეტიკური პირსახოცი ამოიღო და ოფლით დაცვარული, გარუჯული მკერდი გაიწ-

მინდა. ნაჭერი ოფლით გაიჟღინთა და მისი უხეში ბზინვარება კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა.

დედამ ზურგჩანთიდან ბრინჯი ამოიღო.

– უხუცესისთვის ჩამოვიტანე, – მყისვე გამაფრთხილა. მე ჩუმად შევყურებდი. მერე ამოაძვრინა მამაჩემის მოსახსენებელი დაფა, რომელიც გაცრეცილ ძონძში იყო გახვეული და ჩემს თაროზე შემოდო.

– როგორი მადლობელი ვარ... – მითხრა დედამ, – ხვალ წინამძღვარი ოშიო სუტრებს წაუკითხავს მამაშენის სულს. მამასაც, ალბათ, როგორ გაუხარდება...

– ხვალ საქმეებს რომ მოათავებ, ნარიუში დაბრუნდები?

დედაჩემის პასუხი მოულოდნელი იყო. ტაძარზე ყველა უფლება სხვისთვის გადაეცა, მცირე საყანე ნაკვეთები გაეყიდა და ამ ფულით მამაჩემის მკურნალობის ხარჯები გაესტუმრებინა. ახლა კი ბიძაჩემთან შეკედლებას აპირებდა კიოტოს ახლომდებარე კასაგუნის დასახლებაში.

ტაძარი, რომელშიც უნდა დავბრუნებულიყავი, აღარ არსებობდა! იმ მიყრუებული კონცხის სოფელში აღარაფერი მელოდებოდა.

არ ვიცი, როგორ აღიქვა დედამ თავისუფლების ის შეგრძნება, რომელიც სახეზე აღმებეჭდა იმ წამებში. სახე ყურის ძირთან მომიტანა და წყნარად ჩამჩურჩულა:

– გამიგე? შენი ტაძარი აღარ არის. სხვა გზა არა გაქვს, გარდა იმისა, რომ ოქროს ტაძრის წინამძღვარი გახდე. დოსენ-ოშიოს გული უნდა მოიგო და მისი მემკვიდრეობა გადაიბარო. გამიგე? დედაშენი მხოლოდ იმ იმედითღა იცოცხლებს, რომ ამ ამბავს მოესწრება.

მისმა ნათქვამმა შემძრა. ვცადე, სახეში შემეხედა, მაგრამ შიშისგან თვალს ვერ ვუსწორებდი.

ოთახში უკვე ჩამობნელებულიყო. იმის გამო, რომ „საყვარელ დედიკოს“ ჩემს ყურთან ასე ახლოს მოეწია სახე, მისი ოფლის სუნი პირდაპირ ცხვირში მირტყამდა. კარგად მახსოვს, იმ წამებში ილიმებოდა. უსიამოვნო მოგონებები ამეშალა – გამახსენდა, რო-

გორ ვწოვდი რძეს მისი ხორბლისფერი მკერდიდან. მისი მდაბიური ლტოლვის ცეცხლში რაღაც გაუგებარი ფიზიკური იძულება იგრძნობოდა და, ალბათ, სწორედ ეს მგვრიდა აუტანელ შიშს. დედის ხვეული თმები ლოყაზე მომედო. იმ წამს შევნიშნე, რომ ბინდში გახვეულ შიდა ეზოში, ხავსით დაფარულ ქვის ხელსაბანზე ჭრიჭინა დაჯდა და ფრთები დაასვენა. საღამოს ცა ხელსაბანში ჩამდგარ წყალში ჩაგუბებულიყო. ჩქამი არსაიდან ისმოდა. როკუონჯი უკაცრიელ ტაძარს დამსგავსებოდა.

როგორც იქნა, დედას თვალი გავუსწორე. გამიცინა და მისი გლუვი ტუჩების კუთხეში ოქროს კბილმა გაიბრწყინა.

– გასაგებია, – ვუპასუხე საშინელი ენის ბორძიკით, – მაგრამ ჯარში მიკრავენ თავს და ვინ იცის, იქნებ ბრძოლაშიც კი დავიღუპო.

– სულელო, – მომაძახა დედამ, – შენნაირი ენაბლუ თუ ჯარში წაიყვანეს, მაშ, დამთავრებული ყოფილა იაპონიის ამბავი.

დაჭიმულ სხეულს დედისადმი ზიზღი მივსებდა, მაგრამ სიტყვებს, რომლებიც იმ წამს ჩლიფინით აღმომხდა, ბოდიშის ელფერი უფრო დაჰკრავდა:

– ოქროს ტაძარიც შეიძლება განადგურდეს დაბომბვის დროს.

– ასე თუ გაგრძელდა, კიოტოს დაბომბვა არასდროს დაემუქრება. ამერიკელები ერიდებიან, როგორც ჩანს.

არაფერი მიპასუხია. ბინდში გახვეულ შიდა ეზოს ზღვის ფსკერის ფერი დასდებოდა – ეზოს ქვები მასში უმოწყალოდ იძირებოდნენ, მიუხედავად თავგანწირული წინააღმდეგობისა.

დედამ აინუნშიაც არ ჩააგდო ჩემი დუმილი. წამოდგა და თვალი მოურიდებლად მოავლო კარსა და ხის კედლებს, გარს რომ შემორტყმოდნენ ხუთი ტატამის სიდიდის სივრცეს, და თქვა:

– ნეტავ ვახშამი მალე იქნება?

მერე, როცა ამ ამბავს ვიხსენებდი, მივხვდი, რომ დედასთან შეხვედრამ საკმაოდ დიდი დაღი დაასვა ჩემს სულს. თუკი მაშინ პირველად მივხვდი, რომ ის სრულიად განსხვავებულ სამყაროში ცხოვრობდა, მაშასადამე, ძლიერი შთაბეჭდილებაც მოუხდენია.

დედაჩემი ადამიანების იმ მოდგმას ეკუთვნოდა, რომლებსაც არ უწერიათ, ოქროს ტაძრის სილამაზესთან სიახლოვე იგრძნონ. სამაგიეროდ, მას სინამდვილის აღქმის საოცარი უნარი გააჩნდა, რომელიც ასე უცხო იყო ჩემთვის. მიუხედავად ჩემი ოცნებისა, კიოტოს საჰაერო დარტყმა მართლაც არ ემუქრებოდა. და თუ ოქროს ტაძარი განადგურების საფრთხის წინაშე არ იდგა, მაშინ მე ცხოვრების აზრს ვკარგავდი და სამყარო, რომელშიც ვცხოვრობდი, მალე თავზე დამენგრეოდა.

მეორე მხრივ, დედაჩემის ამ მოულოდნელმა პატივმოყვარეობამ მომხიბლა და დამატყვევა, მიუხედავად მისადმი სიძულვილისა. ალბათ მამაჩემმაც ასეთივე პატივმოყვრული განზრახვით გამომგზავნა აქ, თუმცა სიტყვაც კი არასოდეს დასცდენია ამის შესახებ. წინამძღვარი დოსენ ტაიამა მარტოხელა იყო. თუკი ის თავის დროზე წინამორბედის რეკომენდაციით გახდა წინამძღვარი, მაშინ მეც შევძლებდი გადმომებარებინა მისი მემკვიდრეობა, თუ საკმარისად მოვინდომებდი. და თუ ამას მოვახერხებდი, ოქროს ტაძარი ჩემი გახდებოდა!

ფიქრები ამერია. ეს ახალი პატივმოყვრული განზრახვა მძიმე ტვირთად რომ დამაწვებოდა, მაშინ ისევ ძველ ოცნებას ვუბრუნდებოდი ხოლმე – წარმოვიდგენდი, როგორ ნადგურდებოდა ოქროს ტაძარი დაბომბვის დროს. ხოლო როცა ეს ოცნება დედაჩემის რეალისტურ მსჯელობასთან ჭიდილში უმოწყალოდ მარცხდებოდა, მაშინ ისევ ახალ განზრახვას ვუბრუნდებოდი. ამდენი არეულ-დარეული ფიქრისგან კისერზე ერთი ადგილი გამიწითლდა და საშინლად გამისივდა.

თავიდან ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ სიმსივნემ მოიმატა, ის ადგილი გამიხურდა და კისერზე მძიმედ დამაწვა. როცა დაძინებას ვახერხებდი, მესიზმრებოდა, რომ ჩემს კისერზე ოქროსფერი ციალი ჩნდებოდა და ნელ-ნელა იზრდებოდა, საბოლოოდ კი შარავანდედად მადგებოდა თავზე. ვიღვიძებდი და შარავანდედის ნაცვლად მხოლოდ ავბედითად გაზრდილი ტკივილი მხვდებოდა.

მალე სიცხე მომცა და ლოგინად ჩავვარდი. წინამძღვარმა თერაპევტთან წამიყვანა. სამოქალაქო ტანსაცმელზე სახვევებშემო-

ჭერილმა ექიმმა ამ სიმსივნეს მარტივი სახელი – ფურუნკული უწოდა. სპირტის დასაზოგად და ინფექციისგან თავის დასაზღვევად სკალპელი ცეცხლზე გაატარა და კისერზე დამისვა.

სიმწრისგან დავიკვნესე. ვიგრძენი, თავის უკანა ნაწილში ცხელი, მტანჯველი სამყარო როგორ სკდებოდა, იცლებოდა და ნადგურდებოდა.

***

ომი დამთავრდა. როცა ქარხანაში ვისმენდი იმპერატორის განკარგულებას ბრძოლის შეწყვეტის შესახებ, ჩემი ფიქრები მხოლოდ და მხოლოდ ოქროს ტაძარს დასტრიალებდა.

ბუნებრივია, რომ დაბრუნებისთანავე ოქროს ტაძრისკენ გავეშურე. გზაზე დაყრილი ხრეში ზაფხულის თაკარა მზეს გაეხურებინა. პატარ-პატარა კენჭები ჩემი სავარჯიშო ფეხსაცმლის რეზინის უხეშ ლანჩებს ეკრობოდა.

იმპერატორის განკარგულების გამოქვეყნების შემდეგ ტოკიოს საიმპერატორო სასახლის წინ უამრავი ადამიანი შეიკრიბა სატირლად. ასევე მოხდა კიოტოს სასახლესთანაც, რომელშიც ამ დროს არავინ იმყოფებოდა. კიოტო სავსეა შინტოისტური და ბუდისტური სალოცავებით, სადაც ასეთ დროს ადამიანი სატირლად წავიდოდა. ალბათ იმ დღეს ყველა ტაძარმა კარგად მოითბო ხელი. თუმცა ოქროს ტაძარში ჩემ გარდა სულიერი არავინ იყო.

მზისგან გავარვარებულ ხრეშზე მხოლოდ ჩემი ჩრდილი გაწოლილიყო. ოქროს ტაძარი გაღმით აღმართულიყო, მე კი გამოღმით ვიდექი. იმ დღეს პირველი შეხედვისთანავე ვიგრძენი, რომ „ჩვენი ურთიერთობა“ უკვე შეცვლილიყო.

ოქროს ტაძარი მარცხით გამოწვეულ შოკზე, ეროვნულ უბედურებაზე ამაღლებულიყო. ან იქნებ, უბრალოდ, ამაღლებულობის მოჩვენებითი გარსით შემოსილიყო? ტაძარი ასეთი არასდროს ყოფილა. რადგან საჰაერო შეტევამ არ გაანადგურა, რადგან ამიერიდან ასეთი საფრთხე აღარც დაემუქრებოდა, ისევ ის ძველი გა-

მომეტყველება დაუბრუნდა – თითქოს ამბობდა: „ოდითგანვე აქ ვდგავარ, სულ მუდამ ვიდგები“.

შიდა კედლებზე შემორჩენილ ძველ ოქროს ფურცლებს საიმედოდ იცავდა გარე კედლებზე გადასმული ზაფხულის მცხუნვარე მზის სინათლის ლაქი. თვით ტაძარი გატრუნულიყო, ძვირფასი, მაგრამ ყოვლად უსარგებლო ავეჯის ნაწილივით – უზარმაზარი ცარიელი თაროსავით, რომელიც ტყის აალებული სიმწვანის წინ გამოსაჩენად დაედგათ. განა რა შეიძლება ვიხილოთ ასეთ თაროზე? არაფერი, გარდა წარმოუდგენლად დიდი, მხრჩოლავი სასაკმევლისა, ან გიგანტური ზომის სიცარიელისა. ოქროს ტაძარს თავი გამოესუფთავებინა ყველაფრისგან, თავისი არსი ერთიანად ჩამოერეცხა და საოცრად ცარიელი წარმომდგარიყო ჩემ წინაშე. უფრო უცნაური კი ისაა, რომ არასდროს მომჩვენებია ტაძარი ისე ლამაზად, როგორც იმ დღეს.

არასოდეს წარმომდგომია ასეთი შეუდრეკელი მშვენიერებით, ჩემს გულში დაბუდებულ ტაძრის სახებასაც და გარშემო გამეფებულ სინამდვილესაც რომ აღემატებოდა. ტაძრისთვის უცხო იყო ყველაფერი წარმავალი, უკუაგდებდა ყველა აზრს, არასოდეს ყოფილა ასეთი ბრწყინვალე!

გადაჭარბების გარეშე გეტყვით, რომ მისი ცქერისას ფეხები ამიკანკალდა და შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა. თუ შევადარებ იმ შეგრძნებებს, როცა ოქროს ტაძრის პირველად ნახვის შემდეგ, სოფელში დაბრუნებულს, მისი ნაწილები თუ მთლიანი აგებულება ჰარმონიულ მუსიკად ჩამესმოდა, შემიძლია ვთქვა, რომ ახლა ჩემს სმენას მხოლოდ სრული სიჩუმე სწვდებოდა. აქ აღარაფერი იყო გამდინარე და წარმავალი. ოქროს ტაძრის არსებობა დამსგავსებოდა მუსიკის ავისმომასწავებელ პაუზას – იმ სიჩუმედ ქცეულიყო, რომელიც ყურებში ზარებად რეკს.

„ჩემსა და ოქროს ტაძარს შორის „კავშირი“ გაწყდა, – გავიფიქრე, – დაიმსხვრა ჩემი ზმანება, თითქოს მე და ტაძარი ერთ სამყაროში ვცხოვრობდით. ისევ ის ძველი... არა, იმ ძველზე უფრო უიმედო მდგომარეობა დამიბრუნდა, სადაც სილამაზე იქით არის,

მე კი – აქეთ; მდგომარეობა, რომელიც არასოდეს შეიცვლება, სანამ ეს სამყარო იარსებებს“.

ომში დამარცხება ჩემთვის მხოლოდ ასეთი უიმედობის განცდა იყო. ახლაც თვალწინ მიდგას თხუთმეტი აგვისტო – ზაფხულის ელვარება. მავანი იტყვის, რომ იმ დღეს ყველა ფასეულობა დაიმსხვრა, მაგრამ ჩემთვის ყველაფერი პირიქით იყო. თითქოს ჩემში მარადისობამ გაიღვიძა, მკვდრეთით აღდგა და არსებობის უფლება განიმტკიცა. მარადისობა, რომელმაც მაუწყა, რომ ოქროს ტაძარი სამუდამოდ იარსებებდა...

მარადისობა, რომელიც ციდან ნალექად მოვიდა, ლოყებზე, ხელებსა და მუცელზე გვეკრობოდა, თავისი სიმძიმის ქვეშ გვმარხავდა. ოჰ, ეს დაწყევლილი მარადისობა... ჰო, ომის დასრულების დღეს ციკადების ხმაშიც ეს ავბედითი მარადისობა გამოსჭვიოდა. ამ ხმამ თითქოს ოქროსფერ ბათქაშად მიმალესა კედელზე.

იმ საღამოს ძილის წინ იმპერატორისა და მშვიდობისთვის განსაკუთრებით გრძელი სუტრები წავიკითხეთ და ომში დაღუპულთა სულებისთვის ვილოცეთ. ომის წლებში ყველა რელიგიისა თუ განშტოების წინამძღვრები ჩვეულებრივ შესამოსელში ატარებდნენ მსახურებას. იმ დღეს კი უხუცესი დიდი ხნის გადანახული ალისფერი საბერო მანტიით შეიმოსა.

მისი პუტკუნა სახე, რომელიც თითქოს ნაოჭების სიღრმემდე გაეპრიალებინათ, იმ დღესაც ისეთივე სისხლსავსე და თვითკმაყოფილი იყო. ცხელ საღამოს მისი სამოსის შრიალი გამომაფხიზლებელი სიგრილის შეგრძნებას გვგვრიდა.

სუტრების წაკითხვის შემდეგ ყველანი წინამძღვრის ოთახში დაგვიბარეს, სადაც მისი ლექცია მოვისმინეთ.

წინამძღვარმა დოსენმა მოგვითხრო ერთ-ერთი ძენ-ბუდისტური გამოცანა-იგავი, იგივე კოანი. მან აირჩია კოანი სათაურით „ნანსენი კლავს კატას“, „მუმონკანის მოძღვრების“ მეთოთხმეტე თავიდან. ეს კოანი ასევე გვხვდება რინძაის სექტის წმინდა წიგნის, „ჰეკიგანროკუს“ სამოცდამესამე თავში – „ნანსენი კლავს კნუტს“

და სამოცდამეოთხე თავში – „ჩოშიუ თავზე სანდლებს ატარებს“. ეს კოანი ოდითგანვე რთულად ასახსნელად მიიჩნეოდა.

ჩინეთში, ტანის დინასტიის ეპოქაში, ნანსენის მთაზე ცხოვრობდა ცნობილი ბერი პუ იუანი, რომელსაც, მთის სახელის მიხედვით, ნანსენად მოიხსენიებდნენ. ერთხელ, როცა ყველა ბერი ბალახის სათიბად იყო წასული, ამ მონასტერში კნუტი გამოჩნდა. მოხიბლულმა ბერებმა დიდხანს სდიეს მას და როცა დაიჭირეს, ვერაფრით ვერ გაიყვეს. საბოლოოდ, კნუტი მონასტრის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის განხეთქილების მიზეზად იქცა. ორივე მხარე თვლიდა, რომ მეტოქეს კნუტის მითვისება უნდოდა. არაფრით ანებებდნენ.

ამის შემხედვარე ბერმა ნანსენმა კისრით ითრია კნუტი, ნამგალი ყელთან მიაბჯინა და თქვა:

– თუ რომელიმე თქვენგანი ახსნის, რატომ ვიქცევი ასე, მაშინ კნუტი იცოცხლებს, თუ არა და – მოკვდება.

ყველა დადუმდა. ბერმა ნანსენმა კნუტი მოკლა და გადააგდო.

საღამოს ტაძარში მისი უფროსი მოწაფე ჩოშიუ დაბრუნდა. ნანსენმა მას ყველაფერი თანამიმდევრულად მოუთხრო და აზრი ჰკითხა. ჩოშიუმ მყისვე გაიძრო სანდლები, თავზე დაილაგა და გავიდა. მაშინ ნანსენმა მწუხარედ წარმოთქვა:

– ოჰ, ნეტავ დღეს აქ ყოფილიყავი, კატა ხომ გადარჩებოდა!

აი, სულ ეს არის მთელი იგავი. ყველაზე რთულად გასაგებია, თუ რატომ დაილაგა სანდლები თავზე ჩოშიუმ. მაგრამ, უხუცესს თუ ჰკითხავდით, ეს არც ისე რთულად ასახსნელი იყო.

კატის მოკვლით ბერმა ნანსენმა საცდური გაანადგურა და ბოლო მოუღო ფიქრებს, ილუზიის აყოლისკენ რომ უბიძგებდნენ. გრძნობებს გასაქანი არ მისცა, კნუტს ყელი გამოჭრა და ამით საფუძველშივე ჩაკლა ყოველგვარი წინააღმდეგობა, დაპირისპირება თუ უთანხმოება თავის თავსა და დანარჩენებს შორის. მის საქციელს „მომაკვდინებელი ხმალი“ ეწოდა, ხოლო ჩოშიუს საქციელს – „ცხოველმყოფელი ხმალი“. ტალახით მოთხვრილი, ზიზღის მომგვრელი სანდლების საკუთარ თავზე დალაგებით, ჩოშიუმ უსაზ-

ღვრო თავმდაბლობა გამოავლინა და ბოდჰისატვის ჭეშმარიტი გზა დაგვანახა.

უხუცესმა ამგვარად განგვიმარტა კოანი. ლექცია ისე დაასრულა, რომ ერთი სიტყვითაც არ შეხებია იაპონიის მარცხს. ისეთი გრძნობა დაგვეუფლა, თითქოს ბრძენმა მელამ თავბრუ დაგვახვია. ვერაფრით გამეგო, თუ რატომ აირჩია წინამძღვარმა მაინცდამაინც ეს კოანი იაპონიის დამარცხების დღეს.

როცა საკუთარ ოთახებში ვბრუნდებოდით, დერეფანში ცურუკავას გავუზიარე ჩემი ეჭვები. მან თავი გააქნია:

– არ ვიცი. ბერული ცხოვრება თუ არ გამოვცადე, ვერც გავიგებ. დღევანდელ ლექციაზე კი ის მოხდა, რომ იაპონიის დამარცხებაზე საუბრის ნაცვლად, მან კატის მოკვლაზე მოგვითხრო.

სულ არ ვიყავი უბედური იმით, რომ იაპონიამ ასეთი მარცხი იწვნია, მაგრამ უხუცესის თვითკმაყოფილებით სავსე სახე მაინც არ მასვენებდა.

ჩვეულებრივ, ტაძრის წესრიგი და დისციპლინა წინამძღვრისადმი პატივისცემაზეა დამყარებული. მართალია, ბოლო ერთი წლის განმავლობაში უხუცესი ჩემზე ზრუნავდა, მაგრამ ჩემში მაინც არ დაიბადა მისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა. ეს, თავისთავად, არც შემაწუხებდა, მაგრამ მას მერე, რაც დედაჩემმა ჩემს პატივმოყვარეობას ცეცხლი შეუნთო, ჩვიდმეტი წლის ბიჭმა წინამძღვარს მკიცხავი თვალით დავუწყე ყურება.

უხუცესი სამართლიანი და უანგარო ადამიანი იყო, და სწორედ ამიტომ ავიკვიატე, რომ თუ ოდესმე წინამძღვარი გავხდებოდი, მეც ასეთ ადამიანად ვიქცეოდი. თუმცა მას არ გააჩნდა ის განსაკუთრებული იუმორი, ძენ-ბუდისტ ბერებს რომ ახასიათებთ. ჩვეულებრივ, უხუცესისნაირ ჩასუქებულებს ხომ კარგი იუმორი აქვთ...

გამეგო, რომ წინამძღვარი ქალების დიდი მოტრფიალე იყო. როცა წარმოვიდგენდი მის მექალთანეობას, სასაცილოდ და ცოტა შემაწუხებლადაც კი მეჩვენებოდა. ნეტავ რას განიცდიდნენ ქალები, როცა მის ატმისფერ, ნამცხვარივით გაფუებულ სხეულს ეტმასნებოდნენ? ალბათ ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, თითქოს ატმის-

ფერი ხორცის სამარეში ჩამარხულიყვნენ, ქვეყნის დასალიერამდე რომ გადაჭიმულიყო.

ძენ-ბუდისტი ბერის ხორციელობაც უცნაურად მეჩვენებოდა. წინამძღვარი ქალებთან განცხრომას შეიძლება სწორედ იმ მიზნით ეძლეოდა, რომ გასცილებოდა ვნებებს და დაემტკიცებინა თავისი ზიზღი ყოველგვარი ხორციელისადმი. გასაოცარია, სხეული, უხუცესს ასე რომ სძაგდა, საკვებს ხარბად ნთქავდა, ყვაოდა და პატრონის სულს ფუთავდა – გაწვრთნილი პირუტყვივით დამჯერი და თავმდაბალი სხეული... სხეული, რომელიც დოსენ-ოშიოს სულს ხასად დასდგომოდა.

უნდა მოგითხროთ, თუ რას წარმოადგენდა ჩემთვის იაპონიის მარცხი.

ამ მოვლენას არავითარ შემთხვევაში არ აღვიქვამდი გათავისუფლებად. ეს მხოლოდ მარადიულობითა და უკვდავებით გაჟღენთილი ბუდისტური ყოველდღიურობის აღდგენა იყო.

ტაძარში პირველივე დღიდან დაბრუნდა ძველებური ბუდისტური რუტინა: „წესების გახსნა“, „დილის გაკვეთილი“, „დილის ფაფა“, საყოფაცხოვრებო საქმიანობა, „სიბრძნის წვდომა“, „სამკურნალო ქვა“, ანუ ვახშამი, განბანვა და „ბალიშის გახსნა“... წინამძღვარი მკაცრად კრძალავდა შავ ბაზარზე ბრინჯის ყიდვას. მამასახლისი ბერის მიერ შემოწირულობად გასაღებული ის ცოტაოდენი ბრინჯი, რომელსაც ჩვენი მზარდი ორგანიზმებისათვის იმავე შავ ბაზარზე შოულობდა, საცოდავად ტივტივებდა ხოლმე ჩვენს ფაფაში. ზოგჯერ ბატატსაც ვყიდულობდით. არა მარტო საუზმეზე, არამედ სადილსა და ვახშამზეც ფაფისა და კარტოფილის მეტი არაფერი გვქონდა და მუდმივად დამშეულები ვიყავით.

ცურუკავა ხანდახან ოჯახს ტოკიოდან ტკბილეულს აგზავნინებდა. როცა გვარიანად დაღამდებოდა, შემოდიოდა ჩემს ოთახში და ორივე ჩუმად ვილუკმებოდით. მახსოვს, როგორ ვისხედით ერთხელ ასე, შუაღამისას, და ვაკვირდებოდით, როგორ ანათებდა ღამის ცას ელვა. მაშინ ვკითხე, თუკი ასეთი მდიდარი და მოსიყვარულე მშობლები გყავს, რატომ არ ბრუნდები ტოკიოში-მეთქი.

– კი მაგრამ, აქ ხომ ვსწავლობ, – მიპასუხა ცურუკავამ. – საბოლოოდ, მამაჩემის ტაძარი უნდა გადავიბარო.

არაფერი აღელვებდა. თავს მშვენივრად გრძნობდა, ყუთში აკურატულად ჩაწყობილი საჭმლის ჩხირებივით. მაგრამ მე მაინც ჩავეკითხე: გესმის თუ არა, რომ მოდის ახალი ეპოქა, რომელიც არავინ იცის, რას გვიმზადებს-მეთქი. ვკითხე და გამახსენდა, რომ როცა ომის დასრულებიდან მესამე დღეს სკოლაში წავედი, ყველა ქარხნის ხელმძღვანელ ოფიცერზე ლაპარაკობდა, რომელსაც სატვირთო მანქანა ნაწარმით დაეტვირთა და სახლში წაელო. ამბობდნენ, თითქოს ოფიცერს ღიად განეცხადებინა, ამიერიდან შავ ბაზარზე ვივაჭრებო.

თვალწინ დამიდგა მამაცი, სასტიკი, გამჭოლი მზერის მქონე ოფიცერი, რომელიც უკანმოუხედავად მიექანებოდა ბოროტების სამყაროსაკენ. გზა, რომელიც მის სამხედრო ჩექმებს უნდა გაეთელა, რიჟრაჟივით არეული და უწესრიგო იყო – ისეთივე სახე ჰქონდა, როგორც ბრძოლის ველზე სიკვდილს. და აი, ნაქურდლით დატვირთულ, წელში მოხრილ ოფიცერს ღამის ქარი სახეში ურტყამს და მხრებზე მოხვეულ აბრეშუმის თეთრ შარფს უფრიალებს. ის შესაშური სისწრაფით მიექანება განადგურებისაკენ, მაგრამ სამრეკლოს მოელვარე ზარი უფრო გასაოცარი სისწრაფითა და სიმსუბუქით რეკს...

ეს ყველაფერი ჩემთვის უცხო იყო. არც ფული მქონდა, არც შესაძლებლობა და არც შინაგანი თავისუფლება, რომ მსგავსი რამ ჩამედინა. მაგრამ, როცა კი სხვები „ახალ ეპოქას“ ახსენებდნენ, მე ჩემი გადაწყვეტილება მახსენდებოდა. ჩვიდმეტი წლის ბიჭს მტკიცე გადაწყვეტილება მქონდა მიღებული, თუმცა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი და უფორმო. ვფიქრობდი, თუ კაცობრიობა ცხოვრებითა და საქციელით ბოროტებას ელტვის, მაშინ მეც ავიღებ და ჩემი სამყაროს ცოდვილ ჭაობში ღრმად ჩავიძირები-მეთქი!

თავდაპირველად ჩემი ბოროტი ზრახვები უბრალო გეგმას არ სცდებოდა – მომეპოვებინა უხუცესის ნდობა, რათა ოქროს ტაძარი ჩემი გამხდარიყო. ხან კი სულელური ოცნება მეწვეოდა ხოლმე,

სადაც წინამძღვარ დოსენს ვწამლავდი და ტაძარს ხელში ვიგდებდი. ეს გეგმები სინდისს მიმშვიდებდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დავრწმუნდი, რომ ცურუკავას იგივე ზრახვები არ ამოძრავებდა.

– შენ, როგორც ჩანს, არც რამე გაწუხებს და არც იმედები გაქვს საკუთარ მომავალთან დაკავშირებით, არა? – ვკითხე მას.

– არაფერიც არ მაღელვებს. და რომ მაღელვებდეს, განა მაგით რა შეიცვლება?

ამ პასუხში არც სიბნელე ჩანდა და არც – ქარაფშუტული უდარდელობა. უეცრად გაიელვა და ცურუკავას სახის ერთადერთი დახვეწილი ნაკვთი – მისი წარბი გაანათა. როგორც ჩანს, ჩემი მეგობარი დალაქს წარბებსაც აპარსვინებდა. ისედაც თხელი წარბები კიდევ უფრო დაწვრილებოდა, ბოლოებთან კი გაპარსვის მერე დარჩენილი სილურჯე მოუჩანდა.

შევხედე ამ სილურჯეს და მოუსვენრობამ შემიპყრო. ეს ყმაწვილი, ჩემგან განსხვავებით, სიცოცხლის მწვერვალზე წმინდა ცეცხლით იწვოდა. სანამ არ ჩაიწვებოდა, მანამ მომავალიც არ გამოჩნდებოდა. მომავლის აალებული ფითილი ცივი, გამჭვირვალე ზეთით გაჟღენთილიყო. რაში სჭირდებოდა თავისი სუფთა და უცოდველი მომავლის განჭვრეტა? თუ იქ მართლაც სისუფთავისა და უცოდველობის მეტი არაფერი ელოდებოდა...

იმ ღამეს, მას მერე, რაც ცურუკავა თავის ოთახში დაბრუნდა, ზაფხულის მხუთავი სიცხის გამო დიდხანს ვერ მოვხუჭე თვალი. თან მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, აღარასოდეს დამენძრია და ეს გადაწყვეტილებაც არ მაძლევდა მშვიდი ძილის საშუალებას.

დროდადრო ძილში ორგაზმს განვიცდიდი. თუმცა ამაში სექსუალური არც არაფერი იყო. მაგალითად, მესიზმრებოდა შავი ძაღლი, ბნელი ქალაქის ქუჩებში ცეცხლოვანი ქშენით რომ გარბოდა. ძაღლის კისერზე შებმული ეჟვანი განუწყვეტლივ წკრიალებდა, მე უფრო და უფრო ვიღგზნებოდი და როცა წკრიალის ხმა უკიდურესობამდე მიდიოდა, ჩემი აღგზნებაც მწვერვალს აღწევდა და ვათავებდი.

ნძრევისას ჯოჯოხეთურ სურათებს ვხედავდი. თვალწინ უიკოს მკერდი და ბარძაყები მიდგებოდა და საკუთარი თავი პატარა, მახინჯ მწერად წარმომედგინა.

უეცრად წამოვხტი და მცირე წიგნთსაცავის უკანა კარიდან ეზოში გავიპარე.

როკუონჯის ტაძრის უკანა მხარეს, სეკატეის ჩაის დარბაზის აღმოსავლეთით, აღმართულია მთა, რომელსაც ფუდოსანი ეწოდება. მთის ფერდობები მთლიანად წითელი ფიჭვებითაა დაფარული. იმ დროს ფიჭვებს შორის ბამბუკი, დეიციისა და აზალიის ბუჩქები ყვაოდა. ამ მთის ბილიკებს ისე ვიცნობდი, რომ ღამითაც კი შეუფერხებლივ შემეძლო სიარული. მწვერვალიდან ხელისგულივით მოჩანდა კიოტოს ზემო და ცენტრალური ნაწილი, შორს კი – ეიძანისა და დაიმონჯიიამის მთები.

მწვერვალზე ავედი. დამფრთხალ ფრინველთა ფრთების ხმაურში მივიწევდი წინ, გვერდით არ ვიყურებოდი და ხეებს მოხერხებულად ვუქცევდი გვერდს. მთაზე ასვლამ მყისიერი შვება მომგვარა. მწვერვალზე ღამის გრილმა ნიავმა დაუბერა და ოფლით დაცვარულ სხეულზე მომეალერსა.

თვალწინ დაუჯერებელი ხედი გადამეშალა. ღამით შუქის ანთებაზე შეზღუდვა მოხსნილიყო და სადამდეც თვალი წვდებოდა, ყველგან ქალაქის შუქები ციალებდა. ეს ხედი ჩემთვის სასწაულის ტოლფასი იყო – ომის შემდეგ აქ ერთხელაც არ ამოვსულიყავი და არ მენახა ღამის ქალაქი ამ სიმაღლიდან.

შუქები ერთიანობას ქმნიდნენ. ქალაქის ზედაპირზე გაფანტული მოციმციმე წერტილები მანძილის შეგრძნებას მიკარგავდნენ და ერთ უზარმაზარ, გამჭვირვალე კონსტრუქციას მაგონებდნენ, ჩახლართული რქებითა და წანაზარდებით, შუაღამეში რომ აღმართულიყო. აი, მესმის დედაქალაქი! იმპერატორის სასახლის ტყიანი ეზო განათებული არ იყო და უზარმაზარ შავ ქვაბულს მაგონებდა. დროდადრო ეიძანის მთის მხარეს ღამის ცას ელვა ანათებდა.

„აი, ეს არის მიწიერი ყოფიერება, – გავიფიქრე, – ახლა, როცა ომი დამთავრებულია, ადამიანებს ბოროტი ზრახვები უწამლავთ

გონებას. ქალები და კაცები ერთმანეთს სახეებზე აკვირდებიან და თან სდევთ სიკვდილივით საძაგელი ქმედებების სუნი, რომელსაც სულ მალე ყველა იგრძნობს. გულზე მალამოდ დამედება, თუ აღმოჩნდება, რომ ეს მოციალე შუქი ბოროტებისა და პერვერსიის მაცნეა. დაე, გაიფურჩქნოს, გამრავლდეს და გასხივოსნდეს ჩემს გულში ჩაბუდებული ბოროტება! დაე, ჩემ თვალწინ აციალებული ყველა შუქწერტილის დარი გახდეს! დაე, ტოლს არ უდებდეს ჩემი გულის სიბნელე, რომელშიც ბოროტება გახვეულა, იმ სიბნელეს, რომელშიც ქალაქის შუქებია გახვეული!"

***

ოქროს ტაძრის მნახველთა რიცხვი დღითი დღე მატულობდა. უხუცესმა ქალაქის თვითმმართველობას მიმართა და მიაღწია, რომ ტაძარში შესასვლელი ბილეთის ფასი ინფლაციის შესაბამისად გაზრდილიყო.

აქამდე ოქროს ტაძრის სანახავად მოსულთა შორის მხოლოდ სამხედრო ფორმაში, სამუშაო ტანსაცმელში ან ომისდროინდელ უბრალო შარვლებში გამოწყობილ ხალხს თუ შეხვდებოდით, მაგრამ მას მერე, რაც ქალაქში საოკუპაციო ჯარები გამოჩნდნენ, ოქროს ტაძრის გარშემო მიწიერი ყოფიერების მოურიდებლობამ და თავაშვებულობამ დაისადგურა. თუმცა ამ ყველაფერს კეთილი მხარეც აღმოაჩნდა: ტაძარში ჩაის ცერემონიის ტრადიცია აღდგა და ქალებმა დიდი ხნის გადანახული ლამაზ-ლამაზი კიმონოები ამოაძვრინეს სამალავებიდან. ახლა უკვე ჩვენი ბერული ტანსაცმელიც მოგხვდებოდათ თვალში – ასე მეგონა, იმ ჭირვეული ბერების როლს ვთამაშობდით, ადგილობრივი იშვიათი სამოსის სანახავად ჩამოსული ტურისტების თვალის გასახარად, ძველებურ ჩაცმულობას ჯიუტად რომ ინარჩუნებდნენ... განსაკუთრებით კი ეს ამერიკელი სამხედროები!.. მოდიოდნენ, მოურიდებლად მექაჩებოდნენ ბერული ლაბადის სახელოებზე და ხორხოცებდნენ; ან კიდევ, ცოტაოდენ ფულს გვთავაზობდნენ და გვთხოვდნენ, რომ

სამახსოვრო სურათისთვის ბერული სამოსი გვეთხოვებინა. ინგლისურის უცოდინარი გიდების ნაცვლად, მე და ცურუკავას გვაგზავნიდნენ, ჩვენი დამტვრეული ინგლისურით რამე რომ აგვეხსნა სტუმრებისთვის.

ომის შემდეგ პირველი ზამთარი იყო. პარასკევ საღამოს თოვა დაიწყო და შაბათამდე გასტანა. დღისით, სკოლაში ყოფნისას, ერთი სული მქონდა, როდის დავბრუნდებოდი და დათოვლილ ოქროს ტაძარს ვიხილავდი.

თოვა ნაშუადღევსაც გაგრძელდა. ტაძრისკენ მიმავალი ბილიკიდან გადავუხვიე და, იმავე ტანსაცმელში გამოწყობილი, რეზინის ჩექმებიანი და მხარზე ჩანთაგადაკიდებული, პირდაპირ სარკის ტბის ნაპირს მივადექი. ფიფქები საოცარი სისწრაფით ცვიოდა. ბავშვობაში ასე ხშირად ვიქცეოდი ხოლმე და მაშინაც ზემოთ ავიხედე, პირი ფართოდ გავაღე. ფიფქები კბილებზე მედებოდა და ისეთ ხმებს გამოსცემდა, თითქოს თუნუქის თხელ ფურცლებს ატკაცუნებენო. ვგრძნობდი, რომ ფიფქები უხვად ცვიოდა პირის ღრუში და წითელ ხორცზე დნებოდა. თვალწინ წარმომიდგა „მშვენიერების მწვერვალზე“ შემომდგარი ფენიქსის ნისკარტი – გლუვი, ცხელი ნისკარტი ამ ოქროსფერი, მისტიკური ფრინველისა.

თოვლი თავს ბავშვებად გვაგრძნობინებს ხოლმე. მე ჯერ მხოლოდ თვრამეტი წლისა გახლდით. მაშ, რად იქნება ტყუილი, თუ ვიტყვი, რომ იმ წამებში ბავშვურმა აღტყინებამ შემიპყრო?!

თოვლში ჩაფლული ოქროს ტაძრის მშვენიერებას ვერაფერი შეედრებოდა. ღია კონსტრუქცია თავისუფლად უშვებდა შიგნით მონაბერ თოვლს, ხოლო მისი დახვეწილი სვეტები გამომაფხიზლებელი სიშიშვლით აღმართულიყვნენ ჩემ წინაშე.

„ნეტავ რატომ არ ებმის ენა თოვლს?“ – გავიფიქრე. ხანდახან, როცა ფაციის ფოთოლი ფიფქებს წინ ეღობება, ისეც ხდება, რომ თოვლი ბორძიკობს, ერთ ადგილზე ბარბაცებს. თუმცა, როცა ციდან დაუბრკოლებლად, მუსიკასავით თავისუფლად წამოსული თოვლი შევიგრძენი, ჩემი ნაკლოვანებები დამავიწყდა და უფრო მშვიდ, სუფთა, შინაგან რიტმს დავუბრუნდი.

თოვლის წყალობით, ოქროს ტაძრის სამგანზომილებიანი ნაგებობა სურათივით გაბრტყელებულიყო. ფერდობებზე მიმოფანტული ნეკერჩხლები ვერ უძლებდნენ თოვლის სიმძიმეს და ჩვეულებრივზე მეტად მოშიშვლებულიყვნენ. მხოლოდ აქა-იქ ფიჭვებზე იდო მომნუსხველად თეთრი ქულები. ტბის მოყინული ზედაპირიც თოვლით დაფარულიყო, თუმცა, რატომღაც, დაუთოვლელი, მოშიშვლებული ადგილებიც შემორჩენოდა, მათ შორის მოგროვებული ნამქერები კი დეკორატიულ პანოზე გამოსახულ ღრუბლის ნაგლეჯებს წააგავდა. კიუსანჰაკაის კლდისა და ავაჯის კუნძულის დაბალტანიან ფიჭვთა ანარეკლები ნამქერებს შერეოდა და ისე ჩანდა, თითქოს ხეებს უნებურად გაეკვლიათ გზა ყინულისა და თოვლის მდელოებს შორის.

უკაცური ტაძარი, თოვლის ფონზე, ჩაშავებულ, ხის რთულ კონსტრუქციას წააგავდა. მხოლოდ მისი სამი ნაწილის – „მშვენიერების მწვერვალის“, მოქცევის ქვაბულისა და სათევზაო პავილიონის სახურავები ქათქათებდნენ თეთრად. ტაძრის ძველი, გაშავებული ხის კედლები აღმიძრავდა გაუგებარ სურვილს, დამედგინა, ამ კედლებს მიღმა ვინმე ცხოვრობდა თუ არა. სამხრეთული სკოლის სტილში შესრულებული ნახატის ცქერისას სახე ხომ ტილოსთან ახლოს მიგვაქვს ხოლმე, რათა გავიგოთ, თუ რა ხდება მთებს შორის აღმართულ ციხე-სიმაგრეში. თუმცა, რომც მეცადა ტაძართან მიახლოება, სახით აბრეშუმისებურ თოვლის ქულებს შევეჯახებოდი და მეტად ვეღარ შევძლებდი წინ წაწევას.

„მშვენიერების მწვერვალის“ კარი იმ დღესაც ღია იყო და თოვლიან ზეცას შეჰყურებდა. თვალს ვადევნებდი, როგორ დაჰქროდნენ ფიფქები „მშვენიერების მწვერვალის“ ცარიელ სივრცეში, როგორ ჰპოვებდნენ განსასვენებელს კედლის ძველისძველ ოქროს ფურცლებზე და როგორ ქმნიდა ფიფქთა ერთობლიობა პატარა ოქროსფერ ბილიკებს.

კვირას დილით მოხუცმა ექსკურსიამძღოლმა მომიხმო.

ტაძრის გახსნის დრო ჯერ არ დამდგარიყო, მაგრამ შემოსასვლელთან უცხოელი სამხედრო მოსულიყო და შემოშვებას ითხოვდა. მოხუცმა ხელით ანიშნა, რომ დალოდებოდა, და „ინგლისურის

მცოდნეს“ დამიძახა. როგორი გასაოცარიც უნდა იყოს, ინგლისურად ცურუკავაზე უკეთ ვლაპარაკობდი და თან ენაც არ მებმებოდა.

შემოსასვლელთან „ჯიპი“ იყო გაჩერებული. კარიბჭის ბოძზე ხელით დაყრდნობილმა, ღორივით მთვრალმა ამერიკელმა სამხედრომ ზევიდან გადმომხედა და დამცინავად გაიღიმა.

თოვლით გადაპენტილი წინა ეზო თვალისმომჭრელად ლამაზი იყო. ამ მშვენიერების ფონზე, ახალგაზრდა სამხედროს ქონიანი ნაკეცებით დაღარული სახე ჩემს სახეს, თეთრ ამონასუნთქთან ერთად, ვისკის ოხშივარს აფრქვევდა. როგორც არაერთხელ, ამჯერადაც ამაფორიაქა იმის წარმოდგენამ, თუ რა გრძნობები და განცდები შეიძლება ტრიალებდეს იმ ადამიანის გულში, რომელიც ზომით ასე განსხვავდება ჩემგან.

წესად დავიდე, აღარავის შევწინააღმდეგებოდი. ამიტომ ვუთხარი, მართალია, ჯერ ადრეა, მაგრამ მაინც შეგიძღვებით შიგნით-მეთქი, და ბილეთისა და ექსკურსიის საფასური მოვთხოვე. მთვრალმა გოლიათმა, მოულოდნელად, ფული თვინიერად გადაიხადა. მერე „ჯიპთან“ მივიდა და „გადმოდი“ თუ რაღაც ამის მსგავსი დაიძახა.

თოვლი თვალისმომჭრელად ირეკლავდა შუქს და მანქანაში რა ხდებოდა, კარგად არ ჩანდა. გადასაწევი სახურავის ქვეშ რაღაც თეთრი მოძრაობდა, დამწყვდეული თეთრი ბოცვერივით.

„ჯიპის“ კარქვეშა საფეხურზე ვიწრო, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით მოსილი ტერფი გამოჩნდა. გამიკვირდა, რომ ვიღაცას იმ ყინვაში ფეხი შიშველი ჰქონდა. ქალის მკვეთრი ალისფერი მოსასხამი და ასევე ალისფრად შეღებილი ფრჩხილები ნათლად მეტყველებდა, რომ ერთ-ერთი იმ მეძავთაგანი იყო, ამერიკელ სამხედროებს რომ ეტორღიალებოდნენ ხოლმე. მოსასხამის კალთა აუფრიალდა და დავინახე, რომ შიგნით მხოლოდ ხაოიანი ნაჭრის ღამის პერანგი ეცვა. ქალი მთვრალი იყო და თვალებს ძლივს ახელდა. კაცს, ყველაფრის მიუხედავად, ფორმა წესისამებრ ჩაეცვა, ქალს კი ღამის პერანგზე მხოლოდ მოსასხამი მოეცვა და შარფი მოეხვია – როგორც ჩანს, ლოგინიდან ახალი გამომძვრალი უნდა ყოფილიყო.

ქალის სახე თოვლზე არეკლილ შუქში საშინლად ფერმკრთალი ჩანდა. თითქმის უსისხლო სახეზე მეწამული პომადა არაბუნებრივად უპრიალებდა. ფეხი ჩამოდგა თუ არა, ცემინება აუტყდა და ცხვირის თხელ ფუძეზე ძლივს შესამჩნევი ნაოჭები დააჩნდა, მისი მთვრალი თვალები კი წამით გაიყინენ და ისევ ფსკერისკენ ჩაყვინთეს. მერე კაცს სახელი დაუძახა. მის სახელს, „ჯეკს“ იაპონური აქცენტით გამოთქვამდა:

– ჯაკუ! ცუუ ქოორუდო, ცუუ ქოორუდო![9]

ქალის ხმა თოვლზე საცოდავად დაიღვარა. კაცმა არაფერი უპასუხა.

ასეთი ყოფაქცევის ქალი პირველად მეჩვენა ლამაზად, და არა იმიტომ, რომ უიკოს ჰგავდა. პირიქით, ის ყველაფრით განსხვავდებოდა უიკოსაგან, თითქოს მისი სახე მხატვარს დიდი ყურადღებით დაეხატა ისე, რომ არავითარ შემთხვევაში არ დამსგავსებოდა უიკოს. ალბათ ქალის გარეგნობა, მისი სიქორფე და სილამაზე ასე გამომწვევად იმიტომ მეჩვენა, რომ იგი სრულად ეწინააღმდეგებოდა ჩემს მეხსიერებაში ჩარჩენილ უიკოს სახეს. თითქოს მშვენიერების თავდაპირველი განცდის შემდეგ გაჩენილი შეგრძნება გამიცოცხლდა.

თუმცა ერთი რამ უიკოსთან საერთო ჰქონდა: მანაც არ ჩათვალა შეხედვის ღირსად ჩემნაირი ბოგანო – ბინძურ სვიტერსა და რეზინის ჩექმებში გამოწყობილი. მე ხომ ბერის ლაბადაც კი არ მეცვა.

მონასტრის ყველა ბინადარი დილაადრიან გამოვიდა ტურისტებისა და მომლოცველთათვის განკუთვნილი ბილიკის თოვლისგან გასაწმენდად და იმ დროისთვის საქმე უკვე მოთავებული იყო. ბილიკზე დიდი ჯგუფი ვერ გაივლიდა, მაგრამ მაინც საკმარისი ადგილი იყო დატოვებული. ამერიკელ სამხედროსა და მეძავს სწორედ ამ ბილიკით მივუძღვებოდი.

როცა ტბამდე მივედით და თვალწინ ტაძრის ხედი გადაგვეშალა, ამერიკელმა უზარმაზარი ხელები გაასავსავა და, აღტაცე-

---

[9] ჯეკ, ძალიან ცივა. ძალიან ცივა (იაპონური გამოთქმით ნათქვამი ინგლისური ფრაზა).

ბულმა, რაღაც გაუგებარი ამოიღნავლა. მერე ქალი ძლიერად შეანჯღრია. ქალმა წარბები შეკრა და საწყალობლად გაიმეორა:

– ოო, ჯაკუ, ცუუ ქოორუდო!

ამერიკელმა, ეს რა არისო, მკითხა ნაყოფზე, თოვლისგან ჩაზნექილ იაპონური დაფნის ფოთლებზე წითლად რომ კიაფობდა. არ ვიცოდი ინგლისური დასახელება და უბრალოდ ვუპასუხე, აოკიამეთქი. მიუხედავად აღნაგობისა, შეიძლება სულაც მგრძნობიარე, პოეტური სულის ადამიანი იყო, თუმცა მის ნათელ, ცისფერ თვალებში სისასტიკე იგრძნობოდა.

ერთ უცხოურ სიმღერაში ნათქვამია, შავი თვალები ბოროტი და სასტიკიაო. ისე კი, ალბათ ადამიანის ბუნებაა, ყველაფერ უცხოურში სისასტიკე დაინახოს.

მე, ჩვეულებისამებრ, დავიწყე ექსკურსია და სტუმრებს ტაძარში შევუძეხი. საშინლად გალეშილმა სამხედრომ ბარბაცით გაიძრო ფეხსაცმელები და აქეთ-იქით მიყარა. გათოშილი ხელით ამოვიღე ჯიბიდან ინგლისური გზამკვლევი, რომელსაც ასეთ შემთხვევებში ვკითხულობდი ხოლმე. ამერიკელმა ხელი გამოიშვირა, გზამკვლევი ამართვა და ლაზღანდარობა დაიწყო – თან ტექსტს კითხულობდა, ასე რომ, ჩემი გაძღოლა უკვე საჭირო აღარ იყო.

წყლით განწმენდის დარბაზის მოაჯირზე დაყრდნობილი, ტბის მბრწყინავ ზედაპირს შევცქეროდი. ოქროს ტაძრის დარბაზები არასოდეს ყოფილა ასე გამაღიზიანებლად სავსე შუქით.

ვერც შევამჩნიე, როგორ გადაინაცვლა წყვილმა სათევზაო პავილიონისკენ და როგორ დაიწყო კამათი. კამათი თანდათან მძაფრდებოდა და მათი ნათქვამიდან ერთ სიტყვასაც ვერ ვარჩევდი. ქალი ძალიან მკაცრად პასუხობდა, მაგრამ ვერ ვიგებდი, იაპონურად ლაპარაკობდა თუ ინგლისურად. ორივეს დავიწყებოდა ჩემი არსებობა. კამათ-კამათით უკან, წყლით განწმენდის დარბაზში მობრუნდნენ.

ამერიკელი ქალს თავზე დაჰყურებდა და ილანძღებოდა, როდესაც ამ უკანასკნელმა, მოულოდნელად, მთელი ძალით სახეში სილა გააწნა. შემდეგ გაბრუნდა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები სწრაფად ამოიცვა და მომლოცველთა ბილიკით გასასვლელისკენ მოკურცხლა.

ვერ გამეგო, რა ხდებოდა. ოქროს ტაძრიდან გამოვედი და ტბის ნაპირს სირბილით გავუყევი. მაგრამ სანამ ქალს წამოვეწეოდი, გრძელფეხება ამერიკელი უკვე დაწეოდა და მისი ალისფერი მოსასხამის საკინძე მაგრად ჩაებღუჯა.

სამხედრომ თვალი შემავლო და საკინძეს ხელი უცებ გაუშვა. როგორც ჩანს, არაჩვეულებრივი ძალა იმალებოდა მის ხელებში, რადგან ქალი მაშინვე მოწყვეტით დაეცა. ალისფერი მოსასხამის კალთები გაიშალა და თოვლზე მოშიშვლებული, თეთრი ბარძაყები გამოჩნდა. ქალს წამოდგომა არც უცდია. პირდაპირ თვალებში უყურებდა ზიზღით ამერიკელს, მთასავით რომ წამოსდგომოდა თავზე. მექანიკურად ჩავიჩოქე და ვცადე, ქალს წამოდგომაში დავხმარებოდი.

– ეი! – დამიძახა ამერიკელმა.

მივიხედე. ფეხები განზე გაედგა და ჩემ წინ აღმართულიყო. თითით რაღაც მანიშნა და მერე, მოულოდნელად შეცვლილი, დამთბარი ხმით, ინგლისურად მითხრა:

– დააბიჯე. გესმის? მიდი, დააბიჯე!

ვერ გავიგე, რას გულისხმობდა, მაგრამ მის ცისფერ თვალებში ბრძანება იკითხებოდა. ამერიკელის ფართო მხრების უკან დათოვლილი ოქროს ტაძარი ბრწყინავდა და გაპრიალებული ლურჯი ცა გადაჭიმულიყო. მის თვალებში ოდნავაც აღარ იგრძნობოდა სისასტიკე. ნეტავ რატომ მომეჩვენა იმ მზერაში ლირიკული მგრძნობიარობა?

ამერიკელმა მსუქანი ხელი ქეჩოში ჩამავლო და ფეხზე წამომაყენა. მაგრამ მისი ბრძანება თბილად და კეთილად ჟღერდა:

– დააბიჯე. დააბიჯე-მეთქი!

წინააღმდეგობა არ გამიწევია, ისე ავწიე ჩემი რეზინის ჩექმიანი ფეხი. ამერიკელმა მხარზე ხელი დამკრა და ჩემი ფეხი გაზაფხულის ატალახებულ მიწასავით რბილ რაღაცაზე დაეშვა. ეს ქალის მუცელი იყო. ქალმა თვალები დახუჭა და ამოიკვნესა.

– კიდევ დააბიჯე. კიდევ!

მეც ვაბიჯებდი. ის უსიამო შეგრძნება, პირველად დაბიჯებისას რომ დამეუფლა, მეორედ დაბიჯებისას მჩქეფარე სიხარულში გადაიზარდა. ეს ქალის მუცელია, ვფიქრობდი. ესეც მკერდი... ვერც

კი წარმომედგინა, რომ ადამიანის სხეულს ასეთი პირდაპირი, ბურთივით დრეკადი პასუხის დაბრუნება შეეძლო.

– გეყოფა, – მკაფიოდ თქვა ამერიკელმა.

მერე თავაზიანად წამოაყენა ქალი, თოვლი და ტალახი ჩამობერტყა, მხარში ამოუდგა და ისე, რომ ჩემკენ არც მოუხედავს, გასასვლელისკენ წაიყვანა. ქალი ბოლომდე მარიდებდა მზერას.

„ჯიპთან“ რომ მივედით, ამერიკელმა ქალი ჩასვა და, გამოფხიზლებულმა, სერიოზული გამომეტყველებით გადამიხადა მადლობა. უნდოდა, ფული მოეცა, მაგრამ უარი ვუთხარი. მაშინ მანქანიდან ორი კოლოფი ამერიკული სიგარეტი გადმოიღო და მკერდზე მომადო.

თოვლი თვალისმომჭრელად ირეკლავდა შუქს. შესასვლელთან ვიდექი და ლოყები მიხურდა. „ჯიპმა“ თოვლის ბუღი დააყენა და რხევა-რხევით მიეფარა თვალს. მთელი სხეულით აღგზნებული ვიყავი...

როგორც იქნა, აღგზნება ჩამიცხრა და თავში ფარისევლური აზრები მომივიდა. წარმოვიდგინე, როგორ გაიხარებდა თამბაქოს მოყვარული წინამძღვარი, როცა ასეთ ძღვენს მიიღებდა. თან ისე, რომ არაფერი ეცოდინებოდა!

არ იყო საჭირო მისთვის ყველაფრის მოყოლა. მე ხომ დამაძალეს. მე მხოლოდ და მხოლოდ ის გავაკეთე, რაც მიბრძანეს. არც კი ვიცი, რა დამემართებოდა, რომ შევწინააღმდეგებოდი.

დიდ წიგნთსაცავში შევედი და წინამძღვრის ოთახისკენ გავემართე. უხუცესს თავს პარსავდა ერთ-ერთი ბერი, რომელსაც მსგავსი საქმიანობა ეხერხებოდა. მე დილის მზის სხივებით ავსებულ ვერანდაზე ველოდებოდი. ეზოში ნავისებურ ფიჭვზე დაზვინული თოვლი თვალისმომჭრელად ქათქათებდა და ახალთახალ, დაკეცილ აფრას წააგავდა.

სანამ პარსავდნენ, უხუცესს თვალები დახუჭული ჰქონდა და ხელში ქაღალდი ეჭირა, რომელზეც მისი თავიდან ჩამოცვენილი თმა იყრებოდა. პარსვასთან ერთად მისი თავის ცხოველური კონტური უფრო და უფრო იკვეთებოდა. ბერმა პარსვა დაამთავრა და უხუცესს თავზე თბილი ტილო მოახვია. ცოტა ხანში ტილო მოაცალა და ქვეშიდან მოხარშულივით ლაპლაპა თავი გამოჩნდა.

როგორც იქნა, რაღაც ამოვილუღლუღე და ორი კოლოფი „ჩესტერფილდი“ გავუწოდე.

– ოოო, კარგად გარჯილხარ, – თქვა წინამძღვარმა და ცალყბად გაიღიმა. ეს იყო და ეს. შემდეგ კოლოფები დაუდევრად დაყარა მაგიდაზე, სადაც უამრავი საბუთი და წერილი ეწყო.

უკან მდგარმა ბერმა მხრის ზელვა დაუწყო და უხუცესმა ისევ მილულა თვალები.

იქაურობას უნდა გავცლოდი. უკმაყოფილების შეგრძნება შიგნიდან მწვავდა. ჩემი უმსგავსო ბოროტება, მის გამო საჩუქრად მიღებული სიგარეტი და წინამძღვარი, რომელმაც საჩუქარი ისე მიიღო, არც კი იცოდა, რა მოხდა... ამ მოვლენათა ჯაჭვში უფრო მეტი დრამატულობა და ტკივილი უნდა ყოფილიყო. ის, ვინც მოძღვრად იწოდებოდა, ვერაფერს მიხვდა და ამან კიდევ უფრო გამიმძაფრა მის მიმართ აგდებული დამოკიდებულება.

მოულოდნელად, როცა უკვე გასვლას ვაპირებდი, წინამძღვარმა შემაჩერა. როგორც ჩანს, გადაწყვეტილი ჰქონდა, წყალობა მოელო.

– ვფიქრობ, სკოლის დამთავრების შემდეგ ოტანის უნივერსიტეტში გაგგზავნო, – მითხრა მან, – ალბათ მამაშენის სულიც გგულშემატკივრობს. აუცილებლად კარგად უნდა ისწავლო, რომ საუკეთესო ნიშნებით შეხვიდე უნივერსიტეტში.

ეს ამბავი, იქ მყოფი ბერის წყალობით, ელვის უსწრაფესად მოედო მთელ ტაძარს. უხუცესის მხრიდან უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაზე საუბარი შეგირდის მიმართ უდიდესი მოლოდინის გამოხატულება იყო. მრავალჯერ მსმენოდა, რომ ძველად მონაფეები ყოველღამ მიდიოდნენ წინამძღვრის ოთახში მისთვის მხრების დასაზელად, იმ იმედით, რომ ოდესმე ეღირსებოდნენ უნივერსიტეტში გაგზავნას და მხოლოდ ასეულობით ასეთი ღამის შემდეგ აღწევდნენ საწადელს. ცურუკავას, რომელიც საკუთარი ხარჯით აპირებდა სწავლის გაგრძელებას, გულით გაეხარდა, მაგრამ ერთ მონაფეს, რომელმაც ვერ დაიმსახურა უხუცესის წყალობა, იმ დღის მერე ხმა აღარ გაუცია ჩემთვის.

# თავი 4

და აი, შოვას ეპოქის ოცდამეორე წელს, როგორც იქნა, ოტანის უნივერსიტეტის მოსამზადებელ კურსზე ჩავირიცხე. გარედან ალბათ ისე ჩანდა, თითქოს უნივერსიტეტში ტრიუმფით შევედი და წინამძღვრის ურყევი სიყვარულით ვსარგებლობდი, თანატოლებში კი შურის გრძნობას ვაღვიძებდი, მაგრამ სინამდვილეში ამ წარმატებას თან ახლდა ერთი ისეთი ამბავი, რომლის გახსენება დღესაც მზარავს.

ერთი კვირა გასულიყო იმ თოვლიანი დღის შემდეგ, წინამძღვრისგან უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების დაპირება რომ მივიღე. სკოლიდან დაბრუნებული, მოულოდნელად შევეჩეხე მორჩილს, რომელსაც უხუცესის წყალობა არ ერგო და მას მერე ხმას არ მცემდა. მაგრამ ამჯერად, რატომღაც, სიხარულისგან გაბადრული სახით შემომყურებდა. მამასახლისისა და ტაძრის სხვა ბინადრების საქციელშიც რაღაც უცნაურობა შეიმჩნეოდა, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად ყველაფერი უცვლელად შეიძლება მოგჩვენებოდათ.

იმ ღამით ცურუკავას საძინებელში შევედი და შევჩივლე, რომ ადამიანების დამოკიდებულება ჩემ მიმართ შეიცვალა. ცურუკავამ ჯერ თავის მოკატუნება სცადა და მხრები აიჩეჩა, მაგრამ გრძნო-

ბების დამალვა არ ეხერხებოდა და ცოტა ხანში უკვე დამნაშავის გამომეტყველებით შემომცქეროდა.

– მეც მისგან (აქ ცურუკავამ მესამე მორჩილის სახელი თქვა) გავიგე, მაგრამ როცა ეს ამბავი მოხდა, თვითონ სკოლაში იყო და ბევრი არაფერი იცოდა... მოკლედ, სანამ შენ არ იყავი, უცნაური ამბავი დატრიალდა.

გულმა რეჩხი მიყო და ბოლომდე ჩავეკითხე. ცურუკავამ დამაფიცა, რომ არავის ვეტყოდი და მოყოლა დაიწყო. თან თვალებში შემომყურებდა და ცდილობდა, როგორმე ჩემთვის არ ეწყენინებინა.

დღისით ალისფერმოსასხამიანი ქალი მოსულიყო და წინამძღვართან შეხვედრა ეთხოვა – როგორც ჩანდა, ერთ-ერთი იმ მეძავთაგანი იყო, უცხოელებს რომ ემსახურებიან. უხუცესის მაგივრად, მამასახლისი გავიდა, მაგრამ ქალმა გალანძღა და წინამძღვართან შეხვედრა მოითხოვა. ამასობაში, საუბედუროდ, უხუცესმა გამოიარა, შემთხვევით ქალი შენიშნა და შემოსასვლელთან მივიდა. ქალმა მოუთხრო, რომ ერთი კვირის წინ, თოვლიან დილას, ამერიკელ სამხედროსთან ერთად ოქროს ტაძრის დასათვალიერებლად მოსულიყო. დათვალიერების დროს ამერიკელს ქალი მიწაზე დაენარცხებინა, ხოლო ტაძრის ერთ-ერთ მორჩილს, უცხოელის საამებლად, დაგდებული ქალი ჩაეწიხლა. ქალი თურმე ორსულად იყო და იმ დღეს მუცელი მოშლია. ახლა კი ტაძრისგან კომპენსაციას ითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმუქრებოდა, რომ ქვეყანას მოსდებდა როკუონჯის ტაძრის უმსგავსობას.

უხუცესს უსიტყვოდ მიუცია ფული და თავიდან მოუშორებია ის ქალი. კარგად იცოდა, რომ იმ დღეს ექსკურსიამძღოლად მხოლოდ მე გავედი, მაგრამ ჩემი სიბოროტის მოწმე არავინ იყო, ამიტომ ყველას უბრძანა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეეტყობინებინათ ჩემთვის ეს ამბავი. თავად უხუცესმა გადაწყვიტა, ყველაფერზე თვალი დაეხუჭა, მაგრამ მას მერე, რაც ტაძრის ბინადრებმა მამასახლისისგან შეიტყვეს ჩემი მოტანილი სიგარეტების შესახებ, ეჭვიც აღარ ეპარებოდათ ჩემს დანაშაულში.

აცრემლებულმა ცურუკავამ ხელი ხელზე მომკიდა, თავისი გამ-ჭვირვალე თვალებით მომაჩერდა და ბავშვური სიალალით მკითხა:

– მართლა ჩაიდინე ასეთი რამ?

მისმა შეკითხვამ საკუთარი შავბნელი გრძნობების პირისპირ დამაყენა. ნეტავ რატომ დამისვა ასეთი შეკითხვა? ნუთუ მეგობ-რულმა გრძნობებმა აიძულა? ნეტავ თუ ხვდება, რომ ამ შეკითხვის დასმით მისთვის განკუთვნილ როლს გამოეთხოვება? ნეტავ ესმის, რომ ასეთი შეკითხვით გულის სიღრმემდე მღალატობს?

არაერთხელ მითქვამს, რომ ცურუკავა ჩემი ფოტო-ნეგატივის გამჟღავნებული, ნათელი ვარიანტი იყო... თავისი როლის ერთგუ-ლი რომ დარჩენილიყო, მაშინ ასეთი შეკითხვით კუთხეში კი არ უნდა მივემწყვდიე, არამედ ჩემი ბნელი ემოციები უკითხავად უნდა მიეღო და ნათელ გრძნობებად ექცია. ამ შემთხვევაში, ტყუილი – ჭეშმარიტებად, ხოლო ჭეშმარიტება ტყუილად იქცეოდა. ცურუ-კავას რომ არ ეღალატა ჩვეულებისათვის და ჩრდილიანი ადგილი მზიანად ექცია, ღამე დღედ გარდაექმნა, მთვარის შუქი – მზის შუქად, ხოლო ღამის ნესტიანი ხავსი – დღისით მბზინავ ფოთლე-ბად, მაშინ შეიძლება მეც, ჩემეული ენის ბორძიკით, მომენანიებინა ჩადენილი. მაგრამ იმ დროს ასე არ მოიქცა. და ამან ჩემს შავბნელ გრძნობებს უძლეველი ძალა შესძინა...

ორჭოფულად გავიღიმე. ჩაბნელებული ტაძრის ღრმა ღამე, გა-თოშილი მუხლები და ძველი, მსხვილი ბოძები, ჩურჩულით მოსაუბ-რე ორი ყმაწვილის გარშემო რომ აღმართულან...

ჩემი კანკალი ალბათ სიცივის ბრალი უფრო იყო. თუმცა მე-გობრისთვის პირველად ნათქვამი ტყუილით გამოწვეული სიამოვ-ნებაც საკმარისი იყო, რომ მუხლები ამკანკალებოდა.

– არაფერი მსგავსი არ მიქნია.

– მართლა? ესე იგი, იმ ქალმა მოიტყუა? ფუი, საძაგელი! არა-და, მამასახლისმაც კი დაიჯერა!

ცურუკავას არსებაში უსამართლობის განცდა თანდათან ძალას იკრებდა და იქამდეც კი მივიდა, რომ მზად იყო, მეორე დღესვე, ჩემ მაგივრად, უხუცესს თავს დასცხრომოდა და ყველაფერი აეხ-

სნა. იმ წამს გონებაში წინამძღვრის გადაპარსული თავი ამომიტივტივდა, მოხარშულ ბოსტნეულს რომ წააგავდა. ამას მოჰყვა მისი ატმისფერი ლოყები და უეცრად ამ სახის მიმართ დაუოკებელი ზიზღი ვიგრძენი.

ცურუკავას უსამართლობის განცდა ჩემივე ხელით უნდა დამემარხა მიწაში, სანამ გარეთ გადმოხეთქავდა.

– ნუთუ ფიქრობ, რომ უხუცესმა მართლა დაიჯერა, თითქოს ეს ყველაფერი ჩემი ჩადენილი იყოს?

– ჰმმ? – ცურუკავას აზრები აებნა.

– სხვებმა რა სიბინძურეებიც უნდა ილაპარაკონ ჩემ ზურგს უკან, სანამ უხუცესი ამ ყველაფერს ყურადღებას არ აქცევს, მანამდე შემიძლია წყნარად ვიყო. ასე მგონია.

ცურუკავა დავარწმუნე, რომ მისი ახსნა-განმარტებები, პირიქით, ეჭვებს გაუღრმავებდნენ დანარჩენებს. ვუთხარი, რომ წინამძღვარს სჯეროდა ჩემი უდანაშაულობის და ამიტომაც გადაწყვიტა, ყველაფერზე თვალი დაეხუჭა. სანამ ვლაპარაკობდი, ჩემს გულში სიხარულის მარცვალი ჩაითესა და თანდათან ფესვები გაიდგა. ყურებში სიხარულის ხმა მიკიოდა: „არ არსებობს თვითმხილველი! ესე იგი, ვერც ვერავინ დაადასტურებს ჩემს დანაშაულს!“

თუმცა წამითაც არ მჯეროდა, რომ უხუცესმა ჩემი უდანაშაულობა ირწმუნა. პირიქით, მან ყველაზე კარგად იცოდა სიმართლე და ყველაფერზე თვალის დახუჭვის გადაწყვეტილება სწორედაც ადასტურებდა ჩემს ვარაუდს. როცა ის ორი კოლოფი „ჩესტერფილდი“ მივუტანე, შეიძლება ყველაფერს მიხვდა კიდეც. შეიძლება იმიტომ არ შეიმჩნია, რომ გადაწყვიტა, ჩემს მონანიებას დალოდებოდა. თუმცა მარტო ეს არაა საქმე. უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობაც ალბათ ჩემი მონანიების საპირწონე სატყუარად გადმომიგდო. თუ არ მოვინანიებ, მაშინ არაკეთილსინდისიერების სასჯელად სწავლის გაგრძელების საშუალებას მომისპობს, ხოლო თუ მოვინანიებ – და, რა თქმა უნდა, დარწმუნდება ჩემს გულწრფელობაში – მაშინ ალბათ აპირებს, რომ ჩემი მფარველობა გააგრძელოს და უნივერსიტეტში სწავლის საშუალება მომ-

ცეს. რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი მახე უხუცესის იმ გადაწყვეტილებაში იყო, რომ ეს ამბავი ჩემთვის არავითარ შემთხვევაში არ უნდა ემცნოთ. თუ მართლა უდანაშაულო ვიყავი, მაშინ ვერაფერს მივხვდებოდი და ისე გავაგრძელებდი ყოველდღიურ ცხოვრებას. მეორე მხრივ, თუ მართლა ცოდვა მქონდა ჩადენილი და თან ცოტა ჭკუაც გამაჩნდა, შევძლებდი მეთამაშა, თითქოს უდანაშულო ვიყავი და მოსანანიებელიც არაფერი მქონდა. უთუოდ ასეა! უნდა ვითამაშო! ეს საუკეთესო ხერხია, სასჯელის თავიდან აცილების ერთადერთი გზაა. სწორედ ესაა უხუცესის ჩანაფიქრი. სწორედ ამ მახეში უნდა ჩემი გაბმა... ვფიქრობდი და მრისხანებით ვივსებოდი.

ჩემს საქციელსაც ხომ ჰქონდა გამართლება. მე რომ ქალისთვის არ დამებიჯებინა, ის ამერიკელი იარაღს დააძრობდა და ჩემს სიცოცხლეს დაემუქრებოდა. ოკუპანტ არმიას ვერ შეეწინააღმდეგები. მე ხომ ყველაფერი ძალდატანებით გავაკეთე.

მაგრამ რეზინის ჩექმებით აღქმული ქალის მუცელი, ალერსივით სასიამოვნო დრეკადობა, კვნესის ხმები, ახლად გაფურჩქნული ყვავილივით ფაქიზი შეგრძნება იმისა, თუ როგორ ისრისება ნაზი ხორცი, მგრძნობიარე სხეულის ძაგძაგი და ბოლოს, შეგრძნება, რომელიც ქალის სხეულში იშვა და ამოუცნობი ელვის სახით შემოიჭრა ჩემში... ამ ყველაფრის განცდას ვერავინ მაიძულებდა. დღემდე არ დამვიწყებია ის ტკბილი წამი.

უხუცესმა კარგად იცოდა, რაც მაშინ შევიგრძენი – რა სიტკბოებასაც განვიცდიდი!

მას შემდეგ ერთი წელი გალიაში გამოკეტილი ჩიტივით ვცხოვრობდი. დღენიადაგ გისოსები მედგა თვალწინ. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ არ მოვინანიებდი ჩემს საქციელს, მაგრამ ამას სულიერი სიმშვიდე არ მოუტანია.

უცნაურია, მაგრამ ჩემი საქციელი, **რომელიც არც მაშინ** მეჩვენებოდა ცოდვად, ჩემს გონებაში თანდათან შარავანდედით იმოსებოდა; და არა მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც აღმოჩნდა, ქალს მუცელი მოეშალა. ეს საქციელი ჩემს მეხსიერებაში ოქროს მტვრად დაილექა და მუდმივად მაფრქვევდა თვალებში უკეთურ ბრწყინვა-

ლებას. თუნდაც ჩემ მიერ ჩადენილი ბოროტება სულ უმნიშვნელო ყოფილიყო, უნებურად ჩამომიყალიბდა მკაფიო განცდა, რომ ბოროტება ჩავიდინე, და ეს განცდა მბრწყინავი მედალივით იწონებდა თავს ჩემს მკერდში...

რაც შეეხება ჩემს ყოველდღიურობას, სხვა არაფერი დამრჩენოდა – მისაღებ გამოცდებს ველოდებოდი და იმ იმედით ვაკვირდებოდი უხუცესს, რომ როგორმე ამოვიცნობდი მის ზრახვებს. ერთხელაც არ უთქვამს, რომ თავისი პირობის უკან წაღებას აპირებდა, მაგრამ არც იმას მთავაზობდა, რომ მისაღები გამოცდებისთვის მზადება დამეწყო. ოჰ, როგორ ველოდი უხუცესის სიტყვებს – რამე მაინც ეთქვა ჩემთვის! მაგრამ ის უმოწყალოდ დუმდა და ნელი წამებისთვის მწირავდა. მეც – არ ვიცი, შიშისა თუ შეწინააღმდეგების სურვილის გამო – არაფრით არ შემეძლო, კიდევ ერთხელ მეკითხა მისი გეგმების შესახებ. წინამძღვარი, რომელსაც მანამდე, ასე თუ ისე, პატივს ვცემდი და მხოლოდ ხანდახან თუ შევხედავდი ხოლმე კრიტიკული თვალით, თანდათან მხეცურ სახეს იძენდა, ადამიანურობისა აღარაფერი შერჩენოდა. რამდენჯერ ვცადე, აკვიატებული სახე თავიდან მომეშორებინა, მაგრამ მისი არსება მისტიკური ციხე-სიმაგრესავით აღმართულიყო ჩემს გონებაში.

ერთხელ, გვიან შემოდგომაზე, უხუცესი ერთ-ერთ ოჯახში დაკრძალვის ცერემონიის ჩასატარებლად მიიწვიეს. გარდაცვლილის სახლი ორთქლმავლით თითქმის ორი საათის სავალზე იყო. ამიტომაც, წინამძღვარმა წინა საღამოს გამოგვიცხადა, დილის ექვსის ნახევარზე ვაპირებ გასვლასო. მამასახლისიც მას უნდა გაჰყოლოდა. ჩვენ 4 საათზე მოგვიწია ადგომა, რათა მათ გამგზავრებამდე ტაძრის დალაგება და საჭმლის მომზადება მოგვესწრო.

სანამ მამასახლისი წინამძღვარს თავს ევლებოდა, ჩვენ დილის სუტრებს ვკითხულობდით. ბნელი და ცივი ეზოდან სათლის განუწყვეტელი ბრახუნი მოისმოდა. ტაძრის ბინადრები ცდილობდნენ, პირის დაბანა მოესწროთ. ღამის უკუნეთს, შემოდგომით რიჟრაჟის წინ რომ ისადგურებს ხოლმე, დროდადრო უკანა ეზოდან მამლის ყივილი არღვევდა, რომელიც თითქოს სინათლესავით ამსხვრევდა

წყვდიადს. ლაბადის გრძელი სახელოები წამოვიკრიფეთ და სტუმართა დარბაზისკენ გავეშურეთ.

დარბაზის ფართო ტატამი დილის სიცივით გაჟღენთილიყო და ჩვენს ტერფებთან შეხებისას შეშინებულივით კრთოდა. ლამპრების ალი მსუბუქად ირხეოდა. ჩვენ სამმაგი პატივისგების რიტუალი ჩავატარეთ – ჯერ ფეხზე მდგომებმა დავხარეთ თავი, ხოლო შემდეგ, ზარის ხმის გაგონებისას, დავსხედით და კიდევ ერთხელ დავხარეთ თავი, და ეს ყველაფერი სამჯერ გავიმეორეთ.

„დილის გაკვეთილის“ დროს გუნდური გალობის ხმა ყოველთვის გამოცოცხლების შეგრძნებას მანიჭებდა. ეს ხმა დღისითაც ყველაფერზე ძლიერი იყო, მაგრამ განსაკუთრებით ძლევამოსილად ღამღამობით მეჩვენებოდა, როცა უგუნურ ღამეულ ზრახვებს მიფანტავდა. მგალობელთა ხმებიდან თითქოს შავი ჭავლი იფრქვეოდა. ჩემი თავისა ვერაფერი გამეგო, მაგრამ იმის აღქმა, რომ ჩემი ხმა, სხვების ხმებთან ერთად, კაცების ღამეულ ბინძურ აზრებს ფანტავდა, სიმხნევეს მმატებდა უსუსურს.

სანამ „დილის ფაფას“ მოვათავებდით, უხუცესის გამგზავრების დროც დადგა. წესისამებრ, ტაძრის ყოველი ბინადარი მწკრივში უნდა ჩამდგარიყო და წინამძღვარი გაეცილებინა.

ღამეულ წყვდიადს ჯერ პირი არ გაეხსნა. ცა ვარსკვლავებით მოჭედილიყო. მათი შუქი თეთრად ირეკლებოდა ჭიშკრამდე გაჭიმულ, კენჭებით მოკირწყლულ ბილიკზე. მუხის, ფიჭვისა და ქლიავის ხეების უზარმაზარი ჩრდილები მიწახე იწელებოდნენ, ერთმანეთს ერწყმოდნენ და მთელ არემარეს იკავებდნენ. ჩემი გაცვეთილი სვიტერის ნასვრეტებიდან რიჟრაჟის სუსხი მთელ სხეულში აღწევდა.

ყველაფერი უხმოდ ჩატარდა. ჩვენ უსიტყვოდ დავხარეთ თავები. უხუცესის საპასუხო ჟესტი თითქმის შეუმჩნეველი იყო. კენჭებით მოკირწყლულ ბილიკზე წინამძღვრისა და მამასახლისის ხის ფეხსაცმელების კაკუნის ხმა ნელ-ნელა მისუსტდა. ძენ-ბუდისტური ტაძრის წესია, რომ დაელოდო, სანამ უხუცესის ლანდი თვალს მიეფარება.

შორიდან ბერული სამოსის თეთრი სახელოები და თეთრი ტაბები[10] ძლივსღა მოჩანდა. დროდადრო იფიქრებდი, თვალს მიეფარნენო, მაგრამ ისინი მხოლოდ ცოტა ხნით იმალებოდნენ ხეების ჩრდილში და გასცდებოდნენ თუ არა, მათი სამოსის ლანდი ისევ თეთრად იკვეთებოდა. ნაბიჯების ხმის ექო კი თითქოს სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

ფეხმოუცვლელად ვიდექით და მიმავალ ლანდებს თვალს არ ვაცილებდით. მთელმა საუკუნემ განვლო, სანამ მთავარ ჭიშკარში გავიდნენ და თვალსაწიერიდან გაუჩინარდნენ.

იმ წამებში ჩემში უჩვეულო ჟინი დაიბადა, რომელიც ყელში მომდგომოდა და მწვავდა, იმ მნიშვნელოვან სიტყვასავით, გარეთ გამოღწევას რომ ლამობს, მაგრამ წინ ენის ბორძიკი ეღობება. გათავისუფლება მეწადა. იმ წამს დედაჩემის მიერ გულში ჩათესილი უხუცესის მემკვიდრეობის გადაბარების ამბიცია კი არა, უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილიც კი აღარ მქონდა. უბრალოდ, მინდოდა გავქცეოდი იმ ქიმერას, უმძიმეს ტვირთად რომ მაწვა და უსიტყვოდ მიმორჩილებდა.

ვერ ვიტყვი, რომ იმ წამებში ვაჟკაცობა არ მყოფნიდა. და განა რა დიდი ვაჟკაცობა უნდა აღიარებას! ოცი წლის განმავლობაში სიჩუმეში ცხოვრებამ კარგად მასწავლა, რა ფასი უნდა ჰქონოდა აღიარებას. ალბათ იფიქრებთ, რომ ვაზვიადებ, მაგრამ ჩემთვის უხუცესის მდუმარებისთვის წინააღმდეგობის გაწევა და აღიარებისგან თავის შეკავება ერთგვარი ექსპერიმენტი იყო – მინდოდა გამომევლინა, „შესაძლებელია თუ არა ბოროტება“. თუ ბოლომდე არ მოვინანიებდი, მაშინ ბოროტების შესაძლებლობა დამტკიცდებოდა, რა გინდ მცირე ბოროტებაც უნდა ყოფილიყო.

და მაინც, ვუყურებდი, დროდადრო როგორ იმალებოდა ხეების ჩრდილში უხუცესის სახელოებისა და ტაბების სითეთრე, როგორ ინთქმებოდა თანდათან რიჟრაჟისწინა უკუნეთში, და ის ჟინი, ყელის ძირში ცეცხლად რომ მეკიდა, დაუმორჩილებელ ძალად იქ-

[10] ქალამნის ტიპის ფეხსაცმელი – წინდა მყარი ლანჩით.

ცეოდა. მინდოდა, ყველაფერი მეღიარებინა; დავწეოდი უხუცესს, ჩამოვკიდებოდი სახელოებზე და დაწვრილებით მომეყოლა, თუ რა მოხდა იმ თოვლიან დღეს. თუმცა ამ დაუოკებელ ჟინს უხუცესის პატივისცემა არ აძლევდა ძალას – თავად მისი არსება დამსგავსებოდა რაღაც გაურკვეველ, ფიზიკურ ძალას...

მაგრამ იმის გაფიქრებამ, რომ აღიარება ჩემი ცხოვრების პირველ პატარა ბოროტებას გაანადგურებდა, ადგილზე გამაშეშა. თითქოს ვიღაცას ზურგში ხელი ძლიერად ჩაევლო და არ მიშვებდა. უხუცესის ლანდი მთავარ ჭიშკარს გასცდა და ბნელი ცის ქვეშ, განთიადი ჯერ რომ არ შეხებოდა, თვალსაწიერიდან გაქრა.

ყველამ, თითქოს გაათავისუფლესო, ხმაურით დერეფანს მიაშურა. მე დაბნეულად ვიყურებოდი, როცა ცურუკავამ მხარზე ხელი დამკრა. მხარი გამოფხიზლდა. ამ გალეულმა, საბრალო მხარმა ძველი სიამაყე დაიბრუნა.

***

აქამდეც გითხარით, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ჩავირიცხე ოტანის უნივერსიტეტში. აღიარება არ დამჭირვებია. რამდენიმე დღის შემდეგ წინამძღვარმა მე და ცურუკავას გამოგვიცხადა, რომ ყოველდღიური მოვალეობებისაგან გვათავისუფლებდა და სასწრაფოდ უნდა დაგვეწყო მისაღები გამოცდებისთვის მზადება.

უნივერსიტეტში კი ჩავირიცხე, მაგრამ ამით ყველაფერი არ დასრულებულა. უხუცესის გულისხმიერება არაფერზეც არ მეტყველებდა. ჯერ კიდევ ვერ გამეგო, მემკვიდრედ ვის დატოვებას აპირებდა.

ოტანის უნივერსიტეტი! ამ ცხოვრებისეულ გზაჯვარედინზე ცხოვრებაში პირველად ვეცნობოდი იდეებს, რომელთა არჩევაც თავისუფლად შემეძლო.

ოტანის უნივერსიტეტი სათავეს იღებს იმ დროიდან, როცა, თითქმის სამასი წლის წინ, კანბუნის ეპოქის მეხუთე წელს, ჩიკუში კანძეონის ტაძრის საერთო საცხოვრებელი ჰიგაში, ჰონგანის ტაძ-

რის ერთ-ერთ შენობაში გადაიტანეს. ეს შენობა დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა ოტანის მიმდინარეობის ჰონგანის სკოლის მორჩილთა მონასტრად. მაგრამ ტაძრის მეთექვსმეტე წინამძღვრის ეპოქაში ვინმე მორწმუნემ, სოკენ ტაკაგიმ, რომელიც წარმოშობით ნანივიდან იყო, ტაძარს დიდი ქონება შესწირა და კარასუმა-გაშირის ჩრდილოეთით, ამჟამინდელი უნივერსიტეტის ადგილას სასწავლო შენობა ააგო. დაახლოებით თორმეტი ათას შვიდასი ცუბოს[11] ზომის ნაკვეთი, რა თქმა უნდა, დიდი არ იყო უნივერსიტეტისთვის, მაგრამ მის კედლებში ბუდისტური ფილოსოფიის საფუძვლებს ეუფლებოდნენ არა მხოლოდ ოტანის მიმდინარეობის, არამედ ბუდიზმის ყველა სხვა განშტოებისა თუ სექტის ახალგაზრდებიც.

ძველი აგურის ჭიშკარი, რომელიც დასავლეთით აღმართულ ჰიეის მთას გაჰყურებდა, რკინიგზის ქუჩას უნივერსიტეტის ეზოსგან ჰყოფდა. ჭიშკრიდან მთავარ შესასვლელამდე მოხრეშილი სამანქანო გზა მიდიოდა. მთავარი კორპუსი სიძველისაგან ჩაშავებული, წითელი აგურის ნაგებობა იყო. შესასვლელის თავზე სპილენძის კოშკურა აღმართულიყო, რომლის დანიშნულებაც ვერაფრით გამეგო; სამრეკლო ვერ იქნებოდა – ზარი არსად ჩანდა, და ვერც – საათის კოშკურა, რადგან ციფერბლატი არ ჰქონდა. კოშკურაზე დაყენებული თხელი მეხამრიდის ქვეშ კი უფუნქციო ოთხკუთხა ფანჯარა გაეჭრათ, რომლიდანაც ლურჯი ცა იყურებოდა.

მთავარი შესასვლელის გვერდზე უძველესი წმინდა ბოდჰის ხე იდგა – ფიკუსის ის სახეობა, რომლის ქვეშაც გაუტამამ გასხივოსნებას მიაღწია და ბუდად იქცა. მისი დიდებული ფოთლები მზის შუქში ბრინჯაოსფრად კიაფობდნენ. მთავარ კორპუსს, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში უწესრიგოდ ემატებოდა ხის პატარა ნაგებობები. სასწავლო კორპუსში ფეხსაცმლით შესვლა სასტიკად აკრძალული იყო, ამიტომ ნაგებობები ერთმანეთს უთვალავი ვიწრო, ბამბუკის იატაკიანი დერეფნით უკავშირდებოდა. დროთა განმავლობა-

[11] ფართობის საზომი ერთეული ძველ ჩინეთში, კორეასა და იაპონიაში. დაახლოებით 3.30579 კვ/მ.

ში ბამბუკი იმტვრეოდა და ნაპრალებს ახალი ნაჭრებით ფარავდნენ. ახალი ბამბუკი ძველ იატაკზე მეტად თვალშისაცემი იყო და, როცა დერეფნებში დავდიოდით, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩებოდა, თითქოს შუქ-ჩრდილებით მოხატულ მოზაიკაზე დავაბიჯებდით.

როგორც უნივერსიტეტში ახლად ჩარიცხული ნებისმიერი სტუდენტისთვის, ჩემთვისაც ყოველი დღე ახალი შეგრძნებებით იყო სავსე. ამავე დროს გაუგებარი, უთავბოლო აზრები არ მაძლევდნენ მოსვენებას. ცურუკავას გარდა, არავის ვიცნობდი, ამიტომ სხვასთან ვერავისთან ვლაპარაკობდი. თითქოს ცურუკავაც ხვდებოდა: ასე თუ გავაგრძელებდით, ახალ სამყაროში მოხვედრას აზრი დაეკარგებოდა. ამიტომ შესვენებებზე ერთმანეთს ვერიდებოდით და ცალ-ცალკე ვცდილობდით, ახალი მეგობრები გვეპოვა. მაგრამ ჩემნაირ ენაბლუს როგორ ეყოფოდა ვაჟკაცობა! ცურუკავას სამეგობრო წრე უფრო და უფრო იზრდებოდა, მე კი სულ უფრო მარტოსული ვხდებოდი.

უნივერსიტეტის მოსამზადებელ, ერთწლიან კურსზე ათ საგანს ვსწავლობდით: ეთიკას, მშობლიურ ენას, იეროგლიფიკას, ჩინურს, ინგლისურს, ისტორიას, ბუდისტურ კანონიკას, ლოგიკას, მათემატიკასა და ტანვარჯიშს. ლოგიკის გაკვეთილებმა თავიდან საკმაოდ გამაწვალა. ერთ დღეს, ლოგიკის გაკვეთილის შემდეგ, ვაჟკაცობა მოვიკრიბე და გადავწყვიტე, რამდენიმე შეკითხვა დამესვა ერთი სტუდენტისთვის, რომელიც დიდი ხანი იყო, შემჩნეული მყავდა.

ეს სტუდენტი ყოველდღე უკანა ეზოში, ყვავილნართან, განმარტოებული ჭამდა ხოლმე თან წამოღებულ საჭმელს. ეს ჩვეულება რიტუალს უფრო წააგავდა და ამიტომ, არავინ იყო ისეთი, ვინც გაბედავდა მასთან მიახლოებას, მით უმეტეს, რომ მიზანთროპული ქცევა და ჭამის მანერა მეტად უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. მეჩვენებოდა, რომ ისიც ერიდებოდა თანატოლებთან საუბრის გაბმას და მეგობრები არ ჰყავდა.

ვიცოდი, რომ ქაშივაგი ერქვა. ერთი თვალშისაცემი თავისებურება ჰქონდა – ჭეშმარიტად განუმეორებელი სიარული. თითქოს მუდმივად ტალახში დააბიჯებდა; ძლივს ამოიღებდა ცალ ფეხს ტა-

ლახიდან, რომ მეორე უკვე ღრმად იყო ჩაფლული. ამასთან, მთელი სხეული რიტმულად მოძრაობდა და მისი სიარული მეტად უჩვეულო ცეკვას ემსგავსებოდა.

არაფერია უცნაური იმაში, რომ უნივერსიტეტში შესვლისთანავე ქაშივაგი სხვებისგან გამოვარჩიე. მისი ნაკლოვანება მამშვიდებდა – ასეთი სიარული თავიდანვე მივიჩნიე იმის ნიშნად, რომ ისიც იმავე მდგომარეობაში იყო, რომელშიც მე აღმოვჩნდი.

ერთ დღესაც ქაშივაგი, ჩვეულებისამებრ, სამყურას ყვავილებში ჩამჯდარი, სადილს შეექცეოდა. უკანა ეზოში მდებარე ძველი, მორყეული შენობა, რომელშიც კარატესა და მაგიდის ჩოგბურთის დარბაზები იყო განთავსებული, სწორედ იმ მხარეს იყურებოდა შუშებდალეწილი ფანჯრებით, სადაც ქაშივაგი იჯდა. ეზოში რამდენიმე გაქუცული ფიჭვის ხე იდგა. იქვე იყო ცარიელი საყვავილე ტალავერებიც, რომლებსაც ცისფერი საღებავი აძრობოდა და ხელოვნური ყვავილებივით დახვეოდა. გაყოლებაზე კი ბონსაის ჯუჯა ხეების დასარგავად განკუთვნილი რამდენიმესართულიანი თარო, სამშენებლო ნაგვის გორები და ჰიაცინტებისა და ფურისულების ყვავილნარი მოჩანდა.

სამყურას მდელო დასაჯდომად სასიამოვნო ადგილი იყო. ყვავილების ნაზი ფოთლები მზის შუქს ხარბად შთანთქავდნენ. ფოთლების ქვეშ ჩრდილის წვრილ-წვრილი კოპლები გაფანტულიყო, რომლებიც მსუბუქად ლივლივებდნენ მდელოზე. მჯდომარე ქაშივაგი, თავისი მოსიარულე ვერსიისაგან განსხვავებით, ჩვეულებრივი სტუდენტებისაგან არაფრით გამოირჩეოდა. უფრო მეტიც, მუდმივად გაფითრებული სახის ნაკვთებს ერთგვარი უკარება სილამაზეც კი ახასიათებდათ. ხეიბრებსაც ხომ ლამაზმანებივით თამამი, მოურიდებელი სილამაზე გააჩნიათ. ხეიბრებსაც და ლამაზმანებსაც ყელში აქვთ ამოსული, რომ ხალხი მუდმივად მათ უყურებს. თავად მათი არსებობა გულისხმობს იმას, რომ ხალხის მზერა დღენიადაგ თან უნდა სდევდეთ და გასაქანს არ აძლევდეთ, ამიტომ, კუთხეში მიმწყვდეულები, თვალს თვალში მოურიდებლად გიყრიან. იმარჯვებს ის, ვინც თვალს არ აარიდებს. ქაშივაგი საჭმელს შეექ-

ცეოდა და დაბლა იყურებოდა, მაგრამ ვიგრძენი, რომ მისი თვალები გარესამყაროს სწავლობდნენ.

შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მზის სინათლეში გახვეული ქაშივაგი მეტად ამაყი და თვითკმარი სახით იჯდა. ვუყურებდი გაზაფხულის ნათლითა და ყვავილებით გარშემორტყმულ ყმაწვილს და ვხვდებოდი, რამდენად უცხო იყო მისთვის ჩემნაირი მორცხვობა და ყოყმანი. ის თავდაჯერებულობას, მეტიც, თავად არსებობას განასახიერებდა. თავად მზის ნათებასაც კი არ შეუძლია შეაღწიოს ასეთ სქელ კანში.

სადილი, რომელსაც ქაშივაგი ასე უგემურად ღეჭავდა, მართლაც უბადრუკი გახლდათ, მაგრამ არც ჩემი სადილი, სამონასტრო ტრაპეზის ნარჩენებისგან რომ ვიმზადებდი, აღემატებოდა მას რაიმეთი. შოვას ეპოქის ოცდამეორე წელი იდგა და საკმარისი საკვები მხოლოდ შავ ბაზარზე იშოვებოდა.

სადილის კოლოფსა და რვეულებს ხელი დავავლე და მის გვერდით ავიტუზე. ქაშივაგიმ ამომხედა, რადგან ჩემი ჩრდილი მის სადილს დაადგა. წამით თვალი შემავლო, მერე თავი ისევ ჩახარა, საჭმელს მიუბრუნდა და ისეთი მონოტონურობით განაგრძო ღეჭვა, როგორც აბრეშუმის ჭია ხრავს ხოლმე თუთის ფოთოლს.

– შეიძლება? – დავიწყე მე, – ამ გაკვეთილზე რაღაც ვერ გავიგე და შენთვის მინდოდა მეკითხა და...

ენა მებმებოდა, მაგრამ ვცდილობდი, ჩვენი მხარის კილოკავი არ შემერია ლაპარაკში. საერთოდ, რაც უნივერსიტეტში ჩავირიცხე, მხოლოდ ლიტერატურული ენით ვლაპარაკობდი.

– ვერაფერი გავიგე, – მოულოდნელად მაჯახა ქაშივაგიმ, – რაღაც ბურდღუნის მეტი ვერაფერი გამირჩევია...

სახეზე ალმური მომედო. მან საჭმელი ჩხირების ბოლოები გალოკა და ერთი ამოსუნთქვით მომაყარა:

– გგონია, არ ვიცი, რატომაც მომადექი მაინცდამაინც მე? მიძოგუჩი თუ ვიღაცა ხარ, გინდა, რომ ხეიბრებმა მეგობრობა დაიწყოთ, არა? არა, განა რამე მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ ხომ არ გგონია, შენი ენაბლუობა მნიშვნელოვანი იყოს იმასთან შედა-

რებით, მე რაც მჭირს? საკუთარ თავს და, შესაბამისად, საკუთარ ენაბლუობასაც ზედმეტად დიდ მნიშვნელობას ხომ არ ანიჭებ?

შემდგომში, როცა გავიგე, რომ ქაშივაგიც ჩემსავით ძენ-ბუდისტური ოჯახიდან იყო, რომელიც ასევე რინძაის მიმდინარეობას განეკუთვნებოდა, მივხვდი, რომ ამ კითხვა-პასუხში ძენის ბერებისთვის დამახასიათებელი მიდგომა იკითხებოდა, მაგრამ მაინც ვერაფრით მოვიშორე იმ წამებში მიღებული შთაბეჭდილება.

– მიდი, იბლუყუნე, იბლუყუნე! – დამცინავად მომაძახა ქაშივაგიმ, როცა რაღაცის თქმა ვცადე, მაგრამ ორი სიტყვაც ვერ გადავაბი ერთმანეთს. – მიდი, ჰო, როგორც იქნა, ვიღაც ნახე, ვისთანაც შეძლებ, გულდამშვიდებულმა იბლუყუნო! ასე არაა? არა უშავს, ადამიანი ასეა მოწყობილი, ყველა თავისნაირს ეძებს მეგობრად... ეგ იქით იყოს და, შენ ჯერ კიდევ ვაჟიშვილი ხარ, არა?

თავი ისე დავუქნიე, რომ ოდნავაც არ გამიღიმია. ქაშივაგის შეკითხვები ექიმთან საუბარს მაგონებდა – თავს ისე მაგრძნობინებდა, თითქოს სიმართლის თქმა ჩემივე ჯანმრთელობისთვის იყო სასარგებლო.

– ეგრეც ვიცოდი! – გააგრძელა მან. – ჯერ კიდევ ვაჟიშვილი ყოფილხარ! მაგრამ ვაჟიშვილური სილამაზისაც რომ არაფერი გცხია! არც ქალებს მოსწონხარ და არც კაცობა გყოფნის, რომ მეძავებთან წახვიდე – სულ ეგა ხარ. მაგრამ თუ იფიქრე, რომ შენნაირ ვაჟიშვილს დაუმეგობრდებოდი და მე იმიტომ მომადექი, მაშინ ძალიან შემცდარხარ. გინდა მოგიყვე, როგორ დავკარგე ვაჟიშვილობა?

ქაშივაგი ჩემს პასუხს არ დაელოდა და გააგრძელა:

– მე სანომიის ძენ-ბუდისტური ტაძრის ბერის შვილი ვარ. ფეხები დაბადებიდანვე დაგრეხილი მქონდა... ჰმ, ასე აღსარებასავით რომ მოგიყვე ყველაფერს, შეიძლება იფიქრო, რომ იმ საცოდავ ავადმყოფთაგანი ვარ, შესაძლებლობისთანავე ნებისმიერს გულს რომ გადაუშლიან ხოლმე, მაგრამ დამიჯერე, ყველას არ მოვუყვებოდი ასეთ ამბავს. ეს ჩემთვისაც სასირცხვილო გასახსენებელია, თუმცა შენ იმთავითვე გამოგარჩიე, რომ საიდუმლო გამემხილა. ალ-

ბათ იმიტომ, რომ შენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმის ცოდნა, რა გამიკეთებია ცხოვრებაში. ინტუიცია მკარნახობს, ჩემი გამოცდილება შეიძლება საუკეთესო მეგზურად გექცეს... აი, ზუსტად ისე, სექტანტები ან სმის მოძულენი რომ სცნობენ ხოლმე ერთმანეთს.

ჰოდა, იმას გიყვებოდი, რომ ჩემი არსებობა მესირცხვილებოდა. მეგონა, თუ ყველაფერს შევეგუებოდი და საკუთარ თავთან მშვიდობიან თანაარსებობას მოვახერხებდი, მაშინ ეს ჩემი სრული განადგურების პირობა იქნებოდა. ბოღმიანი რომ ვყოფილიყავი, სიძულვილის მიზეზი არ დამელეოდა. ჩემი მშობლები ავიღოთ – ჩემთვის ოპერაცია ბავშვობაშივე უნდა გაეკეთებინათ და ჩემს ნაკლსაც ეშველებოდა, მაგრამ ახლა უკვე გვიანია... თუმცა მშობლები საერთოდ არ მანაღვლებს, თავს არ ვიწუხებ მათი სიძულვილის ზიდვით.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ქალის სიყვარული არასოდეს მეღირსებოდა. ალბათ კარგად იცი, რომ ასეთი რწმენა ბევრად უფრო მსუბუქი ტვირთია, ვიდრე მავანს წარმოუდგენია. და ეს ტვირთი არაფრით არ ეწინააღმდეგება ჩემს გადაწყვეტილებას – არ შევურიგდე საკუთარ არსებობას. აი, დაფიქრდი, თუ დავიჯერებ, რომ შეიძლება ქალს ასეთიც ვუყვარდე, მაშინ გამოდის, რომ რაღაც დონეზე საკუთარი არსებობის პირობებსაც ვეგუები. მივხვდი, რომ თუ ვაჟკაცობა გყოფნის, სწორად შეაფასო სინამდვილე, მაშინ არ შეგეშინდება, ებრძოლო კიდეც ამ შეფასებას. გამოდის, რომ მე უბრალოდ ვარსებობ, მაგრამ ამასთანავე სავსე ვარ იმის განცდით, რომ ვიბრძვი.

ბუნებრივია, თანატოლებისგან განსხვავებით, ჩემნაირ ადამიანს არც ექნებოდა სურვილი, მეძავ ქალებთან გამოთხოვებოდა ყრმობას. ისინი ხომ სიყვარულის გარეშე ეძლევიან კლიენტს. მათთვის სულერთია, კლიენტი მოხუცი იქნება, მათხოვარი, ცალთვალა თუ მომხიბვლელი ყმაწვილი. კეთროვანსაც კი მიუწვებიან, **თუ ვერ**აფერს შეატყობენ. ჩვეულებრივი ადამიანი ასეთ თანასწორობას მშვიდად უყურებს და თავის პირველ ქალში ფულს იხდის. მაგრამ მე ასეთი თანასწორობა არ მეპიტნავებოდა. ვერ გადავიტანდი იმ აზრს, რომ ქალი ვინმე უნაკლო კაცსაც და მეც ერთნაირად მოგვიალერ-

სებდა. ეს ჩემთვის უსაშინლესი თვითგმობის ტოლფასი იქნებოდა. შეპყრობილი ვყავდი შიშს, რომ თუ ჩემს დაგრეხილ ფეხებს თვალს აარიდებდნენ, ყურადღებას არ მიაქცევდნენ, მაშინ თავად მე გავნადგურდებოდი. ალბათ შენც კარგად იცნობ ამ განცდას, არა? ჩემი ნაკლი ყოველმხრივ რომ ყოფილიყო აღიარებული, ამისათვის ბევრად მეტი ძალისხმევა მჭირდებოდა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ადამიანს სჭირდება. ვფიქრობდი, რომ ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ ასე უნდა ყოფილიყო მოწყობილი და არა – სხვანაირად.

უკმაყოფილების შეგრძნება, რომელიც ჩვენსა და დანარჩენ სამყაროს შორის დაპირისპირების ნაპრალს აჩენს, ალბათ მალევე გაქრება, თუკი ჩვენსა და სამყაროს შორის რომელიმე შეძლებს გარდაქმნას. მაგრამ მე საკუთარ გარდაქმნაზე ოცნებაც კი მტანჯავდა. მტანჯავდა იმდენად, რომ თავად ეს ოცნება შევიძულე მთელი არსებით. თუმცა იმ ლოგიკამ, რომ სამყაროს გარდაქმნის შემთხვევაში მე მოვისპობოდი, ხოლო ჩემი გარდაქმნის შემთხვევაში სამყარო არსებობას შეწყვეტდა, პირიქით, ერთგვარი სულიერი სიმშვიდის მსგავსი შეგრძნებაც კი მომგვარა, რადგანაც აზრი, რომ ვერასდროს ველირსებოდი ქალის სიყვარულს, ადვილად შეძლებდა სამყაროსთან მშვიდ თანაარსებობას. და ბოლოს, მახე, რომელსაც ხეიბარი ვერაფრით უვლის ხოლმე გვერდს, თავად დაპირისპირების ნაპრალი კი არ არის, არამედ ამ დაპირისპირების ყოველმხრივი აღიარებაა. და სწორედ ამიტომაა მისი სენი უკურნებელი...

და აი, ერთხელ, სიჭაბუკეში (ამ სიტყვაში ყოველთვის დიდ გულწრფელობას ვდებ ხოლმე) რომ შევდიოდი, ჩემს თავს დაუჯერებელი ამბავი დატრიალდა. ერთ-ერთი შეძლებული მორწმუნის გოგო, რომელსაც კობეს ქალთა სასწავლებელი დაემთავრებინა და განთქმული იყო თავისი სილამაზით, მოულოდნელად სიყვარულში გამომიტყდა. ცოტა ხანს საკუთარ ყურებს ვერ ვუჯერებდი. ჩემი უბედურების წყალობით, ადამიანის ფსიქოლოგია კარგად მქონდა შესწავლილი, ამიტომ არ შევეცადე, მისი სიყვარულის საფუძვლად თანაგრძნობა დამენახა და ადვილად არ უგულებელვყავი ამ ამბის სინამდვილე. კარგად მესმოდა, რომ არც ერთი გოგო არ შემიყ-

ვარებდა მხოლოდ და მხოლოდ თანაგრძნობის გამო. ჩემი ვარაუდით, ამ გოგოს სიყვარულის უკან მისი ზღვარგადასული ღირსების გრძნობა იყო. თავისი ფასის მცოდნე ლამაზმანი არ დაუშვებდა, რომ ვინმე თავდაჯერებული მექალთანის არშიყობას დაჰყოლოდა, არავითარ შემთხვევაში არ დადებდა სასწორზე თავის ღირსებასა და თაყვანისმცემლის თავმოყვარეობას. რაც უფრო, ასე ვთქვათ, „შესაფერისი" იყო თაყვანისმცემელი, მით უფრო მეტ სიძულვილს იწვევდა მასში. საბოლოოდ, მან ზიზღით უარყო ყველა სასიყვარულო ურთიერთობა, რომელშიც რაიმე თანასწორობას ხედავდა (ამაში ის გულწრფელი იყო) და თვალი მე დამადგა.

ჩემი პასუხი ცხადი იყო. გაგეცინება, მაგრამ გოგოს მივუბრუნდი და ვუთხარი, არ მიყვარხარ-მეთქი. განა კი შემეძლო სხვა რამის თქმა?! ეს იყო გულწრფელი პასუხი, მოკლებული ყოველგვარ პირფერობას. მე რომ ამ შესაძლებლობას ჩავჭიდებოდი და პასუხად მომეროშა, მეც მიყვარხარ-მეთქი, მაშინ ალბათ იმდენად სასაცილო გამოვჩნდებოდი, რომ თითქმის ტრაგიკული სანახაობა იქნებოდა. სიცილის მომგვრელი გარეგნობის ადამიანმა კარგად იცის, რომ კომიკურობა შემთხვევით ტრაგიკულ სანახაობაში არ უნდა გადაეზარდოს. მეც კარგად ვიცოდი, რომ თუ ტრაგიკული სანახავი გავხდებოდი, მაშინ ხალხი ვეღარ შეძლებდა ჩემს მშვიდად აღქმას. მე საწყალობლად არ უნდა გამოვჩენილიყავი და ეს სხვების სულიერი სიმშვიდისთვის უფრო იყო მნიშვნელოვანი, ვიდრე ჩემთვის. ამიტომაც, პირდაპირ და გარკვევით ვუთხარი, არ მიყვარხარ-მეთქი.

გოგონა ოდნავაც არ შემცბარა. აიჩემა, გინდა თუ არა, მატყუებო. უნდა გენახა, როგორ ცდილობდა ჩემი სიყვარულის მოპოვებას, თან ისე, რომ როგორმე ჩემი ღირსება არ შეელახა. გოგოსთვის წარმოუდგენელი იყო ისეთი კაცის არსებობა, რომელიც სიყვარულზე უარს ეტყოდა. მისი აზრით, მე, უბრალოდ, თავს ვიტყუებდი. ჰოდა, დაიწყო ჩემი ფსიქოლოგიური ანალიზი და გადაწყვიტა, რომ უკვე დიდი ხანი იყო, მასზე ჭკუას ვკარგავდი. არადა, ძალიან ნათელი გონების პატრონი იყო. თუ წარმოვიდგენთ, რომ მართლა ვუყვარდი, მაშინ გამოდის, რომ კარგად ჰქონია გათავისებული ამოცანის სირ-

თულე – თუ ჩემს ულამაზო სახეს შეაქებდა, მაშინ უთუოდ გავბრაზ-დებოდი; თუ ჩემს დაგრეხილ ფეხებზე რამე კარგს იტყოდა, მაშინ ხომ უფრო მეტად შეურაცხმყოფდა; ხოლო თუ წამოსცდებოდა, რომ ჩემი გარეგნობით კი არა, შინაგანი სამყაროთი იყო მოხიბლული, მა-შინ ხომ სულ მთლად გამოვიდოდი წყობიდან. ეს ყველაფერი კარგად ჰქონდა გათვლილი და, უბრალოდ, მიყვარხარო, მეუბნებოდა. ასე და ამგვარად, თავისებურად გამაანალიზა და გადაწყვიტა, რომ მეც იმავეს ვგრძნობდი, რასაც – თვითონ.

რა თქმა უნდა, ასეთ უსაფუძვლო ლოგიკას ვერაფრით მივი-ღებდი. იმ გოგოს სურვილი სულ უფრო და უფრო მიკარგავდა მოს-ვენებას, მაგრამ ვერაფრით დავუშვებდი, რომ მე და ის ხორციელ ლტოლვას დავეკავშირებინეთ. თუკი მან ყველა ბიჭს შორის ამომარ-ჩია, ესე იგი, მე რაღაც განსაკუთრებული მქონდა – რაღაც ისეთი, რაც სხვას არავის ჰქონდა. ასეთი რამ კი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი დაგრეხილი ფეხები იყო. გამოდის, რომ მას ჩემი ხეიბრობა შეუყვარ-და, ოღონდ ეს საკუთარ თავთანაც კი არასოდეს უღიარებია. ჩემი აზროვნებისთვის ასეთი სიყვარული წარმოუდგენელი იყო. დაგრეხი-ლი ფეხების გარდა, სხვა რამითაც რომ ვყოფილიყავი გამორჩეული, ჩვენს სიყვარულს შანსი ექნებოდა, მაგრამ თუ ვაღიარებდი, რომ ჩემს გამორჩეულობას – ჩემი არსებობის მიზეზს – დაგრეხილი ფე-ხების გარდა, კიდევ სხვა რამეც განაპირობებდა, მაშინ ამას უთუოდ მოჰყვებოდა არა მხოლოდ სხვათა არსებობის მიზეზთა გაცნობიე-რება, არამედ იმის აღიარებაც, რომ ამ სამყაროში ჩვენ – მე და სხვები – ერთმანეთის არსებობას ვავსებდით. არა, ასეთი სიყვარუ-ლი დაუშვებელია! ფიქრი, რომ მას მე ვუყვარდი, მხოლოდ და მხო-ლოდ ილუზია იყო და არც მისი შეყვარება იქნებოდა შესაძლებელი. ამიტომ დღენიადაგ ვუმეორებდი, არ მიყვარხარ-მეთქი.

როგორი გასაოცარიც უნდა იყოს, რაც უფრო მეტად უარვყოფ-დი მის გრძნობებს, მით უფრო ღრმად იძირებოდა თავის ილუზიებ-ში. ბოლოს და ბოლოს, ერთ საღამოს გოგონამ გადაწყვიტა, დამნე-ბებოდა. დამაბრმავებლად ლამაზი სხეული ჰქონდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, არაფერი გამომივიდა.

თუმცა ჩემმა ამ წარმოუდგენელმა ჩაფლავებამ ყველაფერი მარტივად მოაგვარა. როგორც იქნა, მოვახერხე, დამემტკიცებინა, რომ მართლა „არ მიყვარდა“ და გოგოც ჩამომშორდა.

კი, თავი მომეჭრა, მაგრამ ეს განცდა არაფერი იყო იმ სირცხვილთან შედარებით, რომელსაც დაგრეხილი ფეხების გამო ბავშვობიდან ვგრძნობდი. სირცხვილზე მეტად სულ სხვა რამე მაშფოთებდა. კარგად ვიცოდი ჩემი იმპოტენციის მიზეზი. როცა საქმე საქმეზე მიდგა, წარმოვიდგინე, როგორ ეხებოდნენ ჩემი დაგრეხილი ფეხები მის მშვენიერ წვივებს და მყისიერად კაცობა წამერთვა. საფუძველი გამოეცალა ჩემს რწმენას, რომ ქალის სიყვარულს ვერასოდეს ვეღირსებოდი, ამან კი უმოწყალოდ გამიცამტვერა სიმშვიდე.

საქმე ისაა, რომ იმ წამს რაღაც აღტყინებამ მომიცვა – ჩემი ვნების მეშვეობით, უფრო სწორად, ჩემი ვნების დაკმაყოფილების მეშვეობით, მინდოდა, სიყვარულის შეუძლებლობა დამემტკიცებინა, მაგრამ საკუთარმა სხეულმა მიღალატა – სხეულმა ითამაშა ის როლი, რომელიც ჩემი სულისათვის იყო განკუთვნილი. და აი, ისევ წინააღმდეგობას შევეჩეხე. არ შევუშინდები ვულგარულობას და ვიტყვი, რომ მთელი ცხოვრება ვოცნებობდი სიყვარულზე, თუმცა მჯეროდა, რომ არც ერთი ქალი არ მაღირსებდა ამ გრძნობას. საბოლოოდ, სიყვარული ვნებით ჩავანაცვლე და დავწყნარდი. მაგრამ მივხვდი, რომ ვნებაც ჩემი არსებობის პირობების დავიწყებას მოითხოვდა. მოითხოვდა, გავთავისუფლებულიყავი რწმენისაგან, რომ არავინ შემიყვარებდა და ამით მომეშორებინა ეს ერთადერთი წინაღობა, ჩემსა და სიყვარულს შორის რომ აღმართულიყო. მე ვნება უფრო მარტივი და გასაგები რამ მეგონა. რას წარმოვიდგენდი, რომ თურმე ხორციელი ლტოლვაც საკუთარი თავის საოცნებო ფერებში დანახვას საჭიროებდა!

ამ შემთხვევის შემდეგ, მოულოდნელად, ვიქეცი ადამიანად, რომელსაც სულზე მეტად სხეული აინტერესებდა, მაგრამ ხორციელ სურვილებს ვერ ვისრულებდი – მხოლოდ ოცნებაღა დამრჩენოდა. ჩემს ოცნებებში უჩინარი ვიყავი და ვერავინ მხედავდა,

მაგრამ მე ყველას და ყველაფერს ვათვალიერებდი, ქარივით მსუბუქად ვუახლოვდებოდი ჩემი ვნების ობიექტს, თხემით ტერფამდე ვეალერსებოდი და მასში ჩუმად ვაღწევდი... როცა სხეულზე ლაპარაკობენ, შენ ალბათ რაიმე მასიურს, მყარს, გაუმჭვირვალეს წარმოიდგენ, მაგრამ მე ასე არ ვიყავი. იმისათვის, რომ სხეული და ვნება ერთ მთლიანობად შერწყმულიყო, გამჭვირვალე, უჩინარ ნიავად უნდა ვქცეულიყავი.

მაგრამ ჩემი დაგრეხილი ფეხები მყისიერად წინ მეღობებოდნენ. ისინი არაფრით უჩინარდებოდნენ – ფეხებზე მეტად, რაღაც გაუგებარ, გაჯიუტებულ სულებს ჰგავდნენ. რაღაც მყარ „ნივთს“ უფრო მაგონებდნენ, ვიდრე სხეულის ნაწილს.

ადამიანებს ჰგონიათ, თუკი სარკეში არ ჩაიხედეს, საკუთარ თავს ვერ დაინახავენ, მაგრამ ხეიბართათვის ნაკლი სწორედ ის სარკეა, მუდმივად ცხვირწინ რომ უკიდიათ. იძულებული ვიყავი, დღენიადაგ საკუთარი სხეულის ანარეკლისთვის მეყურებინა. დავიწყებითაც ვერ ვივიწყებდი, ამიტომ სამყაროს საწუხარი და სხვა მისთანანი მხოლოდ და მხოლოდ საბავშვო გართობად მეჩვენებოდა. არავითარი საწუხარი არ არსებობს! ჩემი ეს უბადრუკი არსებობაც ისეთივე ცხადი და ნამდვილია, როგორც მზე, დედამიწა, უმშვენიერესი ჩიტუნები თუ მახინჯი ნიანგები. სამყარო კი უდრტვინველია, როგორც საფლავის ქვა!

არავითარი საწუხარი, არავითარი დასაყრდენი – აი, საიდან იღებდა დასაბამს ჩემი ცხოვრების განსაკუთრებულობა. რისთვის ვცხოვრობ? – ეს კითხვა ადამიანებს მოსვენებას არ აძლევს და ბევრი მათგანი თვითმკვლელობამდეც კი მიჰყავს. მე ეს ოდნავაც არ მანაღვლებს. დაგრეხილი ფეხები ჩემი ცხოვრების პირობაცაა, მიზეზიც, მიზანიც, იდეალიც და... ეს თავად ჩემი სიცოცხლეა. ჩემთვის ისიც კი საკმარისზე მეტია, რომ ვარსებობ. განა ამქვეყნიური საწუხარი იმ ქედმაღლური უკმაყოფილების გრძნობიდან არ წარმოიშვება, რომ თითქოს ადამიანი არასაკმარისად არსებობს?

ისე მოხდა, რომ ჩვენს სოფელში ერთ მოხუც ქვრივს დავადგი თვალი. როგორც ამბობდნენ, სამოცის ან მეტის უნდა ყოფილიყო.

ერთხელ, მამამისის გარდაცვალების წლისთავზე, ლოცვების წასაკითხად მასთან მამაჩემის მაგივრად წავედი. ნათესავებიდან არავინ მოსულიყო და ბუდისტური საკურთხევლის წინაშე მხოლოდ მე და ის დედაბერი აღმოვჩნდით. მას მერე, რაც სუტრების კითხვა მოვათავე, გვერდით ოთახში გამიყვანა და ჩაით გამიმასპინძლდა. ზაფხული იყო და ვუთხარი, რომ წყლის გადავლება მინდოდა. ტანსაცმელი გავიძრე. მოხუცი ზურგზე წყალს მასხამდა. როცა შევნიშნე, რომ დაგრეხილ ფეხებზე გულისტკივილით მომჩერებოდა, უეცრად ერთმა ეშმაკურმა აზრმა შემიღიტინა.

ბანაობის შემდეგ, ოთახში რომ მოვბრუნდით, ჯერ ისევ ტანს ვიმშრალებდი, რომ სერიოზული სახით დავიწყე სისულელეების ბოდვა. ვუყვებოდი, რომ როცა დავიბადე, დედას სიზმარში ბუდა გამოეცხადა და აუწყა, რომ თუ მის შვილს ყმაწვილკაცობაში რომელიმე ქალი წრფელი გულით ფეხებზე ეთაყვანებოდა, მაშინ ეს ქალი აუცილებლად დაიმკვიდრებდა სასუფეველს და გარდაცვალების მერე სამოთხეში თავიდან დაიბადებოდა. ღრმად მორწმუნე დედაბერი კრიალოსანს მარცვლავდა და თვალებში შემომციცინებდა. ასე, შიშველი გავიშხლართე იატაკზე, ხელებში კრილოსანი ჩავბღუჯე, მკერდზე დავიდე და იმ სუტრის კითხვა დავიწყე, რომელიც პირველად მომივიდა თავში. თვალები დახუჭული მქონდა, ტუჩები კი ლოცვებს ბუტბუტებდნენ.

ვერც კი წარმოიდგენ, როგორ გამაწვალა სიცილის შეკავებამ. მთელ სხეულს ხარხარი ავსებდა. იმ წამებში თავი თავისუფალი მქონდა ფანტაზიებისაგან. დედაბერი განუწყვეტლივ სუტრებს ბუტბუტებდა და მივხვდი, რომ ჩემს ფეხებზე ლოცულობდა. იმის წარმოდგენამ, რომ ჩემს მახინჯ ფეხებს თაყვანს სცემდნენ, ლამის სიცილისგან სუნთქვა შემიკრა. „დაგრეხილი ფეხები! დაგრეხილი ფეხები!“ – გონებაში მხოლოდ ამ სიტყვებს ვიმეორებდი. ჩემი ფეხების გარდა, არაფრის წარმოდგენა არ შემეძლო – ეს გულისამრევი ფორმა და უკიდურესი სიმახინჯე, ეს არაადამიანური, ზღვარგადასული ფარსი... დედაბერი კი აგრძელებდა ბუტბუტს და დროდადრო ჩემს ფეხებს თავს უკრავდა. მისი გაჩეჩილი თმა ტერ-

ფებზე მიღიტინებდა და სიცილის შეკავება კიდევ უფრო გაუსაძ-ლისი ხდებოდა.

იმ შემთხვევის შემდეგ, უმშვენიერეს ფეხებს რომ შევეხე და კა-ცობა წამერთვა, როგორც ჩანს, ვნების შესახებ მცდარი წარმოდგენა შემექმნა. ამჯერად, ამ გულისამრევი თაყვანისცემის დროს, უეცრად ვიგრძენი, როგორ მომაწვა ვნება. თან ისე, რომ ოდნავაც არ მომიშ-ველებია ფანტაზია! გესმის? ასეთ არანორმალურ გარემოებაში!

უეცრად წამოვხტი და დედაბერი გადავაწვინე. გაკვირვებაც კი ვერ მოვასწარი იმით, რომ ქალს წარბიც არ შეურხევია. მოხუ-ცი ქვრივი გადაწოლილიყო, თვალები დაეხუჭა და განუწყვეტლივ სუტრებს იმეორებდა.

არ დამიჯერებ და დღემდე ცხადად მახსოვს, რომ იმ წამებში მო-ხუცი დიადი თანაგრძნობის შელოცვის პირველ თავს კითხულობდა: „იკი, იკი. შინო, შინო. ორასან. ფურა შარი. ჰაძა ჰაძა. ფურა შაია“.

შენც იცი, ალბათ, ამ სუტრის განმარტება: „გეევედრებით, გე-ევედრებით. გვიწყალობე განწმენდის არსი, რათა სულის მომწამ-ვლელი სამი შხამი – სიხარბე, მრისხანება და სიბრიყვე მოისპოს!“

ჩემ თვალწინ სამოცს გადაცილებული, თვალდახუჭული დედა-ბერი იწვა, მაგრამ მისი მოუვლელი, მზით დამწვარი სახის ყურება არაფერს აკლებდა ჩემს ცხოველურ ვნებას. სწორედ ამ ვნებაში იყო ფარსის უდიდესი გამოვლინება, ჩემს საქციელს უნებურად რომ „იმორჩილებდა“...

თუმცა რაღა უნებურად? განა ჩემი თვალებით არ ვუყურებ-დი ყველაფერს? ჯოჯოხეთის განსაკუთრებულობაც სწორედ ესაა, რომ, უკუნეთის მიუხედავად, მისი ყველა კუნჭული ცხადზე ცხა-დად ჩანს.

მოხუცი ქვრივის ნაოჭებით დაფარულ სახეს არც სილამაზე ემ-ჩნეოდა და არც – სისპეტაკე, მაგრამ მისი სიმახინჯე და სიბერე თითქოს ურყევ დასტურს აძლევდა ჩემს შინაგან მდგომარეობას, სადაც ოცნებებისა და ფანტაზიებისგან აღარაფერი დარჩენილიყო. განა ვინმეს შეუძლია დარწმუნებით თქვას, რომ თუ ლამაზმანს ოცნებებისგან დაუბინდავი თვალებით შეხედავ, ის უცბად მახინჯ

დედაბრად არ გადაიქცევა? ჩემი დაგრეხილი ფეხები და ეს სახე... ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ სინამდვილის თვალებში ჩახედვამ ჩემს ვნებას ცეცხლი შეუნთო. სიცოცხლეში პირველად დავუმეგობრდი საკუთარ ვნებას და მთლიანად მივენდე მას. ერთ რამესაც მივხვდი: შენი ავხორცული სურვილების ობიექტთან მანძილის შემცირებას კი არ უნდა ეცადო, არამედ როგორმე უნდა შეინარჩუნო ეს მანძილი, რათა ობიექტი ყოველთვის ობიექტად რჩებოდეს.

ობიექტის ჭვრეტაში ცუდი არაფერია. ხეიბრებს თავიანთი ლოგიკა აქვთ, რომლის მიხედვითაც ადამიანი, ჯერ ადგილიდანაც რომ არ დაძრულა, უკვე დანიშნულების ადგილას არის მისული. ასეთ ლოგიკას მწუხარება ვერას აკლებს და სწორედ ამან მისცა დასაბამი ეროტიზმის ჩემეულ თეორიას. გამოვიგონე ყალბი ასლი იმისა, რასაც კაცობრიობა ლტოლვას უწოდებს. უჩინმაჩინის მოსასხამი და ქარისებური ვნება აუხდენელ ოცნებად მრჩებოდა. მე ხომ გამოჩენისთანავე უკლებლივ ყველას თვალში ვხვდებოდი. ამ დროს ჩემი ნაკლი და ჩემი ქალი – ორივე სამყაროს მიღმა აღმოჩნდებიან ხოლმე. ნაკლიც და ქალიც ერთნაირი მანძილით მშორდებიან. სწორედ ეს არის სინამდვილე, ხოლო ვნება კი, უბრალოდ, ილუზიაა. ამ ილუზიაში უსასრულოდ ვიძირები და ჩემი სპერმის ნაკადს პირდაპირ იმ სინამდვილისკენ მივმართავ, ასე უღმერთოდ რომ მომჩერებია. ნაკლი და ქალი ვერასოდეს შეერთდებიან, ვერასოდეს ჩაეხვევიან ერთმანეთს, და იქნება ორივე ასე – სამყაროდან გარიყული... ვნება კი უსასრულოდ გაძლიერდება, რადგან იმ უმშვენიერეს წვივებსა და ჩემს დაგრეხილ ფეხებს აღარ უწერიათ შეხება.

ნეტავ გასაგები თუა ჩემი აზრები შენთვის? ალბათ კიდევ უნდა დაგიღეჭო ყველაფერი, არა? მაგრამ იმას კი მაინც მიხვდებოდი, რომ მას მერე დავწყნარდი და ბოლომდე ვირწმუნე „სიყვარულის შეუძლებლობა“. არც საწუხარი და არც **სიყვარული არ არსებობს.** სამყარო სულ ერთ ადგილას დგას და ამავე დროს აღწევს დანიშნულების ადგილს. განა საჭიროა განმარტება, რომ „ჩვენი სამყარო“ იგულისხმება? ასე და ამგვარად, მე შემიძლია ერთი სიტყვით განვსაზღვრო ყველა ის ილუზია, რაც ამ სამყაროში „სიყვარუ-

ლის“ შესახებ გამეფებულა. ეს არის ილუზია, რომელიც ცდილობს, სიყალბე სინამდვილეს მიაბას... საბოლოოდ, კარგად გავითავისე, რომ რწმენა იმისა, თითქოს არავინ არასოდეს შეგიყვარებს, თავად კაცობრიობის არსებობის საფუძველია. ეს არის და ეს, ახლა უკვე იცი, როგორ დავკარგე ვაჟიშვილობა...

ქაშივაგი დადუმდა.

დაძაბული ვუსმენდი და ახლაღა ამოვისუნთქე შვებით. მძიმე შთაბეჭდილებების ტყვეობაში ვიყავი, ტკივილს მანიჭებდა იმ ახალ იდეებთან შეხება, აქამდე რომ არც კი ვიცნობდი. ქაშივაგიმ თხრობა დაასრულა თუ არა, რამდენიმე წამში გაზაფხულის მზემ გამოანათა და სამყურას ფოთლები ააციმციმა. შენობის უკან მდებარე კალათბურთის მოედნიდან მხიარული შეძახილები მოისმა. თითქოს იგივე გაზაფხულის შუადღე იყო, მაგრამ ყველაფერს უკვე სხვანაირი ელფერი დაჰკრავდა.

გაჩუმება არ გამოდიოდა. ვეცადე, რაიმე მეთქვა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, სისულელე მოვროშე:

– და მას მერე მარტოსულად დაიარები, არა?

ქაშივაგიმ ისევ ვერაგულად მოიკატუნა თავი, თითქოს ვერ გაიგო ჩემი ნათქვამი და შეკითხვა გამამეორებინა. თუმცა პასუხი უკვე მეგობრული ტონით დამიბრუნა:

– მარტოსულიო?! ვითომ რატომ უნდა ვიყო მარტოსული... აი, ვიმეგობრებთ და თანდათან შეიტყობ, თუ რა ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში მას შემდეგ.

ამ დროს ზარმა ლექციის დაწყების დრო გვამცნო. მე ასადგომად წამოვიწიე, მაგრამ ქაშივაგიმ სახელოზე ძლიერად დამქაჩა და ისევ მდელოზე დამსვა. უნივერსიტეტშიც სკოლისდროინდელ უნიფორმას ვატარებდი. მხოლოდ ღილები ჰქონდა შეცვლილი, ნაჭერი კი სულ დაძველებულიყო და გაცვეთილიყო. ტანსაცმელი მიჭერდა და დაჩიავებულ ტანს კიდევ უფრო სუსტს მიჩენდა.

– ახლა იეროგლიფიკა გვაქვს, არა? დიდი მოსაწყენი რამეა, ხომ იცი, წამოდი, გავისეირნოთ, – მითხრა ქაშივაგიმ და წამოსადგომად საშინლად დიდი ძალისხმევა დასჭირდა, თითქოს სხეული

დაშალა და თავიდან ააწყოო. მისმა მოძრაობებმა კინოში ნანახი აქლემის წამოდგომა გამახსენა.

ლექცია არასოდეს გამეცდინა, მაგრამ ხელიდან ვერ გავუშვებდი შესაძლებლობას, ქაშივაგის შესახებ მეტი გამეგო. უნივერსიტეტის მთავარი შესასვლელისკენ გავემართეთ.

შესასვლელს რომ მივუახლოვდით, ქაშივაგის ჭეშმარიტად გასაოცარმა სიარულმა ჩემი ყურადღება კიდევ ერთხელ მიიქცია, უფრო მეტად შემძრა და სირცხვილის მსგავსი გრძნობა აღმიძრა. უცნაურია, როგორ შეიძლება დავემძიმებინე ხეიბრის გვერდით სიარულისგან გამოწვეულ ამ ბანალურ გრძნობას...

ქაშივაგიმ ნათლად მიმითითა ჩემი სირცხვილის არსზე და ამავე დროს ცხოვრებისკენ მიბიძგა, ყველა ჩემი დამალული, სამარცხვინო, ბილწი გრძნობა გამოამზეურა და თითქოს ერთგვარი სიახლეც კი შესძინა მათ. ალბათ ამიტომაც იყო, რომ, როცა მოხრეშილი გზა გავიარეთ, წითელი აგურის შესასვლელს გავცდით და ჩვენ თვალწინ გაზაფხულის მზის სხივებში მოლივლივე ჰიეის მთა გამოჩნდა, მომეჩვენა, თითქოს ამ ხედს ცხოვრებაში პირველად ვუყურებდი. თითქოს მთამაც, გარშემო მთვლემარე სხვა უთვალავი საგნის მსგავსად, ახლებური მნიშვნელობა შეიძინა და ისე წარმომიდგა თვალწინ. მწვერვალი მაღლა აჭრილიყო, კალთები კი უკიდეგანოდ იშლებოდა, მუსიკის ექოს უსასრულო ხმოვანებასავით. მთა ქალაქის დაბალ სახურავებს თითქოს თავზე ადგა. მისი ნათელი ფერდობები მეტად ახლოს მოჩანდა, დანარჩენი ნაწილი კი გაზაფხულის იისფერ ფერში ჩამალულიყო.

ოტანის უნივერსიტეტის შესასვლელის წინ გამვლელები და ავტომობილები თითქმის არ ჩანდნენ. კიოტოს მთავარი სადგურიდან კარასუმის დეპომდე გაჭიმულ ლიანდაგზე ხანდახან თუ გაიხრიგინებდა ტრამვაი. გზის მეორე მხარეს, მთავარი შესასვლელის მოპირდაპირედ, უნივერსიტეტის სტადიონის ჭიშკარი აღმართულიყო, ხელმარცხნივ კი ახლადშეფოთლილი გინკგოს ხეივანი შრიალებდა.

– წამოდი, სტადიონზე ვიბოდიალოთ, – მითხრა ქაშივაგიმ და ისე, რომ არც დამლოდებია, ლიანდაგზე გადასასვლელად დაიძრა.

წისქვილის ბორბლის მსგავსი, აგრესიული კონვულსიებით მოძრაობდა თითქმის უმანქანო გზაზე.

უზარმაზარ სტადიონზე ჩვენნაირი მოცლილი სტუდენტები შეკრებილიყვნენ. მოშორებით რამდენიმე მათგანი ბეისბოლის ბურთს ისროდა, აქეთ ხუთი-ექვსი ახალგაზრდა მარათონისთვის ემზადებოდა. ომის დამთავრებიდან ორ წელზე მეტი არაა გასული და უკვე აღარ იციან, ენერგია რაში დახარჯონ-მეთქი, გავიფიქრე და ჩვენი ტაძრის ღარიბული საჭმელი გამახსენდა.

ნახევრად დამპალ სავარჯიშო ძელზე ჩამოვსხედით და დაბნეულები გავცქეროდით მარათონელებს, რომლებიც წრიულ ბილიკზე დარბოდნენ და ხან გვიახლოვდებოდნენ, ხანაც გვშორდებოდნენ. საოცარი შეგრძნება იყო ლექციების პირველად გაცდენა, თითქოს მზით გამთბარი, მსუბუქი ნიავით აშრიალებული ახალი პერანგი მეხებოდა კანზე. მორბენლები მძიმე ქშენით გვიახლოვდებოდნენ, მოძრაობების რიტმზე დაღლილობა ეტყობოდათ. წამიც და უკვე ჩაგვიქროლეს, უკან კი ქვიშის ბუღი მოიტოვეს.

– იდიოტები! – ჩაილაპარაკა ქაშივაგიმ. მის ხმაში ოდნავი შურიც კი არ იგრძნობოდა. – ვითომ რას აკეთებენ ახლა? თავიანთი ჭკუით, ჯანმრთელობაზე ზრუნავენ, მაგრამ ვის რაში ჭირდება მათი ჯანმრთელობისა თუ სიძლიერის დემონსტრირება?! ახლა, სადაც გაიხედავ, ყველგან სპორტია სახალხოდ გამოჭენებული. მართლაც რომ ერის გადაშენების ნიშანია. ხალხს სულ სხვა რამეს უნდა აჩვენებდნენ. მაგალითად, აი... სიკვდილით დასჯას! ნეტავ რატომ არ აჩვენებენ სიკვდილით დასჯას სახალხოდ? – იმეორებდა ოცნებებში წასული ქაშივაგი. – არ გგონია, რომ ომისდროინდელი წესრიგი ძალადობრივი სიკვდილის სახალხო ჩვენებით იყო განპირობებული? ამბობენ, თითქოს სიკვდილით დასჯის სახალხო ჩვენებები იმიტომ გააუქმეს, ადამიანთა გულებში სისასტიკეს თესავსო. რა სისულელეა! იცი, რომ ავიადაბომბვების მერე ყველას, ვისაც გვამები გაჰქონდა, სიკეთე და სათნოება ჰქონდა სახეზე აღბეჭდილი?

აგონიის, სისხლისა და სიკვდილისწინა ამოხრიალების ხილვა ადამიანებს თავმდაბლობისკენ უბიძგებს, სულს უფრო მეტ სი-

ფაქიზეს, ნათელსა და სითბოს სძენს. ადამიანის სისასტიკისა და სიმხეცის მიზეზები ამაში არაა. სასტიკები სწორედ ასეთ დროს ვხდებით, როცა გაზაფხულის ნათელ დღეებში კარგად მოვლილ მდელოზე ვსხედვართ და უდარდელად ვუყურებთ, თუ როგორ თამაშობენ ფოთლებს შორის გამომძვრალი მზის სხივები. არ მეთანხმები?

ამ სამყაროს ყველა კოშმარი, ყველა ისტორიული ბოროტება ასე იბადება. თუმცა დღისით-მზისით სისხლით მოთხვრილი, აგონიაში მყოფი ადამიანის ხილვა კოშმარს ხორცს ასხამს. ამ შემთხვევაში კოშმარი სხვათა საშინელი ტკივილია და მეტი არაფერი. სხვათა შორის, რომ იცოდე, სხვათა ტკივილს ჩვენ ვერ ვგრძნობთ. განა ეს ბედნიერება არაა?!

მაგრამ იმ მომენტში ქაშივაგის სისხლიან დოგმებზე მეტად (თუმცა ამ დოგმატიზმშიც იყო თავისებური მომხიბლაობა), მინდოდა მომესმინა, თუ როგორ წარიმართა მისი ცხოვრება ვაჟიშვილობის დაკარგვის მერე. მე ხომ მისგან თავად „ცხოვრების სწავლა“ მეწადა. როგორღაც სიტყვა ჩავაგდე და შეფარულად ვკითხე, რისი გაგებაც მსურდა.

– რაო? ქალებიო? ჰმმ... – დაიწყო ქაშივაგიმ, – ახლა თავისუფლად ამოვიცნობ ქალს, რომელიც მზადაა, ფეხებდაგრეხილი ხეიბარი შეიყვაროს. ეგეთი ქალებიც არსებობენ. ქალმა შეიძლება მთელი ცხოვრება მალოს და ბოლოს საფლავში წაიღოს თავისი საიდუმლო, სინამდვილეში კი ჩემნაირი ხეიბარი მისი ცხოვრების ერთადერთი მალული სურვილი, ერთადერთი ოცნება იყოს.

ჰოდა, რაც შეეხება ასეთი ქალების ამოცნობის ხერხს, როგორც წესი, ესენი ულამაზესი ქალები არიან, ოდნავ წაწვეტებული ცხვირით და ცივი ნაკვთებით, მხოლოდ ტუჩების ჭრილში შეიმჩნევა თავაშვებულობის მცირე ნიშანი...

ამ დროს, მოულოდნელად, ახალგაზრდა ქალი მოგვიახლოვდა.

ქალი სტადიონზე არ შემოსულა. მის გასწვრივ მიმავალ გზას მიუყვებოდა, რომელსაც მეორე მხრიდან შენობები ესაზღვრებოდა. გზა სტადიონთან შედარებით ორი შიაკუთი[12] დაბლა იყო.

ქალი ესპანურ სტილში ნაგები მდიდრული შენობიდან გამოვიდა. სახლს ორი საკვამური და გისოსებიანი ფანჯრები ჰქონდა. ფართო ორანჟერეის შუშის სახურავი მყიფეს შთაბეჭდილებას ტოვებდა, თუმცა სტადიონის მხარეს აღმართული, მაღალი, რკინის ბადისებრი ღობე, რომელიც უსათუოდ პატრონს უნდა შემოევლო, შენობის დაცულობაზე მეტყველებდა.

მე და ქაშივაგი ამ ღობის მოპირდაპირე მხარეს ვისხედით. ქალის სახეს შევხედე და გაოცებისგან გავშრი. მისი არისტოკრატული ნაკვთები ზუსტად იმეორებდნენ ქაშივაგის მიერ აღწერილ „დაგრეხილფეხება ხეიბართა მოყვარული ქალის“ ნაკვთებს. შემდგომში ეს გაოცება სრულ სისულელედ მომეჩვენა, მაგრამ ქაშივაგი ალბათ დიდი ხანია, იცნობდა და თავის ფანტაზიებშიც ხშირად ხედავდა ამ სახეს.

ქალის მოახლოებას ველოდებოდით. შორს გაზაფხულის მზის სხივებით განათებული ჰიეის მთის მოლურჯო მწვერვალი მოჩან-

[12] იაპონური სიგრძის საზომი ერთეული – დაახლოებით 30 სმ.

და. ქაშივაგის უცნაური მონაყოლის შთაბეჭდილებიდან ჯერ კიდევ ვერ გამოვსულიყავი – რომ თითქოს მისი ნაკლი და მისი ქალი სამყაროსგან განყენებულად არსებობდნენ, ორი დაშორებული ვარსკვლავივით, თვითონ კი ილუზიის სამყაროში უსასრულოდ იძირებოდა და ხორციელ ვნებას ელტვოდა. ამ დროს მზეს ღრუბელი გადაეფარა და ჩვენ გაცრეცილი, მქრქალი ჩრდილის ქვეშ მოვექეცით. მომეჩვენა, რომ სამყარომ წამიერად ილუზორული საბურველი გადაიძრო. ყველაფერი, თავად ჩვენი არსებობაც კი, ნაცრისფერი და უიმედო გახდა. ვიფიქრე, რომ ამ ნამდვილ სამყაროში მხოლოდ შორს აღმართულ ჰიეის მთის მოლურჯო მწვერვალს და მშვიდად მომავალ არისტოკრატ ქალს ედგათ შუქი, მხოლოდ მათი არსებობა იყო ეჭვგარეშე.

ქალი თანდათან გვიახლოვდებოდა, მაგრამ დრო საშინლად იწელებოდა და მის ყოველ ნაბიჯთან ერთად გამვლელთა ნაცრისფერ სახეებსაც ნელ-ნელა სიცხადე ემატებოდა.

– წავედით. როგორც მე გეტყვი, ისე მოიქეცი, – ჩამჩურჩულა ქაშივაგიმ.

ჩემდა უნებურად დავიძარი. ქალის გასწვრივ, იმავე მიმართულებით, ორი შიაკუთი ამაღლებულ ქვის ყორეს მივყვებოდით.

– აქ ჩახტი, – მომაძახა ქაშივაგიმ და თითის წვერი ზურგში მატაკა. მე ქვის ყორეს გადავევლე და გზაზე ჩავხტი. ორი შიაკუ დიდი არაფერი სიმაღლე იყო, მაგრამ ჩემი ხეიბარი მეგობარი საშინელი ხმით დაენარცხა მიწას – ფეხები აებლანდა და ადგილზევე დაეცა.

მისი შავუნიფორმიანი ზურგი მიწაზე უფორმოდ გაიშალა და მომეჩვენა, რომ ჩემ თვალწინ ადამიანი კი არა, უზარმაზარი წუმპე იყო, წვიმის მერე გზებზე რომ რჩება ხოლმე.

ის პირდაპირ ქალის ფეხებთან დაენარცხა და ქალიც შეჩერდა. ჩავიკუზე, რომ ქაშივაგის წამოდგომაში დავხმარებოდი. წამიერად მომეჩვენა, რომ ეს წაწვეტებული, ცივი ცხვირი, ოდნავ მოშვებული ტუჩები და წყლიანი თვალები... მთვარის შუქში მდგარი უიკოსი იყო.

თუმცა მოჩვენება მყისვე გაქრა და ახალგაზრდა ქალი დავინახე, რომელიც ალბათ ოცი წელსა თუ იქნებოდა. ის ზიზღნარევი გამომეტყველებით ცდილობდა ჩვენთვის გვერდის ავლას. ქაშივაგიმ სწრაფად გამოიცნო მისი გადაწყვეტილება.

– გულცივო! ნუთუ გინდა, ასე მიმაგდო და გვერდი ამიარო?! შენი გულისთვის ჩავვარდი ამ დღეში! – უკაცრიელ ქუჩაში ქაშივაგის საშინელი ღრიალის ექო გაისმა.

ქალი აცახცახებული შემობრუნდა. გამომშრალი, თხელი თითის წვერით ფერმკრთალი ლოყა მოისრისა და მკითხა:

– კი მაგრამ, მე რისი გაკეთება შემიძლია?

ქაშივაგის უკვე თავი წამოეწია. ქალს თვალებში მიაჩერდა და მკაფიოდ დაუმარცვლა:

– გინდა თქვა, რომ სახლში არანაირი წამალი არ მოგეპოვება?

ქალი ცოტა ხანს ჩუმად იყო, მერე შებრუნდა და საიდანაც მოვიდა, იმ მიმართულებით გაემართა. მე ქაშივაგი წამოვაყენე. სანამ ფეხზე დადგებოდა, ტანი დამძიმებული ჰქონდა და ყოველ მოძრაობაზე ტკივილისგან სუნთქვა ეკვრებოდა, მაგრამ წამოვაყენე და მხარი შევაშველე თუ არა, მოულოდნელად, გასაოცრად მსუბუქად ამოძრავდა...

კარასუმის დეპოს წინ მდებარე გაჩერებამდე ვირბინე და პირველივე ტრამვაის შევახტი. როცა ტრამვაი ოქროს ტაძრის მიმართულებით დაიძრა, მაშინღა მოვიბრუნე სული. ხელისგულები ოფლით მქონდა დაცვარული.

საქმე ისაა, რომ მას მერე, რაც ქაშივაგი იმ ესპანური სახლის ჭიშკრამდე მივიყვანე, ენით აღუწერელმა შიშმა ამიტანა. გავჩერდი, ამხანაგი გოგოს შევატოვე და უკანმოუხედავად მოვკურცხლე. უნივერსიტეტში შერბენაც კი არ მიფიქრია. უკაცრიელ ქუჩაზე მივქროდი, აფთიაქების, ტკბილეულისა და ელექტროტექნიკის მაღაზიების რიგებს შორის. მახსოვს, რომ თვალის კუთხით იისფერი და ალისფერი საგნები დავლანდე. ეს ალბათ კოტოკუს ეკლესიის შავი კედლის ფონზე აკიაფებული ქაღალდის ფანრები და ჭიშკარზე დაკიდული იისფერი ფარდები იყო, ამ ეკლესიისავე სიმბოლოთი – ქლიავის ყვავილით.

წარმოდგენა არ მქონდა, საით მივიჩქაროდი. მაგრამ როცა დავინახე, რომ ტრამვაიმ მურასაკინოს დასახლებას ჩაუარა, მივხვდი, რომ გულს, რომელიც ამოვარდნას მქონდა, უნებურად ოქროს ტაძრისკენ წავუყვანივარ.

სამუშაო დღე იყო, მაგრამ ტურისტული სეზონის გამო ტაძარი მაინც დამთვალიერებელთა ჯგუფებით იყო სავსე. მოხუცმა ექსკურსიამძღოლმა ეჭვიანი მზერა გამომაყოლა, როცა დაინახა, როგორ მივარღვევდი ბრბოს და გამალებული მივიწევდი ტაძრისკენ.

ამგვარად, მტვრის ბუღისა და მახინჯი ბრბოს გარემოცვაში, გაზაფხულის მზით განათებული ოქროს ტაძრის წინაშე აღმოვჩნდი. მომეჩვენა, თითქოს ექსკურსიამძღოლის ხმამაღალ შეძახილებში ტაძარი ცდილობდა, თავი მოეკატუნებინა და მნახველთათვის თავისი სილამაზის ნახევარი დაემალა. მხოლოდ ტბის ზედაპირზე გაჩენილი მისი ანარეკლი იყო ნათელი და მკაფიო. თუ კარგად დააკვირდებოდით, მტვრის ბუღი წმინდა გადმოსვლის ნახატზე გამოსახულ ოქროსფერ ღრუბელს მოგაგონებდათ, ამიდას გადმოსვლის მომლოდინე ბოდჰისატვებს რომ გარს არტყია, მტვრის ღრუბლებით გარშემორტყმული ოქროს ტაძარი კი – ძველ, ფერგადასულ ნახატს. მომეჩვენა, თითქოს ირგვლივ გამეფებული არეულობა და ხმაური ტაძრის ნატიფ სვეტებში შთაინთქმებოდა და შემდეგ, „მშვენიერების მწვერვალისა“ და ოქროს ფენიქსის გავლით, მოთეთრო ცაში იკარგებოდა, და არაფერი უცნაური ამაში არ იყო. მხოლოდ მისი არსებობაც კი განაპირობებდა, რომ ის აქაურობის მეუფედ ქცეულიყო და ყველაფერი წესრიგში მოეყვანა. რაც უფრო აუტანელი ხდებოდა ირგვლივ დასადგურებული აურზაური, მით უფრო ცხადი იყო ტაძრის გავლენა. ამ ასიმეტრიულ, ფაქიზ შენობას, დასავლეთიდან მოშენებული სათევზაო პავილიონითა და დახვეწილად აზიდული „მშვენიერების მწვერვალით“, ისეთი საფილტრაციო დანადგარის ეფექტი ჰქონდა, ტალახიან წყალს ანკარა წყაროს წყლად რომ აქცევს. ტაძარი თითქოს არც უარყოფდა ადამიანთა ნაჩურჩულებს – ბოძებს შორის ისრუტავდა და მშვიდ, ნათელ ფორმებად გარდაქმნიდა. მას მიწის ზედაპირზეც ისეთივე

უდრტვინველობისთვის მიეღწია, როგორი უდრტვინველიც ტბის ზედაპირზე არეკლილი მისი მოლივლივე ლანდი იყო.

სული დამიწყნარდა და ნელ-ნელა შიშიც გამიქრა. ჩემს წარმოდგენაში სილამაზე მხოლოდ ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს სილამაზე ცხოვრებისგან მწყვეტდა, მისგან მიცავდა.

– თუ მეც ქაშივაგისნაირი ცხოვრება მემუქრება, მაშინ გევედრები, როგორმე დამიცავი. ამის ატანას ვერაფრით შევძლებ, – თითქმის ლოცვასავით აღმომხდა.

ქაშივაგის მიერ ჩემ თვალწინ გათამაშებულ სპექტაკლში და მის ნაამბობში მხოლოდ ერთი დაფარული აზრი შეიძლებოდა ყოფილიყო: სიცოცხლე და განადგურება ერთია! თუ ცხოვრება მოკლებულია ბუნებრიობასაც და ოქროს ტაძრის მაგვარ სილამაზესაც, მაშ, ეს ცხოვრება კი არა, უბრალოდ, ტკივილით გამოწვეული კონვულსიებია. და მე სწორედაც ეს მხიბლავდა, რომ აქეთ მიმიწევდა გული, თუმცა ჯერ ცხოვრების ბასრ ნამსხვრევებზე ხელები უნდა დამსისხლიანებოდა და ეს მაშინებდა. ქაშივაგის ინტელექტი და ინსტინქტი ერთნაირად სძულდა. ამ ბიჭის არსებობა უცნაური ფორმის ბურთს მაგონებდა, უსასრულოდ რომ გორავს და ცდილობს, სინამდვილის კედელი გაარღვიოს. თუმცა მას ხელიც არ გაუნძრევია ამისათვის. ესე იგი, ცხოვრება, რომელზეც ის შეფარვით მიამბობდა, მხოლოდ საშიში ფარსი იყო; მთავაზობდა, დაგვემსხვრია სინამდვილე, ამოუცნობი ნიღბით მოსილი რომ გვასულელებდა, და გაგვეწმინდა ამ სინამდვილის ყოველი კუნჭული, რათა აღარასდროს შემოსილიყო ამოუცნობი საფარველით.

ამას მოგვიანებით მივხვდი, როცა მის ოთახში პოსტერს მოვკარი თვალი. ეს იყო მოგზაურთა ასოციაციის მიერ გამოცემული იაპონიის ალპების ლითოგრაფია, სადაც ცისფერ ფონზე აღმართულ თეთრ მწვერვალებს კვეთდა წარწერა: „გეპატიჟებით ამოუცნობ სამყაროში!“ ქაშივაგის ეს წარწერა და თეთრი მწვერვალები შხამიანი წითელი ფერის საღებავით გადაეხაზა და ჩვეული „მოცეკვავე“ კალიგრაფიით, მისსავე სიარულს რომ მაგონებდა, გვერდით მიეწერა: „მძულს ყველაფერი ამოუცნობი!“

მეორე დღეს, უნივერსიტეტში, ქაშივაგიზე ფიქრი არ მტოვებდა. უკანმოუხედავად რომ მოვკურცხლე, სწორედაც მეგობრულ საქციელად მიმაჩნდა, ასე რომ, მაინცდამაინც დიდ პასუხისმგებლობას არ ვგრძნობდი, მაგრამ ვწუხდი, ლექციები არ გააცდინოს-მეთქი. თუმცა ლექციის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ქაშივაგი მხრების ჩვეული არაბუნებრივი შეთამაშებით შემოვიდა ოთახში.

დასვენებაზე მკლავში ვეცი. ჩემი ასეთი ხალისიანი საქციელი მეტად უჩვეულო იყო. ცალყბად გამიცინა და დერეფანში გამომყვა.

– ძალიან ხომ არ დაშავდი?

– დავშავდიო?! – ქაშივაგიმ დამცინავად შემომხედა. – როდის უნდა დავშავებულიყავი? საიდან მოგელანდა, რომ დავშავდი?

გაოცებისგან ხმა ვერ ამოვიღე. ცოტა კიდევ მაწვალა და ბოლოს საიდუმლო გამიმჟღავნა:

– ეს ყველაფერი ჩემი დადგმული სპექტაკლი იყო. იმ ადგილას არაერთხელ გამივლია რეპეტიცია. ისე შემიძლია გავაზვიადო, რომ ნებისმიერს დავაჯერო, თითქოს ფეხი მქონდეს მოტეხილი. მართალია, ის ველარ გავთვალე, რომ გოგო ცხვირს აიბზუებდა და გვერდის ავლას ეცდებოდა, მაგრამ ნახე, უკვე შეყვარებულია ჩემზე. ბოდიში, შემეშალა, ჩემზე კი არა, ჩემს დაგრეხილ ფეხებზეა შეყვარებული. თავისი ხელებით მიზელდა ფეხებს იოდით, აბა!

ქაშივაგიმ შარვლის ტოტი აიწია და იოდისგან შეყვითლებული წვივი დამანახა.

მომეჩვენა, რომ ჩანაფიქრს მივუხვდი. რა თქმა უნდა, მთელი ეს სპექტაკლი ქალის ყურადღების მისაპყრობად გაითამაშა, მაგრამ მაინც ეჭვი მღრღნიდა: იქნებ ფეხის ტრავმა იმისთვის მოიგონა, რომ უბრალოდ თავისი ხეიბრობის შენიღბვა უნდოდა? თუმცა ამ ეჭვს არ შეუცვლია მისადმი ჩემი დამოკიდებულება, პირიქით, უფრო მეტი სიახლოვეც კი ვიგრძენი. ამას ერთოდა ჩემი ახალგაზრდული, გულუბრყვილო შეხედულებაც, რომ რაც უფრო მეტი სიყალბე და თამაში იყო ქაშივაგის ფილოსოფიაში, მით უფრო ნამდვილი იყო ცხოვრებისადმი მისი დამოკიდებულება.

ცურუკავას თვალში არ მოსდიოდა ჩემი და ქაშივაგის ურთიერთობა. მეგობრული გულწრფელობით მაფრთხილებდა, მე კი მისი რჩევები მაღიზიანებდა. ერთხელ შევუღრინე კიდეც. ვუთხარი, ეს შენ გაქვს ფუფუნება, სამეგობროდ საუკეთესოები ამოირჩიო, ქაშივაგი კი ჩემნაირთან სამეგობროდაა ზედგამოჭრილი-მეთქი. რომ იცოდეთ, რა ენით აღუწერელი სევდა გაუკრთა თვალებში და რა მწარედ ვნანობდი მერე ამ სიტყვებს.

***

მაისში ქაშივაგიმ არაშის მთაზე ექსკურსია დაგეგმა. შემომთავაზა, სკოლა გაგვეცდინა და შუა კვირაში წავსულიყავით, რადგან გამოსასვლელ დღეებში იქაურობა ხალხით იყო ხოლმე გადატენილი. ჩვეულებისამებრ, ერთი პირობაც დაურთო: თუ ცა მოწმენდილი იქნებოდა, წასვლას გადავდებდით და მხოლოდ ღრუბლიან ამინდში გავემგზავრებოდით. ის ახალგაზრდა ქალი უნდა წამოეყვანა ესპანური სახლიდან, ჩემთვის კი მეზობელი გოგონას წამოყვანა იკისრა.

მოვილაპარაკეთ, რომ კიტანოს სადგურზე შევიკრიბებოდით. საბედნიეროდ, იმ დღეს მაისისთვის მეტად უჩვეულო, ღრუბლიანი, უჟმური ამინდი იყო.

გამიმართლა, რომ ცურუკავა, რაღაც ოჯახური საქმეების გამო, ერთი კვირით ტოკიოში გამგზავრებულიყო. რა თქმა უნდა, არ მეშინოდა, რომ დამაბეზღებდა, მაგრამ დილით უნივერსიტეტისკენ მიმავალ გზაზე მაინც მომიწევდა ტყუილის მოგონება და თავის დაძვრენა.

ჰოო... მწარედ მახსენდება იმდღევანდელი ჩვენი ექსკურსია. ახალგაზრდები ვიყავით და იმ დღესაც ყველაფერს ახალგაზრდობის თანამდევი უღიმღამობის, გაღიზიანების, მოუსვენრობისა და სიცარიელის ელფერი ედო. ქაშივაგიმ უთუოდ წინასწარ განჭვრიტა ეს და ალბათ ამიტომაც აირჩია უჟმური ამინდი.

იმ დღეს სამხრეთ-დასავლეთის ქარი ქროდა. თითქოს უნდა გაძლიერებულიყო, რომ უეცრად ჩადგებოდა ხოლმე და მხოლოდ მოუს-

ვენარი ნიავი ახმაურებდა არემარეს. ცა მოქუფრული იყო, თუმცა ღრუბლების მიღმა მზე მაინც გაირჩეოდა. ერთ ადგილას ღრუბლები თეთრად იყო განათებული და ადვილად მიხვდებოდი, რომ მათ უკან მზე იმალებოდა, ისევე როგორც კიმონოს ფენების მიღმა ამოიცნობა ხოლმე ქალის თეთრი მკერდი. მაგრამ ეს თეთრი ნათებაც მალევე დნებოდა და ღრუბლების ერთგვაროვან რუხ ფერში იკარგებოდა.

ქაშივაგის დანაპირები ტყუილი არ აღმოჩნდა. ის მართლა ორ ახალგაზრდა ქალთან ერთად მოვიდა სადგურის შესასვლელთან. ერთ-ერთში ის ქალი ამოვიცანი, წაწვეტებული, ცივი ცხვირით და მოშვებული ტუჩებით. იმპორტული ნაჭრისგან შეკერილ უნიფორმაზე წყლის მათარა ჰქონდა გადაკიდებული. მის ფონზე ქაშივაგის ჩასუქებული მეზობელი გოგოს ტანსაცმელიცა და გარეგნობაც უბადრუკად გამოიყურებოდა. მხოლოდ მის პატარა ნიკაპსა და მოკუმულ ტუჩებს ჰქონდათ ქალური მომხიბვლელობა.

საექსკურსიო განწყობა მთისკენ მიმავალ გზაზე, მატარებელშივე გაგვიფუჭდა. კარგად არ მესმოდა – რატომ, მაგრამ ქაშივაგი მთელი გზა რაღაცაზე ეჩხუბებოდა იმ ლამაზმანს. ქალმა რამდენჯერმე ტუჩზე იკბინა, აშკარად ცდილობდა, როგორმე ცრემლები შეეკავებინა. ჩასუქებული გოგო კი უდარდელი სახით ღიღინებდა რომელიღაც პოპულარულ მელოდიას. უეცრად მომიტრიალდა და ამბის მოყოლა დამიწყო:

– ჩვენს მეზობლად ერთი ლამაზი ქალი ცხოვრობს. იკებანის ოსტატია. ჰოდა, ამასწინათ ამ ქალმა ერთი გულისამაჩუყებელი, რომანტიკული ამბავი მომიყვა. თურმე ომის დროს შეყვარებული ჰყოლია – სახმელეთო ჯარების ოფიცერი. როცა ბიჭი ფრონტზე გაიწვიეს, წყვილმა გადაწყვიტა, გამომშვიდობების ცერემონია ნანძენჯის ტაძარში ჩაეტარებინა. მშობლები ქორწინების წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ ქალი მაინც დაორსულებულა. ოფიცრის გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე მკვდრადშობილი ეყოლა საცოდავს. ბიჭი თურმე დარდისგან აღარ იყო და გამომშვიდობებისას ქალისთვის უთხოვია, ბავშვი თუ არ მეღირსა, შენი რძე მაინც დამალევინეო. იმასაც ბევრი არ უფიქრია, იქვე, მწვანე ჩაიში ჩაუწურავს

მკერდიდან რძე და შეყვარებულისთვის დაულევინებია. მას მერე ერთი თვეც არ იყო გასული, რომ ოფიცერი ომში დაიღუპა. ქალი დღემდე მისი ხსოვნის ერთგულია და მარტო ცხოვრობს. არადა, ახლაც ისეთი ახალგაზრდა და ლამაზია...

ყურებს ვერ ვუჯერებდი. გადავწყვიტე, არ მომეყოლა გოგოსთვის ჩემი ამბავი. თუ მოვუყვებოდი, მაშინ ჩემი ახლანდელი გაოცებით მაშინდელი აღფრთოვანების იდუმალებას ვუღალატებდი, ხოლო თუ დავდუმდებოდი, მაშინ იმდროინდელ შეგრძნებებს იდუმალების კიდევ ერთი ფენა გადაეკვრებოდა.

მატარებელი ნარუტაკეს ბამბუკის ტევრის გასწვრივ მიჰქროდა. მაისი იდგა და ბამბუკის ფოთლებს ყვითელი ფერი შეჰპაროდა. ქარი კენწეროებს აშრიალებდა და ჩამოცვენილ ფოთლებს ღეროებს შორის აგროვებდა. ფესვებს კი, როგორც ჩანს, ქარი არ ადარდებდათ, უსასრულოდ გადაეხლართათ თავიანთი მძლავრი მყესები და უდრტვინველად ისხდნენ მიწაში. მხოლოდ მატარებლის გრიალი არხევდა რკინიგზასთან ახლოს მდგარ ბამბუკებს. მათგან ერთი მომწვანო ფერის, ახალგაზრდა ბამბუკის ღერო გამოირჩეოდა. მეხსიერებაში ჩამრჩა მისი უცნაური მოძრაობები – თითქოს ტკივილისგან იტანჯებაო. მერე თანდათან დაგვშორდა და თვალსაწიერიდან გაუჩინარდა...

როცა არაშის მთას მივაღწიეთ, ტოგეცუს ხიდისკენ გავემართეთ. გზაზე თვალში მოგვხვდა იმპერატორ ტაკაკურას საყვარლის – თავადის ქალ კოგოს საფლავი, რომელიც აქამდე არც ერთს არ შეგვემჩნია.

გადმოცემის მიხედვით, თავადის ქალი კოგო კიომორი ტაირას რისხვას გარიდებია და ქალაქ საგანოში დამალულა. იმპერატორის ბრძანებით, მის მოსაძებნად ნაკაკუნი მინამოტო გამგზავრებულა და ერთხელაც, შემოდგომის მთვარიან ღამეს, კოტოს საკრავის ხმიანობაზე მიუგნია ქალის სამალავისთვის. ამ დროს ქალი თურმე უკრავდა კომპოზიციას „სასიყვარულო ფიქრები ქმარზე“. ნოს თეატრის სპექტაკლში „კოგო“ ეს სცენა შემდეგნაირი სახით გვხვდება: „მთვარის შუქით მონუსხული, შევიდა ჰორინის ხეობაში და აი, მოესმა

კოტოს ხმიანობა. თავიდან ვერ გაეგო, ეს მთათა მწვერალებიდან მონაბერი ქარის ექო იყო, თუ ფიჭვებს შორის მოშრიალე ნიავის მუსიკა. იკითხა და მიუგეს, რომ ეს მოსიყვარულე ცოლის კოტოზე დამღერებული სიმღერა იყო. და გაეხარდა მას, რადგან ისმინა ცოლის მიერ ქმრის სიყვარულის ამბავი". თავადის ქალმა დარჩენილი ცხოვრება საგანოში გაატარა და სიკვდილამდე ლოცულობდა, რომ მის სანატრელ იმპერატორს გასხივოსნებისთვის მიეღწია.

საფლავი ვიწრო ბილიკის ბოლოს ჩამდგარ პატარა ქვის კოშკს წარმოადგენდა, რომელსაც აქეთ-იქიდან უზარმაზარი ნეკერჩხალი და ნახევრად გამხმარი ქლიავის ხე დაჰყურებდნენ. მე და ქაშივაგიმ მოკრძალება გამოვიჩინეთ და ქალის სულის პატივსაგებად მოკლე სუტრა წავიკითხეთ. იყო რაღაც მკრეხელური იმ გადამეტებულ სერიოზულობაში, რომლითაც ქაშივაგი წმინდა სუტრებს კითხულობდა. უნებურად, ეს მეც გადმომედო და ზოგიერთ სტუდენტს რომ სჩვევია, ისე დავიწყე ლოცვების ცხვირში დუდღუნი. ეს პატარა მკრეხელობა უსაზღვრო თავისუფლების შეგრძნებას და სიცოცხლის ხალისს მანიჭებდა.

– მაინც რა საბრალო სანახავია კეთილშობილი ხალხის საფლავები, არა? – ჩაილაპარაკა ქაშივაგიმ. – პოლიტიკური და ფინანსური ძალაუფლება შედეგად დიდებულ საფლავებს ტოვებს. ასეთი ხალხი მართლაც ბრწყინვალე, შთამბეჭდავ აკლდამებს იშენებს. თუმცა ამ სულელებს სიცოცხლეში საერთოდ არ გააჩნიათ ფანტაზია და საფლავებიც ისეთი აქვთ, რომ წარმოსახვას გასაქანს არ უტოვებს. მაგრამ აი, კეთილშობილი ხალხის საფლავები სულ სხვაა, ისინი თავის და სხვების ფანტაზიას ეყრდნობიან და ამიტომაცაა, რომ მათი განსასვენებელი მნახველთა წარმოსახვას ძაბავს და აცოცხლებს. მე ეს უკანასკნელი უფრო საცოდავი სანახაობა მგონია. სიკვდილის მერეც კი ადამიანებისგან რაღაცას ითხოვს, თითქოს გვემუდარება, წარმოსახვის უნარი მოვიშველიოთ.

– და განა კეთილშობილება მხოლოდ წარმოსახვაში არ არსებობს? – მხიარულად ავყევი მეც. – აი, შენ სულ სინამდვილეზე ლაპარაკობ. კეთილშობილთა სინამდვილე რაღა არის?

– აი ესაა, – ქაშივაგიმ ხელისგული ხავსით დაფარულ ქვის კოშკზე დაატყაპუნა. – ძვლები ან ქვები – უსიცოცხლო ნაწილები, ადამიანი სიკვდილის მერე რომ ტოვებს.

– შენ სულ მთლად გამობუდისტებულხარ, ხომ იცი.

– ბუდიზმი არა, ისა. კეთილშობილება, კულტურა და სხვა ყველაფერი, რაც ადამიანს ესთეტიკურობად მიაჩნია, სინამდვილეში უსიცოცხლო სიცარიელეა. ქვებია და მეტი არაფერი. და ამაში რიოანჯის ტაძრის ქვების ბაღს არ ვგულისხმობ, ხალხს რომ ფილოსოფიის წყარო ჰგონია. ფილოსოფიაც ხომ ერთი დიდი ლოდია. ხელოვნება? ესეც ქვების გროვაა. და ადამიანის ორგანულ ინტერესს რაც შეეხება, განა სირცხვილი არაა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკაა და სხვა არაფერი? ადამიანი ხომ თვითმგვემი არსებაა.

– ხორციელ ვნებაზე რას იტყვი?

– ხორციელი ვნება? ეგ სადღაც შუაშია გაჩხერილი. ადამიანსა და ქვას შორის წრეზე დარბის, თითქოს დაჭერობანას თამაშობსო.

მინდოდა, სილამაზის შესახებ მისეულ წარმოდგენაზე შევპასუხებოდი, მაგრამ გოგოები, რომლებსაც ყელში ამოსვლოდათ ჩვენი კამათი, უკან გაბრუნდნენ და მეც გადავწყვიტე, დავდევნებოდი. ბილიკიდან ჰოძუს მდინარეს თუ გადახედავდი, თვალში დამბა შეგეჩხირებოდა, ტოგეცუს ხიდის ოდნავ ჩრდილოეთით რომ აღემართათ. მდინარის გაღმა არაშის მთა უღიმღამო სიმწვანეს მოეცვა, თავად მდინარე კი ხალისიან თეთრ ნაკადად გაჭიმულიყო. წყლის ხმა არემარეს ახმიანებდა.

ნაპირს გავუყევით და გზის ბოლოს, ჩიხთან კამეიამის პარკის ჭიშკარში შევუხვიეთ. მიუხედავად იმისა, რომ მდინარეზე არცთუ ცოტა ნავი სრიალებდა, პარკში მხოლოდ აქეთ-იქით მიმოფანტული ნაგავი დაგვხვდა. იმ დღეს აშკარად ცოტა მნახველი ამოსულიყო.

პარკის შესასვლელიდან ისევ მდინარე ჰოძუსკენ გამოვბრუნდით და არაშის ამწვანებულ მთას შევაჩერდით. მდინარეში პატარა ჩანჩქერი ეშვებოდა.

– ლამაზი ხედი – ეს ხომ ჯოჯოხეთია! – წამოიწყო ისევ ქაშივაგიმ.

მისი ასეთი გამოთქმები შთაბეჭდილებას მიტოვებდა, რომ უბრალოდ პირველსავე სისულელეს როშავდა, რაც თავში მოსდიოდა. მაგრამ მაინც ვეცადე, მისი თვალებით შემეხედა და იმ ხედში რაიმე ჯოჯოხეთური მეპოვა. ჩემი მცდელობა ფუჭი არ აღმოჩნდა. ჩვენ თვალწინ გადაშლილ მშვიდ სიმწვანეში ჯოჯოხეთის სუნთქვა შევიგრძენი. ეს სუნთქვა, როგორც ჩანს, ადამიანის ფიქრებისა თუ სურვილების საპასუხოდ, დღე-ღამის განურჩევლად, ნებისმიერ დროსა და ადგილას შეიძლება გაჩენილიყო. როგორც ჩანს, მყისვე იქ იბადებოდა, სადაც კი მოვუხმობდით.

გადმოცემის თანახმად, არაშის მთაზე, ჯერ კიდევ მეცამეტე საუკუნეში, იოშინოს მთის ცნობილი საკურის ხეები გადმოურგავთ. მაისში საკურას ყვავილები უკვე დასცვენოდა და მთლიანად ფოთლებით შემოსილიყო. ამ მხარეში, ყვავილების დაცვენის შემდეგ, ხეებს ფასი ეკარგებათ, ისევე როგორც აზრი არა აქვს გარდაცვლილი ლამაზმანის სახელის ძახილს.

კამეიამის პარკში ძირითადად ფიჭვები ხარობს და ამიტომ აქ წელიწადის დროების მიხედვით ფერები არ იცვლება. ამ უზარმაზარი პარკის ფერდობებზე თითქმის ყველა ფიჭვს შთამბეჭდავად აეყარა ტანი, ტოტები კი მიწიდან საკმაოდ მაღლა იწყებოდა. უთვალავი ფიჭვის უწესრიგოდ აღმართული ღეროები პარკის სიმშვიდეში შფოთვისა და მოუსვენრობის მარცვალს თესავდნენ.

პარკში გამავალი ფართო, უსწორმასწორო ბილიკი ის იყო, ციცაბო აღმართს უნდა აჰყოლოდა, რომ ისევ მკვეთრად ეშვებოდა დაბლა. გზის გასწვრივ, აქა-იქ კუნძები, ბუჩქები და ახალგაზრდა ფიჭვის ხეები მოჩანდა. უზარმაზარი კლდის თეთრ ფერდებზე, ნახევრად მიწით რომ იყო დაფარული, უთვალავი მოწითალო აზალია ყვაოდა. მათი მჭახე ფერები მოქუფრული ცის ფონზე ავისმომასწავებლად მეჩვენა. ოდნავ ჩაღრმავებულ ადგილას, საქანელაზე ახალგაზრდა წყვილი შემომჯდარიყო. მათ გვერდი ავუარეთ და პატარა გორაკის თავზე, საჩრდილობლიან სკამებზე შევისვენეთ. გორაკიდან აღმოსავლეთით თითქმის მთელი პარკი ხელისგულივით მოჩანდა, ხოლო დასავლეთით ხეებს შორის მდინარე ჰოძუ

მიიკლაკნებოდა. საქანელას გულისგამაწვრილებელი ხმა, კბილების ღრჭიალს რომ წააგავდა, ჩვენს სკამებამდეც აღწევდა.

ცივსახიანმა ლამაზმანმა საჭმლის შეკვრა გაშალა. ახლა კი მივხვდი, რატომ მითხრა ქაშივაგიმ, საჭმელი არ წამოიღოო. ქალმა შეკვრიდან ოთხი კაცის სამყოფი სენდვიჩები და რთულად საშოვნელი იმპორტული ტკბილეული ამოაძვრინა, რასაც ბოლოს „სანტორის“ ვისკი მოჰყვა, რომელსაც მარტო შავ ბაზარზე თუ იშოვიდი, რადგან საოკუპაციო ჯარების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, შეზღუდული რაოდენობით იწარმოებოდა. იმ პერიოდში კიოტო, ოსაკისა და კობეს რაიონების ჩათვლით, მთელ რეგიონში არალეგალური ვაჭრობის ცენტრად მიიჩნეოდა.

სასმელს არ ვეტანებოდი, მაგრამ ქაშივაგის ავყევი და გოგოებს გამოწოდებული ჭიქა გამოვართვი. თვითონ გოგოები მათარით წამოღებულ ჩაის ამჯობინებდნენ.

დღემდე მხოლოდ სანახევროდ მჯერა, რომ ქაშივაგის ასეთი ახლო ურთიერთობა შეიძლება ჰქონოდა იმ ლამაზმანთან. ვერაფრით გამეგო, ეს, ერთი შეხედვით, ჭირვეული და ამაყი ახალგაზრდა ქალი რატომ უყადრებდა თავს ქაშივაგისნაირ ღარიბსა და ხეიბარს. მან კი ორიოდე ჭიქის მერე პირი მოაღო და თითქოს ჩემი ეჭვების გასაფანტად წამოიწყო:

– გახსოვს, წელან მატარებელში რომ ვეკამათებოდი. ეგ იმიტომ, რომ თურმე მშობლები ვიღაც საძაგელ ტიპზე გათხოვებას აძალებენ. ეს საწყალი კიდევ მშობლებს წინააღმდეგობას ვერ უწევს. უმალვე დამორჩილებია. ჰოდა, ვუთხარი, მაგ ქორწილს უსათუოდ ჩავშლი-მეთქი. ვაშინებდი და ვემუქრებოდი.

იმ ქალის თვალწინ ამ ამბის გარჩევა კარგ აზრად არ მომეჩვენა, მაგრამ ქაშივაგი ისე ჰყვებოდა, თითქოს ის იქ საერთოდ არ ყოფილიყო. თუმცა ქალის ლამაზ სახეზე ერთი ნაკვთიც არ გატოკებულა. ფაქიზ ყელზე ცისფერი ფაიფურის მძივი ეკიდა, სქელი კულულები კი სახეს უჩრდილავდა, რუხი ცის ფონზე საოცრად ნათლად რომ იკვეთებოდა. მხოლოდ უჩვეულოდ წყლიანი თვალები ანიჭებდა ცოცხალ გამომეტყველებას, თითქოს სახეს სრულიად უშიშვლებდა. მისი

მოშვებული ტუჩები ახლაც ოდნავ დაშორებოდა ერთმანეთს. ტუჩებს შორის თეთრად უბრწყინავდა თხელი, ბასრი კბილების რიგი. მომეჩვენა, თითქოს პატარა ცხოველის კბილებს ვუყურებდი.

– ვაი! ვაი! როგორ მტკივა! – უეცრად დაიკვნესა ქაშივაგიმ. ჩაიკეცა და ხელები წვივზე წაივლო. ავღელდი. ვცადე, წამოდგომაში მივხმარებოდი, მაგრამ ხელი მკრა და ცივი, დამცინავი მზერა შემავლო. ხელი გავუშვი.

– ვაი! ვაი! – კიდევ ერთხელ, საწყალობელი ხმით ამოიხვნეშა ქაშივაგიმ. ჩემდა უნებურად, მის გვერდზე მდგომ ლამაზმანს გავხედე. სახეზე თვალშისაცემი ცვლილება დაეტყო: თვალებმა სიმშვიდე დაკარგეს, ტუჩები აცახცახდნენ, მხოლოდ ცივი, წაწვეტებული ცხვირი რჩებოდა უცვლელად – უცნაურად უპირისპირდებოდა სახის ნაკვთებს და მათ შორის გამეფებულ ჰარმონიას არღვევდა.

– ბოდიში! ბოდიში! – შეჰყვირა ქალმა. – ახლავე მოგარჩენ! ახლავე!

პირველად გავიგონე მისი ხმა, ასეთი ჟღერადი და ბუნებრივი. ლამაზმანმა მაღალი, დახვეწილი კისერი გაასწორა, წამით გარშემო მიმოიხედა, მერე უეცრად მუხლებზე დაეცა და ქაშივაგის ფეხებზე მოეხვია. ლოყით წვივზე მიეკრო და მთლიანად დაუკოცნა.

ისევ შიშმა შემიპყრო, როგორც მაშინ, მისი კარის ზღურბლთან. ქაშივაგის მეზობელ გოგოს შევხედე, მაგრამ ის სივრცეს გაჰყურებდა და ისევ რაღაც მელოდიას ღიღინებდა უდარდელად...

ამ დროს მომეჩვენა, თითქოს ღრუბლებს შორის მზემ გამოანათა. შეიძლება, უბრალოდ, ჩემი ილუზია იყო, მაგრამ პარკის ხედს აშკარა ცვლილებები დაეტყო. იმ ნათელ სურათს, გარშემო რომ გვერტყა, ფიჭვის ტყეს, მდინარის ზედაპირზე არეკლილ შუქს, შორეულ მთებს, კლდის თეთრ ფერდობებს, მობიბინე აზალიებს... ამ მშვენიერი სურათის ყველა კუნჭულს პატარა **ბზარები გასჩენოდა.**

როგორც ჩანს, სასწაული, რომელიც კოცნის შედეგად უნდა მომხდარიყო, ნამდვილად მოხდა და ქაშივაგიმ კვნესა შეწყვიტა. მერე თავი ასწია, პირველ რიგში, მე გადმომხედა და დამცინავად ჩამიკრა თვალი.

– მომირჩა! პირდაპირ სასწაულია. როგორც კი ეგრე მაკოცებ, ტკივილი მაშინვე მიყუჩდება ხოლმე, – ეს თქვა, ორივე ხელი თმებში ჩაავლო გოგოს და მოქაჩა. იმან ერთგული ძაღლის გამომეტყველებით ახედა და გაუღიმა. ღრუბლიანი ცის თეთრ შუქში მისი სახე სამოც წელს გადაცილებული იმ დედაბრის სახედ მომეჩვენა, რომელზეც ქაშივაგი მიყვებოდა პირველი შეხვედრისას.

ქაშივაგი კი „სასწაულის“ მერე ძალიან გამხიარულდა. იმდენად გამხიარულდა, რომ შეიძლება შეშლილად მოგჩვენებოდათ. გოგო მუხლებზე დაესვა და დროდადრო კოცნიდა. ქაშივაგის ხარხარი ექოდ სწვდებოდა ფერდობზე ჩამწკრივებული ფიჭვების ტოტებს.

– რას უზიხარ მანდ? – მომაძახა, სანამ დადუმებული შევცქეროდი. – ეს გოგო ხომ შენთვის წამოვიყვანე. თუ გეშინია, რომ ენა დაგებმება, შერცხვები და დაგცინებენ? მიდი, იბლუყუნე! იბლუყუნე! შეიძლება შეუყვარდეს კიდეც შენი ენის ბორძიკი.

– როგორ, ენაბლუ ხარ? – თითქოს ახლაღა შეემჩნია, ისე მკითხა მისმა მეზობელმა გოგომ. – შეკრებაც ამას ჰქვია, სამში ორი დეფექტიანი ყოფილა.

მისი სიტყვები გულზე იმდენად მომხვდა, რომ იქ გაჩერება აღარ შემეძლო. იმ გოგოს მიმართ საშინელ სიძულვილს ვგრძნობდი, მაგრამ როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, სიძულვილს ერთგვარი თავბრუსხვევის შეგრძნება მოჰყვა და უეცრად ზიზღი ვნებაში გადამეზარდა.

– აბა, დავწყვილდეთ და ცალ-ცალკე გავისეირნოთ სადმე, მოფარებულში, – შემოგვთავაზა ქაშივაგიმ, თან საქანელაზე მჯდარ წყვილს, ჯერაც რომ არ მობეზრებოდა ქანაობა, თვალს არ აშორებდა, – ორ საათში კი ისევ ამ სკამებთან შევხვდეთ.

მას შემდეგ, რაც ქაშივაგის და მის ლამაზმანს დავშორდით, გორაკის ჩრდილოეთ ფერდობზე დავეშვით და აღმოსავლეთისკენ მიმავალ არცთუ ციცაბო აღმართს ავუყევით.

– იმ გოგოს აფიქრებინა, თითქოს „სასწაულმოქმედი წმინდანი“ იყოს. ყოველთვის ეგრე იქცევა ხოლმე, – თქვა ქაშივაგის მეზობელმა.

– შენ საიდან იცი? – ვკითხე საშინელი ენის ბორძიკით.

– თვითონაც მქონია მასთან ურთიერთობა და იქიდან.

– ახლა მასთან აღარაფერი გაქვს, ხომ? კი მაგრამ, როგორ ხარ ასე მშვიდად?

– დიახაც, მშვიდად ვარ. რას მოუხერხებ მაგ ხეიბარს...

ამჯერად მისმა სიტყვებმა, პირიქით, სითამამე შემმატა და პირდაპირ ვკითხე:

– განა შენ მისი დაგრეხილი ფეხები არ მოგწონდა?

– რა სისულელეა. ის ბაყაყის ფეხები?! მე... ჰმ... მე მისი თვალები მომწონდა.

აქ ისევ დავკარგე თავდაჯერება. რა მნიშვნელობა ჰქონდა, რას ფიქრობდა ქაშივაგი. ქალებს თურმე მისი ისეთი ღირსებები ხიბლავდათ, თვითონ წარმოდგენა რომ არ ჰქონდა. ჩემი ქედმაღლობის მიზეზი კი სწორედ ის იყო, რომ არ მქონდა არც ერთი ისეთი თვისება, რომლის შესახებაც არაფერი ვიცოდი, მოსაწონ ღირსებას კი ჩემში ნამდვილად ვერ ვხედავდი.

ამასობაში მე და გოგონამ აღმართი ავიარეთ და პატარა, უკაცრიელ მდელოზე აღმოვჩნდით. ფიჭვებსა და კედრებს შორის დაიმონჯისა და ნიიოიგატაკეს შორეული მთები ბუნდოვნად მოჩანდა. გორაკის ერთი ფერდობი, რომელიც ქალაქისკენ ეშვებოდა, ბამბუკით იყო დაფარული, ხოლო ფერდობის ძირში ერთადერთი საკურის ხე იდგა, რომელსაც ყვავილები ჯერ ბოლომდე არ დასცვენოდა. „რა გვიანი ყვავილობა ჰქონია ამ ხეს, – გამკრა გულში, – ალბათ ესეც ჩემსავით ბლუყუნ-ბლუყუნით აყვავილდა და იმიტომაც დააგვიანა ასე“.

სული მეხუთებოდა და მუცელში საშინელ სიმძიმეს ვგრძნობდი. ვისკი არაფერ შუაში იყო. ეს ჩემი ვნება იყო, რომელიც მნიშვნელოვანი წამის მოახლოებასთან ერთად დამძიმდა, **სხეულს გამოეყო** და, აბსტრაქტული კონსტრუქციის სახით, მხრებზე დამაწვა. საკუთარი ვნება შავ, მძიმე, ლითონის საქარხნო დანადგარს მაგონებდა.

უკვე აღვნიშნე, რომ განურჩევლად იმისა, კეთილი განზრახვით იყო ნაკარნახევი თუ ბოროტით, ძალიან ვაფასებდი ქაშივა-

გის მცდელობებს, ჩემში ცხოვრების სურვილი გაეღვიძებინა. მე, რომელმაც საშუალო სკოლაში კურსანტის ხანჯლის ქარქაში დავკაწრე, ახლა უკვე ცხადად დავინახე საკუთარი უუნარობა, სახით მივტრიალებულიყავი ცხოვრების ფასადისაკენ. სხვათა შორის, ქაშივაგი იყო ჩემი პირველი მეგობარი, ვინც მასწავლა, როგორ შემეღწია ცხოვრებაში ბნელი, შემოვლითი გზით, უკანა შესასვლელიდან. ერთი შეხედვით, ეს განადგურებისკენ მიმავალ გზას ჰგავდა, მაგრამ სინამდვილეში მოულოდნელი ფოკუსებით სავსე, ალქიმიის მსგავსი რამ იყო – სულმდაბლობას მყისიერად ვაჟკაცობად აქცევდა, ჩვენს ბოროტ განზრახვებს კი – წმინდა ენერგიად. და მიუხედავად ამისა, ეს მაინც ნამდვილი ცხოვრება იყო. ასეთ ცხოვრებაშიც შეგეძლო წინსვლა, რაიმეს შეძენა, სახეცვლილება... ბოლოს და ბოლოს, შეიძლებოდა ესეც დაგეკარგა. ვერ ვიტყვი, რომ ეს იყო სიცოცხლე, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, მაგრამ მას სიცოცხლის ყველა ფუნქცია გააჩნდა. თუ დავუშვებთ, რომ სადღაც, ჩვენთვის უჩინარ ადგილას წინასწარ განსაზღვრეს, რომ ცხოვრებას მიზანი არ აქვს, მაშინ ქაშივაგის მიერ ჩემთვის ნაჩვენებ ცხოვრების გზასაც იგივე ფასეულობა ჰქონდა, როგორც სხვა დანარჩენს.

ვერ ვიტყვი, რომ ქაშივაგი ფხიზლად აზროვნებდა. კარგად ვიცოდი, რომ ყველაზე შავბნელ შეგნებაშიც კი თავად შეგნებით თრობა იმალება. ასე რომ, ერთადერთი, რასაც მართლა შეუძლია დაგვათროს – ეს ალკოჰოლია.

მე და გოგონა ფერდაკარგული, მწერების მიერ გამოჭმული აზალიების გვერდით ჩამოვსხედით. ვერ მივმხვდარიყავი, რატომ მოინდომა ჩემთან ერთად ყოფნა; რამ აიძულა, ჩემნაირთან ურთიერთობით ნაბილწულიყო (საკუთარი თავის მიმართ სასტიკ გამოთქმებს შეგნებულად ვიყენებ)? ამ სამყაროში ალბათ არსებობს მოკრძალებით, სიკეთით სავსე მორჩილება, ეს გოგო კი, უბრალოდ, გულგრილად უყურებდა მის პატარა, პუტკუნა ხელზე აცოცებულ ჩემს თითებს, მძინარე ადამიანს მისეული ბუზებივით რომ ირეოდნენ.

ხანგრძლივმა კოცნამ და გოგონას რბილმა ნიკაპმა ვნება გამიღვიძეს. ეს თითქოს ის უნდა ყოფილიყო, რაზეც ამდენ ხანს ვოცნებობდი, მაგრამ სინამდვილის შეგრძნება მინავლებულიყო და ვნება სულ სხვა ორბიტაზე ტრიალებდა. მოღრუბლული, თეთრი ცა, ბამბუკის ტევრის შრიალი, აზალიის ფოთოლზე ზანტად მცოცავი ჭიამაია... არაფერი შეცვლილიყო – ყველაფერი ისევ ისე, თავისთვის, უწესრიგოდ განაგრძობდა არსებობას.

ვცდილობდი, არ მეფიქრა იმაზე, რომ ჩემ თვალწინ მყოფი გოგონა ჩემი ვნების ობიექტი შეიძლება ყოფილიყო. ამას ისე უნდა მივდგომოდი, როგორც ცხოვრებას – დაბრკოლებას თუ გადალახავ, მაშინ მოახერხებ წინსვლას და ობიექტს ხელში ჩაიგდებ. ამ შანსს თუ ხელიდან გავუშვებდი, ცხოვრების შესაძლებლობა მეორედ აღარ მომეცემოდა. ვფიქრობდი ამ ყველაფერზე, მაგრამ თავში იმ შეურაცხყოფის მოგონებები მიტრიალებდა, ჩემს ენის ბორძიკს ხშირად რომ მოჰყვებოდა ხოლმე. რაღაც უნდა მეთქვა. თუნდაც ბლუყუნით, მაგრამ მაინც უნდა მეთქვა – თავად უნდა წარმემართა საკუთარი ცხოვრება. ყურებში ისევ ქაშივაგის ის უხეში და სასტიკი შეგულიანება ჩამესმა: „მიდი, იბლუყუნე! იბლუყუნე!“ ამ ხმამ ძალა შემმატა... როგორც იქნა, ხელი გოგონას კაბის ქვეშ შევაცურე.

ამ დროს თვალწინ ოქროს ტაძარი წარმომიდგა.

ღირსებით აღსავსე, პირქუში, ნატიფი შენობა. აქა-იქ შემორჩენილი ოქროს ფურცლები, როგორც ძველი დიდების ნაშთი. ახლობელი, მაგრამ ამავე დროს მიუწვდომელი, მუდმივად გამჭვირვალედ რომ ლივლივებდა.

ოქროს ტაძარი ჩემსა და სასურველ ცხოვრებას შორის ჩამდგარიყო. მინიატურული ტაძარი ნელ-ნელა იზრდებოდა, სანამ ისეთ ზომას არ მიაღწია, რომ მთელი მსოფლიოს თავის თავში მომწყვდევა შეძლო – იმ მაკეტივით, ოდესღაც ტაძრის პირველ სართულზე რომ ვნახე. სამყარო, რომელიც გარს მერტყა, ბოლომდე მოიცვა და მისი ყოველი კუნჭული გადაფარა – კიდით კიდემდე აავსო, იმ დიდებულ მუსიკასავით, თავად რომ იქცევა ხოლმე სამყაროს აზ-

რად. ტაძარი, რომელიც დროდადრო მრიყავდა და ჩემგან განყენებულად აგრძელებდა არსებობას, ამჯერად სრულად დამეუფლა და თავის კონსტრუქციაში მომაქცია.

ქაშივაგის მეზობელი გოგო დაპატარავდა, უმნიშვნელო მტვრის ნაწილაკად იქცა და შორს გაფრინდა. ტაძარმა გოგო უარყო, ესე იგი, უარყო ჩემი მცდელობაც, მეპოვა გზა ცხოვრებისაკენ. განა შემეძლო ცხოვრებისაკენ გამეწვდინა ხელები, როცა ყოველმხრივ სილამაზით ვიყავი გარშემორტყმული? სილამაზესაც ხომ ჰქონდა უფლება, ჩემგან ყველაფრის უარყოფა მოეთხოვა? შეუძლებელია ერთი ხელით მარადისობას, მეორით კი ცხოვრებას ეპოტინებოდე. დავუშვათ, ჩვენი საქციელის აზრი ისაა, რომ ერთგულება შეჰფიცო წამს და აიძულო შეჩერდეს... მაშ, გამოდის, რომ ოქროს ტაძარს ყველაფერი წინასწარ სცოდნია; მისგანვე გარიყული, ცოტა ხნით თავისთან დამაბრუნა და თავად იქცა ამ სანუკვარ წამად, რათა ჩემთვის ლტოლვის ამაოება ემცნო. ცხოვრებისეულ ყოველდღიურობაში მარადისობად ქცეული წამებით ვთვრებით, მაგრამ ტაძარმა თავად მარადისობა აქცია წამად და დამანახა იმ გარდაქმნის არარაობა, ასე რომ გვათრობს. სილამაზის მარადიული არსი ჩვენს ცხოვრებას დაბრკოლებად ეღობება და სწორედ ასეთ მნიშვნელოვან წამებში სიცოცხლეს გვიწამლავს. ის სილამაზე კი, რომელსაც ცხოვრება წამიერად, ცალი თვალით დაგვანახებს ხოლმე, უძლურია ამ საწამლავის წინაშე, მისი ზემოქმედებით მყისიერად ინგრევა და ნადგურდება. ეს საწამლავი თავად სიცოცხლეს აშიშვლებს სიკვდილის მოყავისფრო ნათების ქვეშ...

ოქროს ტაძრის აჩრდილთან ჩახუტება ხანგრძლივი არ ყოფილა. როდესაც საკუთარ თავს დავუბრუნდი, ტაძარი უკვე დამალულიყო. ან კი როგორ გამოჩნდებოდა აქედან შორს, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდგარი პატარა ნაგებობა? ჩემი მოლანდება, რომ თითქოს ოქროს ტაძარმა მიმიღო და ჩამიხუტა, მყისიერად გამქრალიყო. მე კამეიამის პარკის ერთ-ერთი ბორცვის თავზე, მინდვრის ყვავილებსა და ყრუდ მოზუზუნე მწერებს შორის ვიწექი, ჩემ გვერდით კი ვილაც გოგო ურცხვად წამოგორებულიყო.

გოგომ, შეამჩნია თუ არა ჩემი წამიერი შეცბუნება, ცივად შემომხედა. წამოიწია, შებრუნდა და ჩანთიდან სარკე ამოიღო. ხმა არ გაუღია, მაგრამ მისი უკიდეგანო ზიზღი კანზე ისე მჩხვლეტდა, როგორც ოროვანდის ბირკები – ტანსაცმელს, შემოდგომისას.

ცამ დაბლა დაიწია. წვიმის წვეთები ბალახებსა და აზალიების ფოთლებზე მსუბუქად აწკაპუნდნენ. სწრაფად წამოვხტით და ისევ იმ საჩრდილობლიანი სკამებისკენ გავიქეცით.

***

მთაში გასეირნება სავალალოდ დამთავრდა, მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი მიზეზი, რატომაც ჩამრჩა ის დღე მძიმე მოგონებად. იმ ღამით, „ბალიშის გახსნის“ წინ, უხუცესმა ტოკიოდან ტელეგრამა მიიღო, რომლის შინაარსიც მყისვე ტაძრის ყველა ბინადრისთვის გახდა ცნობილი.

ცურუკავა გარდაცვლილიყო. ტელეგრამაში მოკლედ ეწერა, რომ ის ავარიაში დაიღუპა. შემდგომში ყველაფერი გავარკვიეთ: წინა ღამით ბიძამისთან, ასაკუსაში, სტუმრად ყოფილა, სადაც სმას მიუჩვეველს საკეთი გამასპინძლებიან. უკანა გზაზე, უკვე სადგურთან მისული, მოსახვევიდან გამოვარდნილ სატვირთოს გაუტანია. დაჯახებისგან თავის ქალა დაზიანებია და ადგილზევე გარდაცვლილა. დაზაფრულ ოჯახს მეორე დღის ნაშუადღევსღა გაახსენდა როკუონჯის ტაძარში შეტყობინების გამოგზავნა.

მამაჩემის გარდაცვალების გამო ერთი ცრემლიც არ გადმომვარდნია, ცურუკავა კი ცხარედ დავიტირე. ალბათ იმიტომ, რომ მისი სიკვდილი უფრო მეტად იყო გადაჯაჭვული ჩემს პირად პრობლემებთან, ვიდრე მამაჩემის. მართალია, მას მერე, რაც ქაშივაგის დავუმეგობრდი, ცურუკავას ოდნავ ჩამოვშორდი, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ მის სიკვდილთან ერთად ის ძაფიც გაწყვეტილიყო, ნათელი დღის სამყაროსთან რომ მაკავშირებდა. მე დღის, სინათლისა და ზაფხულის დაკარგვას ვტიროდი.

მინდოდა, იმ დღესვე გავქანებულიყავი ტოკიოში, რომ ბოლო გზაზე გამეცილებინა მეგობარი, მაგრამ ფული არ მქონდა. უხუცესი ჯიბის ფულად თვეში მხოლოდ ხუთას იენს გვაძლევდა. დედა ხომ ღატაკი იყო – წელიწადში ერთი-ორჯერ ორას-სამას იენს თუ გამომიგზავნიდა, ეგ იყო და ეგ. ბიძაჩემთანაც იმიტომ გადავიდა საცხოვრებლად, რომ მამაჩემის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების გასტუმრების მერე, მორწმუნეების მიერ თვიურად შემოწირული ხუთასიოდე იენის ბრინჯსა და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ მცირედ სუბსიდიაზე ცხოვრება შეუძლებელი იყო.

ცურუკავას არც გვამი მინახავს და არც მის დაკრძალვას დავსწრებივარ, მაშ, გულით როგორ უნდა მერწმუნა, რომ მართლა აღარ იყო? ნუთუ ის თეთრპერანგიანი, სიცილისგან მოხტუნავე მუცელი, ჩვენი პირველი შეხვედრისას ფოთლებში გამოღწეული სხივები რომ დასთამაშებდნენ, ახლა კრემატორიუმში იწვოდა? ვინ წარმოიდგენდა, რომ სინათლისთვის შექმნილი მისი სული და ხორცი, მხოლოდ ზეციური ნათება რომ შეეფერებოდათ, სიბნელეში დასამარდებოდნენ. დაბადებიდანვე შფოთვისა და დარდისაგან თავისუფალი ცურუკავა არც ერთ ნიშანს არ ავლენდა, რაც მის ნაადრევ დაღუპვას მოასწავებდა. სიკვდილს არაფერი ჰქონდა მასთან საერთო! იქნებ სწორედ ამიტომაც გარდაიცვალა ასე მოულოდნელად? წმინდა სისხლის ფაქიზი ცხოველებივით, ადვილად რომ იმსხვერპლებს ხოლმე დაავადება, ცურუკავაც სიცოცხლის წმინდა ნაწილაკებისგან იყო შექმნილი და არ ჰქონდა უნარი, წინ აღდგომოდა სიკვდილს. მე კი, პირიქით, ალბათ წყეული დღეგრძელობა მელოდებოდა წინ.

მისი სამყაროს გამჭვირვალე კონსტრუქცია ჩემთვის ყოველთვის გამოცანად რჩებოდა, ხოლო მისმა სიკვდილმა ეს გამოცანა კიდევ უფრო მტანჯველი გახადა. მისი გამჭვირვალე სამ**ყარო** – ზუსტად იმიტომ, რომ ზედმეტად წმინდა და გამჭვირვალე **იყო** – მოსახვევიდან გამოვარდნილმა სატვირთომ ვერ დაინახა, შეასკდა და ნაფლეთებად აქცია. ის, რომ ცურუკავა ავადმყოფობით **არ** მომკვდარა, ზუსტად ეწერებოდა მისი სიკვდილ-სიცოცხლის ტრა-

გიკულობაში. ემსხვერპლო უბედურ შემთხვევას – სიკვდილის ეს წმინდა სახე ზუსტად შეეფერებოდა მისი ცხოვრების შეუდარებლად წმინდა კონსტრუქციას. შეჯახება, წამიერი შეხება და მისი სიცოცხლე სიკვდილს შეერწყა. უსწრაფესი ქიმიური რეაქცია უდავოდ ერთადერთი საშუალება იყო, რომლითაც ჩრდილისა და სიბნელის უცოდინარი ეს ახალგაზრდა თავისსავე ჩრდილთან – სიკვდილთან დაკავშირებას შეძლებდა.

მისი სამყარო გადავსებული იყო ნათელი და კეთილი გრძნობებით, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს სიბრიყვის ან არასწორი არჩევანის შედეგი არ ყოფილა. ჩემი მეგობრის არაამქვეყნიურად ნათელ გულს დიდებული ძალა ჰქონდა და სწორედ ეს წარმართავდა მის ყველა საქციელს. შეუდარებლად ზუსტად თარგმნიდა ჩემს ბნელ გრძნობებს ნათელ ემოციებად. მისი შუქი ისე ეხმიანებოდა ყველა ჩემს ბნელ კუნჭულს, ისე ზუსტად უპირისპირდებოდა მათ, რომ ხშირად ვეჭვობდი, მართლა ხომ არ ჰქონდა განცდილი ჩემეული გრძნობები. მაგრამ არა, ასე არ იყო! ცურუკავას სინათლე წმინდა იყო და ამავე დროს – ცალმხრივი. მას საკუთარი, განსაკუთრებული სისტემა ჰქონდა, რომლის აკურატულობაც ბოროტების სიზუსტეს თითქმის ასლივით იმეორებდა. ამ ახალგაზრდის ნათელი, გამჭვირვალე სამყარო უმალვე დაიმსხვრეოდა, მუდმივად რომ არ ჰქონოდა ისეთი ძლიერი საყრდენი, როგორიც მისი დაუღალავი სხეული იყო. ის მთელი სისწრაფით მირბოდა ცხოვრების გზაზე. და ეს სხეული სატვირთო მანქანამ გაანადგურა.

ახლა, როცა ცურუკავას მხიარული გამომეტყველება და მისი ლაღი ტანი აღარ არსებობდა, ადამიანის სხეულის მისტიკურობაზე დავიწყე ფიქრი. საოცრებად მეჩვენებოდა, რომ სხეულის ის ნაწილები, რომლებსაც ჩვენი მზერა სწვდება, ასეთ ნათელ ძალას ასხივებენ. რამდენი რამე აქვს სასწავლი სულს სხეულისაგან, რომ ასეთივე უბრალო, არსებითი სიძლიერე შეიძინოს! ძენი გვასწავლის: სხეული უფორმოა და თვითშემეცნებას მიაღწევ მხოლოდ მაშინ, თუ გულს ხორცისა და ფორმისაგან გაათავისუფლებ. მაგრამ უფორმოს დანახვისთვის არსის მშვენიერების აღქმის გამძაფრებუ-

ლი უნარი და თვითშემეცნების საოცარი ძალა უნდა გქონდეს. მაგრამ განა ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია ეგოისტური განცდების გარეშე შეხედოს სამყაროს, შეძლებს დაინახოს და შეიგრძნოს უფორმო, არსებითობას მოკლებული რამ? ცურუკავასნაირი ქმნილება, რომელიც თავისი არსებობით შუქს ასხივებს, რომელსაც შეგიძლია მზერითაც და ხელითაც შეეხო და რომელიც ცხოვრობს იმისთვის, რომ იცხოვროს... შეიძლება ასეთი ქმნილების სიკვდილი სწორედ ის ნათელი მეტაფორაა, მკაფიო ფორმით უფორმო ბუნდოვანებას რომ აღწერს; არსებობის განცდის ის მოდელია, უფორმო სიცარიელეს ყველაზე ცხადად რომ ასახავს. იქნებ თავად მისი არსებობა მხოლოდ ასეთი ალეგორია იყო? მაგალითად, ცურუკავასა და მაისის ყვავილების მსგავსება, ის, თუ როგორ შეეფერებოდნენ ისინი ერთმანეთს – ეს ხომ მხოლოდ იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ მაისის თვეში უეცრად გარდაცვლილი მისსავე კუბოზე მიყრილ ყვავილებს ჰგავს?

ჩემს სიცოცხლეს აშკარად აკლდა ის უდრეკი სიმბოლიკა, რომელიც ასე ჭარბად იყო ცურუკავას სიცოცხლეში. სხვა ყველაფერთან ერთად, ამისთვისაც მჭირდებოდა ის გვერდით. მან, ჩემგან განსხვავებით, მოახერხა, ისე ეცხოვრა, რომ განსაკუთრებულობის შეგრძნებას – უფრო სწორად, შეგრძნებას, რომ განსაკუთრებულ ტვირთს ეზიდება – მისთვის სიცოცხლე არ დაუმძიმებია, და ამის ყველაზე მეტად მშურდა. სწორედ ეს განსაკუთრებულობის შეგრძნებაა, რამაც ცხოვრების სიმბოლიკა წამართვა – არ მომცა შესაძლებლობა, საკუთარი ცხოვრება რაიმეს მეტაფორად მექცია, სიცოცხლის გავრცობის, სხვებისადმი თანაგრძნობის, ერთსულოვნების შეგრძნება მომისპო და თვითონ იქცა წყაროდ იმ საშინელი მარტოობისა, რომელიც უსასრულოდ უნდა ვზიდო. საოცარია – სიახლოვისა და თანაგრძნობის განცდა საერთოდ არ მქონდა, არც არსებულთან და არც  არარსებულთან.

***

ისევ მარტოობის წლები დამიდგა. ქაშივაგის მეზობელ გოგოს აღარ შევხვედრივარ, თავად ქაშივაგისთანაც ადრინდელივით ახლოს აღარ ვიყავი. მისი ცხოვრება ისევ ძლიერად მხიბლავდა, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ თუ შევეწინააღმდეგებოდი საკუთარ სურვილს და ოდნავ მაინც ჩამოვშორდებოდი მას, ამით ცურუკავას ხსოვნას მივაგებდი პატივს. დედას წერილი მივწერე და მკაფიოდ განვუმარტე, რომ სანამ უნივერსიტეტს არ დავამთავრებდი, მანამდე ჩემს სანახავად ფეხი არ მოედგა. მისთვის ეს მანამდეც მქონდა პირში ნათქვამი, მაგრამ ვერ მოვისვენებდი, კიდევ ერთხელ, ხაზგასმით რომ არ გამემეორებინა. წერილი გავგზავნე და პასუხად არათანმიმდევრული წინადადებების გროვა მივიღე. მწერდა, რომ ძალიან ირჯებოდა ბიძაჩემის მეურნეობაში, ვითომ ბრძნულ დარიგებებს მაძლევდა და ბოლოს წერილს ასეთი ფრაზით ამთავრებდა: „ოღონდ ცალი თვალით მაინც მანახა შენი თავი როკუონჯის ტაძრის წინამძღვრად და მერე თუნდაც მოვკვდე“. ეს ერთი ფრაზა დარდად მექცა და რამდენიმე დღე მოსვენებას არ მაძლევდა.

ზაფხულშიც კი, ერთხელაც არ მომინახულებია დედის საცხოვრისი. ტაძრის ღარიბულმა საკვებმა სხეული დამისუსტა და ზაფხულის სიცხის გაძლება მიჭირდა. სექტემბრის შუა რიცხვებში, ერთ დღეს, ტაიფუნის საშიშროება გამოცხადდა და გადაწყდა, რომ რომელიმე ჩვენგანს ოქროს ტაძარში ღამით უნდა ემორიგევა. სურვილი გამოვთქვი და მორიგეობა ვიკისრე.

მგონია, რომ ტაძრის მიმართ ჩემს დამოკიდებულებაში სწორედ მაშინ გაჩნდა პირველი, მცირე ცვლილება. არა, ეს ზიზღი არ ყოფილა, უფრო წინათგრძნობა იყო, რომ მოვიდოდა დრო, როცა ის, რაც ჩემში ნელ-ნელა იკვირტებოდა, ოქროს ტაძართან თანაარსებობას ვეღარ შეძლებდა. ეს გრძნობა ჯერ კიდევ კამეიამის პარკში მომხდარი ამბის მერე გამოაშკარავდა, მაგრამ აქამდე მეშინოდა, მისთვის სახელი დამერქმია. თუმცა დაუფარავი სიხარული დამეუფლა იმის გამო, რომ ოქროს ტაძარი მთელი ღამით ჩამაბარეს.

„მშვენიერების მწვერვალის“ გასაღები გადმომცეს. მესამე სართული ტაძრის ყველაზე ღირებულ საგანძურად მიიჩნეოდა, მიწიდან ორმოცდაორი შიაკუს სიმაღლეზე თვით იმპერატორ გოკომაცუს მიერ შესრულებული ნახატი ეკიდა.

რადიო დროდადრო ტაიფუნის მოახლოების შესახებ გადმოსცემდა, ირგვლივ კი მსგავსის ნიშანწყალიც არ ჩანდა. დღის მეორე ნახევარში წვიმდა, მაგრამ მერე გადაიღო, ცა მოიწმინდა და ღამის ცაზე სავსე მთვარე ამოგორდა. ტაძრის ბინადრები ეზოში გამოვიდნენ, ცას უყურებდნენ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ – ეს უთუოდ ის სიწყნარე იყო, ქარიშხლის წინ რომ ისადგურებს ხოლმე.

ყველამ დაიძინა და ტაძარში სიჩუმე ჩამოწვა. ოქროს ტაძართან მარტო დავრჩი. ბნელ კუთხეში რომ აღმოვჩნდებოდი, სადაც მთვარის შუქი არ აღწევდა, მეჩვენებოდა, თითქოს ტაძრის დიდებული წყვდიადი მკლავებში მიქცევდა და ექსტაზში ვეშვებოდი. ამ შეგრძნებებში უფრო და უფრო ღრმად ვიძირებოდი, სანამ ყველაფერი ჰალუცინაციაში არ გადაიზარდა. უეცრად გამოვფხიზლდი და მივხვდი, რომ სწორედ იმ მირაჟში ვიმყოფებოდი, კამეიამის პარკში ცხოვრებას რომ მომწყვიტა.

სრულიად მარტო ვიყავი, გარს ოქროს ტაძრის ყოვლისმომცველი სივრცე მერტყა. ტაძარი მთლიანად ჩემს განკარგულებაში იყო! თუ მე ვიყავი მის განკარგულებაში? ან იქნებ ის საოცარი წონასწორობა იბადებოდა, სადაც მე ოქროს ტაძრის ნაწილი ვიყავი, ის კი – ჩემი?

ღამის თორმეტის ნახევრისთვის ქარი ამოვარდა. ხელის ფანარი ამოვიღე, ზედა სართულზე ავედი და „მშვენიერების მწვერვალის“ კარის საკეტს გასაღები მოვარგე.

ბოლო სართულის მოაჯირს დავეყრდენი. სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი უბერავდა, მაგრამ ცას ცვლილების ნიშანწყალი ჯერ ისევ არ ეტყობოდა. ტბის წყალმცენარეებს შორის მთვარე კიაფობდა, გარშემო გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ მწერების ზუზუნი და ბაყაყების ყიყინი არღვევდა.

როცა ქარიშხლის პირველი მონაბერი ლოყაზე მომხვდა, ჟრჟოლამ დამიარა. ქარი ავისმომასწავებლად ძლიერდებოდა და მომეჩ-

ვენა, თითქოს ეს ნიშანი იყო ჩემი და ტაძრის განადგურებისა. ჩემი სული ტაძარშიც იმყოფებოდა და ამავე დროს ქარიშხალშიც დაფრიალებდა. მთვარის შუქით განათებული ოქროს ტაძარი, ჩემი სამყაროს სტრუქტურას რომ განსაზღვრავდა, ქარიშხალს უდრტვინველად შეეგება; ფარდაც კი არ ჰქონდა, რომ აფრიალებულიყო. მაგრამ მჯეროდა, რომ ქარიშხალი და ჩემი მხეცური ვნებები ოდესმე ტაძარს ძილს დაუფრთხობდა, ძალუმად შეარყევდა და ნგრევის წამებში მისი არსიდან ამპარტავნობას ამოგლეჯდა.

დიახ! იმ ღამეს მე გარს სილამაზის გარსი მერტყა, თვით სილამაზეში ვიმყოფებოდი, მაგრამ განა შესაძლებელი გახდებოდა ჩვენი ასეთი შერწყმა, რომ არა გონსგადასული ქარიშხალი, უსაზღვროდ რომ იკრებდა ძალას? გამახსენდა, როგორ დამძახოდა ქაშივაგი: „მიდი, იბლუყუნე! იბლუყუნე!“ ქარს მივუბრუნდი და დავჭყივლე, როგორც ჯიშიან ბედაურს: „მიდი, უფრო ძლიერად! უფრო სწრაფად! მთელი ძალით დაუბერე!“

ტყე ახმაურდა. ტბის გარშემო ხის ტოტები ერთმანეთს შეასკდნენ. ცას ნაზი მელნისფერი გადაუვიდა და მორუხო-ლურჯად შეიღება. მწერების ზუზუნი არ წყდებოდა, ქარიშხლის შორეული, ამოუცნობი, ფლეიტისებრი სტვენა კი სულ უფრო ახლოვდებოდა და არემარეს ავსებდა.

მთვარის ფონზე აურაცხელი ღრუბელი დავლანდე, სამხრეთის მთების მიღმიდან, დიდძალი ლაშქრის მსგავსად, მწყობრად რომ მიიწევდნენ ჩრდილოეთისკენ. ვეება ღრუბლების გასწვრივ პატარ-პატარა ნაგლეჯებიც მოცურავდნენ. მთელი ეს ლაშქარი სამხრეთიდან გამოჩნდა, მთვარის შუქს გზა გადაუჭრა, ოქროს ტაძრის სახურავი დაფარა და, თითქოს მნიშვნელოვან საქმეზე ეჩქარებაო, ჩრდილოეთისკენ გაემართა. მომეჩვენა, თითქოს ჩემს თავს ზემოთ ოქროს ფენიქსმა დაიკივლა.

ქარიშხალი წამით წყნარდებოდა და მერე ისევ ძლიერდებოდა. ტყე გულისყურით უსმენდა ქარს; მასთან ერთად ჩუმდებოდა და მერე ისევ იწყებდა ხმაურს. ტბაში არეკლილი მთვარე დროდადრო წყვდიადში ინთქმებოდა და ისევ ნათდებოდა, ხან კი გაფანტულ

სხივებს მოიკრებდა და მთელი ძალით ისევ ტბის ზედაპირს ანათებდა. შემაძრწუნებელი სანახავი იყო, როგორ ეფარებოდა მთელ ცას, ვეებერთელა ხელივით, მთების მიღმიდან ამოზრდილი უზარმაზარი ღრუბლების ჯარი, რომელიც თანდათან გვიახლოვდებოდა. ცის ნაგლეჯი, ღრუბლებს შორის რომ გამოჩნდა, უსწრაფესად დაიფარა ისევ ღრუბლებით. დროდადრო მათ თხელ ფენებს მიღმა მთვარის ნათლით მოსილი დისკო ილანდებოდა.

ცა მთელი ღამე ჩრდილოეთისკენ მიქროდა, მაგრამ ქარი მეტად არ გაძლიერებულა. მე მოაჯირის ქვეშ ჩამძინებოდა. დაწმენდილ და დამშვიდებულ რიჟრაჟზე ტაძრის ერთ-ერთი ხნიერი ბერი ჩემს გასაღვიძებლად მოვიდა და მიამბო, რომ, საბედნიეროდ, ქარიშხალს კიოტოსთვის გვერდი აევლო.

დაახლოებით ერთი წელი ვგლოვობდი ცურუკავას. განვმარტოვდი თუ არა, მივხვდი, რომ მარტოობასა და სიჩუმეში ცხოვრება ჩემთვის სირთულეს არ წარმოადგენდა. ცხოვრებისადმი ლტოლვაც კი გამიქრა. უსულო ყოველდღიურობა მსიამოვნებდა.

ერთადერთი ადგილი, სადაც თავს თავისუფლად და ხალისიანად ვგრძნობდი, წიგნთსაცავი იყო. ძენ-ბუდისტურ წიგნებს არ ვეკარებოდი, მაგრამ ნათარგმნი უცხოური რომანებით დაწყებული, ფილოსოფიური ნაშრომებით დამთავრებული, ყველაფერს ვკითხულობდი, რაც ხელში მომხვდებოდა. წაკითხული წიგნების ავტორთა დასახელებისაგან თავს შევიკავებ, რადგან მინდა მჯეროდეს, რომ ყველაფერი, რაც შემდგომში ჩავიდინე, ჩემი აზროვნების შედეგია და არა – უკვე არსებული ფილოსოფიის გავლენა. თუმცა ვაღიარებ, რომ ამ ავტორებმაც მეტ-ნაკლები გავლენა მოახდინეს ჩემზე.

ადრეც აღვნიშნე, რომ ბავშვობიდან ვერავინ მიგებდა და ეს ჩემს ერთადერთ სიამაყეს წარმოადგენდა. არც კი ვცდილობდი, ხმა ამომელო ან ისე მოვქცეულიყავი, რომ დანარჩენებს როგორმე ჩემი გაეგოთ. ჩემს თავს ყოველთვის ფხიზლად და მოურიდებლად ვაფასებდი, მაგრამ არა მგონია, ამის საფუძველში საკუთარი თავის შეცნობის სურვილი ყოფილიყო. ეს სურვილი ხომ კაცის ბუნები-

დან გამომდინარეობს და ადამიანებთან დამაკავშირებელ ხიდადაც კი შეიძლება იქცეს. თრობა, რომელსაც ოქროს ტაძარი მგვრიდა, თრობის ყოველგვარ შეგრძნებას მავიწყებდა და ჩემი სულის ნაწილს ჩემივე მზერისთვისაც კი გაუმჭვირვალეს ხდიდა. როგორმე ამ თრობას უნდა შევწინააღმდეგებოდი. ამიტომაც ვცდილობდი საკუთარი თავის ფხიზლად შეფასებას. სხვებისა რა მოგახსენოთ, აი, მე სიფხიზლეს კი არ ვინარჩუნებდი, არამედ თავად სიფხიზლეს დაემორჩილებინა ჩემი „მე"...

ერთი წელი გასულიყო მას მერე, რაც უნივერსიტეტის მოსამზადებელ კურსზე ჩავირიცხე. შოვას ეპოქის ოცდამესამე წლის საგაზაფხულო არდადეგები იდგა. ერთ საღამოს უხუცესი სადღაც წავიდა და გადავწყვიტე, მარტოს გამესეირნა – უმეგობროდ დარჩენილს, სხვანაირად არც შემეძლო თავისუფალი დროის მოკვლა. ტაძრიდან გამოვედი და მთავარი ჭიშკარი გავიარე. ჭიშკრის გარეთ, გზის მეორე მხარეს, თხრილთან გამაფრთხილებელი ნიშანი მოჩანდა. ეს წარწერა მანამდეც არაერთხელ მენახა, მაგრამ ამჯერად, რატომღაც, შევჩერდი და მთვარის შუქით განათებულ იეროგლიფებს დავაკვირდი.

გაფრთხილება!

1. ნებართვის გარეშე გარეგნული იერსახის შეცვლა აკრძალულია.
2. იკრძალება ყველა საქმიანობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს შენარჩუნებასა და კონსერვაციაზე.

ყველა, ვინც ამ გაფრთხილებას არ დაემორჩილება, კანონის ძალით დაისჯება.

შოვას ეპოქის მე-3 წლის 31 მარტი. შინაგან საქმეთა სამინისტრო.

გაფრთხილება აშკარად ტაძარს ეხებოდა, მაგრამ ბუნდოვანი ფრაზების მნიშვნელობას ბოლომდე ვერ ჩავწვდი – მუდმივ და უცვლელ ოქროს ტაძართან ვერაფრით დავაკავშირე. გაფრთხილება რაღაც ამოუცნობ და ყოვლად წარმოუდგენელ მოქმედებებს გუ-

ლისხმობდა. შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მის დამწერს გაუჭირდა, უფრო ზუსტად აღეწერა ეს მოქმედებები. ასეთი რამის ჩამდენი გიჟის მეტი ხომ არავინაა, და როგორ უნდა შეაშინო გიჟი? როგორც ჩანს, ამისთვის განსაკუთრებული, გიჟებისთვის გასაგები წარწერაა საჭირო...

ასეთ სისულელეებზე ფიქრით ვიყავი გართული, რომ უეცრად, ჭიშკრის წინ, ფართო ბილიკზე ჩემკენ მომავალი ადამიანის ლანდი ამოიზარდა. დამთვალიერებლებიდან აღარავინ დარჩენილიყო. ღამეულ სივრცეს მხოლოდ ფიჭვის ხეებზე არეკლილი მთვარის ნათება და რკინიგზის გასწვრივ მიმავალ ავტომობილთა შორეული შუქი ავსებდა.

სიარულზე მივხვდი, რომ ქაშივაგი უნდა ყოფილიყო. გადავწყვიტე, თაროზე შემომედო ის ერთწლიანი გაუცხოება, რომელიც ჩემივე შეგნებული არჩევანის შედეგი იყო, და მხოლოდ მადლიერების გრძნობა დამეტოვებინა. ქაშივაგი ხომ თავის დროზე ცხოვრებისეულ მკურნალად მომევლინა. სწორედ ასე იყო. ჩვენი პირველი შეხვედრისას შეუხედავი, დაგრეხილი ფეხებით, მოურიდებელი, მტკივნეული ფრაზებითა და ბოლოს, იმ თავისი გულწრფელი აღსარებით, ჩემს შერყეულ აზროვნებას უმკურნალა. მაშინ პირველად განვიცადე ის სიხარული, რომელიც თურმე თანასწორთან ლაპარაკს მოჰყვება. ალბათ მაშინ პირველად გავითავისე ბოლომდე, რომ ენაბლუ ბერი ვიყავი და ამის გაცნობიერებამ ისეთი სიხარული მომანიჭა, ამორალური საქციელის ჩადენისას რომ განიცდი. ცურუკავასთან ურთიერთობისას ამას ვერც კი ვაცნობიერებდი.

ქაშივაგის ღიმილით შევეგებე. უნიფორმა ეცვა და ხელში მოგრძო ფუთა ეჭირა.

– სადმე ხომ არ მიდიხარ? – მკითხა მან.

– ა-ა-არა...

– რა კარგია, რომ შეგხვდი, – თქვა და იქვე, ქვის საფეხურზე ჩამოჯდა, ფუთა გახსნა, იქიდან კი ორსტვირიანი შაკუჰაჩის შავი ფლეიტა ამოიღო. – იცი, ამასწინათ ბიძა გარდამეცვალა და სამახსოვროდ ეს ფლეიტა მივიღე. სხვათა შორის, ახლა რომელიც

მაქვს, ისიც ბიძაჩემმა მაჩუქა, დაკვრას რომ ვსწავლობდი. რა თქმა უნდა, ეს უკეთესი ინსტრუმენტია, მაგრამ მე ძველზე დაკვრას ვარ მიჩვეული. თან ორი ფლეიტა არ მჭირდებოდა და ვიფიქრე, ერთს მიძოგუჩის ვაჩუქებ-მეთქი...

საჩუქარი არასდროს მიმეღო და, რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა. გამოვართვი და დავათვალიერე. წინა მხარეს ოთხი ნახვრეტი ჰქონდა, უკანა მხარეს კი – ერთი.

– იცი, მე კინკოს სკოლაში ვსწავლობდი, – გააგრძელა ქაშივაგიმ. – დღეს უჩვეულოდ ლამაზი მთვარეა და ვიფიქრე, მიძოგუჩის ვთხოვ, ოქროს ტაძრის ეზოში დამაკვრევინოს-მეთქი. თან დაკვრასაც გასწავლი...

– კარგი დროა, – ვუპასუხე, – წინამძღვარი გასულია, მოხუცი ბერი კი ზარმაცობს ხოლმე და დალაგება ჯერ არ ექნება დამთავრებული. დალაგებას რომ მორჩებიან, მერე ტაძრის ჭიშკარი იკეტება და ვეღარ შევალთ.

ქაშივაგის გამოჩენაც და მთვარიან ღამეში ოქროს ტაძართან დაკვრის სურვილიც მეტად მოულოდნელი იყო. ეს საქციელი ჩემს ნაცნობ ქაშივაგის არ შეეფერებოდა. თუმცა ჩემს ერთფეროვან ცხოვრებაში ყველანაირი სიურპრიზი სიხარულის მომტანი იყო. ნაჩუქარი ფლეიტა ჩავბღუჯე და მის უწინდელ მფლობელს ოქროს ტაძრისკენ გავუძეხი.

ზუსტად არ მახსოვს, რაზე ვსაუბრობდით იმ საღამოს მე და ქაშივაგი. ალბათ – მნიშვნელოვანზე არაფერზე. ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ თავის გიჟურ ფილოსოფიასა და გესლიან, უკულმართ თეორიებზე სიტყვაც არ დასცდენია.

იქნებ სწორედ იმიტომ მოვიდა, რომ ჩემთვის თავისი უცნობი მხარე ეჩვენებინა, რომლის შესახებ წარმოდგენაც არ მქონდა? კრიტიკოსი, სილამაზის გმობის მეტი რომ არაფერი ხიბლავდა, ახლა ჭეშმარიტად განსხვავებულ სახეს მაჩვენებდა. სილამაზის შესახებ ზედმიწევნით ზუსტი თეორიები ჰქონდა, რომლებსაც სიტყვებით კი არა, მიმიკითა და ჟესტიკულაციით, ფლეიტაზე შესრულებული მუსიკითა და შუბლზე დაცემული მთვარის შუქით მიხსნიდა.

ტაძრის მეორე სართულზე, მოქცევის ქვაბულის მოაჯირთან ვისხედით. ტერასა, რომელსაც ნატიფად აზიდული სახურავი ფარავდა, ქვევიდან ტენჯიკუს სტილში შესრულებული რვა სვეტით იყო გამაგრებული. მისი ბოლო ტბას გადაჰყურებდა, რომელშიც მთვარის ნათელი დისკო ჩავარდნილიყო.

ქაშივაგიმ თავიდან მოკლე კომპოზიცია „სასახლის ეტლი" შეასრულა. გამაოცა მისმა ოსტატობამ. ვცადე მიმებაძა, ფლეიტა ტუჩებთან მივიტანე და ჩავბერე, მაგრამ ინსტრუმენტმა ხმა არ გამოსცა. ქაშივაგიმ ყველაფერი გულდასმით ამიხსნა. მაჩვენა, როგორ დამეკავებინა ფლეიტა მარცხენა ხელით, როგორ დამეჭირა თითები ნახვრეტებზე, ტუჩებისთვის რა ფორმა მიმეცა, რომ სწორად ჩამებერა... ვცდილობდი, მაგრამ ინსტრუმენტი ხმას არ გამოსცემდა. ლოყებს ვბერავდი, თვალები ამოხტომას მქონდა და, მიუხედავად იმისა, რომ ნიავიც კი არ ქროდა, მეჩვენებოდა, თითქოს ტბაში ჩავარდნილი მთვარეც კი ლივლივებდა.

გადავიღალე და წამით ისიც კი ვიფიქრე, რომ ფლეიტა ქაშივაგიმ შეგნებულად, ჩემს დასაცინად მოიტანა. მეჩვენებოდა, რომ ფიზიკური ძალისხმევა, რომელსაც ინსტრუმენტის ასახმიანებლად ვიღებდი, იმ სულიერ ძალისხმევას წმენდდა და ასუფთავებდა, ჩვეულებრივ, ლაპარაკის დაწყების შიშით დაზაფრულს რომ მჭირდებოდა. თითქოს ხმა, რომელიც ფლეიტას ვერაფრით გამოვაცემინე, მთვარის შუქით განათებული ამ მშვიდი სამყაროს რომელიღაც კუნჭულში უკვე არსებობდა, მე კი ისღა დამრჩენოდა, ჩემი ძალისხმევით, როგორმე მივწვდომოდი და გამომეღვიძებინა.

როგორ უნდა მიმეღწია იმ ჯადოსნური ხმისთვის, ქაშივაგი ფლეიტით რომ გამოსცემდა? მეცადინეობა! ოსტატობა მხოლოდ მეცადინეობით მიიღწევა, მეცადინეობა თავად მშვენიერებაა. თუკი ქაშივაგის, მიუხედავად გონჯი ფეხებისა, წმინდა და ლამაზი ჰანგები გამოსდიოდა, მაშინ მეც შემეძლო ამავეს მიღწევა. ეს აზრი ძალასა და სითამამეს მმატებდა, მაგრამ ამავე დროს სხვა განცდაც გამიჩნდა: რატომ მომეჩვენა ქაშივაგის მუსიკა ასე ლამაზად? იქნებ

მისი ოსტატობა და მთვარის შუქი არაფერ შუაში იყო? იქნებ საქმე უბრალოდ ის იყო, რომ მახინჯი ხეიბარი უკრავდა?

როცა ქაშივაგი კარგად გავიცანი, მივხვდი, რომ ისეთი სილამაზე სძულდა, რომელიც დიდხანს რჩება. მხოლოდ იმგვარი რამ თუ მოხიბლავდა, როგორიც მუსიკაა, მყისიერად რომ ქრება, ან იკებანა, რამდენიმე დღეში რომ დაჭკნება, არქიტექტურასა და ლიტერატურას კი ვერ აიტანდა. ოქროს ტაძარშიც მხოლოდ იმისთვის მოვიდა, რომ მთვარის შუქით განათებული ენახა. და მაინც, რა საოცრებაა მუსიკის სილამაზე! მუსიკოსის მიერ შექმნილი ეს ხანმოკლე მშვენიერება დროის მონაკვეთს წმინდა განგრძობითობად გარდაქმნის, რომელიც, ხანმოკლე სიცოცხლის მქონე ქმნილებების მსგავსად, აღარასოდეს განმეორდება, მაგრამ ამავე დროს ეს სრულყოფილი აბსტრაქციაა თავად სიცოცხლისა, მისი სრულყოფილი ქმნილება. მუსიკაზე ახლოს სიცოცხლესთან არაფერი დგას, და მიუხედავად იმისა, რომ ოქროს ტაძარიც ამავე სილამაზის განსახიერებაა, არაფერია სიცოცხლისგან ისე შორს, როგორც ეს ამპარტავანი, სიცოცხლისმოძულე შენობა. ამგვარად, ქაშივაგიმ „სასახლის ეტლის“ შესრულება დაამთავრა თუ არა, მუსიკა – ეს ჰაეროვანი სიცოცხლე მოკვდა, შემსრულებლის გონჯი სხეული და ბნელი სული კი ისევ აქ დარჩა.

ქაშივაგი სილამაზისგან ნუგეშს ნამდვილად არ ითხოვდა! ამას იქვე, უსიტყვოდ მივხვდი. მას ფლეიტაში ჩაბერვით ისეთი წარმავალი სილამაზის შექმნა უყვარდა, რომლის გაქრობის მერეც უფრო მეტად შეიგრძნობდა თავის სიგონჯესა და სულის სიშავეს. სილამაზის უანგარობა, გულში ჩაწვდომის მერეც რომ არ ტოვებს კვალს, არასდიდებით რომ არ შეცვლის ერთ მისხალსაც კი... ეს იყო ის, რაც ქაშივაგის შეეძლო ჰყვარებოდა. მეც რომ ასე აღმექვა სილამაზე... ოჰ, როგორ შემიმსუბუქდებოდა მაშინ ცხოვრება...

ქაშივაგის დარიგებებით, შეუპოვრად ვაგრძელებდი ინსტრუმენტის ახმიანების მცდელობებს. სახეზე სისხლი მომაწვა და კინაღამ სუნთქვაც შემეკრა. უეცრად შაკუჰაჩის ფლეიტამ ერთი მოგუდული აკორდი გამოსცა და მომეჩვენა, თითქოს ჩიტად ვიქეცი და ყელიდან ჭიკჭიკი ამომდიოდა.

– ეგ არის! – სიცილით წამოიძახა ქაშივაგიმ. რა თქმა უნდა, ლამაზი ჰანგები სულაც არ გამომსვლია, მაგრამ ვახერხებდი, რომ იგივე ხმა კიდევ და კიდევ გამომეცა. ამ ხმას ჩემნაირ ენაბლუსთან საერთო არაფერი უნდა ჰქონოდა და მეც მეჩვენებოდა, რომ ეს სახურავზე მჯდარი ფენიქსის ყივილი იყო.

***

მას მერე, ყოველ საღამოს, ქაშივაგის ნაჩუქარი სახელმძღვანელოს მიხედვით, ფლეიტაზე დაკვრაში ვმეცადინეობდი. სულ მალე უკვე ვახერხებდი ისეთი მელოდიების დაკვრას, როგორიცაა „წითლად შეღებილი მზე თეთრ მიწაზე“. ჩემი და ქაშივაგის უწინდებური მეგობრობაც თანდათან აღდგა.

აზრად მომივიდა, რომ მისთვის რაღაც მეც უნდა მეჩუქებინა. ფული საერთოდ არ მქონდა და, ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, ბოლოს თვითონ ქაშივაგის მივადექი და ამის შესახებ პირდაპირ ვუთხარი. მიპასუხა, რომ არ სჭირდებოდა ისეთი საჩუქრები, რომლებსაც ფულით ვიყიდდი. მერე ტუჩები უცნაურად დაგრიხა და დაამატა:

– თუმცა, რადგან შენ თვითონ შემომთავაზე, ბარემ გეტყვი, ყველაზე მეტად რაც მინდა. საქმე ისაა, რომ ამ ბოლო დროს ყვავილები ძალიან გაძვირდა და იკებანას საერთოდ ველარ ვაკეთებ. ზუსტად ახლა ოქროს ტაძრის ეზოში ზამბახები უნდა ყვაოდეს. ოთხი-ხუთი ზამბახი რომ მაჩუქო, გინდა გაშლილი და გინდა გაუშლელი ყვავილით, და ბარემ შვიდი-რვა შვიტაც... დიდად მადლობელი დაგრჩები. თუნდაც ამაღამ იყოს. ღამით საერთო საცხოვრებელში ხომ ვერ მომიტანდი?

დაუფიქრებლად დავთანხმდი და მერეღა მივხვდი, რომ ქაშივაგი სინამდვილეში ქურდობისაკენ მიბიძგებდა. სხვა გზა არ მქონდა – ყვავილების ქურდი უნდა გავმხდარიყავი.

იმ საღამოს „მკურნალი ქვა“ შავი, მძიმე პურისა და მოხარშული ბოსტნეულისგან შედგებოდა. საბედნიეროდ, შაბათი იყო და ვახშმის მერე სამონასტრო მოვალეობებისგან გათავისუფლებული ბე-

რები ტაძრიდან გავიდნენ. შაბათობით ადრე დაძინებაც შეგვეძლო და თერთმეტ საათამდე გარეთ სეირნობაც არ გვეკრძალებოდა. კვირა დილას კი „ძილში დავიწყება“ ეწოდებოდა – შედარებით გვიან გვაყენებდნენ. უხუცესი ჯერ კიდევ ვახშამამდე სადღაც წასულიყო.

შვიდის ნახევარს გადასცდა და მზე, როგორც იქნა, ჩავიდა. უეცრად ქარი ამოვარდა. მე საღამოს პირველი ზარის შემოკვრას ველოდებოდი. ზუსტად რვა საათზე ოჯიკიჩოს ზარმა, მთავარი ჭიშკრიდან მარცხნივ რომ ეკიდა, თვრამეტჯერ ჩამოჰკრა და თავისი მაღალი, კრიალა ხმით ღამის დაწყება გვამცნო.

ოქროს ტაძარს მიშენებული სათევზაო პავილიონის გვერდით მრგვლად შემოღობილი პატარა ჩანჩქერი იყო, რომლითაც წყალი ლოტოსის გუბურიდან სარკის ტბაში ჩაედინებოდა. ზამბახები ამ ჩანჩქერის გარშემო იზრდებოდა. იმ დღეებში ყვავილები განსაკუთრებით ლამაზი იყო.

მივუახლოვდი თუ არა, ყვავილნარი ნიავმა აახმიანა. იასამნები ჩანჩქერის წყნარი ხმის ფონზე შრიალებდნენ. იმ ადგილს მთვარის შუქი არ ადგებოდა და იასამნის ყვავილებიცა და მუქი მწვანე ფოთლებიც შავად მოჩანდა. ორიოდე ზამბახის მოწყვეტა ვცადე, მაგრამ ქარმა დაუბერა და ყვავილები ხელებიდან ხმაურით დამისხლტნენ. ერთმა ფოთოლმა თითი გამიჭრა.

როცა, ზამბახებითა და შვიტებით ხელში, ქაშივაგის მივადექი, წამოწოლილი დამხვდა – წიგნს კითხულობდა. მეშინოდა, მის მეზობელ გოგოს არ გადავყროდი, მაგრამ, როგორც ჩანს, სადღაც წასულიყო.

ამ პატარა ქურდობამ ძალიან გამახალისა. ქაშივაგისთან შეამხანაგებას ყოველ ჯერზე უმნიშვნელო უზნეობასთან, მცირე მკრეხელობასა თუ პატარა ბოროტებასთან მივყავდი, რაც, საბოლოო ჯამში, სიხარულს მანიჭებდა. თუმცა ერთი რამ ჯერ არ ვიცოდი: მომემატებოდა კი სიხარულის განცდა, ჩემში ბოროტება რომ გაძლიერებულიყო?

ქაშივაგიმ ჩემი საჩუქარი დიდი სიხარულით მიიღო და მყისვე საერთო საცხოვრებლის დიასახლისთან გაიქცა, რომ იკებანისთვის

საჭირო კალათი გამოერთმია. საერთო საცხოვრებელი ერთსართულიანი შენობა იყო, რომელშიც ჩემი მეგობარი ყველაზე მოშორებულ, ოთხნახევარი ჯოს[13] ზომის ოთახს იკავებდა.

კედლის ნიშაში, ყველაზე საპატიო ადგილას, ფლეიტა შევნიშნე, ჩავბერე და მოკლე მელოდია დავუკარი. იმდენად ოსტატურად გამომივიდა, რომ მობრუნებული ქაშივაგიც კი გავაკვირვე. მაგრამ ამ ღამით ეს ის ქაშივაგი არ იყო, რომელიც ოქროს ტაძარში ვნახე.

– ამას დამიხედეთ! ვხედავ, ფლეიტაზე დაკვრისას ენა არ გებმება. არადა, დაკვრა იმიტომ გასწავლე, რომ ენაბლუს მუსიკის მოსმენა მინდოდა...

ამ ფრაზით ისევ იმ პოზიციებს დავუბრუნდით, პირველი შეხვედრისას რომ გვქონდა. უფრო სწორად, მან დაიბრუნა თავისი პოზიცია და მეც ყოველგვარი მორიდების გარეშე შევძელი იმ ცივსახიანი ლამაზმანის შესახებ მეკითხა, ესპანურ სახლში რომ ცხოვრობდა.

– აა, ის გოგო? დიდი ხანია, გათხოვდა, – უდარდელად მიპასუხა ქაშივაგიმ. – ერთი ხერხი ვასწავლე, როგორ დაემალა, რომ ქალიშვილი აღარ იყო. ქმარიც კარგი ხეპრე აღმოჩნდა და, როგორც ჩანს, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

მელაპარაკებოდა, თან წყლიდან ზამბახებს იღებდა და თითოთითოდ, გულდასმით ათვალიერებდა. მერე წყალში მაკრატელი ჩაყო და ღეროების ჭრა დაიწყო. როცა ზამბახებს იღებდა, ყვავილების ჩრდილი ტატამიზე მოძრაობდა.

– თუ გაგიგია ცნობილი შეგონება რინძაის სკოლის წმინდა წიგნიდან? – უეცრად ისევ წამოიწყო ქაშივაგიმ, – „ბუდას თუ შეხვდები, მოკალი ბუდა! მამამთავარს თუ შეხვდები, მოკალი მამამთავარი...“

– „წმინდანს თუ შეხვდები, მოკალი წმინდანი!“ – გავაგრძელე მე, – „დედ-მამას თუ შეხვდები, მოკალი დედ-მამა! ნათესავს თუ შეხვდები, მოკალი ნათესავი! და მხოლოდ მაშინ დააღწევ თავს მიწიერ ცოდვებს“.

---

[13] დაახლოებით 1.8 მ/კვ.

– ზუსტადაც! ჰოდა, ის გოგო წმინდანი იყო.

– და ახლა შენ ცოდვებს თავი დააღწიე?

– ჰმმ... – აღმოხდა ქაშივაგის. მერე ღეროებშეჭრილ ზამბახებს დააკვირდა და დასძინა: – მაგის მისაღწევად მკვლელობა საკმარისი არაა.

იკებანის სადგამის ძირი, რომელშიც წმინდა, გამჭვირვალე წყალი ესხა, ვერცხლისფრად იყო შეღებილი. ქაშივაგიმ გულდასმით გაასწორა ხის დაფიდან ამოშვერილი ლურსმნები, რომლებზეც, ჩვეულებრივ, ყვავილები მაგრდება.

– ხომ გაგიგია კოანი „ნანსენი კლავს კატას“? – ვკითხე მას. – უხუცესმა კაპიტულაციის მერე ყველა შეგვკრიბა და, რატომღაც, ეს კოანი მოგვიყვა...

– „ნანსენი კლავს კატას“? – კითხვითვე მიპასუხა ქაშივაგიმ, შვიტის ღეროების სიმაღლე შეამოწმა და კალათის ძირს მიუსადაგა. – ეგ კოანი ცხოვრების უსწორმასწორო გზაზე სხვადასხვა სახით გვხვდება ხოლმე. მეტად თვალთმაქცური კოანია – ყოველ ცხოვრებისეულ გზაჯვარედინზე ფორმასა და მნიშვნელობას იცვლის. ჯერ ერთი, ის კნუტი, ნანსენ ოშიომ რომ მოკლა, ნაძირალა იყო და მეტი არაფერი. ხომ არ გავიწყდება, რომ კნუტი ლამაზი იყო, შეუდარებლად ლამაზი – ოქროსფერი თვალებითა და მბზინვარე ბეწვით... ფაფუკ სხეულში ყველანაირი მიწიერი ბედნიერება და სილამაზე იმალებოდა. თითქმის ყველას, ვინც ამ კოანს განმარტავს, ავიწყდება აღნიშნოს, რომ ეს კატა თავად სილამაზე იყო. მოულოდნელად გამოხტა ბალახიდან, თვალების ეშმაკური ციმციმით მოხიბლა ბერები და თავი დააჭერინა. მერე კი განხეთქილების მიზეზად იქცა. რატომ? იმიტომ რომ სილამაზე შეიძლება ნებისმიერმა ჩაიგდოს ხელში, მაგრამ ის მაინც არავის ეკუთვნის.

სილამაზე... აი, როგორ გითხრა... ჰო, სილამაზე ჭიანი კბილივითაა. ენაზე გედება, არ გასვენებს, ტკივილს გაყენებს და თავის არსებობას გაგრძნობინებს. ბოლოს და ბოლოს, ტკივილს ველარ უძლებ და ექიმს ამოაღებინებ. სისხლით მოთხვრილ, ჭუჭყიან, ყავისფერ კბილს ხელისგულზე დაიდებ და აღმოგხდება: „ე-ეს? ნუ-

თუ ეს იყო, რომ მტანჯავდა და განუწყვეტლივ თავის არსებობას მახსენებდა? სულ ცოტა ხნის წინ ჩემში ფესვები ჯიუტად ჰქონდა გადგმული, მაგრამ ახლა დახედეთ, მკვდარი ნივთია და სხვა არაფერი. ნუთუ ის და ეს მართლა ერთია? თუ თავიდანვე მკვდარი ნივთი იყო და სხვა არაფერი, მაშ, რა ეშმაკის მანქანებით გაიდგა ჩემში ფესვები, როგორ იქცა ჩემი ტანჯვის წყაროდ? რა არის მისი არსებობის საფუძველი? იქნებ საფუძველი თავად ჩემშია? როგორც უნდა იყოს, რაც წელან ამომაძრეს, რაც ახლა ჩემს ხელისგულზე გდია – უთუოდ სხვა რაღაცაა. ვერაფრის დიდებით ის ვერ იქნება!"

გაიგე? სილამაზე ასეთი რამაა. ასე რომ, ნანსენის მიერ კატის მოკვლა იგივეა, რაც ჭიანი კბილის ამოღება. ამით ბერმა სილამაზე მოკვეთა. მაგრამ არ ვიცი, საკმარისია კი ეს ყველაფრის გადასაწყვეტად, თუ არა. ვაითუ სილამაზის ფესვები გადარჩა? ვაითუ კატის სილამაზე მისი სიკვდილის შემდეგაც არ მომკვდარა? ნანსენის საყვარელმა მონაფემ, ჩოშიუმ კი, თავისი ჭუჭყიანი სანდლები თავზე რომ დაილაგა, ამით მასწავლებლის შერჩეული ხერხის სიმარტივეს დასცინა. იცოდა, რომ ჭიანი კბილის ტკივილს უნდა გაუძლო – სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს.

ეს ქაშივაგის ერთ-ერთი საუკეთესო ნააზრევი იყო. თუმცა მომეჩვენა, რომ ის ჩემს სამყაროში იყურებოდა და ჩემს მუდმივად მერყევ ბუნებას დასცინოდა. პირველად ცხოვრებაში, მისი მართლა შემეშინდა. სიჩუმე მზაფრავდა და ამიტომ ვკითხე:

– შენ რომელი ხარ, წინამძღვარი ნანსენი თუ მისი მონაფე ჩოშიუ?

– ჰმმ.. ახლა მე, ალბათ, ნანსენი ვარ და შენ – ჩოშიუ, მაგრამ ერთ დღესაც შენ ნანსენად იქცევი, მე კი – ჩოშიუდ. ეს კოანი ხომ კატის თვალებივით ცვალებადია.

სანამ ქაშივაგი ლაპარაკობდა, მისი ხელები შეუჩერებლივ მოძრაობდნენ. ჯერ იკებანის ძირში ჟანგმოკიდებული, ლურსმნიანი დაფები ჩააწყო, მერე კი მათზე შვიტის ღეროები ჩამოაცვა, რომლებიც იკებანაში ცას განასახიერებენ. შემდეგ ზამბახებიც გაანაწილა – სამ-სამად. ჩემ თვალწინ კანსუის სტილის კომპოზიცია

იქმნებოდა. კალათის გვერდით კი თეთრი და მოყავისფრო კენჭები თავიანთ რიგს მოთმინებით ელოდებოდნენ.

ქაშივაგის ხელები ოსტატურად მოძრაობდნენ. ერთიმეორის მიყოლებით ამატებდა პატარა დეტალებს. კონტრასტი და სიმეტრია, ოსტატური სიზუსტე... საბოლოოდ, ბუნებრივმა მცენარეებმა ხელოვნურად შექმნილი წესრიგის სამყაროში გადაინაცვლეს. ბუნებაში საკუთარ ნებაზე მცხოვრები მცენარეები ახლა ისეთ სახეს იღებდნენ, რომელიც მათთვის იყო განკუთვნილი. ისინი აღარ იყვნენ უბრალო, უსახელო ზამბახები და შვიტები – თავიანთ თავში ზამბახებისა და შვიტების არსს, მათ პირდაპირ დანიშნულებას განასახიერებდნენ.

ქაშივაგის ხელის მოძრაობებში იყო რაღაც სასტიკიც. ისე იქცეოდა, თითქოს განსაკუთრებული, უსიამოვნო ძალაუფლება გააჩნდა. ალბათ, სწორედ ამიტომაც, ყოველ ჯერზე, როცა კი მაკრატლის ხმა გაისმოდა, მეჩვენებოდა, თითქოს ჩემი მეგობარი ვიღაცის სისხლს ღვრიდა.

კანსუის სტილის იკებანა დასრულებული იყო. კალათის მარჯვენა მხარეს შვიტის სწორი ღეროები და ზამბახის დახვეწილი ხვეულები ერთმანეთს ერწყმოდნენ. ერთ-ერთი ყვავილი უკვე გაშლილიყო, ხოლო დანარჩენ ორს ჯერ პირი არ გაეხსნა. იკებანამ კედლის მცირე ნიშა თითქმის მთლიანად დაიკავა. ძირში დაგროვილი წყალი დაიწმინდა. პატარა კენჭები, ლურსმნებს რომ ფარავდნენ, კომპოზიციას სიწმინდისა და დახვეწილობის იერს აძლევდნენ.

– საოცრებაა. სად ისწავლე? – ვკითხე მას.

– მეზობლად იკებანის ოსტატი ქალი ცხოვრობს და იმან მასწავლა. მალე შემოივლის. თან ერთმანეთს ვხვდებით, თან იკებანის ხელოვნებას მასწავლის. თუმცა უკვე მარტოსაც შემიძლია კომპოზიციის აწყობა. სიმართლე გითხრა, ის ქალიც მომბეზრდა. ახალგაზრდა და ლამაზი კია. თურმე ომის დროს ვიღაც სამხედროსთან დადიოდა და მისგან მკვდრადშობილი ბავშვი ეყოლა. სამხედრო ომში დაიღუპა, ეს ქალი კი კაცებში სიარულს მაინც არ ეშვება. ფული საკმარისი აქვს და იკებანას მარტო თავისი სიამოვნებისთვის ასწავლის. თუ გინდა, დღეს შენ წაიყვანე. სადაც გინდა, იქ გამოგყვება...

ვუსმენდი ქაშივაგის და ურთიერთსაწინააღმდეგო ემოციების მოზღვავებას ვგრძნობდი. როცა ნანძენჯის ტაძრის ჭიშკრის თავზე შემომჯდარი, იმ ქალს ვუყურებდი, გვერდით ცურუკავა მეჯდა, მაგრამ ახლა, სამი წლის შემდეგ, იმავე ქალისთვის ქაშივაგის თვალებით უნდა შემეხედა. ქალის ტრაგედიაში ადრე შუქით მოსილ საიდუმლოებას ვხედავდი, ახლა კი ბნელი, ურწმუნო თვალებით მომიწევდა მისი დანახვა. სინამდვილის საშინელება ის იყო, რომ ქაშივაგის ხელები უკვე შეხებოდა მის თეთრ მკერდს, დილის ცაზე შემორჩენილი მთვარესავით რომ ქათქათებდა, ქაშივაგის დაგრეხილი ფეხები კი – მის მუხლებს, იმ დღეს მდიდრულ კიმონოში რომ იმალებოდნენ. ეს ქალი ქაშივაგის, უფრო სწორად, მის აზროვნებას უკვე წაებილწა.

ასეთი ფიქრები ტკივილს მაყენებდნენ და მტანჯავდნენ. იმ ოთახში გაჩერება აღარ შემეძლო, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ ადგილზე გამაქვავა. მინდოდა, მენახა გოგო, თავის დროზე უიკოს რეინკარნაცია რომ მეგონა და ახლა ხეიბარი სტუდენტისგან მიტოვებულ ქალად რომ უნდა ქცეულიყო. მინდოდა, ოდესმე ქაშივაგისთან შევკრულიყავი და მასთან ერთად შემეგრძნო ის სიხარული, საკუთარი ხელებით მოგონებების წაბილწვას რომ მოჰყვება...

ცოტა ხანში ქალიც გამოჩნდა, მაგრამ ამას ჩემში არავითარი გრძნობა არ გამოუწვევია. ახლაც მახსოვს მისი დაბალი, ოდნავ ჩახლეჩილი ხმა, დახვეწილი ქცევა და საუბარი, ცოტა შეუსაბამო, მრისხანე მზერა, მის სიტყვებში გაპარული ვედრების ტონი, ჩემი იქ ყოფნით დარცხვენილი, ქაშივაგის რომ მიმართავდა... მაშინღა მივხვდი, რომ ჩემმა მეგობარმა შეგნებულად მომიყვანა ამ საღამოს, რათა აბეზარი საყვარლის წინაშე დაბრკოლების როლი მეთამაშა.

ქალს ჩემს მოგონებასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ვერაფრით დავძლიე ის შთაბეჭდილება, რომ ჩემ წინ სულ სხვა ადამიანი იყო, რომელსაც ცხოვრებაში პირველად ვხედავდი. მის საუბარში სულ უფრო მეტად იგრძნობოდა მოუთმენლობა, თუმცა ზრდილობიან ტონს მაინც ინარჩუნებდა. მე კი, უწინდელივით, ზედაც არ მიყურებდა.

საბოლოოდ, როგორც ჩანს, საკუთარი საცოდაობა ველარ აიტანა და გადაწყვიტა, ცოტა ხნით შეეწყვიტა ქაშივაგის გულის მობრუნების ფუჭი მცდელობები. სიმშვიდის ნიღაბი მოირგო და საყვარლის ვიწრო საცხოვრებელს თვალი მოავლო. თითქმის ნახევარი საათის მოსულმა, ახლაღა შეამჩნია კედლის ნიშაში დადგმული იკებანა.

– რა მშვენიერი იკებანაა, – თქვა ქალმა, – მართლა ოსტატური ნამუშევარია.

ქაშივაგიმ, თითქოს ამ სიტყვებს ელოდაო, მას ბოლო, მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენა:

– კარგია, არა? ჰოდა, ეგრე – შენგან სასწავლი აღარაფერი მაქვს. აღარაფერში მჭირდები. საერთოდ არაფერში!

დავინახე, ამ სიტყვების გაგონებაზე როგორ შეეცვალა ქალს ფერი, და თვალი მოვარიდე. ნაძალადევად გაიღიმა და, მუხლებზე დამდგარი, თითქოს თავაზიანობის ხაზგასასმელად, ნიშას მიუახლოვდა. წამიც და ქალის ხმა მომესმა:

– ეს რა არის! ეს რა ყვავილებია! წყეულიმც იყოს!

იკებანის ძირში დაგუბებული წყალი იატაკზე დაიქცა, შვიტები დაიფანტა და თან ზამბახებიც გაიყოლა – ჩემი ნაქურდალი გაპარტახდა. უნებლიეთ წამოვხტი, მაგრამ არ ვიცოდი, რა მექნა და ფანჯარას ზურგით ავეკარი. დავინახე, როგორ ჩაავლო ხელი ქაშივაგიმ ქალის თხელ მაჯას. მერე თმებზე მოქაჩა და სახეში სილა გააწნა. ისეთივე ჩუმი სისასტიკით მოქმედებდა, როგორც ცოტა ხნის წინ, მაკრატლით ღეროებსა და ფოთლებს რომ ჭრიდა; თითქოს ეს საქციელი იმ ქმედებათა ბუნებრივი გაგრძელება ყოფილიყო.

ქალმა სახეზე ხელები აიფარა და ოთახიდან გავარდა. მე ისევ ისე გაშეშებული ვიდექი. უეცრად ქაშივაგიმ ამომხედა და უცნაური, ბავშვური ღიმილით მომაძახა:

– რაღას უდგახარ?! გაეკიდე და დაამშვიდე! ჰა, მიდი, ჩქარა!

არ ვიცი, ამ სიტყვებმა დამიმორჩილა თუ ქალს მართლა გულით თანავუგრძნე. მყისვე დავედევნე. ორიოდე სახლის იქით, ქარასუმის ელდეპოსთან წამოვეწიე. დეპოში შემავალი ტრამვაის გრუხუნი

ღამის მოქუფრულ ცას სწვდებოდა. კაბელებს იასამნისფერი ნაპერწკლები სცვიოდა. ქალმა იტაკურის რაიონიდან აღმოსავლეთით გაუხვია და ვიწრო, ბნელ ქუჩას გაუყვა. ტირილით მიმავალს შორიახლო მივყვებოდი. ბოლოს შემამჩნია და მომიახლოვდა. ტირილისგან კიდევ უფრო ჩახლეჩილი ხმით მომიყვა ქაშივაგის უზნეობისა და თავისი უბედობის შესახებ, მაგრამ ისე, რომ თავაზიანობა და დახვეწილი მანერები წამითაც არ დავიწყებია.

რა უსასრულოდ დავეხეტებოდით მე და ის ქალი ქალაქის ბნელ ქუჩებში! მისი დაუსრულებელი ამბები ქაშივაგის ბოროტებისა და ცბიერების შესახებ ერთადერთ სიტყვად ჩამესმოდა: „ცხოვრება, ცხოვრება, ცხოვრება...“ სისასტიკე, ზუსტად გათვლილი საქციელი, ღალატი, გულცივობა, ქალებისგან ფულის გამოძალვის ხრიკები – ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ფარდას ხდიდა რთულად ასახსნელ მომხიბვლელობას. ვირწმუნე, რომ ჩემი მეგობარი სერიოზულად მხოლოდ თავის დაგრეხილ ფეხებს ეპყრობოდა.

ცურუკავას მოულოდნელი სიკვდილის მერე, დიდი ხნის განმავლობაში, ცხოვრებისგან მოწყვეტილი ვაგრძელებდი არსებობას. ახლა კი ახალ, უფრო ბნელ, მაგრამ ნაკლებად უბედურ ცხოვრებაში ვდგამდი პირველ ნაბიჯებს, სხვებისთვის ტკივილის მიყენებას რომ მოითხოვდა ჩემგან. ყურებში ქაშივაგის ნათქვამი ჩამესმა: „მკვლელობა საკმარისი არაა“. ამ ფრაზამ გამახსენა ვედრების სიტყვები, ფუდოს მთიდან ქალაქის შუქების ცქერისას რომ აღმომხდა: „ნეტავ ჩემს გულში დაგუბებული წყვდიადი გაუტოლდეს იმ სიბნელეს, ქალაქის შუქებს რომ დასწოლია თავზე“.

ქალი შინისკენ არ მიდიოდა. ვიწრო, უკაცრიელ ქუჩებს ირჩევდა, სადაც თავისუფლად შეძლებდა ლაპარაკს. დიდი ხნის უმიზნო ხეტიალის შემდეგ, როცა საბოლოოდ მისი სახლის წინ აღმოვჩნდით, ველარ ვხვდებოდი, ქალაქის რომელ ნაწილში ვიმყოფებოდი.

უკვე თერთმეტის ნახევარი იყო. ტაძარში უნდა დავბრუნებულიყავი, მაგრამ ქალმა არაფრით არ გამიშვა. სახლში შევყევი. შუქი აანთო და მოულოდნელად მკითხა:

– ოდესმე ვინმე თუ დაგიწყევლია? გულით თუ გისურვია ვინმესთვის სიკვდილი?

– კი, – წამომცდა უნებლიეთ.

უცნაურია, რომ ამაზე არასდროს მეფიქრა, მაგრამ გულით მსურდა ჩემი სირცხვილის მოწმის, ქაშივაგის მეზობელი გოგოს სიკვდილი.

– საშინელებაა, – თქვა ქალმა და, ძალაგამოცლილი, ტატამიზე ჩაიკეცა. – მეც მისურვია!

ოთახში ასვატიანი ნათურა ჩახჩახებდა, რაც მეტად უცნაური იყო იმ დროში, როცა ყველა ცდილობდა, ელექტროენერგია დაეზოგა. ქაშივაგის ნათურასთან შედარებით, სულ ცოტა, სამჯერ უფრო მკვეთრი შუქი ექნებოდა. მისი ტანი ახლაღა დავინახე ასე ცხადად. იუძენის კიმონოზე გამოსახული იასამნების ფონზე, ნაგოიას სტილის ფართო ქამარი თეთრად ქათქათებდა.

ნანძენჯის ტაძრის ჭიშკრიდან იმ ოთახამდე, სადაც ჩაის ცერემონია ტარდებოდა, მარტო ჩიტი თუ მოახერხებდა გადაფრენას, მაგრამ ახლა მეჩვენებოდა, რომ წლების მერე ნელ-ნელა დავფარე ეს მანძილი და ჩემს ოცნებას მივუახლოვდი. როგორც ჩანს, ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ ვჩორკნიდი დროს, რომ ჩაის ცერემონიის ოთახში დაბუდებული საიდუმლოს მნიშვნელობას ჩავწვდომოდი. ყველაფერი ისე უნდა მომხდარიყო, როგორც მოხდა. ქალის ცვლილება ბუნებრივი და გარდაუვალი იყო – განა როცა შორეული ვარსკვლავის ნათება დედამიწას აღწევს, ის უკვე სახეცვლილი არ არის? თუ ჩვენი დაკავშირება ჯერ კიდევ იმ დროს იყო ნაწინასწარმეტყველები, როცა ნანძენჯის ტაძრიდან ცერემონიას ვუყურებდი, მაშინ შეიძლებოდა, ეს სახეცვლილება გამქრალიყო და ერთმანეთის წინაშე ისევ იმდროინდელი მე და ის აღმოვჩენილიყავით.

ავლაპარაკდი. სუნთქვა მეკვროდა, ენა მებმებოდა, მაგრამ მაინც ვყვებოდი. ახლად შეფოთლილი ხეების სიმწვანე, ხუთი ფენიქსის კოშკში ნანახი ჭერის მოხატულობა – ანგელოზები და ზღაპრული ფრინველები გამიცოცხლდა გონებაში. ქალის ღაწვებს წითელი ფერი შეეპარა, მის მრისხანე მზერაში დაბნეულობამ დაისადგურა.

– ნუთუ მართლა? წარმოუდგენელია! ნუთუ ეს სიმართლეა?!.. რა უცნაური დამთხვევაა! უცნაური დამთხვევა – სხვანაირად ვერც უწოდებ...

ამჯერად ქალის თვალები აღელვებისა და სიხარულის ცრემლებმა დანამა. წელანდელი შეურაცხყოფა დაავიწყდა და მთლიანად მოგონებებს მიეცა. ღირსების გათელვით გამოწვეული მღელვარება სხვაგვარ აღტყინებად ექცა და თითქმის შეშლილს დაემსგავსა. კიმონოს კალთები დაეჭმუჭნა.

– იცი, რძე აღარ მაქვს, – წამოიძახა უეცრად. – ოჰ, საცოდავი, საბრალო ჩემი შვილი! რძე აღარ მაქვს, მაგრამ შენთვის იმავეს გავიმეორებ, რაც მაშინ ნახე. შენ ხომ მას მერე გულში ჩაგივარდი... წარმოვიდგენ, რომ შენ ის ხარ და აღარ შემრცხვება. ყველაფერს ზუსტად ისე გავაკეთებ, როგორც მაშინ.

თავისი გადაწყვეტილება გამომიცხადა და ასეც მოიქცა. მის ქცევაში ზღვარგადასული სიხარული და სასოწარკვეთა ერთდროულად იგრძნობოდა. ალბათ გონებით აღმაფრენას განიცდიდა, ხოლო შეშლილის ასეთ საქციელს მიტოვებული საყვარლის სასოწარკვეთა ან სასოწარკვეთის მერე დალექილი განცდა ანიჭებდა ძალას.

თვალს ვადევნებდი, როგორ ეშვებოდა კიმონოს ქამარი, იხსნებოდა უთვალავი პატარა თასმა და შრიალით ცურდებოდა აბრეშუმის ნაჭერი. ქალმა საკინძე შეიხსნა და თეთრი, ქათქათა მკერდი გამოაჩინა. მარცხენა ხელით ძუძუ გადმოაცურა და დამანახა.

მოვიტყუები, თუ ვიტყვი, რომ მისი მკერდის ხილვისას თავბრუ არ დამეხვა. ვუყურებდი, გულდასმით ვათვალიერებდი, მაგრამ ისევ შორეულ დამკვირვებლად ვრჩებოდი. ნანძენჯის ტაძრიდან დანახულ, საიდუმლოებით მოცულ იმ სითეთრეს არაფერი ჰქონდა საერთო ამ ხორცის ნაგლეჯთან. იმდროინდელი **შეგრძნებები დიდი** ხნის განმავლობაში ღვინდებოდა ჩემში, ახლა კი ჩემ თვალწინ მოშიშვლებული ქალის მკერდი ჩვეულებრივი ხორცის ნაგლეჯი იყო და მეტი არაფერი. თანაც, ეს ხორცი მოკლებული იყო ყოველგვარ მომხიბვლელობასა თუ მიმზიდველობას – ცხოვრებას მოწყვეტილი, შიშველი, უბრალო მტკიცებულება არსებობისა...

თუმცა მაინც ტყუილი გამომდის. მე ხომ ნამდვილად დამახვია თავბრუ ამ მკერდის ხილვამ. მაგრამ, როგორც ჩანს, ზედმეტად გულდასმით ვათვალიერებდი და მკერდმა მნიშვნელობა შეიცვალა – შესწავლის უსიცოცხლო ობიექტად იქცა.

მერე კი ყველაზე უჩვეულო რამ მოხდა. ამგვარი მტანჯველი განცდების ბოლოს მკერდმა სილამაზე ისევ დაიბრუნა. ძუძუზე სილამაზის შიშველი, უემოციო ბუნება აღიბეჭდა. ის ნელ-ნელა მოთავსდა იმ კანონზომიერებაში, რომელშიც ქალის მკერდი არსებობს – ვარდივით, რომელიც მხოლოდ ვარდის არსებით კანონებს ემორჩილება.

მშვენიერება ჩემამდე გვიან მოდის. თუ სხვებში სილამაზე და ესთეტიკური ტკბობის განცდა ერთდროულად აღწევს, ჩემში ეს ორი დროშია აცდენილი. როდესაც მკერდი ისევ სხეულის ნაწილად იქცა, ის უკვე უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალო ხორცის ნაგლეჯი... უემოციო, მაგრამ უბერებელ მატერიას წარმოადგენდა, რომელიც უსასრულობას გადაჯაჭვოდა.

მინდა, კარგად გამიგოთ, რის თქმას ვცდილობ. აქაც ოქროს ტაძარი დამიდგა თვალწინ. უფრო სწორად, ქალის მკერდი იქცა ოქროს ტაძრად.

გამახსენდა შემოდგომის ის ქარიშხლიანი ღამე, როცა ტაძარში ვმორიგეობდი. გარშემო ყველაფერი მთვარის შუქით იყო განათებული, მაგრამ ტაძრის შიდა ნაწილი, ხარიხებისა და ხის კარების შიგნით მოქცეული სივრცე, ყველაფერი, რაც ყავლგასული ოქროს ფურცლებით დაფარული ჭერის ქვეშ იყო, მძიმე, დიდებულ წყვდიადს მოეცვა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან თავად ოქროს ტაძარი სხვა არაფერი გახლდათ, თუ არა გულდასმით დაგეგმილი და ნაშენები სიცარიელე. ასევე, ქალის მკერდიც, გარედან ხორცის ნათელი ბრწყინვალებით მოსილი, შიგნიდან სიშავით იყო გამოვსებული. მის არსში ასეთივე მძიმე და დიდებული წყვდიადი სუფევდა.

არა, ჩემმა გონებამ ვერ შეიგრძნო თრობა, ის კი არადა, გააცამტვერა კიდეც. მძულდა საკუთარი გონი! სიცოცხლე და ვნება ხომ – მით უმეტეს!.. თუმცა მონუსხული ვიყავი და ცოტა ხანს ქალის მკერდის წინ გაშეშებული ვიჯექი...

ამასობაში ქალმა ძუძუ დამალა და მისი ცივი, დამცინავი გამოხედვაღა შემრჩა. ვუთხარი, ჩემი წასვლის დროა-მეთქი. დერეფნამდე გამაცილა და ჩემს ზურგს უკან კარი ხმაურით მოაჯახუნა.

ტაძარში ისე დავბრუნდი, ექსტაზის შეგრძნებას არ დავუტოვებივარ. ჩემს გულში ოქროს ტაძარი და ქალის მკერდი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. უსუსური ბედნიერების განცდა მავსებდა.

მაგრამ ქარს დამორჩილებული შავი ფიჭვნარის ბოლოს, როკუონჯის მთავარი ჭიშკარი გამოჩნდა თუ არა, გული ნელ-ნელა გამიცივდა და უსუსურობის შეგრძნებაღა დამრჩა. თრობის განცდა ზიზღში გადაზრდილიყო. არ ვიცი, რის მიმართ, მაგრამ გაუსაძლის სიძულვილს ვგრძნობდი.

„ისევ მომწყვიტა ცხოვრებას! – ამოვიოხრე. – რატომ ცდილობს ოქროს ტაძარი ჩემს დაცვას? მე ხომ არაფერი მითხოვია მისთვის! მაშ, რატომ ცდილობს, რომ ცხოვრებას მომწყვიტოს? ნუთუ ჯოჯოხეთისგან ჩემი გადარჩენა უნდა? მაგრამ ასე ხომ ჯოჯოხეთში მოხვედრილებზე უფრო საშინელ ადამიანად მაქცევს! ადამიანად, ვინც ყველაზე ახლოს შეიგრძნო ჯოჯოხეთის სუნთქვა!“

მთავარი ჭიშკარი მშვიდად თვლემდა ღამის წყვდიადში. ჭიშკრის ლამპარი, დილის ზარის მერე რომ აქრობდნენ, სუსტად ბჟუტავდა სიბნელეში. კარს მივაწექი, ძველი, ჟანგმოკიდებული ჯაჭვი, რომელზეც ჩამკეტი სიმძიმეები ეკიდა, არახრახდა და კარი ჭრიალით გაიღო.

კარისკაცს უკვე ეძინა. კარის შიდა მხარეს მიკრული იყო გაფრთხილება, რომ ჭიშკარი ბოლო დაბრუნებულს უნდა ჩაეკეტა. ჩემ გარდა, კიდევ ორი ბინადარი ჯერ არ დაბრუნებულიყო. ხის პატარა დაფებს შორის, რომლებზეც ჩვენი სახელები ეწერა და რომლებსაც დაბრუნებისას კართან ვტოვებდით ხოლმე, წინამძღვრისა და მოხუცი მებაღის სახელები არ ჩანდა.

ჩემი ოთახისკენ გავემართე. მარჯვნივ, ასე, ხუთი მეტრის სიგრძის რამდენიმე დაწვენილი ფიცარი შევამჩნიე, რომელთა ღია ფერი ღამეშიც კი მკვეთრად გაირჩეოდა. ნახერხი პატარა ყვითელი ყვავილებივით მიმოფანტულიყო. ღამის წყვდიადში ხის მომნუსხვე-

ლი სუნი ტრიალებდა. ფიცრებს მოვშორდი, ჭას გვერდით ჩავუარე და ის იყო, სამზარეულოს მივუახლოვდი, რომ უეცრად შევჩერდი.

ძილის წინ კიდევ ერთხელ უნდა შევხვედროდი ოქროს ტაძარს. როკუონჯის მთავარი შენობა ძილს მოეცვა. მის ჭიშკარს გავცდი და ოქროს ტაძრის გზას დავადექი.

სიბნელეში ტაძრის სილუეტი გამოიკვეთა. ქარისგან აშრიალებული ხეების ფონზე გაშეშებულიყო. თითქოს თავად ღამეს დარაჯობსო, არ ეძინა... არასოდეს მიფიქრია, რომ ოქროს ტაძარს შეეძლო დაეძინა, როგორც ეს იმ ტაძრებში ხდება, სადაც ხალხი ცხოვრობს. ამ უკაცრიელ ნაგებობას დავიწყებოდა, რა არის ძილი. მასში ჩაგუბებული წყვდიადი არ ემორჩილებოდა ადამიანთა მოდგმის წესებს.

ცხოვრებაში პირველად აღმომხდა ისეთი მრისხანე შეძახილი, თითქმის წყევლასავით რომ გაისმა:

– ოდესმე აუცილებლად გამეგები ფეხქვეშ. აუცილებლად დაგიმორჩილებ, რომ აღარასოდეს შეძლო ჩემი შეფერხება!

ჩემი ხმის ექომ ღამეში ჩაძირულ, ცარიელ ტბას გადაუარა.

ჩემს განცდილსა და ნანახში ერთგვარი კანონზომიერება იკვეთებოდა, როგორც სარკეებიან დერეფანში, სადაც ერთი ანარეკლი დერეფნის ბოლომდე მეორდება და ხვდები, რომ ყველაფერი, რაც თითქოს პირველად დაინახე, წარსულში ნანახის ანარეკლია. გაუცნობიერებლად მიჰყვები ამ ანარეკლებს და, საბოლოოდ, უცნობ ოთახში შეაბიჯებ, რომელსაც იატაკი სულაც არა აქვს. შემთხვევით არ გადავაწყდებით ხოლმე საკუთარ იღბალს. თუ ადამიანს სიკვდილით დასჯა უწერია, მას ყველგან და ყოველთვის, დენის ბოძებისა თუ შლაგბაუმის დანახვისას, ეშაფოტი ელანდება; საბოლოოდ, ამ ლანდს ეჩვევა და მასთან თითქმის ნათესაურ სიახლოვეს გრძნობს.

ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება მოკლებული იყო სიღრმეს, სიმაღლეს, შრეებსა თუ სიგანეს. მე, რომელიც ოქროს ტაძრის გარდა, ამქვეყნად სიახლოვეს არაფერთან ვგრძნობდი, არც საკუთარი გამოცდილების მიმართ განვიცდიდი რაიმე განსაკუთრებულს. მაგრამ მივხვდი, რომ ჩემი ნანახისა და **განცდილის იმ** ნაწილებისგან, წყვდიადით მოცული დროის ზღვამ რომ არ შთანთქა, იმ მცირე გამონათებებისგან, რაც გამეორებების უკიდეგანო და უაზრო სანსარაში არ ჩაიძირა, ერთიანი ჯაჭვი შეკრულიყო და ავისმომასწავებელი, უკეთური სურათი ისახებოდა.

და მაინც, რა წარმოადგენდა ამ ჯაჭვის თითოეულ რგოლს? დროდადრო ვცდილობდი, ამ კითხვაზე პასუხი მეპოვა. მაგრამ უეცრად ამოტივტივებულ ცალკეულ მოგონებებში უფრო ნაკლები აზრი და წესრიგი იყო, ვიდრე ქუჩის კუთხეში მიყრილ ლუდის ბოთლის ნამსხვრევებში. ვერ წარმომედგინა, რომ ეს ნამსხვრევები ოდესღაც რაიმე ლამაზისა და მთლიანის ნაწილები იყო. ამ უაზრობისა და სრული უწესრიგობის წიაღში ცხოვრებას მოწყვეტილი და გადაგდებული ყოველი მოგონება ხომ ცალ-ცალკე წარმოისახავდა საკუთარ მომავალს. ერთი ამ საცოდავ ნამსხვრევებს დამიხედეთ! დამდგარან და წყნარად, უშიშრად, პირქუშად... მომავალზე ოცნებობენ! თანაც, ალბათ, განუმეორებელ, ჯერაც უნახავ და გაუგონარ მომავალზე!

ამგვარი ბუნდოვანი აზრები დროდადრო ერთგვარ პოეტურ აღტყინებასაც კი მგვრიდა. და თუ ამ დროს მთვარიანი ცა იყო, ვიღებდი ჩემს შაკუჰაჩის, ოქროს ტაძრის შორიახლო გავდიოდი და ვუკრავდი. ახლა უკვე შემეძლო უნოტებოდ დამეკრა „სასახლის ეტლი“, პირველად ქაშივაგიმ რომ მომასმენინა.

მუსიკა სიზმარს ჰგავს, მაგრამ მასში ყოველთვის ერთი საფეხურით უფრო მაღალი სიცხადეა. და მაინც, რა არის მუსიკის ჭეშმარიტი არსი? მუსიკას შეუძლია სიზმარსა და ცხადს – ამ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო განზომილებას ადგილები შეუცვალოს. ზოგჯერ, როცა „სასახლის ეტლს“ ვუკრავდი, ვგრძნობდი, როგორ გარდავიქმნებოდი ხოლმე თავად ამ მელოდიის ჰანგებად. სულის მუსიკად გადაქცევის სიამოვნებას განვიცდიდი. ქაშივაგისგან განსხვავებით, მუსიკა ჩემთვის ნამდვილად იყო ნუგეში.

ყოველთვის, როცა ფლეიტის დაკვრას ვამთავრებდი, ერთი შეკითხვა არ მაძლევდა მოსვენებას: რატომ არ უშლის ხელს ოქროს ტაძარი ჩემს გარდასახვას? რატომ დადუმებულა და არასდროს მკიცხავს? მეორე მხრივ კი, როცა ვცდილობ, ცხოვრებისეულ ბედნიერებასა და სიამოვნებას მივანდო ჩემი სხეული, მაშინ ტაძარი არასოდეს ხუჭავს თვალს, მყისვე ცხოვრებას მწყვეტს და საკუთარ თავთან მაბრუნებს. მაშ, რატომ მაძლევს მუსიკით თრობისა და ტკბობის უფლებას?

გავიფიქრებდი თუ არა, რომ ამ სიამოვნებას ოქროს ტაძარი უშვებდა, მუსიკის მომხიბვლელობა მყისვე ფერმკრთალდებოდა. რამდენადაც უნდა ჰგავდეს მუსიკა სიცოცხლეს, თუ ოქროს ტაძრის მდუმარე მოწონებას იმსახურებდა, მაშინ მხოლოდ და მხოლოდ სიცოცხლის ყალბი ასლი გამოდიოდა, ჩემი მასთან შერწყმის სურვილი კი ბრმა, დროებით გატაცებად რჩებოდა.

არ მინდა, იფიქროთ, რომ ქალებთან ორიოდე იმედგაცრუების შემდეგ მარცხი ვაღიარე, ხელი ჩავიქნიე და ცხოვრებასთან მიახლოების მცდელობებს შევეშვი. შოვას ეპოქის ოცდამესამე წლის ბოლომდე რამდენჯერმე მომეცა შესაძლებლობა (ძირითადად ქაშივაგის დახმარებით), ცხოვრებისადმი ლტოლვა განმეახლებინა და ყოველ ჯერზე უყოყმანოდ ვცდილობდი ამ შესაძლებლობის გამოყენებას, მაგრამ შედეგი ყოველთვის ერთი იყო.

ჩემსა და ქალებს შორის, უფრო სწორად, ჩემსა და ცხოვრებას შორის ოქროს ტაძარი ჩამდგარიყო. ცხოვრებისეული სიამისთვის ხელის ჩავლების ყოველი მცდელობისას ყველაფერი იფერფლებოდა, ხოლო ოცნებები უკაცრიელი უდაბნოს სიცარიელედ გარდაიქმნებოდნენ.

ერთხელ, როცა სამზარეულოს უკან, ყანაში მუშაობის მერე, ცოტა შევისვენეთ, ჩემი ყურადღება ფუტკარმა მიიპყრო, რომელიც პატარა, ყვითელ ქრიზანთემას სტუმრობდა. მზის სხივებში ოქროსფრად მოელვარე ფრთების ზუზუნით, თავს გადაევლო ყვავილნარს და წინდაწინ შერჩეული ქრიზანთემის თავზე შეჩერდა.

თავი ფუტკრად წარმოვიდგინე და ვცადე, მისი თვალებით შემეხედა სამყაროსთვის. ქრიზანთემის ყვითლად გადაშლილი, სწორი, უნაკლო ფურცლები ოქროს ტაძარივით მშვენიერი და სრულყოფილი იყო. თუმცა ის არ ესწრაფოდა ოქროს ტაძრად გარდაქმნას და ზაფხულის ქრიზანთემად რჩებოდა. დიახ! ის რჩებოდა ყვავილის გარკვეულ ფორმად, მასში დამალული ყოველგვარი მეტაფიზიკური არსის გარეშე. ამგვარად, ყვავილი ზომიერებას ინარჩუნებდა, რაც მას უფრო მეტი მომხიბვლელობით ავსებდა და ფუტკარში ვნებას აღძრავდა. ალბათ, რა საოცრად იდუმალია, ჩაიმალო ქრი-

ზანთემის გარსში და სუნთქვაშეკრული დაელოდო ამ უფორმო, მფრინავ, დინამიკურ ვნებას! ფორმა ნელ-ნელა ფერმკრთალდება და მარცხის მოლოდინში თრთოლა იპყრობს. ასეც უნდა იყოს, რადგან ქრიზანთემა, თავისი უნაკლო ფორმებით, ფუტკრის ვნების დასაკმაყოფილებლად არის შექმნილი, მის მოლოდინში იფურჩქნება მთელი თავისი მშვენიერებით და ფორმაც მხოლოდ ამ წამებში იძენს ცხოვრებისეული მნიშვნელობის ბრწყინვალებას. ფორმა უკონტურო, გამდინარე ცხოვრების ყალიბად გვევლინება; ამავე დროს ცხოვრების უწესრიგო დინება, თავის მხრივ, ამ სამყაროს ყველანაირ ფორმას აყალიბებს...

ბოლოს და ბოლოს, ფუტკარი ქრიზანთემის სიღრმეში ჩაფრინდა, ყვავილის მტვერში ამოევლო და თრობის სიტკბოებაში ჩაიძირა. დავინახე, როგორ ჩაიხუტა ყვავილმა ფუტკარი და ტანი შეარხია, თითქოს დიდებულ ოქროსფერ აბჯარში გამოწყობილი ფუტკრის მსგავსადვე აპირებდა, ღეროს მოწყვეტოდა და ჰაერში აფრენილიყო.

მზის შუქისა და ამ შუქში ჩემ თვალწინ დატრიალებული ამბისგან ლამის თავბრუ დამეხვა. უეცრად ისევ საკუთარ თავს დავუბრუნდი და საკუთარი თვალებით შევხედე სამყაროს, მაგრამ ამჯერად გავიფიქრე, რომ ყველაფრისთვის ოქროს ტაძრის მზერითაც შემეძლო შემეხედა. წარმოვიდგინე: იმ წამს, როცა ცხოვრება შემეხება, მე მიძოგუჩის სახით არსებობას შევწყვეტ და ზუსტად ისევე, როგორც ფუტკრის შემთხვევაში, ტაძრის მზერით შევხედავ სამყაროს. ბუნებრივიც იქნება: ასეთ დროს ჩემსა და ცხოვრებას შორის ხომ ყოველთვის ოქროს ტაძარი აღიმართება ხოლმე...

როგორც ვთქვი, ჩემს თავს დავუბრუნდი. ფუტკარმა და ქრიზანთემამაც თავ-თავისი ადგილი იპოვეს ამ უკიდეგანო და ბუნდოვან სამყაროში. ახლა ფუტკრის ზუზუნი და ქრიზანთემის შრიალი ქარის ქროლვისა თუ სხვა მიწიერი მოვლენებისგან არაფრით განსხვავდებოდნენ. უმოძრაო, გაყინულ სამყაროში მომხიბვლელობით სავსე ფორმები განადგურებულიყვნენ. ქრიზანთემას სილამაზეს ანიჭებდა არა მისი უზადო ფორმა, არამედ ეს იდუმალი სახელი – „ქრიზანთემა“, თავისი ჟღერადობით სილამაზეს რომ გვპირდება.

მე ფუტკარი არ ვიყავი, რომ მის ხიბლს მივეზიდე, და არც ყვავილი გახლდით, რომ ფუტკრის ვნებების სამიზნე გავმხდარიყავი. მიწიერ ფორმებსა და სიცოცხლის დინებას შორის ამგვარი ნათესაობა აღარ არსებობდა. სამყარო საყოველთაო გათანაბრების ქვესკნელში გადაშვებულიყო და მხოლოდ დრო აგრძელებდა სვლას.

მოკლედ, როდესაც ოქროს ტაძრის – ამ მუდმივი აბსოლუტის მზერა მოვირგე, სამყარომ სახე იცვალა და გარდაქმნილ მსოფლიოში მხოლოდ ტაძარი ინარჩუნებდა ფორმას და სილამაზეს, ყველაფერ დანარჩენს კი ერთიანად აცამტვერებდა. მას მერე, რაც ტაძრის ეზოში მეძავი დავწიხლე, და განსაკუთრებით მას მერე, რაც ცურუკავამ მოულოდნელად დამტოვა, სულ მაწუხებდა ერთი შეკითხვა: ნუთუ, მიუხედავად ამ ყველაფრისა, ბოროტება მაინც შეუძლებელია?

***

შოვას ეპოქის ოცდამეოთხე ახალი წლის დღეები იდგა.

ერთ შაბათს, როცა გათავისუფლებული ვიყავი ყოველდღიური სამონასტრო მოვალეობებისგან, გადავწყვიტე, იაფ კინოთეატრში რაიმე ფილმი მენახა და შინკიოგოკუს ხალხმრავალ რაიონში გავისეირნე. გამვლელთა ნაკადში უეცრად ნაცნობი სახე დავლანდე, მაგრამ სანამ გავიხსენებდი, ვინ იყო, ხალხის ტალღამ გაიტაცა.

კაცს, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო, ძვირფასი მანტო ეცვა, ფარფლებიანი ქუდი ეხურა და ყელზე კაშნე ჰქონდა მოხვეული. გვერდით მოწითალო-ჟანგისფერ პალტოში გამოწყობილი ქალი მოჰყვებოდა, რომელიც აშკარად გეიშა უნდა ყოფილიყო. ატმისფერი, პუტკუნა სახე, შუახნის კაცისთვის მეტად უჩვეულო, ბავშვური, ტკიცინა კანი, მოგრძო ცხვირი... ეს ხომ ჩვენი წინამძღვრის ნაკვთები იყო! მხოლოდ ფარფლებიანი ქუდი ამსხვრევდა ნაცნობი სახის კომპოზიციას.

თითქოს არაფერი ცუდი არ ჩამიდენია, მაგრამ შიშისგან გამცრა, როცა გავიფიქრე, რომ შეიძლებოდა მასაც შევემჩნიე. ასე ხომ

მისი მალული გასეირნებების მოწმე ვხდებოდი, რაც მე და უხუცესს ნდობისა თუ უნდობლობის უსიტყვო ურთიერთობაში გვითრევდა. არა, ეს როგორმე თავიდან უნდა ამეცილებინა.

უეცრად ამ საახალწლო ხალხმრავლობაში შავი ძაღლი შევამჩნიე. ეს გაბურძგნული არსება, როგორც ჩანს, ბრბოს მიჩვეული იყო და მაღაზიიდან მაღაზიამდე მოხერხებულად უვლიდა გვერდს ქალთა ძვირფასი პალტოებისა თუ სამხედრო შინელების კალთებს. კიოტოს ცნობილი ტკბილეულის – შოგოინ იაცუჰაშის ძველისძველი მაღაზიიდან გამოსულმა მადისაღმძვრელმა სუნმა ძაღლი ადგილზე გააშეშა. მაღაზიის ფანჯრების შუქში მისი სახე კარგად გავარჩიე. ცალი თვალი ამოვარდნილი ჰქონდა და მის ადგილას შემხმარი სისხლისა და ლორწოს ნაზავი აქატის ქვასავით ჩამჯდარიყო. ჯანმრთელი თვალი მიწას დასცქეროდა. ზურგზე ალაგ-ალაგ ბალანი გაცვენოდა, ხოლო ბინძური ბეწვის შემორჩენილი ბღუჯები უსაშველოდ გაბურძგნოდა.

არ ვიცი, რამ გამოიწვია ამ ძაღლის მიმართ ჩემი ინტერესი. ალბათ იმან, რომ ამ მხიარულ, საზეიმოდ მორთულ ქუჩაზე ჯიუტად მოათრევდა სრულიად განსხვავებულ სამყაროს. ძაღლის ეს შავბნელი სამყარო, რომელშიც ყნოსვის შეგრძნება გაბატონებულიყო, დამატებით შრედ დასწოლოდა ადამიანების ქალაქს, ხოლო მისი მოურჯულებელი, ავბედითი სიმყრალე შიშის ზარს სცემდა ლამპიონთა ჩახჩახს, ქუჩაში გაფანტულ მუსიკის ჰანგებსა თუ აქაიქ ამტყდარ სიცილს. სუნების სამყაროში ხომ უფრო მკაცრი წესრიგია! შარდის სუნი, ძაღლის თათებს რომ უდიოდა, მყარად იყო დაკავშირებული იმ სიმყრალესთან, ადამიანთა ნაწლავები რომ გამოსცემენ ხოლმე.

გვერდით ახალგაზრდების ჯგუფმა ჩამიარა – შავ ბაზარზე მოვაჭრეები უნდა ყოფილიყვნენ. ბიჭები დღესასწაულების მერე ჭიშკრებზე შემორჩენილ ფიჭვის ტოტებს გლეჯდნენ და მერე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტი მოაგროვაო. ზოგს ხელში რამდენიმე წიწვი ჰქონდა, ზოგს კი მთლიანი ტოტები მოემტვრია. მოვაჭრეებმა სიცილ-ხარხარით ჩამიარეს.

ჩემდა უნებურად, ძაღლს ავედევნე. დროდადრო თვალსაწიერიდან ვკარგავდი, მაგრამ მერე ისევ ჩნდებოდა ხოლმე. ძაღლმა ქავარამაჩის უბნისკენ მიმავალ ვიწრო ქუჩაზე შეუხვია. შინკიოგოკუსთან შედარებით, ვიწრო ქუჩებში ძალიან ბნელოდა. საბოლოოდ, როცა მოზრდილ გამზირზე აღმოვჩნდით, სადაც ტრამვაის რელსები გადიოდა, ძაღლი მოულოდნელად გაქრა. გავჩერდი და თვალებით მისი ძებნა დავიწყე.

უეცრად ჩემ წინ ძვირფასი ტაქსი გაჩერდა. მძღოლმა კარი გააღო და მანქანაში ვიღაც ქალი ჩაჯდა. უნებლიეთ შევხედე. კაცმა, ქალის გვერდით რომ აპირებდა ჩაჯდომას, შემამჩნია და ადგილზე გაშეშდა.

ეს ჩვენი წინამძღვარი იყო. წარმოდგენა არ მაქვს, როგორ მოხდა, რომ ამხელა წრე დაარტყა და ისევ მე შემეჩეხა. თუმცა, როგორც უნდა იყოს, ეს ნამდვილად ჩვენი წინამძღვარი იყო და მანქანაში მჯდარი ქალის მოწითალო-ჟანგისფერი პალტოც ნამდვილად მეცნობოდა.

ამჯერად უკვე თვალს ველარ ავარიდებდი. მაგრამ დაზაფრულს ხმა ვერ ამომელო. ჯერ სიტყვა არ მქონდა ნათქვამი, ენაბლუობა კი უკვე პირში დამგუბებოდა. ისეთი რამე ჩავიდინე, რასაც თვითონაც არ მოველოდი: წინამძღვარს თვალებში შევხედე და გადავიხარხარე. არ შემიძლია ავხსნა ამ გადახარხარების ბუნება. ის ამ ვითარებას არ უკავშირდებოდა – თითქოს გარედან მოვიდა და თვითნებურად გადამეკრა სახეზე. წინამძღვარს ჩემს სიცილზე ფერი შეეცვალა.

– ჩემი თვალთვალი ჩაიფიქრე? შე იდიოტო! – მომაძახა განრისხებულმა და ჩემთვის ზედაც არ შემოუხედავს, ისე ჩაჯდა ტაქსიში. კარი ძლიერად მიიჯახუნა და მანქანაც დაიძრა. მაშინ მივხვდი, რომ წინამძღვარმა ცოტა ხნის წინ შინკიოგოკუს ხალხმრავლობაშიც შემამჩნია.

მეორე დღეს ველოდი, რომ დასასჯელად გამომიძახებდა. ვფიქრობდი, გამომეყენებინა ეს შესაძლებლობა და ყველაფერი ამეხსნა, მაგრამ როგორც მაშინ, როცა მეძავი დავწიხლე, წინამძღვარი ამჯერადაც დუმდა და მისი დუმილი ჩემთვის ისევ წამებად იქცა.

დროდადრო დედისგან წერილებს ვიღებდი. წერილის ბოლოს სულ იმას მწერდა, რომ მისი სიცოცხლის ერთადერთი მიზანი იყო, როკუონჯის ტაძრის წინამძღვრად ვეხილე.

„ჩემი თვალთვალი ჩაიფიქრე? შე იდიოტო!“ – რაც უფრო მეტჯერ ვიხსენებდი ამ მრისხანე შეძახილს, მით უფრო მეჩვენებოდა, რომ მონასტრის წინამძღვრისთვის შეუფერებელი სიტყვები იყო. ჭეშმარიტი ძენ-ბუდისტი ბერი, რომელიც საუკეთესო იუმორის გრძნობითა და დიდსულოვნებით გამოირჩევა, მოწაფეს ასეთი მდაბიური, სალანძღავი სიტყვებით არ მიმართავდა და სანაცვლოდ რაიმე მახვილგონივრულ და შთამბეჭდავ ფრაზას მოიგონებდა. ერთხელ ნათქვამს ვეღარ დააბრუნებ, წინამძღვარმა კი, როგორც ჩანს, დაიჯერა, რომ შეგნებულად ვუთვალთვალებდი და ჩემი ხარხარიც სხვა არაფერი იყო, თუ არა ცხელ კვალზე დაჭერილი დამნაშავის დაცინვა. ამიტომაც დაიბნა და უნებლიეთ საკუთარ მრისხანებას დამორჩილდა.

უხუცესის დუმილი ჩემს ყოველდღიურობას მძიმე შფოთვით აღსავსე ტვირთად დააწვა. ამ დუმილმა ამოუცნობი ძალა შეიძინა და, თვალწინ მოფარფატე პეპლის ჩრდილივით, მოსვენებას არ მაძლევდა. როცა წინამძღვარს რაიმე რიტუალის ჩასატარებლად იწვევდნენ, წესისამებრ, ერთი-ორი ბერი თან მიჰყვებოდა ხოლმე. ძირითადად ეს მამასახლისი იყო, მაგრამ ბოლო დროს, ე. წ. ტაძრების დემოკრატიზაციასთან ერთად, ამ პასუხისმგებლობას მესაკმევლე, მე და კიდევ ორი მორჩილიც ვინაწილებდით. საცხოვრებელი ოთახების ზედამხედველი ბერი, რომლის სიმკაცრეზეც ხალხი ჯერ კიდევ ჩურჩულებდა, ჯარში წაეყვანათ და ომში დაღუპულიყო, ამიტომ მის საქმეს ორმოცდახუთი წლის მამასახლისი ითავსებდა. მესამე მორჩილის ადგილი კი, ცურუკავას სიკვდილის შემდეგ, ახალ მოწაფეს დაეკავებინა.

ერთხელ წინამძღვარი დოსენი შოკოკუჯის მონასტერში მნიშვნელოვან ცერემონიაზე დაპატიჟეს. იქაური წინამძღვარი გარდაცვლილიყო და ახალი უხუცესის დანიშვნის რიტუალზე ჩვენი მონასტრის ბერებიც მიიწვიეს, რადგან როკუონჯიცა და შოკოკუ-

ჯიც ერთსა და იმავე ბუდისტურ მიმდინარეობას განეკუთვნებოდა. ამჯერად რიგმა მე მიწია – წინამძღვარს ცერემონიაზე უნდა ვხლებოდი. უხუცესს არც უცდია, ვინმეთი ჩავენაცვლებინე და მეც იმედი გამიჩნდა, რომ ბოლოს და ბოლოს, მომეცემოდა შესაძლებლობა, მისთვის ყველაფერი ამეხსნა. მაგრამ წინა ღამით გადაწყდა, რომ ახლად მიღებული მორჩილიც წამოგვყვებოდა და ჩემი იმედებიც გაცამტვერდა.

ვინც გოძანის ძენ-ბუდისტურ ლიტერატურას იცნობს, აუცილებლად ემახსოვრება კოანის ეპოქის პირველ წელს მანჯუს მონასტრის წინამძღვრად ბერ ძენკიუ სეკიშიცუს დანიშვნის ცერემონიაზე წარმოთქმული სიტყვები. ახლად დანიშნულ ძენკიუს, მონასტერში მისვლისას, მოუვლია მიწის ღმერთების ტაძარი, წინაპართა მოსახსენებელი სალოცავი და უხუცესის საცხოვრებელიც. მერე ჭიშკრისკენ მიბრუნებულა და, ბედნიერებისგან გულათრთოლებულს, ულამაზესი სიტყვები წარმოუთქვამს:

„ზეციურ სავანეს მიმავალი მანჯუს ჭიშკარი. მე, უბადრუკი, ხელცარიელი ვხსნი მის კლიტეებს და, ფეხშიშველი, კონრონის წმინდა მთისკენ მივემართები“.

ახლად დანიშნული წინამძღვრის პატივსაცემად სურნელოვანი სასაკმევლე ჯოხების დაწვის რიტუალი დაიწყო. ძველად, როცა ძენ-ბუდიზმი არ იყო ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების დოგმებში მოქცეული და ყველაზე დიდი მნიშვნელობა ადამიანის გასხივოსნებას ენიჭებოდა, მოძღვარი კი არ ირჩევდა მოწაფეს, არამედ მორჩილს თვითონ უნდა გადაეწყვიტა, რომელ მოძღვარს ანდობდა თავის თავს. მოწაფე არა მხოლოდ თავისი წინამძღვრისგან, არამედ სხვა უხუცესებისგანაც იღებდა კურთხევას. შემდეგ, საკუთარი სულის კარნახით, ამ უხუცესებისგან ირჩევდა მოძღვარს და საკმევლის დაწვის რიტუალის დროს მის სახელს ხმამაღლა წარმოთქვამდა.

ვუყურებდი საკმევლის დაწვის დიდებულ რიტუალს და ერთი კითხვა არ მასვენებდა: თუ ოდესმე მეღირსა როკუონჯის მონასტრის წინამძღვრობა, შევძლებ კი ტრადიციას მივყვე და სასაკმევლე

ჯოხების დაწვის ცერემონიაზე ჩემი წინამძღვრის სახელი წარმოვთქვა? თუ დავარღვევ შვიდასწლოვან ადათს და ვინმე სხვას დავასახელებ? ადრეული გაზაფხულის ნაშუადღევს უხუცესის ოთახში დასადგურებული სიცივე, შემოწირული ძვირფასეულობა, სასაკმევლე ქოთნების უკან რომ ბზინავდა, შარავანდედი, ბუდას ქანდაკებას რომ ადგა, ჰაერში – ხუთნაირი საკმევლის სურნელი, ბერთა სამოსის ფერთა შეხამება... ვოცნებობდი იმ დღეზე, როცა მეღირსებოდა, სასაკმევლე ჯოხები ჩემს საპატივსაცემოდაც დაენთოთ. ახლად დანიშნული წინამძღვრის ნაცვლად, ჩემსავე სილუეტს ვხედავდი...

ადრეული გაზაფხულის სუსხმა ჩემს ფანტაზიას ფრთები შეასხა და წარმოვიდგინე, როგორი სიამოვნებით ვღალატობდი ამ ტრადიციას, როგორ ვთელავდი მას ფეხქვეშ. წარმოვიდგინე, ცერემონიის მონაწილე ბერებს ჯერ გაოცებისგან ხმა როგორ ჩაუვარდებოდათ და მერე მრისხანებისგან როგორ გალურჯდებოდნენ. არც კი ვეცდები, დოსენ-ოშიოს სახელი წარმოვთქვა. აუცილებლად სხვა სახელს ვიტყვი... ჰმმ, სხვა სახელს? კი მაგრამ, ვისას? ვინ არის ჩემი ჭეშმარიტი მოძღვარი? ვინ მაჩვენებს გზას გასხივოსნებისკენ? დავიბენი... ანდა რა აზრი აქვს საერთოდ რაიმეს თქმას? მაინც ხომ ვიბლუყუნებ და გასაგებად ვერაფერს გამოვთქვამ. შეიძლება ბლუყუნ-ბლუყუნში „სილამაზე“, „სიცარიელე“ ან რაიმე მსგავსი მოვროშო. მაშინ კი ყველა ახარხარდება და მე ვიდგები გასულელებული, საყოველთაო დაცინვის შუაგულში.

უეცრად ოცნებებისგან გამოვფხიზლდი. ჩემი წინამძღვრის ჯერი დადგა და რიტუალის შესრულებაში უნდა მივხმარებოდი. როკუონჯის წინამძღვარი გამორჩეულ სტუმრად მიიჩნეოდა და ასეთ საპატივსაცემო ცერემონიაში მისი მონაწილეობა ბუნებრივიც იყო. უხუცესმა სასაკმევლე ჯოხებს ცეცხლი მოუკიდა და სიმბოლურად თეთრი ჩაქუჩი აღმართა. ამით ადასტურებდა, რომ ახლად **დანიშ**ნული მოძღვარი განფუტო (თვითმარქვია ბერი) არ იყო და მას შოკოკუჯის მონასტრის ჭეშმარიტ წინამძღვრად აღიარებდა.

„და ეზიარა იგი ბუდას მოძღვრებას და ძლიერნი მიწის ზევით თუ წყალსა შიგან, და აქ მყოფი ბუდას მიმდევარნი – ყველა მხო-

ლოდ მისი არსის საწყისს უნდა განჭვრეტდეს“, – უხუცესად კურთხევის სარიტუალო ლოცვა წარმოთქვა დოსენ-ოშიომ და თეთრი ჩაქუჩი გონგს ძლიერად შემოჰკრა. ამ ხმამ ოთახს მქუხარე ზარის ხმად გადაურბინა და კიდევ ერთხელ მაგრძნობინა, თუ რა სასწაულებრივ ძალაუფლებას ფლობდა ჩვენი მოძღვარი.

წინამძღვრის მდუმარებას ველარ ვუძლებდი, მით უმეტეს, რომ არ ვიცოდი, როდემდე შეიძლებოდა ეს ყველაფერი გაგრძელებულიყო. თუ ადამიანის მიმართ რაიმეს განიცდი, მაშინ უფლება გაქვს, მოელოდე, რომ მასაც გააჩნია საპასუხო გრძნობა, იქნება ეს სიყვარული, სიძულვილი თუ სხვა.

უბადრუკ ჩვევად მექცა, ყოველი ხელსაყრელი შემთხვევისას უხუცესის სახეზე აზრები ამომეკითხა, მაგრამ მისი ნაკვთები არც ერთ განცდას არ გამოხატავდნენ. ეს არაფრის მთქმელი გამომეტყველება გულცივობას არ ნიშნავდა. თუკი მისი უმეტყველო სახე სიძულვილს გამოხატავდა, მაშინ ეს არ იყო, კერძოდ, ჩემი სიძულვილი. ეს იყო უნივერსალური, ყოვლისმომცველი გრძნობა, სრულიად კაცობრიობის ან რაიმე აბსტრაქტული იდეებისადმი მიმართული.

იმ დროიდან მოყოლებული, თავს ვაიძულებდი, მეფიქრა უხუცესის ცხოველური ძალის მქონე თავსა და გარეგნულ უბადრუკობაზე. ხშირად წარმოვიდგენდი, თუ როგორ იჭინთებოდა ფეხისალაგში ან როგორ გორაობდა ლოგინში იმ ქალთან ერთად, მოწითალო-ჟანგისფერ პალტოში გამოწყობილი, გვერდით რომ მოჰყვებოდა. მაშინ უხუცესს ეს ცარიელი გამომეტყველება შორდებოდა და თვალწინ მისი ნასიამოვნებ-ნატანჯი სახე წარმომიდგებოდა.

წარმოვიდგენდი, როგორ ერწყმოდა მისი მბზინავი, რბილი სხეული ქალის ასევე მბზინავ, რბილ სხეულს – ვერ გაარჩევდი, სად მთავრდებოდა ერთი და სად იწყებოდა მეორე, და როგორ იზილებოდა მისი ღიპი ქალის გაბერილ მუცელში... ჩემს წარმოდგენებში უხუცესი მყისვე ცხოველურ გამომეტყველებას იღებდა, ვერ ვცდებოდი მის გაჭინთულ ან ვნებისგან გაბადრულ სახეს – ვერაფრით ვავსებდი ამ ორს შორის წარმოქმნილ სივრცეს. ყოველდღიური შეგრძნებების მცირე გამოვლინებები ვერა და ვერ ქმნიდ-

ნენ გრძნობათა ისეთ ცისარტყელას, რომ ეს სიცარიელე შეევსოთ. ისინი, უბრალოდ, ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადადიოდნენ. ერთადერთი სუსტი ხელჩასაჭიდი, რასაც ეს ორი უკიდურესობა შეეძლო დაეკავშირებინა, ის წამიერი, მდაბიური განრისხება იყო: „ჩემი თვალთვალი ჩაიფიქრე? შე იდიოტო!“

ლოდინისა და ფიქრებისგან გაწამებული, ერთადერთი სურვილის ტყვედ ვქცეულიყავი – ცხადად მეხილა სიძულვილისგან დამანჭული მისი სიფათი. და მაშინ ერთი გეგმა შევიმუშავე – ცოტა გიჟური და სადღაც ბავშვურიც. რაც ყველაზე მთავარია, ეს გეგმა აშკარად უსიამოვნებებს მიქადდა, თუმცა თავის შეკავება აღარ შემეძლო. არც კი მიფიქრია, რომ ჩემი ეს ცელქობა წინამძღვარს მცდარ წარმოდგენას უფრო გაუღრმავებდა.

უნივერსიტეტში ქაშივაგი მოვძებნე და ჩემთვის საჭირო მაღაზიის ადგილმდებარეობა გამოვკითხე. არაფერი უკითხავს, ისე მიმასწავლა. იმ დღესვე მივაკითხე ამ მაღაზიას და დახლზე დაწყობილი უამრავი ღია ბარათი დავათვალიერე, რომლებზეც გიონის უბნის ცნობილი გეიშები იყვნენ გამოსახული.

გეიშის მაკიაჟის გამო, ქალის სახეს ხელოვნურობას რომ ანიჭებს, თავიდან ყველა ერთი მეგონა, მაგრამ თანდათან ხასიათის ნიუანსები გამოიკვეთა და პუდრისა და პომადის ნიღბების ქვეშ ცხადად გავარჩიე მოწყენილობა თუ მხიარულება, მახვილგონიერება თუ სილამაზეში ჩამალული სიბრიყვე, უკმაყოფილება თუ ზღვარგადასული სიხარული, უიღბლობა თუ ბედნიერება. ბოლოს და ბოლოს, მივაგენი, რასაც ვეძებდი. მაღაზიის თვალისმომჭრელი შუქი ღია ბარათის ზედაპირზე ირეკლებოდა და ლამის გამომრჩა, მაგრამ ხელში ავიღე თუ არა, სურათში ის მოწითალო-ჟანგისფერ პალტოიანი ქალი ამოვიცანი.

– ეს მომეცით, თუ შეიძლება, – გაბადრულმა შევძახე გამყიდველს.

წარმოდგენა არ მაქვს, რამ შემმატა გამბედაობა, მაგრამ რაც ეს აზრი მომივიდა თავში, მას მერე გულში აუხსნელი სიხარული და სითამამე ჩამისახლდა. თავიდან ვფიქრობდი, ყველაფერი ისე მო-

მეწყო, რომ წინამძღვარი ვერ მიმხვდარიყო ამ ცელქობის შემოქმედის ვინაობას, მაგრამ მერე ისევ აღტყინებამ შემიპყრო და ისეთი ხერხი ვარჩიე, რითაც ცხადად მიხვდებოდა, რომ ყველაფერი ჩემი მოწყობილი იყო.

უხუცესის ოთახში გაზეთების მიტანა ჯერ ისევ ჩემს მოვალეობებში შედიოდა. მარტის ერთ სუსხიან დილას, ჩვეულებისამებრ, გაზეთების ასაღებად დერეფანში გავედი. უბის ჯიბიდან გეიშის სურათი ამოვიღე და გაზეთის ფურცლებს შორის შევაცურე. მღელვარებისგან გული ამოვარდნას მქონდა.

მონასტრის ეზოს შუაგულში, მანქანის მოსატრიალებელ ადგილას, ბუჩქებით შემოსაზღვრული საგოვანის პალმის ფოთლები მზის სხივებში ბანაობდნენ. დილის შუქი მკაფიოდ ანათებდა ხის უხეშ კანს. საგოვანის მარცხნივ ტანდაბალი ცაცხვი იდგა, რომელსაც თავზე რამდენიმე ჩიტი დასტრიალებდა და კრიალოსნის დამარცვლის მსგავს ხმას გამოსცემდა. გამიკვირდა, რომ ჯერ არ გაფრენილიყვნენ – ეს ყვითელგულა პატარა ჩიტუნები, მზით განათებულ ტოტებს შორის რომ ფრთხიალებდნენ, უთუოდ ჭივჭავები უნდა ყოფილიყვნენ. ეზოში მიმოფანტული თეთრი კენჭები უშფოთველად თვლემდნენ.

დაუდევრად მოწმენდილ იატაკზე აქა-იქ სისველე შემორჩენილიყო და ფრთხილად ვაბიჯებდი, რომ ფეხი არ დამსველებოდა. უხუცესის ოთახის შოჯი[14] დახურული დამხვდა. დილის რიჟრაჟში შოჯის ქაღალდი თეთრად ქათქათებდა. ჩვეულებისამებრ, დავიჩოქე და დავიძახე:

– ნება მიბოძეთ!

უხუცესი გამომეხმაურა. შოჯი გავწიე, შევედი და მაგიდის კუთხეში დაუდევრად გადაკეცილი გაზეთი დავდე. უხუცესს თავი წიგნში ჩაერგო და ჩემი თვალები არ დაუნახავს. **გამოვედი, აღელვება** როგორღაც დავძლიე და ოთახისკენ მშვიდად გავემართე.

---

[14] გასაწევი კარი ან ტიხარი – ხის ჩარჩო, რომელზეც ქაღალდია გაკრული. გამოიყენება ტრადიციულ იაპონურ არქიტექტურაში.

უნივერსიტეტში წასვლამდე გაუნძრევლად ვიჯექი. ასე მოუთმენლად არასდროს არაფერს დავლოდებივარ. ჩემი ჩანაფიქრის მიზანი იყო, რომ უხუცესის სიძულვილი გამომეწვია, მაგრამ გულში ისეთ დრამატულ სცენებსაც ვხატავდი, სადაც ორი ადამიანის სული ერთმანეთის ტკივილს იგებდა და იზიარებდა.

იქნებ წინამძღვარმა კარი შემოაღოს და ყველაფერი მომიტევოს... იქნებ ამის მერე ცხოვრებაში პირველად განვიცადო ის წმინდა სიხარული, ცურუკავას ყოველდღიურობას რომ ასხივოსნებდა... მაშინ მე და მოძღვარი გადავეხვევით და ვინანებთ, რომ აქამდე არ გვესმოდა ერთმანეთის...

ორიოდე წამით წამილო ოცნებებმა. ვერ ამიხსნია, რატომ მეწვია ასეთი გიჟური ფანტაზია. ცივი გონებით თუ განვსჯით, ჩემი სულელური საქციელით უთუოდ გამოვიწვევდი უხუცესის მრისხანებას, მისი მემკვიდრის კანდიდატთა სიაში ადგილს დავკარგავდი და ოქროს ტაძრის დაპატრონების ოცნებასაც სამუდამოდ გამოვემშვიდობებოდი. ბოლოს იმასაც მივხვდი, რომ ამ ანცობა-ანცობაში ოქროს ტაძრისადმი ჩემი ამდენი ხნის მიჯაჭვულობა დამვიწყებოდა.

გულისყური მთლიანად წინამძღვრის ოთახისკენ მქონდა მიპყრობილი, მაგრამ იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ამჯერად უხუცესის ჭექა-ქუხილისმაგვარ მრისხანებას მოველოდი. ვფიქრობდი, რომ ოდნავ სინანულსაც კი არ ვიგრძნობდი, გინდ ვეცემე და დავესისხლიანებინე კიდეც. მაგრამ მისი ოთახის მხარეს სიჩუმეს დაესადგურებინა...

როცა, საბოლოოდ, უნივერსიტეტში წასვლის დრო მოვიდა და მონასტერი დავტოვე, უკვე გადაღლილი და გასავათებული ვიყავი. ლექციებს გულს ვერ ვუდებდი. როცა პროფესორმა რაღაც მკითხა, სულ სხვა რამე ვუპასუხე და მთელმა აუდიტორიამ სიცილი დამაყარა. მარტო ქაშივაგის არ ანაღვლებდა არაფერი და ფანჯარაში იყურებოდა. ეჭვი არ იყო, ხვდებოდა, რა ტრიალებდა ჩემს გულში.

მონასტერში დაბრუნების მერეც არავითარი ცვლილება არ შემიმჩნევია. მონასტრის ცხოვრების უღიმღამო, ობმოკიდებული უსასრულობა ისეთი იყო, რომ დღევანდელსა და ხვალინდელს შო-

რის სულ მცირე სხვაობა, ოდნავი ცვლილებაც კი ვერ იქნებოდა. იმ დღეს კანონიკური ტექსტების ლექცია უნდა ჩაგვტარებოდა, რომელსაც, წესისამებრ, თვეში ორჯერ ვისმენდით ხოლმე. ყველანი წინამძღვრის ოთახთან შეკრებილიყვნენ. ველოდი, რომ უხუცესი რომელიმე კოანის გასარჩევად ჩემს საქციელს გამოიყენებდა და ყველას წინაშე განმსჯიდა.

ასეთ მოლოდინს თავისი მიზეზები ჰქონდა. მართალია, ჩემთვის ცოტა უჩვეულო იყო, მაგრამ იმ დღეს აუხსნელ, ვაჟკაცურ შემართებას ვგრძნობდი. ვფიქრობდი, რომ შევძლებდი უხუცესის წინაშე დავმჯდარიყავი და მისთვის თვალებში შემეხედა. იმედი მქონდა, საპასუხოდ, უხუცესიც გამოავლენდა ვაჟკაცურ ღირსებას, ყველას წინაშე მოინანიებდა თავის საქციელს და მერე ჩემს სულმდაბლობას განსჯიდა...

ბერები, მუმონკანის ტექსტებით ხელში, მბჟუტავი ნათურის ქვეშ შეკრებილიყვნენ. ღამღამობით ჯერ კიდევ ციოდა და უხუცესის გვერდით პატარა გამათბობელი დაედგათ. შეცივებული მსმენელები სრუტუნებდნენ – უგერგილოდ ჩაერგოთ თავები წიგნებში, მათი ახალგაზრდული თუ ბებრული სახეები ჩრდილს დაეფარა. ახლად მიღებული მორჩილი, რომელიც ამავე დროს დაწყებითი სკოლის მასწავლებლადაც მუშაობდა, როგორც ჩანს, ახლომხედველი იყო – წამდაუწუმ პაჭუა ცხვირზე ჩამოცურებულ სათვალეს ისწორებდა.

მარტო მე ვიყავი შინაგანი ძალით აღსავსე. ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობდი. უხუცესმა წიგნი გადაშალა და ყველას თვალი შეგვავლო. ვცდილობდი, როგორმე მისი მზერა დამეჭირა. ვცდილობდი, დამენახებინა, რომ არ ვაპირებდი თვალის არიდებას. მაგრამ ნაოჭებში ჩამსხდარი მისი თვალები არავითარ ინტერესს არ გამოხატავდნენ – მშვიდად გამცდნენ და ჩემ გვერდით მჯდომის სახეზე გადაინაცვლეს.

ლექცია დაიწყო. მე მხოლოდ იმას ველოდებოდი, თუ როდის გადავიდოდა მოძღვარი ჩემს საკითხზე. გულდასმით ვუსმენდი მის ყოველ სიტყვას. უხუცესი, თავისი წვრილი ხმით, რაღაცას ხსნიდა, მაგრამ მისმა შინაგანმა ხმამ არა და არ მოაღწია ჩემამდე...

მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე. გულში უხუცესს ვაძაგებდი და მის ფარისევლობას დავცინოდი, მაგრამ თანდათან სინანულის გრძნობამ დამრია ხელი და არ მაცალა, დიდხანს დავმტკბარიყავი ამ აღტყინებით. უხუცესის ფარისევლობის სიძულვილი, უცნაური სახით, ძლივს შეძენილ გამბედაობას მაცლიდა, შიშს მითესავდა გულში და, საბოლოოდ, იმ აზრამდე მიმიყვანა, რომ პატიება უნდა მეთხოვა. თუმცა ამ შემთხვევაშიც არ ვიქნებოდი დამარცხებული. იმ ციცაბო ფერდობზე, ასეთი ძალისხმევის ფასად რომ დავძლიე, ახლა სრული სისწრაფით უკან მოვგორავდი.

გადავწყვიტე, მეორე დღეს პატიების სათხოვნელად მივსულიყავი. გამთენიისას კი საკუთარ თავს კიდევ ერთხელ დავუდასტურე, რომ დღის განმავლობაში აუცილებლად მოვუბოდიშებდი. თუმცა უხუცესის გამომეტყველებაში უწინდებურად არავითარი ცვლილება არ იყო.

ქარიანი დღე იდგა. უნივერსიტეტიდან დაბრუნებულმა, რაღაცისთვის მაგიდის უჯრა გამოვწიე და უეცრად თეთრ ქაღალდში გახვეული ნივთი შევამჩნიე. ფუთაში ის ღია ბარათი აღმოჩნდა, მაგრამ ქაღალდზე ერთი სიტყვაც არ ეწერა.

როგორც ჩანს, უხუცესმა ასეთი ხერხით დაუსვა წერტილი ამ ამბავს. მანიშნა, რომ არ გადაყლაპა ჩემი საქციელი და ამავე დროს ნათლად მიმითითა მის უშედეგობაზე. თუმცა ბარათის ასეთი უცნაური დაბრუნება უამრავ აზრს მიჩენდა თავში.

„ესე იგი, უხუცესიც იტანჯებოდა, – ვფიქრობდი, – ალბათ რამდენი იწვალა, სანამ ამ ხერხს მოიგონებდა. ახლა უთუოდ უნდა ვძულდე. თუმცა ალბათ ონავრობისთვის იმდენად არ ვძულვარ, რამდენადაც იმიტომ, რომ ამ ფურცელმა პატივცემული წინამძღვარი აიძულა, საკუთარ მონასტერში მალულად ევლო, ხალხის არყოფნაში გაერბინა ის დერეფანი, სადაც მანამდე ფეხიც არ დაედგა, შეპარულიყო მოწაფის ოთახში და, დამნაშავის მსგავსად, მაგიდის უჯრაში სურათი ჩუმად დაემალა. რა თქმა უნდა, ამ მტანჯველმა გარემოებამ უხუცესს საკმაო მიზეზი მისცა, რომ გულში ჩემი სიძულვილი ჩაედო“.

ამ აზრმა ისეთი სიხარულის ჟრუანტელი მომგვარა, როგორიც ჩემს სხეულს არასოდეს განეცადა. და მაშინ საკუთარ თავს ერთი სასიამოვნო გასართობი მოვუგონე. ქალის სურათი მაკრატლით წვრილად დავჭერი, რვეულის სქელ ფურცელში გავახვიე, მუშტში ჩავიკუჭე და ოქროს ტაძრისკენ წავედი.

ქარისგან ახმაურებულ, მთვარიან ღამეში უდრტვინველად მდგარი ოქროს ტაძარი პირქუშ წონასწორობას ინარჩუნებდა. მთვარის სხივებში მისი ნატიფი სვეტები კოტოს სიმებს მაგონებდნენ, თავად ტაძარი კი უზარმაზარ უცნაურ ინსტრუმენტს წააგავდა. ყოველთვის ასე მეჩვენებოდა, როცა მთვარე მეტად მაღლა იყო, როგორც იმ ღამეს. მაგრამ ქარი ფუჭად ეხეთქებოდა ამ ინსტრუმენტის სიმებს, რადგან არც ერთი სვეტი ჰანგებს არ გამოსცემდა.

პატარა კენჭს დავწვდი და ქაღალდში გავახვიე. ქაღალდი ისევ მაგრად ჩავკუჭე. ამგვარად, დანაკუწებული ღია ბარათი, სიმძიმესთან ერთად, ტბის შუაგულში მოვისროლე. მცირე, წრიული ტალღები წყლის ზედაპირზე მსუბუქად გაიშალნენ და, როგორც იქნა, ჩემს ფეხებამდე მოაღწიეს.

***

ნოემბერში ჩემი მოულოდნელი გაქცევაც ამ ყველაფრის პირდაპირი შედეგი იყო. ამ, ერთი შეხედვით, მოულოდნელ გაქცევას სინამდვილეში დიდი ხნის ფიქრი და ყოყმანი უძღოდა წინ, მაგრამ მირჩევნია ვიფიქრო, რომ ეს სპონტანური და იმპულსური გადაწყვეტილება იყო. იმპულსურობა იმთავითვე აკლდა ჩემს ხასიათს და ამიტომ ყოველთვის მომწონდა თავის ისე წარმოჩენა, თითქოს წამიერი გადაწყვეტილებებით ვმოქმედებდი. მაგალითად, წარმოვიდგინოთ კაცი, რომელიც მთელი ღამე გეგმავდა მამის საფლავის მონახულებას. მეორე დღეს სასაფლაოსკენ გაემართება, მაგრამ გზაში, მოულოდნელად, მეგობართან დასალევად წასვლას გადაწყვეტს. შეიძლება ითქვას, რომ ეს კაცი იმპულსურია? განა არ შეიძლება, რომ მისი მოულოდნელი გადაწყვეტილება მისსავე სურ-

ვილებზე შურისძიება იყოს – უფრო კარგად გააზრებული, ვიდრე მამის საფლავზე წასვლის გეგმაა?

ჩემი გაქცევის პირდაპირი საბაბი უხუცესის სიტყვები გახდა, წინა დღით დარწმუნებით რომ მითხრა:

– იყო დრო, როცა ვფიქრობდი, რომ ჩემს მემკვიდრედ გამოგაცხადებდი, მაგრამ მინდა იცოდე, ამის სურვილი ნამდვილად აღარ მაქვს.

ასეთმა პირდაპირმა და მკაფიო განმარტებამ დამზაფრა, მაგრამ, სიმართლე უნდა ითქვას, უკვე დიდი ხანი იყო, რაც ასეთ განაჩენს ველოდი და შემზადებულიც ვიყავი. ეს არ იყო უეცრად თავს დატეხილი ამბავი, ასე რომ, დიდი გაოცება და დაბნეულობაც არ უნდა გამოეწვია, მაგრამ მაინც მირჩევნია ვიფიქრო, რომ ჩემი გაქცევა უხუცესის სიტყვებით შთაგონებული, იმპულსური გადაწყვეტილება იყო.

მას მერე რაც, სურათთან დაკავშირებული ოინის წყალობით, უხუცესის სიძულვილი მოვიპოვე, აკადემიური მოსწრების შეგნებულად გაუარესება დავიწყე. პირველ მოსამზადებელ კურსზე ჩინურსა და ისტორიაში, სამოცდათოთხმეტი ქულით, საუკეთესო ვიყავი. საბოლოოდ, შვიდას ორმოცდარვა ქულა დავაგროვე და ოთხმოცდაოთხ სტუდენტს შორის ოცდამეოთხე ადგილი დავიკავე. ოთხას სამოცდაოთხი საათიდან მხოლოდ თოთხმეტი საათის გაცდენა მქონდა. მეორე მოსამზადებელ კურსზე ექვსას ოთხმოცდაცამეტ ქულამდე დამიგროვდა და სამოცდაჩვიდმეტ სტუდენტს შორის ოცდამეთხუთმეტე ადგილზე აღმოვჩნდი. მესამე მოსამზადებელ კურსზე კი ლექციებს უკვე განსაკუთრებული მიზეზის გარეშე, უბრალო სიზარმაცის გამო ვაცდენდი, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი დროის მხიარულად გასატარებლად ფული საერთოდ არ მქონდა. ამ მესამე კურსის პირველი სემესტრის დასაწყისიც სწორედ ღია ბარათთან დაკავშირებულ ამბებს დაემთხვა.

პირველი სემესტრის ბოლოს უნივერსიტეტიდან მონასტერში გაფრთხილება მოვიდა, რამაც უხუცესის რისხვა გამოიწვია. რა თქმა უნდა, ჩემს დაბალ მოსწრებაზეც ბრაზდებოდა, მაგრამ ყვე-

ლაზე მეტად იმის გამო განრისხდა, რომ ძენის მედიტაციის გაკვეთილები გავაცდინე, რისთვისაც სემესტრში მხოლოდ სამი დღე იყო გამოყოფილი. მედიტაციის გაკვეთილები, სხვა აკადემიური დაწესებულებების მსგავსად, ჩვენთანაც ყოველი სემესტრის ბოლოს, არდადეგების დაწყების წინ, სამი დღის განმავლობაში ტარდებოდა.

უხუცესმა შესარისხად თავის ოთახში გამომიძახა, რაც განსაკუთრებული შემთხვევა იყო. სიტყვებს ვერ ვპოულობდი და პასუხად მხოლოდ თავს ვუქნევდი. მთელი გულით მოველოდი, რომ სურათის ოინს ან მეძავზე ძალადობას გამიხსენებდა, მაგრამ ამ ამბებს ერთი სიტყვითაც არ შეხებია.

ამ შემთხვევის შემდეგ უხუცესი ჩემ მიმართ შესამჩნევად გაცივდა. ეს სწორედ ის მიღწევა იყო, რასაც ამდენ ხანს ვესწრაფოდი. მისი მრისხანება ჩემი გამარჯვების ერთგვარი მტკიცებულება იყო. თანაც ამის მისაღწევად საკმარისი აღმოჩნდა, რომ უბრალოდ მეზარმაცა.

მესამე კურსის პირველ სემესტრში ჩემმა გაცდენებმა სამოც საათს გადააჭარბა, რაც თითქმის ხუთჯერ მეტი იყო, ვიდრე პირველი კურსის სამივე სემესტრის გაცდენები ერთად. მაგრამ ამდენი თავისუფალი დრო არც წიგნის კითხვაში დამიხარჯავს და არც საკმარისი ფული მქონდა, რომ გასართობად წავსულიყავი. ხანდახან დროს ქაშივაგისთან ლაპარაკში ვკლავდი, მაგრამ ძირითადად, უბრალოდ, მარტო ვრჩებოდი და არაფერს ვაკეთებდი. ოტანის უნივერსიტეტში გატარებული წლები უმოქმედობის, მდუმარებისა და სიმარტოვის მოგონებებად ჩამრჩა გონებაში. არ ვიცი, შეიძლება ეს უმოქმედობა ჩემებური მედიტაციაც კი იყო, რადგან მთელი ამ დროის განმავლობაში ერთი წამითაც არ მომიწყენია.

ხშირად ვჯდებოდი მდელოზე და საათობით ვუყურებდი, როგორ მიათრევდნენ ჭიანჭველები წითელმიწის პატარა ნაგლეჯებს. თვითონ ჭიანჭველები ოდნავაც არ იწვევდნენ ჩემს ინტერესს. უნივერსიტეტის უკან, ქარხნის მილიდან ამოსული ბოლის თეთრი ნაკადისთვისაც საათობით მიდევნებია თვალი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბოლი სულ ოდნავ მაინც მაინტერესებდა... მეჩვენებოდა, თითქოს

თხემით ტერფამდე საკუთარ არსში ვიყავი ჩაფლული. გარესამყარო ალაგ-ალაგ ცივდებოდა და ისევ ცხელდებოდა. არც ვიცი, როგორ აგიხსნათ; სამყაროს თითქოს ხან ლაქები ფარავდნენ, ხან კი ზოლები სერავდნენ. ჩემი შიდა სამყარო და გარესამყარო უწესრიგოდ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ირგვლივ არსებული ხედი, უბრალოდ, ჩემს თვალებში ირეკლებოდა. ხედის ნაწილი ჩემში იჭრებოდა, მაგრამ ის ნაწილაკები, რომლებსაც არ სურდათ, ჩემს შიდა სამყაროს შერწყმოდნენ, მოშორებით, გამაღიზიანებელი მხიარულებით აგრძელებდნენ ელვარებას. ეს მოელვარე ნაწილაკები ხან ქარხანაზე აღმართულ დროშაში, ხან ღობის ტალახიან ლაქაში, ხანაც ბალახებში გადაგდებულ, ძველ ხის ფლოსტში განსახიერდებოდნენ ხოლმე. სახეები ჩემში წამიერად იბადებოდნენ და სწრაფადვე კვდებოდნენ. უფორმო აზრები... ჰმ, როგორ გითხრათ... მნიშვნელოვანი და ტრივიალური მოვლენები ერთმანეთში ისე გადახლართულიყვნენ, რომ ევროპაში მომხდარ პოლიტიკურ სკანდალსა და მდელოზე დაგდებულ ძველ ხის ფლოსტს დანითაც ვერ დააშორებდი ერთმანეთს.

ერთხელ ბალახის წვეტიან ფოთოლზეც ვიფიქრე. თუმცა „ვიფიქრე“ შესაფერისი სიტყვა არაა. ეს უცნაური, უაზრო ფიქრები უეცრად წყდებოდნენ და მერე, მისამღერივით, ჯიუტად ისევ იბადებოდნენ ჩემს ცოცხალ-მკვდარ შეგრძნებებში. რატომ უნდა იყოს ამ ბალახის წვერი ასეთი ბასრი და წვეტიანი? დავუშვათ, ფოთლის წვერი ბლაგვია, მაშინ ბალახის ეს ნაირსახეობა – ბუნების ეს პატარა კუთხე უნდა მოისპოს და განადგურდეს? თუ ბუნების კბილანებს უმცირეს ნაწილაკს ამოვაცლით, განა ბუნება მთლიანად ყირაზე არ დადგება? – ვსვამდი ამ კითხვებს, მერე ვცდილობდი, პასუხად ბუნების განადგურების სხვადასხვა ხერხი მომეგონებინა და ამგვარად საათობით ვირთობდი თავს.

უხუცესის მიერ ჩემი შერისხვის ამბავმა სწრაფადვე გაჟონა და მონასტრის ბინადრების დამოკიდებულებაც შესამჩნევად მკაცრი და მტრული გახდა. მორჩილი, რომელიც ადრე უნივერსიტეტში ჩემი მოხვედრის გამო ბოღმით იხრჩობოდა, ახლა ამპარტავნებითა და გამარჯვებულის დამცინავი გამოხედვით მიყურებდა.

ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში თითქმის არავისთვის გამიცია ხმა. ჩემი გაქცევის წინა დღეს უხუცესმა მამასახლისს უბრძანა, ჩემთვის დაეძახა.

ცხრა ნოემბრის დილა იყო. სასწავლებელში წასასვლელად ვემზადებოდი, ამიტომ ფორმა ჩავიცვი და უხუცესის წინაშე ასე წარვსდექი. მისი ფართო და მუდმივად ხალისიანი სახე ახლა თითქოს უსიამოვნო საუბრის მოლოდინში შეკუმშულიყო. მისი თვალები ისეთ ზიზღს ანთხევდნენ, თითქოს მათ წინაშე კეთროვანი მდგარიყო. თუმცა ეს ხომ სწორედ იმ ადამიანური გრძნობებით სავსე მზერა იყო, ასე დიდხანს რომ ვესწრაფოდი.

უხუცესმა მზერა უცებვე მომაშორა, პატარა გამათბობლის თავზე ხელები მოიფშვნიტა და ლაპარაკი დაიწყო. მისი რბილი ხელისგულების ხახუნის ხმა ნაადრევად მოსული ზამთრის სუსხიანი დილის სიწმინდეს შეურაცხყოფდა. ხორცის ნაჭრები შეხებისას მეტად ინტიმურ ხმას გამოსცემდნენ.

– ალბათ როგორ იტანჯება ახლა საბრალო მამაშენის სული. ერთი ამ წერილს დახედე. უნივერსიტეტიდან ისევ საყვედურებია. გიფიქრია, ასეთი საქციელი სადამდე მიგიყვანს? კარგად დაფიქრდი! – მომაძახა და მერე სწორედ ის სიტყვები მოაყოლა: – იყო დრო, როცა ვფიქრობდი, რომ ჩემს მემკვიდრედ გამოგაცხადებდი, მაგრამ მინდა იცოდე, ამის სურვილი ნამდვილად აღარ მაქვს.

– ესე იგი, საბოლოოდ მწირავთ? – ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ ძლივს ვუპასუხე.

უხუცესმა, მცირე პაუზის შემდეგ, კითხვითვე მიპასუხა:

– განა შენი საქციელით თავადვე არ ითხოვ, რომ გაგწირონ?

არაფერი მიპასუხია. ცოტა ხნის მერე კი, უნებლიეთ, სულ სხვა საკითხზე ავბლუყუნდი:

– თქვენ ჩემი სულის ყოველ კუთხესა და კუნჭულს იცნობთ. მეც მგონია, რომ უკვე კარგად გაგიცანით.

– მერე მაგით რა? – დოსენ-ოშიოს სახე მოექუფრა. – ეგ შენ ვერაფრით გიშველის და არც რაიმეს შეგმატებს.

აქამდე არასოდეს მენახა ადამიანის სახე, რომელიც ასე უმოწყალოდ უგულებელყოფდა მის თვალწინ არსებულ სამყაროს. არასოდეს მენახა იმ ადამიანის სახე, რომელსაც ხელები ბოლომდე ჰქონდა გათხვრილი ფულით, ქალებითა და სხვა ცხოვრებისეული სიამეებით, მაგრამ მაინც ასე სძულდა ეს სამყარო... მომეჩვენა, თითქოს სისხლსავსე, თბილ გვამს ვეხებოდი და დაუოკებელმა, მტკივნეულმა სურვილმა შემიპყრო, ცოტა ხნით მაინც გავცლოდი ყველაფერს, რაც იმ წამებში გარს მერტყა. უხუცესის ოთახიდან რომ გამოვედი, ეს შეგრძნება მაინც არ გამიქრა, პირიქით, თანდათან უფრო გამიცხოველდა.

ტილოში ბუდისტური კანონიკური ტექსტების განმარტებითი ლექსიკონი და ქაშივაგის ნაჩუქარი შაკუჰაჩი გავახვიე. უნივერსიტეტში წასვლისას ჩანთასთან ერთად ეს ფუთაც წავიღე. გზაში, გაქცევის გარდა, ვერაფერზე ვფიქრობდი.

უნივერსიტეტის ჭიშკარში რომ შევედი, ბედად, თვალი ქაშივაგის მოვკარი, რომელიც ჩემ წინ მშვიდად მიაბიჯებდა. მკლავზე მოვქაჩე და გზის განაპირას გავიყვანე. ვთხოვე, ჩემთვის სამი ათასი იენი ესესხებინა და სანაცვლოდ ჩემი ბუდისტური ლექსიკონი და თავისივე ნაჩუქარი ფლეიტა შევთავაზე.

ქაშივაგის მყისიერად ჩამოერეცხა ის ხალისიანი, ფილოსოფიური გამომეტყველება, თავისი გიჟური თეორიების ჩამოყალიბებისას რომ ჰქონდა ხოლმე, და დაწვრილებული, დაბინდული თვალებით შემომხედა.

– გახსოვს „ჰამლეტი“ – რა ურჩია ლაერტის მამამ თავის შვილს?

„ფულს ნურც სხვისგან ისესხებ და ნურც შენ ასესხებ,
რადგან სესხებით ფულსაც ჰკარგავ და მეგობარსაც,
და თუ ისესხებ, შენს საქმეებს აურ-დაურევ“[15].

გესმის?

– კი მაგრამ, მე მამა არა მყავს, – ვუპასუხე, – თუ ვერ მასესხებ, ეგრე თქვი.

---

[15] ივანე მაჩაბლის თარგმანი.

– მე ხომ არ მითქვამს, რომ ვერ გასესხებ. მოდი, მშვიდად დავილაპარაკოთ. თან არც კი ვიცი, სამი ათასი მომიგროვდება თუ არა...

ლამის წამომცდა, რომ იკებანის ოსტატი ქალის მონათხრობიდან კარგად ვიცოდი, როგორ სძალავდა ფულს ქალებს, მაგრამ თავი შევიკავე.

– ჯერ უნდა მოვიფიქროთ, მაგ ლექსიკონს და შაკუჰაჩის რა ვუყოთ, – თქვა ქაშივაგიმ და პირი ჭიშკრისკენ იბრუნა. მეც მივყევი, მაგრამ ნაბიჯს მოვუკელი, რომ მის მხარდამხარ მევლო. გზაში ტოკიოს უნივერსიტეტის ერთ-ერთ სტუდენტზე მომიყვა, რომელსაც „შუქის კლუბის“ სახელით ცნობილი საფინანსო ორგანიზაცია ჰქონდა დაარსებული და რომელიც პოლიციას ფინანსური მაქინაციებისთვის დაეპატიმრებინა. სექტემბერში სტუდენტი გაეთავისუფლებინათ, მაგრამ, ნდობადაკარგულს, თურმე ძალიან ბევრ სირთულესთან უწევდა ჭიდილი. „შუქის კლუბის“ პრეზიდენტი ჯერ კიდევ გაზაფხულზე იქცა ქაშივაგის ინტერესის საგნად და საუბრებში ხშირად მოჰყავდა ხოლმე მაგალითად. ორივეს გვჯეროდა, რომ ის საზოგადოებაში გავლენის მქონე, ძლიერი პიროვნება იყო და, რა თქმა უნდა, ვერ წარმოვიდგენდით, რომ სულ რაღაც ორი კვირის მერე თავს მოიკლავდა.

– რისთვის გინდა ფული? – უეცრად მკითხა ქაშივაგიმ.

ყოველთვის მეგონა, რომ მისთვის მეტად უცხო უნდა ყოფილიყო ასეთი კითხვები.

– მინდა, სადმე გავემგზავრო. სადმე უმიზნოდ ვიბოდიალო.

– დაბრუნდები?

– ალბათ...

– მაინც რას გაურბიხარ?

– ყველაფერს, რაც კი გარს მარტყია. ყველაფერს უძლურების მყრალი სუნი უდის... იმასაც მივხვდი, **რომ თვით ჩემი წინამძღვარიც** კი უსუსურია, საშინლად უსუსური.

– და ოქროს ტაძარსაც გინდა გაექცე?

– ჰო, მასაც!

– ნუთუ ოქროს ტაძარიც უსუსურია?

– არა, ოქროს ტაძარი უსუსური არაა. ნამდვილად არ არის უსუსური. მაგრამ ყველანაირი უსუსურობის საფუძველია.

– მარტო შენ შეგიძლია მსგავს რაღაცებზე იფიქრო, – ქაშივაგიმ ენა მხიარულად გააწკლაპუნა და უშნო ცეკვის მსგავსი ნაბიჯით ტროტუარს გაუყვა.

ერთ პატარა, ერთიანად გაყინულ ანტიკვარულ მაღაზიაში მიმიყვანა. შაკუჰაჩი ოთხას იენზე მეტად ვერ გავყიდეთ. მერე ბუკინისტებში წავედით და ლექსიკონი ას იენად ძლივს გავასაღეთ. დანარჩენი ორი ათას ხუთასი იენის მოსაცემად ქაშივაგიმ საერთო საცხოვრებელში წამიყვანა.

აქ, მოულოდნელად, უცნაური განცხადება გააკეთა: ფლეიტა ჩემი ნაჩუქარი იყო და, უბრალოდ, დავიბრუნე, ხოლო ლექსიკონი შენს საჩუქრად შეიძლება ჩაითვალოსო. ასე რომ, საერთო ჯამში, მე დავიბრუნე ის, რაც ისედაც ჩემი იყო; ამ ნივთების გაყიდვიდან შემოსული ხუთასი იენი ჩემი ფულია და დანარჩენ ორი ათას ხუთასთან ერთად – ჩემი ვალი სულ სამი ათასი იენი გექნებაო. სესხის სარგებელი ყოველთვიური ათი პროცენტით განსაზღვრა. „შუქის კლუბის“ ოცდათოთხმეტპროცენტიან სარგებელთან შედარებით, ეს მოწყალებასავით დაბალი პროცენტიაო...

მერე სამელნე ამოიღო, მკაცრი გამომეტყველებით ჩამოწერა სესხის პირობები ფურცელზე და მოითხოვა, რომ დასტურად თითის ანაბეჭდი დამესვა. ვინაიდან მომავალზე ფიქრი მზარავდა, ცერი სამელნეში დაუფიქრებლად ჩავაწე და ფურცელს დავაჭირე.

გული ადგილზე არ მაყენებდა. სამი ათასი იენი უბეში შევინახე და ქაშივაგის საცხოვრებელი დავტოვე. ფუნაოკის პარკამდე ტრამვაით მივედი და ტაკეისაოს შინტოისტური ტაძრისკენ მიმავალ ქვის საფეხურებს ავუყევი. მინდოდა, იქაური ომიკუჯით[16] მემკითხავა, რომ რაიმე მინიშნება მაინც მიმეღო, თუ სად გავმგზავრებულიყავი.

---

[16] იაპონური მკითხაობა. სპეციალურ ყუთში ჩაყრილია პატარა ფურცლები ან ხის დაფები, რომლებზეც ბედია დაწერილი.

კიბის მარჯვნივ იოშიტერუ-ინარის შინტოისტური ტაძრის მჭახე ალისფერი შენობა გამოჩნდა, რომლის შესასვლელშიც ერთმანეთის პირისპირ იდგა ოქროსფერი ლითონის ბადით გარშემორტყმული ორი მაქცია მელიის ქვის ქანდაკება. თითოეულს პირში გრაგნილი ეჭირა, აცქვეტილი ყურების შიდა მხარე კი ორივეს ალისფრად ჰქონდა შეღებილი.

ცივი, ქარიანი დღე იყო. მზე ღრუბლებში ძლივს ატანდა. ხეებში შემოღწეული მისი შუქი ქვის საფეხურებს ნაცრისფრად ეღვრებოდა. უფრო სწორად, ტალახში აზელილი ნაცრის ფერს მოგაგონებდათ, იმდენად სუსტი იყო მზის შუქი იმ დღეს.

საფეხურები ერთი ამოსუნთქვით ავირბინე და როცა ტაკეისაოს ტაძრის ფართო ეზოში გავედი, ოფლში ვიყავი გახვითქული. ტაძრის წინა მხარეს ქვის კიბეა, რომელსაც სალოცავში ავყავართ, ხოლო კიბემდე ქვით მოკირწყლული ბილიკი მიდის, რაც მომლოცველთა გზად იწოდება. მომლოცველთა გზაზე, ჩამოწოლილი ცის ქვეშ, დაბალტანიან ფიჭვებს ორივე მხრიდან გამოეჭიმათ ძლიერი ტოტები. მარჯვენა მხარეს ძველი ხის შენობა იდგა, რომლის კედლებსაც ფერი გადასვლოდა, შესასვლელის თავზე კი აბრა ეკიდა, წარწერით „ბედის კვლევითი ინსტიტუტი“. ამ შენობასა და სალოცავს შორის თეთრი მიწური იყო, რომლის უკან, ცივი ღრუბლებით მოქუფრული, ცილისფერი ცის ქვეშ, კედრის მეჩხერი ტევრი და დასავლეთ კიოტოს მთები მოჩანდა.

ტაკეისაოს ტაძარში დიად მმართველ ნობუნაგასა და მისი შვილის, ნობუტადას სახელზე ლოცულობდნენ. ტაძარი სადა ფერებში იყო, მხოლოდ სალოცავის გარშემო შემოვლებული მოაჯირის ალისფერი გეცემოდათ თვალში.

ქვის საფეხურები ავირბინე და ადგილობრივ ღმერთებს თაყვანი ვეცი. ხურდების ჩასაყრელი ყუთის გვერდით, თაროზე შემოდებული ძველი, ექვსკუთხა ომიკუჯის ხის ყუთი ავიღე და იქამდე ვაჯანჯღარე, სანამ ნახვრეტიდან ბამბუკის თხელი გადანაჭერი არ გადმოვარდა, რომელზეც შავი ფუნჯით დაეწერათ: „14“.

ომიკუჯი უკან დავაბრუნე.

– თოთხმეტი... თოთხმეტი... თოთხმეტი... – ჩავილაპარაკე და ქვის კიბე ჩამოვირბინე. ამ რიცხვის ჟღერადობა ენაზე მომეწება და თანდათან მნიშვნელობა შეიძინა.

ძველი, ფერგადასული შენობის კარზე დავაკაკუნე. კარი შუახნის ქალმა გამიღო, რომელიც ტანსაცმლის ან ჭურჭლის რეცხვით უნდა ყოფილიყო დაკავებული, რადგან სველ ხელებს პირსახოცით გულდასმით იმშრალებდა. გაწოდებული ათი იენი უმეტყველო სახით გამომართვა და მკითხა:

– რა ნომერი იყო?

– თოთხმეტი.

– ტერასაზე დამელოდე.

იქვე, კუთხეში ჩამოვჯექი და სანამ ველოდებოდი, ვფიქრობდი იმ მდგომარეობის აბსურდულობაზე, რომელშიც ჩემი ბედი ვიღაც ქალის სველ, დაკოჟრილ ხელებს უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ, მეორე მხრივ, მე ხომ ასეთ აბსურდზე ვაპირებდი ცხოვრებისეული ფსონის დადებას... ასე რომ, ეს მდგომარეობა სწორედაც შეეფერებოდა ჩემს სიცოცხლეს. დახურული შოჯის იქით ისმოდა, თუ როგორ გამოაღო მან კომოდის უჯრა და როგორ იქექებოდა ქაღალდებში. საბოლოოდ, შოჯი ოდნავ გაიღო.

– აი, გამომართვი, – ქალმა ფურცელი მომაწოდა და შოჯი ისევ დახურა. ქაღალდის კუთხეს სველი ნათითურები ეტყობოდა. გავშალე და კითხვა დავიწყე:

„მეთოთხმეტე – უბედურება.

თუ აქ დარჩები, შინტოს ოთხმოცი ღვთაების რისხვა თავს დაგატყდება.

ოოკუნის სამეფოს პრინცი მედგრად გაუმკლავდა მწველ ქვებს, მსახვრალ ისრებს და სხვა მრავალ სირთულეს. წინაპარ ღვთაებათა დანატოვარ მოძღვრებას მიჰყვა და მალულად გაერიდა იმ ქვეყანას. ეს არის ნიშანი შენი საიდუმლო გაქცევისა“.

ქვეშ მიწერილი ახსნა მამცნობდა იმ შფოთისა და იმედგაცრუების შესახებ, რომელიც წინ მელოდა. ოდნავაც არ შემშინე-

ბია. ქვემოთ განმარტებული ცხოვრებისეული მოვლენების ჩამონათვალში თვალი მოგზაურობაზე შევაჩერე, რომლის გასწვრივაც ეწერა:

„მოგზაურობა უბედურების მომტანია. განსაკუთრებით საშიშია ჩრდილო-დასავლეთი“.

მე სწორედ ჩრდილო-დასავლეთით ვაპირებდი გამგზავრებას.

***

ცურუგის მატარებელი კიოტოს სადგურიდან დილის ექვს საათსა და ორმოცდათხუთმეტ წუთზე გადიოდა. მონასტერში ექვსის ნახევარზე ვდგებოდით. ათი ნოემბრის დილას, გავიღვიძე თუ არა, საუნივერსიტეტო ფორმაში გამოვეწყვე, მაგრამ არავის არაფერი უეჭვია. ყველა მიჩვეული იყო, რომ ჩემი არსებობა არ უნდა შეემჩნია. ბერები მონასტრის კუთხეებს მოედვნენ და დალაგებას შეუდგნენ. შვიდის ნახევრამდე დალაგების დრო იყო.

მე წინა ეზოს ვალაგებდი. ჩაფიქრებული მქონდა, ყოველგვარი ბარგის გარეშე, პირდაპირ აქედან გავქცეულიყავი – სულების მიერ გატაცებულივით გავმქრალიყავი. დილაადრიან მოთეთრო კენჭებით მოფენილ გზაზე მხოლოდ მე და ჩემი ცოცხი ვმოძრაობდით. უეცრად ცოცხი მიწაზე ეცემა, მე ვქრები და თეთრი კენჭებით მოხრეშილი ბილიკი მარტო რჩება განთიადის ბინდში... სწორედ ასეთ გაქცევაზე ვოცნებობდი.

ამავე მიზეზით არ გამოვემშვიდობე ოქროს ტაძარს. აუცილებელი იყო, რომ ჩემი საცხოვრებელი გარემოდან, რომელიც ოქროს ტაძარსაც მოიცავდა, მხოლოდ მე გავუჩინარებულიყავი მოულოდნელად. ვგვიდი და ნელ-ნელა ჭიშკარს ვუახლოვდებოდი. ფიჭვების კენწეროებს შორის განთიადის ვარსკვლავი კიაფობდა.

მღელვარებისგან გული ამოვარდნას მქონდა. „უნდა გავიქცე!“ – ეს სიტყვები გულში გამომწყვდეული ფრინველივით მიფრთხიალებდა. რადაც უნდა დამჯდომოდა, ჩემი გარემოსგან, იმ სილამაზისგან, ასე რომ მბოჭავდა, ბუნდოვანი და გაურკვეველი ყო-

ფისგან, ენაბლუობისა და სხვა ცხოვრებისეული პირობებისგან – ყველაფრისგან თავი უნდა დამეხსნა.

ცოცხი ხელიდან ისე ბუნებრივად გამივარდა, როგორც ნაყოფი სწყდება ხოლმე ხეს, და რიჟრაჟის ბინდში ჩამალულ ბალახში ჩავარდა. ხეების ჩრდილში მალვით მივედი ჭიშკრამდე და ეზოს გავცდი თუ არა, მთელი ძალით გავიქეცი. დილის პირველი ტრამვაი ჩამოდგა. ავედი და რამდენიმე მგზავრს შორის ადგილი დავიკავე. ტანსაცმელზე ეტყობოდათ, რომ მუშები უნდა ყოფილიყვნენ. ტრამვაის ნათურის მკვეთრი შუქი სახეზე მეღვრებოდა და მომეჩვენა, რომ არასოდეს ვყოფილვარ ასეთ ნათელ და ბედნიერ ადგილას.

ახლაც ცხადად მახსოვს მოგზაურობის ყველა დეტალი. ეს უმიზნო გაქცევა არ ყოფილა. გადაწყვეტილი მქონდა, იმ რეგიონში წავსულიყავი, სადაც ექსკურსიაზე წაგვიყვანეს სკოლიდან. მაგრამ რაც უფრო ვუახლოვდებოდი დანიშნულების ადგილს, გათავისუფლების შეგრძნება უფრო და უფრო მიძლიერდებოდა და მეგონა, რომ მატარებელს ამოუცნობ მხარეში მივყავდი.

გზა ნაცნობი იყო, რადგან ჩემი მშობლიური მხარისკენ მივემგზავრებოდი, მაგრამ თვით ეს ძველი, გაშავებული ორთქლმავალიც კი საოცრად ახლად მეჩვენებოდა. სადგური, ორთქლმავლის კვილი, სადგურის რუპორის ხმა, დილის სიმშვიდეს რომ არღვევდა – ეს ყველაფერი ერთ ემოციად იკვრებოდა, ძლიერდებოდა და თვალებზე პოეტურ, საოცნებო ბინდად მეკვრებოდა. ახლად ამოწვერილი მზის შუქი ბაქანზე შუქ-ჩრდილებს აჩენდა. ახმაურებული ფეხსაცმლის ლანჩები, ხისძირიანი ფლოსტების ბაკა-ბუკი, სადგურის ზარის მონოტონური წკრიალი, გამყიდველის მიერ დახლიდან გადმოწოდებული მანდარინების ფერი... მეჩვენებოდა, რომ ეს ყველაფერი იმ „დიდის“ პატარ-პატარა მინიშნებები იყო, რომლისთვისაც საკუთარი თავი სრულად მიმენდო.

სადგურის ყველა დეტალი, როგორი მცირეც უნდა ყოფილიყო, დაშორებისა და გაქცევის გრძნობაში ერთიანდებოდა და აძლიერებდა მას. ბაქანი საოცარი სულგრძელობითა და თავაზიანობით ტოვებდა ჩვენს ორთქლმავალს. მე ცხადად ვგრძნობდი! ვგრძნობ-

დი, როგორ შუქს უტოვებდა ბაქნის უმეტყველო, ბეტონის ზედაპირს ყველა, ვინც იქიდან გადიოდა, ტოვებდა და შორდებოდა მას.

უცნაური ნათქვამი გამომივა, მაგრამ ორთქლმავალს ვენდობოდი. სხვა სიტყვებს ვერ ვპოულობ იმის ასახსნელად, თუ რა დაუჯერებელი გრძნობები განვიცადე, როცა კიოტოს სადგურს ნელ-ნელა ვშორდებოდი. რამდენჯერ გამიგონია ჩვენი მონასტრის ბაღთან ახლოს გამავალი ორთქლმავლის სტვენა. უჩვეულო შეგრძნება იყო, რომ ვიჯექი ისეთსავე ორთქლმავალში, რომელიც მიუწვდომლად მეჩვენებოდა მაშინ, დღისითა თუ ღამით, ერთსა და იმავე დროს რომ ჩაგვიქროლებდა ხოლმე.

ორთქლმავალი ისევ იმ ჰოძუს ხეობის ხასხასა ლურჯი მდინარის გასწვრივ მიჰქროდა, ოდესღაც ავადმყოფობისგან დასუსტებულ მამასთან ერთად რომ ვნახე. ადაგოს ქედისა და არაშიამის მთის დასავლეთით, სონობეს რეგიონამდე, როგორც ჩანს, ჰაერის ნაკადების გავლენით, კიოტოსგან სრულიად განსხვავებული კლიმატი ჩამოყალიბებულიყო. ოქტომბრიდან დეკემბრამდე, დაახლოებით ღამის თერთმეტი საათიდან დილის ათ საათამდე, მდინარე ჰოძუდან წამოსული ნისლი ყველაფერს განურჩევლად ნთქავდა. ნისლი თითქმის უწყვეტად მოედინებოდა და ძალზე იშვიათად თუ გახსნიდა ხოლმე პირს.

ნისლის ქულები ბრინჯის ყანებს მოლურჯო ობისფრად დაჰფენოდა. ყანებს შორის მდგარი ხეების ვარჯები გულმოდგინედ გადაესხიპათ, ხოლო მათი სუსტი ღეროებისთვის გარშემო თივის სქელი ფენა შემოევლოთ, რასაც აქაურები „ორთქლის გალიას“ უწოდებენ. ხეთა სილუეტები ერთიმეორის მიყოლებით, მოჩვენებებივით ჩნდებოდნენ და ისევ ნისლში იკარგებოდნენ. ერთხელაც, ნაცრისფერი ყანების ფონზე, უზარმაზარი ტირიფი ამოიზარდა ვაგონის ფანჯარასთან. მისი სველი, დამძიმებული ფოთლები მსუბუქად შრიალებდნენ ნისლში.

ჩემი სული, კიოტოდან გამომგზავრებისას ასე რომ მხიარულობდა, ახლა გარდაცვლილთა შესახებ მოგონებებში ჩაძირულიყო. უიკოს, მამაჩემისა და ცურუკავას სახეები ჩემში ენით აღუწერელ

სიკეთეს აღვიძებდნენ. „ნუთუ ჩემს გულს არ შეუძლია ცოცხალი ადამიანების შეყვარება?“ – გავიფიქრე. და მაინც, რა ადვილია გარდაცვლილთა სიყვარული, ცოცხლებისაგან განსხვავებით!

მესამე კლასის ვაგონი ნახევრად სავსე იყო სწორედ ასეთივე რთულად შესაყვარებელი ცოცხალი არსებებით, თამბაქოს რომ ნაჩქარევად აფუილებდნენ და მანდარინებს ფცქვნიდნენ. ჩემ გვერდით ხმამაღლა საუბრობდნენ მოხუცები, რომლებიც აშკარად რომელიღაც საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან უნდა ყოფილიყვნენ. ყველას ძველი, უფორმო პიჯაკი ეცვა. ერთ-ერთს მკლავზე გახეული ადგილიდან ზოლიანი სარჩული მოუჩანდა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მდაბიოობას ასაკი ვერაფერს აკლებს. მათი გლეხური გამომეტყველება, მზით დამწვარი, სქელნაოჭიანი სახეები, საკეს სმისგან ჩახლეჩილი ხმები ერთგვარ მთლიანობას ქმნიდა, რომელსაც თავისუფლად შეგვიძლია „მდაბიოობის კვინტესენცია“ ვუწოდოთ.

მოხუცები მსჯელობდნენ, თუ ვისგან უნდა მოეთხოვათ შემოწირულობა თავიანთი ორგანიზაციისთვის. ერთ-ერთი მათგანი – მშვიდი, მელოტი მოხუცი საუბარში არ მონაწილეობდა და ხელებს სიყვითლეშეპარული თეთრი ცხვირსახოცით იწმენდდა, რომელიც, ვინ უწყის, უკვე რამდენი ათასჯერ იქნებოდა გარეცხილი.

– ერთი ჩემს გაშავებულ ხელებს დახედეთ, – ჩაილაპარაკა მან. – ამ გამონაბოლქვისგან სულ მიჭუჭყიანდება. მაგრამ რა გინდა, რომ მოუხერხო...

სხვა სკამიდან ვიღაც გამოელაპარაკა.

– შენ ის არ ხარ, გამონაბოლქვით ბუნების დაბინძურების შესახებ ერთხელ გაზეთშიც რომ დაწერე?

– არა, მე არ ვარ, – იუარა მელოტმა მოხუცმა. – ეგ არ ვიცი, მაგრამ მე კი ძალიან შევწუხდი და...

ძალაუნებურად ყველაფერს ვისმენდი. მათ საუბარში დროდადრო ოქროსა და ვერცხლის ტაძრების სახელები ჟღერდა. თანხმდებოდნენ, რომ ორივე მონასტრისგან უნდა მოეთხოვათ შემოწირულობა. ამბობდნენ, ვერცხლის ტაძრის შემოსავალი ოქროს ტაძრის შემოსავლის ნახევარიც არ არის, მაგრამ მაინც დიდ თან-

ხას აღწევსო. ოქროს ტაძრის წლიური შემოსავალი დაახლოებით ხუთი მილიონი იყო, მაგრამ იქაური ბერები ძენ-ბუდისტის უბრალო ცხოვრებით ცხოვრობდნენ და, წყლისა და დენის გადასახადის ჩათვლით, მონასტრის წლიური ხარჯი ორასი ათასსაც კი არ უნდა გადასცდენოდა. მაშ, სად მიდიოდა ამდენი ფული? სად და, ახალგაზრდა ბერები ცივ ბრინჯზე ჰყავთ, წინამძღვარი ოშიო კი ყოველ ღამე გიონის გასართობ რაიონში დაძრწის, თან გადასახადებსაც არ იხდიანო. პირდაპირ სახელმწიფო სახელმწიფოშია, არა, ასეთ გაზულუქებულ მონასტერს აუცილებლად უნდა მოვთხოვოთ შემოწირულობაო! – ყველა ამ აზრს ეთანხმებოდა.

მელოტი მოხუცი განუწყვეტლივ ხელებს იწმენდდა. საუბარი დასასრულს რომ უახლოვდებოდა, ისევ ჩაილაპარაკა, ვაჰ, შევწუხდი კაციო, და მისი ეს სიტყვები ისე გაისმა, თითქოს მთელი ამ საუბრის დასკვნა ყოფილიყო. ხელებზე ჭვარტლის კვალიც კი არ დარჩენოდა – ძველებური ნეცუკეს[17] ფიგურებივით უპრიალებდა. ხელებზე მეტად, ხელთათმანები უფრო ეთქმოდათ.

უჩვეულო შეგრძნება იყო, რადგან მაშინ პირველად მოვისმინე ოქროს ტაძრის კრიტიკა. ჩვენ ბერების სამყაროში ვცხოვრობდით. უნივერსიტეტიც ამ სამყაროს ნაწილი იყო და, რა თქმა უნდა, მონასტრის კრიტიკას არ ვკადრულობდით. თუმცა ამ მოხუცების საუბარმა ოდნავაც არ გამაკვირვა. ეს ყველაფერი ხომ ისედაც ნათელი იყო ჩემთვის! ჩვენ მართლაც ცივი ბრინჯით ვტრაპეზობდით, ოშიო კი ხშირ-ხშირად დადიოდა გიონის უბანში. მაგრამ მოხუცების ამგვარმა მსჯელობამ ჩემში ზიზღი გამოიწვია, რადგან მომეჩვენა, რომ შეეძლოთ, ასევე ელაპარაკათ ჩემს საქციელზეც. ვერ ამეტანა ის აზრი, რომ ჩემი ნამოქმედარი „მათი გაგებით“ შეიძლება ახსნილიყო. „ჩემი გაგება“ მათგან ბევრად განსხვავდებოდა. გაიხსენეთ, მე ხომ ოდნავი სიძულვილიც კი არ მიგრძნია, **როცა გიონის ქუჩაზე** გეიშასთან ერთად მოსეირნე წინამძღვარი დავინახე.

---

[17] შუა საუკუნეების იაპონიაში გავრცელებული, ხისგან გამოკვეთილი დეკორატიული ფიგურები.

ამიტომაც, მოხუცი აქტივისტების საუბარი გულიდან მალევე გამიქრა და მხოლოდ მდაბიოობის ოდნავ შესამჩნევი სიმყრალე და ზიზღი დამიტოვა. სულაც არ ველტვოდი იმას, რომ ჩემი აზრებისთვის საზოგადოებრივი მხარდაჭერა მომეპოვებინა. არაერთხელ მითქვამს, რომ ჩემი არსებობის საფუძველი სწორედ ეს იყო – ჩემი გაგება არავის შეეძლო.

უეცრად ვაგონის კარი გაიღო და მოვაჭრის ჩახლეჩილი ხმა გავიგონე. კალათა დაბლა დადგა თუ არა, გამახსენდა, რომ დილიდან მშიერი ვიყავი. ბენტო ვიყიდე, რომელშიც ბრინჯის ნაცვლად, წყალმცენარეებით მომზადებული მომწვანო ატრია დამხვდა. ნისლი გადაიყარა, მაგრამ ცა მოქუფრული იყო. ტანბის მთის ძირში პატარა სოფელი გამოჩნდა, რომლის მაცხოვრებლებსაც იქაურ მწირ მიწაზე ქაღალდის ხეები მოჰყავდათ და ქაღალდის წარმოებით იყვნენ დაკავებულები.

მაიძურუს ყურე. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ეს სახელი ადრინდელივით გულზე მხვდებოდა. თუმცა შირაკუს დასახლებაში გატარებული მთელი ბავშვობის განმავლობაში „მაიძურუს ყურეს“ იმ ზღვის სახელად აღვიქვამდი, ჩვენი სახლიდან რომ არ მოჩანდა. ეს სიტყვათშეთანხმება ყოველთვის ზღვას მახსენებდა.

ეს უხილავი ზღვა შირაკუს დასახლების უკან აღმართული აობის მთიდან კარგად მოჩანდა. ამ მთის მწვერვალზე ორჯერ ვიყავი ნამყოფი. მეორედ როცა ავბობღდი, ყურეში გაერთიანებულ ფლოტს ჩაეშვა ღუზა.

ალბათ იმ მბზინავ ყურეში ფლოტი იმ დროს რაიმე საიდუმლო მანევრს ასრულებდა. ყველაფერი, რაც ამ ფლოტს უკავშირდებოდა, იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ ზოგჯერ მის არსებობაში ეჭვიც კი გვეპარებოდა. ამიტომაც, ის იმ ზღაპრული შავი ფრინველების გუნდს მახსენებდა, მარტო სახელი რომ იცი და სურათებზე გინახავს. ფრინველებს წარმოდგენა არ აქვთ, რომ ადამიანი უთვალთვალებთ, ენდობიან გამოცდილი, მკაცრი წინამძღოლის მზერას და, გულდამშვიდებულები, ყურეში ცურვით იქცევენ თავს.

უეცრად გამცილებლის ხმამ გამომაფხიზლა. ორთქლმავალი დასავლეთ მაიძურუს უახლოვდებოდა. ამჯერად აღარ ჩანდნენ ჩვენი სამხედრო მეზღვაურები, მაიძურუსთან მიახლოებისას საჩქაროდ რომ იკიდებდნენ ხოლმე ბარგს. ჩამოსასვლელად მზადება მხოლოდ მე და კიდევ ორიოდე კაცმა დავიწყეთ, რომლებიც შავ ბაზარზე მოვაჭრეებს წააგავდნენ.

ყველაფერი შეცვლილიყო. კუთხეებში ინგლისურენოვანი აბრები ავისმომასწავებლად ციმციმებდნენ, ხოლო ქუჩებში ამერიკელ მეზღვაურთა ჯგუფები მიმოდიოდნენ. ქალაქი მთლიანად უცხოურ პორტს დამსგავსებოდა.

ცა ადრეული ზამთრის ღრუბლებით დაფარულიყო. ცივი, მარილიანი ბრიზი ფართო სამხედრო გზაზე ორპირად დაჰქროდა. თუმცა ჰაერს, ზღვის სურნელზე მეტად, რაღაც არაორგანულის, დაჟანგებული რკინის სუნი უფრო უდიოდა. ქალაქის სიღრმეში შემოჭრილი, ვიწრო არხის მსგავსი ყურე, მისი მკვდარი ზედაპირი, ნაპირზე მიბმული ამერიკული სამხედრო კატარღა... ყველაფერი სიმშვიდეს მოეცვა, მაგრამ ზედმეტად გაპრიალებული, სუფთა ქუჩები ქალაქს უწინდელ შემართებასა და ენერგიას უკარგავდა. პორტი ერთ დიდ ჰოსპიტალს დამსგავსებოდა.

ზღვასთან ძველი მეგობარივით შეხვედრას არც ვაპირებდი, თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე ამერიკული „ჯიპი“ არ დამეჯახებოდა და ზღვაში არ გადამისვრიდა. ახლა რომ ვიხსენებ, მგონია, რომ ჩემს მოგზაურობას საფუძვლად ზღვისკენ ლტოლვაც ედო, მაგრამ ეს ნამდვილად არ იყო ხელოვნური პორტისადმი ლტოლვა. ზღვის პირველქმნილი სახების ძახილი გახლდათ – ისეთის, როგორიც ნარიუს კონცხზე გატარებული ღრმა ბავშვობიდან მახსოვს. დიახ, მე მიზიდავდა უხეში, მუდამ მრისხანე ტალღები, როგორსაც მხოლოდ იაპონიის ზღვის მიუდგომელ ნაპირებზე თუ შეხვდები.

ამიტომაც მივემართებოდი ქალაქ იურისკენ. ამ სეზონზე იქ მხიარულად მობანავე მეზღვაურებიც აღარ უნდა ყოფილიყვნენ. მხოლოდ ზღვისა და მიწის ავისმომასწავებელი, ბნელი ძალების ჭიდილის ნახვას ვესწრაფოდი. დასავლეთ მაიძურუდან იურამდე

მთელი სამი რის მანძილი იყო. ჩემს ფეხებს ეს გზა ჯერ კიდევ ახსოვდათ. გზა ქალაქ მაიძურუდან დასავლეთით, პორტის სანაპიროს გასწვრივ მიდიოდა. რკინიგზის ხაზი უნდა გადამეკვეთა, ტაკიჯირის უღელტეხილი გადამევლო და მდინარე იურაზე გადავსულიყავი. ხიდზე გადასვლის შემდეგ, მდინარის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ, ჩრდილოეთით უნდა ამეხვია.

ქალაქს გავცდი და გზას გავუყევი...

სიარულისგან ფეხები რომ მეღლებოდა, საკუთარ თავს დაკითხვას ვუწყობდი: იურაში რა გელოდება? რა მტკიცებულებასთან შესახვედრად მიილტვი ასე? განა არის იქ რამე, გარდა იაპონიის ზღვის უკაცრიელი ნაპირებისა? – და ფეხებიც ჯიუტად წინ მიიწევდნენ. არ ვიცი, სად, მაგრამ სადღაც ჩაღწევას ვესწრაფოდი და ქალაქის დასახელებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. რაც უნდა დამხვედროდა იქ, საკმარისი ვაჟკაცობა მქონდა, რომ პირისპირ შევხვედროდი. თითქოს უსაზღვრო, უპრინციპო და ამორალური შემართება დაბადებულიყო ჩემში. დროდადრო ღრუბლებს შორის მზე სუსტად გამოანათებდა ხოლმე და მაშინ გზისპირას ჩამწკრივებული ძელქვები თავიანთ ჩრდილში დასასვენებლად მეპატიჟებოდნენ, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ დასვენების დრო არ მქონდა. რადაც უნდა დამჯდომოდა, გზა უნდა გამეგრძელებინა.

მდინარე იურა ციცაბო ფერდობებს შორის მოედინებოდა და მის ფართო კალაპოტს ფონი არ ეძებნებოდა. უზარმაზარი, ცისფერი ზედაპირი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს უხალისოდ მიათრევდა საკუთარ ნაკადს ასევე უხალისოდ მომლოდინე ზღვისკენ.

მდინარის დასავლეთ სანაპიროზე რომ გადავედი, გზა ნელ-ნელა გაუკაცრიელდა. გზის გასწვრივ ხანდახან ციტრუსის პლანტაციები მხვდებოდა, მაგრამ ადამიანის მოდგმისა არავინ ჩანდა. ვაედ წოდებულ პატარა დაბასაც ჩავუარე, თუმცა, წყნარად **მოშრიალე** ბალახისა და შავცხვირიანი, გაბურძგნული ძაღლის გარდა, არავის ხმა არ გამიგია.

ვიცოდი, რომ სადღაც ახლოს აქაური ღირსშესანიშნაობა – სისასტიკით ცნობილი თავადის, დაიუ სანშიოს სასახლის ნანგრევები

იყო, მაგრამ მისი ნახვა გულშიც არ გამივლია – ისე ჩავუარე, რომ ვერც კი შევამჩნიე. ალბათ განუწყვეტლივ მდინარისკენ ვიყურებოდი. მდინარის შუაში დიდი კუნძული იყო, რომელიც მთლიანად ბამბუკის ტყეს დაეფარა. ნაპირზე ნიავიც არ იგრძნობოდა, თუმცა კუნძულის ბამბუკები ქარის ქვეშ იზნიქებოდნენ. კუნძულზე ორიოდე ჰექტარზე გაშენებული ბრინჯის ყანაც იყო, რომელსაც მდინარის წყლით ტბორავდნენ ხოლმე. იქ არავინ მოჩანდა. ერთადერთი ადამიანი, ვისაც კუნძულზე შენიშნავდით, ჩემკენ ზურგით ჩაცუცქულიყო და თევზაობდა.

ადამიანი უკვე იმდენ ხანს არ მენახა, რომ ამ მარტოხელა მეთევზის მიმართ თითქმის ნათესაური სიახლოვეც კი ვიგრძენი.

„ნეტავ კეფალის დაჭერას ცდილობს? – გავიფიქრე. – თუ ასეა, მაშინ შესართავიდან შორს არ უნდა ვიყო“.

ამ დროს ქარს აყოლილი ბამბუკები კიდევ უფრო ძლიერად აშრიალდნენ. ბამბუკის ხმაურმა წყლის ხმა გადაფარა და ნაპირებამდე გამოაღწია – როგორც ჩანს, რაც ნისლი მეგონა, წვიმის ღრუბელი იყო და უკვე კუნძულზე ასხამდა. წვიმის წვეთებმა კუნძულის გამომშრალი მიწა ნაცრისფრად შეღებეს. ამ ყველაფრის გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რომ წვიმა ახლა უკვე თავზე დამდიოდა, კუნძულზე კი ისევ გამოედარა. მეთევზე ოდნავაც არ შერხეულა. წვიმამ მეც მალევე მიმატოვა.

მოსახვევში ისლისა და შემოდგომის ბალახების მდელომ თვალსაწიერი დამიფარა, მაგრამ სახეზე ზღვის სუსხიანი ბრიზი მომხვდა და მივხვდი, რომ შესართავი ახლოს უნდა ყოფილიყო.

ცოტაც და მდინარე დამთავრდებოდა. ზედ შესართავთან კიდევ რამდენიმე კუნძული იყო. წყლის ნაკადს ზღვის ტალღები გაცხარებით ებრძოდნენ, მდინარის ზედაპირი კი უფრო და უფრო წყნარდებოდა და სიცოცხლის ნიშანწყალსაც ნელ-ნელა კარგავდა. გულწასული ადამიანივით, ვერც ამჩნევდა, როგორ უახლოვდებოდა სიკვდილს.

შესართავი უჩვეულოდ ვიწრო იყო. აქ ზღვისა და მდინარის წყლები ერთმანეთს დაუნდობლად ებრძოდნენ, ერთმანეთში ით-

ქვიფებოდნენ და, საბოლოოდ, შავად ჩამოწოლილ, მოქუფრულ ცას ერწყმოდნენ.

იმისთვის, რომ ზღვა ხელით შემეგრძნო, ყანებიდან და მდელოებიდან მონაბერი ქარისკენ პირით მიბრუნებულს, კიდევ ცოტა ხანს უნდა მევლო. ქარი ჩრდილოეთის ზღვის კონტურს ხატავდა. ამ უკაცრიელ ველებზე ქარი მხოლოდ და მხოლოდ ზღვისთვის ირჯებოდა. ისიც ხომ ზღვა იყო – ძლიერი, თვითმპყრობლური აირის ზღვა, აქაურობის ზამთარზე რომ მბრძანებლობდა.

შესართავის უკან ერთმანეთს მიწყობილი, ბობოქარი ტალღები ზღვის რუხ სივრცეს ერწყმოდნენ. უფრო შორს, სიღრმეში, გამოჩნდა კუნძული, რომელსაც გორაკი პატარა ქუდივით დაეფარებინა თავზე. ეს იყო შესართავიდან რვა რით დაშორებული კუნძული კამურა – ბუნების ძეგლი, რომლის დაცულ ტერიტორიაზეც ქარიშხალას იშვიათი ჯიშები ბინადრობენ.

ერთ-ერთ ყანაში შევაბიჯე და გარშემო მიმოვიხედე. მხოლოდ გაპარტახებული მიწები მერტყა გარს. ამ დროს თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი შევიცანი, მაგრამ რა წამს გავიფიქრე, რომ მის არსს ბოლომდე ჩავწვდი, ყველაფერი სწრაფად გაქრა, დაიკარგა. ცოტა ხანს გაუნძრევლად ვიდექი, მაგრამ სუსხიანმა ქარმა ფიქრი გამიწყვიტა. ისევ ქარის საწინააღმდეგოდ გავემართე.

გაპარტახებული ყანები ყამირ, ქვაღორღიან მიწებს ებმოდა. მდელოების ნახევარი გადამხმარიყო. ნედლი ბალახი კი მიწას მიტმასნილ, დასრესილ ხავსს უფრო წააგავდა. შემდეგ უკვე ქვიშანარევი მიწა იწყებოდა.

უეცრად ვიბრაციის ყრუ ხმა მომესმა, რომელსაც ადამიანების ხმა დაერთო. ეს მაშინ გავიგონე, როცა უნებლიეთ ქარს ზურგი შევაქციე და იურაგატაკეს მწვერვალს მივაშტერდი. თვალებით ადამიანების ძებნა დავიწყე. სანაპირომდე პატარა, ქვიანი ბილიკი ჩადიოდა. დავინახე, რომ მიწის ეროზიის საწინააღმდეგო, ნაპირსამაგრ სამუშაოებს ატარებდნენ. აქა-იქ ბეტონის ბოძები მიმოეფანტათ, რომელთა ქათქათა ძვლის ფერიც ქვიშის ფონზე ისე ცოცხლად მოჩანდა, რომ ტანში გამცრა. ვიბრაციის ყრუ ხმა, ცოტა

ხნის წინ რომ გავიგონე, ბეტონის საზელი დანადგარისა აღმოჩნდა. რამდენიმე ცხვირაწითლებულმა მუშამ სტუდენტის ფორმაში გამოწყობილ, მარტოხელა ბიჭს იჭვნეულად გამომხედა. პასუხად, მეც წამით შევავლე თვალი და ამით ადამიანის ნაშიერთა ურთიერთობა დასრულდა.

ნაპირი კონუსისებურად იჭრებოდა ზღვაში. გრანიტული წარმოშობის ქვიშაზე, მოქცევის ზოლის გასწვრივ მივაბიჯებდი და ნელ-ნელა სიხარული მიპყრობდა, რადგან მეჩვენებოდა, რომ ყოველი ნაბიჯი ისევ იმ მნიშვნელოვან არსს მაახლოებდა, ცოტა ხნის წინ წამიერად რომ გამიელვა თვალწინ. ხელთათმანები არ მეკეთა და ქარისგან თითები ლამის მომეყინა, მაგრამ ეს ოდნავაც არ მანაღვლებდა.

აი, ისიც, ნამდვილი იაპონიის ზღვა! ის იყო ყველა ჩემი უბედურებისა და შავბნელი აზრების წყარო, ის ედო საფუძვლად ჩემს სიმახინჯესა და ძლიერებას. ზღვა ღელავდა. ტალღები ერთიმეორის მიყოლებით, შეუსვენებლივ აწყდებოდნენ ნაპირს და მხოლოდ იმ წამებში, როცა ერთი ტალღა უკან იხევდა, მეორე კი ჯერ არ მოსულიყო, შეიძლებოდა ზღვის ნაცრისფერი, გლუვი სიღრმის გარჩევა. ზღვის შავბნელ სივრცეს ასეთივე ფერის ღრუბლიანი ცა მძიმედ და ამავე დროს ფაქიზად დასწოლოდა. უფორმო, მასიურ ღრუბლებს შორის ცივი და ბუმბულივით მსუბუქი კონტური იხატებოდა, რომელსაც ბაცი ლურჯი ცის ნაჭერი შემოესაზღვრა. ტყვიისფერი ტალღების უკან შორს გაწოლილი კონცხის მუქი იასამნისფერი მთები აღმართულიყვნენ. ამ ხედში რხევა და უძრაობა, განუწყვეტლივ მოძრავი შავბნელი ძალა და მინერალისებური სიმტკიცე ერთად სუფევდა.

უნებლიეთ ის სიტყვები გამახსენდა, ქაშივაგიმ რომ მითხრა ჩვენი გაცნობის დღეს: „სასტიკები სწორედ ასეთ დროს ვხდებით, როცა გაზაფხულის ნათელ დღეებში კარგად **მოვლილ მდელოზე** ვსხედვართ და უდარდელად ვუყურებთ, თუ როგორ თამაშობენ ფოთლებს შორის გამომძვრალი მზის სხივები“.

აქ არც გაზაფხულის ნათელი დღე იყო და არც კარგად მოვლილი მდელო. ახლა მე ბობოქარი ტალღებისა და მრისხანე ჩრდი-

ლოეთის ქარის პირისპირ ვიდექი. მაგრამ ეს მღელვარე ბუნება გაზაფხულის მზის სხივებში მობიბინე მდელოზე მეტად ეალერსებოდა ჩემს სულს, ჩემი არსის განუყოფელ ნაწილად ქცეულიყო. აქ მხოლოდ საკუთარ თავს ვეკუთვნოდი. აქ არაფერი მაშინებდა.

შეიძლება კი ეწოდოს სასტიკი ამ უეცრად გაჩენილ აზრებს? არ ვიცი, მაგრამ ეს აზრები სულს ცხოველი შუქით მივსებდნენ და სიცხადეს მატებდნენ იმ მნიშვნელოვან არსს, ორიოდე წუთის წინ რომ შევიცანი. არც კი ვცდილობდი, ყველაფერი ბოლომდე გამეთავისებინა – აზრი ელვარე, დამაბრმავებელი შუქის სახით მოსულიყო, ძალას მმატებდა და ზომაში მზრდიდა; თითქოს თავიდან ვიბადებოდი, ახალი იდეით შთაგონებული. უფრო სწორად, ამ იდეამ მთლიანად მომიცვა და შთანმთქა. „ოქროს ტაძარი უნდა დავწვა!“ – ვფიქრობდი მე.

სიარული გავაგრძელე და მიაძუს სარკინიგზო ხაზის სადგურ ტანგოიურას მივადექი. გამახსენდა, რომ სკოლის ექსკურსიის დროსაც იგივე გზა გავიარეთ და უკან სწორედ ამ სადგურიდან დავბრუნდით. სადგურის წინ სამანქანო გზა თითქმის ცარიელი იყო. ცხადია, აქაურობა ზაფხულის მოკლე საკურორტო სეზონის ხარჯზე ცოცხლობდა, სხვა სეზონებში კი უკაცრიელდებოდა.

გადავწყვიტე, სადგურთან ახლოს, ადგილობრივ პატარა სასტუმროში გავჩერებულიყავი, რომელსაც გრძელი სახელი ჰქონდა – „ქალაქ იურის იაპონური სტილის სასტუმრო, ზღვაში ბანაობის მოყვარულთათვის“. მინის გასაწევი კარი გავაღე, მისაღებში შევედი და მეპატრონეს დავუძახე, მაგრამ პასუხი არავინ გამცა. მისაღების საფეხურზე მტვრის სქელი ფენა იდო, დარაბები დაეხურათ, ბნელ შენობაში სულიერის ჭაჭანება არ იყო.

სასტუმროს უკნიდან მოვუარე და გამხმარი ქრიზანთემებით სავსე პატარა ბაღი აღმოვაჩინე. წყლის ავზი მაღლა დაეყენებინათ – საშხაპეებს წყალი აქედან მიეწოდებოდა, რათა ზღვიდან მობრუნებულ სტუმრებს ტანზე აკრობილი ქვიშა ჩამოერეცხათ.

ოდნავ მოშორებით პატარა სახლი იდგა, რომელიც, როგორც ჩანს, სასტუმროს მეპატრონის საცხოვრისი იყო. დახურულ მინის

კარს მიღმა რადიო ისე ხმამაღლა იყო ჩართული, რომ სახლი აშკარად ცარიელი უნდა ყოფილიყო. მაინც გავაღე და შევიხედე. შესასვლელში ორიოდე წყვილი გეტა ეყარა. რადიოს ხმაურში პაუზას დაველოდე და დავიძახე, მაგრამ აქაც არავინ ჩანდა.

ჩემ უკან ადამიანის ლანდი შევნიშნე. უფრო სწორად, ვიღაცის ყოფნა ვიგრძენი – მზის სუსტ შუქში გეტას ჩასაწყობ ხის ყუთზე უეცრად ჩრდილი ამოძრავდა.

უჩვეულოდ წვრილთვალებიანი ქალი შემომცქეროდა. სქელ, თეთრ სხეულს კონტური თითქოს დამდნარი ჰქონდა, ქონიან ნაოჭებში ჩაკარგული თვალები კი თითქმის არ უჩანდა. ღამის გასათევი ვთხოვე. ქალს არც უთქვამს, გამომყევიო, მხარი უსიტყვოდ იცვალა და სასტუმროს შესასვლელისკენ გაემართა.

არ უკითხავს, რა მინდოდა ან როგორ ნომერს ვეძებდი, პირდაპირ კუთხის პატარა ოთახში შემიყვანა, რომლის ფანჯრებიც ზღვაზე გადიოდა. მერე პატარა გამათბობელი მომიტანა, მაგრამ მისი ნელი ხრჩოლვა დიდხანს დაკეტილი ოთახის აშმორებულ ჰაერს კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდიდა. ფანჯარა გავაღე და სახე ჩრდილოეთის ქარს მივუშვირე. ზღვის თავზე მძიმე ღრუბლები დინჯად აგრძელებდნენ სასიყვარულო თამაშობას, რომელიც მაყურებლის თვალისთვის განკუთვნილი სანახაობა არ უნდა ყოფილიყო. ღრუბლები თითქოს ბუნების უაზრო იმპულსებს ემორჩილებოდნენ. მათ რომელიღაც ნაწილში აუცილებლად ჩანდა ლურჯი ცის მცირე ნაგლეჯი – წმინდა გონების ეს პატარა ცისფერი კრისტალი.

ფანჯარასთან ისევ ცოტა ხნის წინანდელ იდეაზე ვფიქრობდი. „სანამ ოქროს ტაძრის დაწვას გადავწყვეტდი, რატომ არ მომივიდა თავში, რომ ჯერ უხუცესი მომეკლა?“ – ვეკითხებოდი საკუთარ თავს.

ვერ ვიტყვი, რომ არასოდეს მიფიქრია უხუცესის მკვლელობაზე, მაგრამ ამ იდეას მყისვე უკუვაგდებდი ხოლმე, რადგან კარგად ვხვდებოდი მის უშედეგობას. დავუშვათ, უხუცესი მოვკალი, წყვდიადის თვალუწვდენელი ველებიდან ერთიმეორის მიყოლებით, დაუსრულებლად აღმოცენდებიან უძლური ბოროტებით სავსე ახალი გადაპარსული თავები.

მთლიანობაში, ოქროს ტაძრისგან განსხვავებით, ცოცხალ ორგანიზმებს მკაცრად განსაზღვრული ერთჯერადობა არ გააჩნიათ. ადამიანს ბუნების მრავალფეროვანი საკუთრების მხოლოდ მცირე ნაწილი აქვს ნაბოძები. ის, ცვალებადობის წესზე დაფუძნებით, ცდილობს, ეს საჩუქარი განავრცოს და გაამრავლოს – ეს არის და ეს. თუკი ადამიანი ადამიანს მისი ერთჯერადობის მოსასპობად კლავს, მაშ, მკვლელობა სამარადისო შეცდომა და იმედგაცრუება ყოფილა. ასე ვფიქრობდი. ამგვარად, ოქროს ტაძრის არსებობასა და ადამიანის არსებობას შორის კონტრასტმა ჩემს აზროვნებაში ნელ-ნელა მკაფიო კონტური შეიძინა. ერთი მხრივ, ადამიანის ადვილად მოსასპობი სიცოცხლის უკან მუდმივობის ლანდი მოჩანდა, მეორე მხრივ კი, ოქროს ტაძრის უდრეკ სილამაზეს განადგურების აჩრდილი სდევდა თან. ადამიანივით მოკვდავ არსებას ძირფესვიანად ვერ მოსპობ, მაგრამ ოქროს ტაძრის მსგავს, ერთი შეხედვით, მუდმივ სილამაზეს ადვილად აღგვი პირისაგან მიწისა. რატომ ვერ ამჩნევენ ამას ადამიანები? ამ აღმოჩენაში, უდავოდ, ჩემი ორიგინალური ნააზრევიც იყო. თუ ოქროს ტაძარს დავწვავდი, რომელსაც ჯერ კიდევ მეიჯის ეპოქის ოცდაათიან წლებში მიენიჭა ეროვნული საგანძურის სტატუსი, მაშინ ეს იქნებოდა წმინდა, სამუდამო განადგურების აქტი, რომლითაც ადამიანის მიერ შექმნილი სილამაზე თვალშისაცემად შემცირდებოდა.

სანამ აზრებს ვალაგებდი, ხუმრობის გუნებაზეც კი დავდექი.

– ოქროს ტაძარს თუ დავწვავ... – ჩავილაპარაკე ჩემთვის, – ამას ხომ შესანიშნავი აღმზრდელობითი დატვირთვაც ექნება. ჩემი საქციელის წყალობით, ყველა ისწავლის, რომ ასლის შექმნაზე დაფუძნებულ უკვდავებას აზრი არ აქვს. ხალხი მიხვდება, რომ ხუთასორმოცდაათწლიანი არსებობაც კი არაფრის გარანტიას არ იძლევა. შეშფოთდებიან, რომ ის ცხადზე ცხადი აქსიომები, თვითონ რომ გამოიგონეს, შეიძლება ნებისმიერ დროს თავზე დაემსხვრეთ.

დიახ, ზუსტად ასეა. ჩვენს არსებობას დროის კრისტალიზებული სუბსტანცია განსაზღვრავს, რომელიც თავს მხოლოდ გარკვეული ხნის განმავლობაში ინარჩუნებს. წარმოიდგინეთ პატარა კომო-

დი, რომელიც დურგალმა სახლის კომფორტისთვის შექმნა. დრო თანდათან მის ფორმას დაიმორჩილებს და რამდენიმე ათწლეულის ან ასწლეულის შემდეგ ისე გამოჩნდება, თითქოს თავად დრო გარდაიქმნა და ამ ფორმაში გაიყინა. ის მცირე სივრცე, რომელსაც ნივთი იკავებს, შემდგომში გამკვრივებული დროის სასუფევლად იქცევა. ამ ერთგვარი გარდაქმნის პროცესში ნივთს ნელ-ნელა მისი სული ცვლის. შუა საუკუნეების ერთ-ერთ ზღაპრების წიგნში „ნივთებში მცხოვრები სულის, ცუკუმოგამის ჩანაწერები“ ასეთი რამ წერია: „ინის და იანის უძველესი თქმულება მოგვითხრობს, რომ ნივთები ასი წლის მერე სულს იძენენ, რომელიც ადამიანის გულს აცდუნებს. ამ სულს ცუკუმოგამი ეწოდება. ამიტომ, ჩვეულების მიხედვით, ყოველი გაზაფხულის დადგომამდე სამურაის აბჯრიდან ავ სულებს გამოდევნიან და გზაზე გაყრიან. ამას გაზაფხულის სახლის განწმენდა ეწოდება. ეს ადათი ყოველ წელს სრულდება, რათა ცუკუმოგამის გამოღვიძების მეასე წლამდე ერთი წლით ადრე უბედურება განიდევნოს“.

ამგვარად, ჩემი საქციელი ადამიანებს ცუკუმოგამის უბედურების ძალას დაანახებს, რაც, საბოლოოდ, მათ ხსნას მოუტანს. ამით მე სამყაროს, რომელშიც ოქროს ტაძარია, გარდავქმნი სამყაროდ, რომელშიც ის არ არსებობს.

რაც მეტს ვფიქრობდი, მით უფრო მამხიარულებდა ჩემი ჩანაფიქრი. სამყარო ჩემ თვალწინ დასასრულს უახლოვდებოდა. ის სივრცე, რომელსაც ჩამავალი მზის სხივებით განათებული ოქროს ტაძარი ტვირთად აწვა, თითებს შორის გაცრილი ქვიშასავით, ნელ-ნელა ქვესკნელში ეშვებოდა.

***

სამი დღე ოთახიდან ფეხი არ გამიდგამს, რის მერეც შეწუხებულმა სასტუმროს მეპატრონემ პოლიციელი მოიყვანა და ჩემს კარჩაკეტილობას წერტილი დაუსვა. ოთახში ფორმიანი პოლიციელის დანახვისას შემეშინდა, რომ ჩემი ჩანაფიქრი გამჟღავნდა, მაგ-

რამ მაშინვე მივხვდი, შიში უსაფუძვლო უნდა ყოფილიყო. პოლიციელს გულწრფელად ვუპასუხე, რომ მინდოდა, ცოტა ხნით მონასტრის ცხოვრებას გავრიდებოდი და გამოვიქეცი. სტუდენტის ბარათიც ვაჩვენე და მის თვალწინ სასტუმროს საფასურიც ქალს სუფთად ჩავუთვალე. პოლიციელმა როკუონჯის მონასტერში დარეკა და ჩემი ნათქვამი გადაამოწმა. როცა დარწმუნდა, რომ არ ვტყუოდი, მზრუნველის როლი მოირგო და გამომიცხადა, მე თვითონ წაგიყვან მონასტერშიო. მერე კი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოეწყო, რათა ჩემი მომავლისთვის ჩრდილი არ მიეყენებინა.

სანამ ტანგოიურის სადგურზე ორთქლმავალს ველოდებოდით, შხაპუნა წვიმამ დასცხო და უსახურავო სადგური ერთიანად დაასველა. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა პოლიციელმა იქვე, კაბინეტში შემიყვანა და სიამაყით მამცნო, რომ სადგურის უფროსიც და ყველა თანამშრომელიც მისი მეგობრები იყვნენ. ეს არ იკმარა და ახლა ყველას ჩემი თავი გააცნო – აუხსნა, რომ კიოტოდან ვიყავი ჩამოსული.

მომეჩვენა, რომ რევოლუციონერის ფსიქოლოგია შევიცანი. სოფლის პოლიციელსა და სადგურის უფროსს, გაწითლებულ ფოლადის ღუმელთან ლაღად საუბრისას, წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ სულ მალე სამყარო მათ თვალწინ შეიცვლებოდა, რომ მათი წესრიგი განადგურების პირას იდგა.

„ოქროს ტაძარს თუ დავწვავ... ოქროს ტაძარს თუ დავწვავ, მათი სამყარო სახეს იცვლის, ცხოვრების „ოქროს წესი“ ყირაზე დაუდგებათ, მატარებლების განრიგი აირევა და კანონები ძალას დაკარგავს“.

ეს ბრიყვები ვერც კი ხვდებოდნენ, რომ მათ გვერდით მომავალი დამნაშავე იჯდა და, უმანკო სახით, ღუმელთან ხელებს ითბობდა. ეს აზრი უჩვეულო სიხარულს მანიჭებდა. სადგურის ახალგაზრდა თანამშრომელი ხმამაღლა გვამცნობდა, რომ მომდევნო დასვენების დღეს რომელიღაც ფილმის ნახვას აპირებდა. ეს იყო შესანიშნავი ფილმი, არაჩვეულებრივი მსახიობებითა და გულისამაჩუყებელი შინაარსით. „გადაწყვეტილია! მომავალ დასვენებაზე

კინოში მივდივარ!“ – ახალგაზრდული ენერგიით სავსე, ჩემზე გაცილებით ძლიერი ყმაწვილი მომდევნო დასვენების დღეს კინოში წავიდოდა, გოგოს ჩაიხუტებდა და დაიძინებდა.

ახალგაზრდა განუწყვეტლივ ხუმრობდა, სადგურის უფროსს ელაზღანდარავებოდა, საპასუხოდ უბოროტო საყვედურებსაც იღებდა, ვერ ისვენებდა – ხან ღუმელში ნახშირს უკეთებდა და ხან დაფაზე რაღაც რიცხვებს წერდა. ვუყურებდი და ვხვდებოდი, რომ ცხოვრების ხიბლი, უფრო სწორად, ცხოვრების მიმართ ჩემი შური, ისევ ცდილობდა ჩემს დატყვევებას. ხომ შემეძლო, არ დამეწვა ოქროს ტაძარი, მონასტრიდან გავქცეულიყავი, საერო ცხოვრებას დავბრუნებოდი და ამ ახალგაზრდასავით ცხოვრების სიამეებში ჩავფლულიყავი...

მაგრამ შავბნელმა ძალამ მყისიერად დაიბრუნა სადავეები და ამ ზმანებიდან გამომათრია. სხვა გზა არ ჩანდა – ოქროს ტაძარი უნდა დამეწვა. მაშინ, ალბათ, დაიწყებოდა ის განსაკუთრებული, საჩემო ცხოვრება, აქამდე რომ არავის ენახა, არც არავის სმენოდა მასზე.

სადგურის უფროსმა ტელეფონს უპასუხა. მერე სარკესთან მივიდა, ოქროსფერზოლებიანი ფორმის ქუდი გაისწორა, ერთი ჩაახველა და ბაქნისკენ ისეთი შემართებით წავიდა, თითქოს რიტუალის შესასრულებლად ემზადებაო. წვიმას უკვე გადაეღო და მესმოდა, რელსების გასწვრივ აღმართული სალი კლდე როგორ ისხლეტდა ორთქლმავლის გამაყრუებელ ხმას. ახლად დასველებული ქვიანი მიწა ბორბლების გამაყრუებელ გრუხუნს აძლიერებდა და მეტი სიცხადით მოჰქონდა ჩვენამდე.

***

კიოტოში საღამოს შვიდ საათსა და ორმოცდაათ წუთზე ჩამოვედით. სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულმა პოლიციელმა მონასტრის ჭიშკრამდე მომიყვანა. ცივი ღამე იყო. როცა ფიჭვების ბნელი ტევრი უკან ჩამოვიტოვე და ჭიშკრის უდრტვინველ სილუეტს მოვუახლოვდი, უეცრად დედაჩემი დავინახე.

დედა სწორედ იმ ამკრძალავ ნიშანთან იდგა, სადაც ეწერა: „ყველა, ვინც ამ გაფრთხილებას არ დაემორჩილება, კანონის ძალით დაისჯება“. გაბურძგნული თმა ლამპიონის შუქზე ისე მოუჩანდა, თითქოს ჭაღარა ღერები თითო-თითოდ ყალყზე დამდგარიყვნენ. არა, დედას ასეთი თეთრი თმაც არ ჰქონდა – უბრალოდ, შუქში ასე ირეკლებოდა. მასში ჩაფლული პატარა სახე თითქმის არ ჩანდა.

დედაჩემის პატარა ტანი დიდი და უსიამოდ გასივებული მეჩვენა. მის უკან, ღიად დატოვებული ჭიშკრის მიღმა, ეზოში, ღრმა წყვდიადი სუფევდა. დედაჩემს თავისი ერთადერთი გამოსასვლელი კიმონო ჩაეცვა და ოქროსფერკანტიანი ქამარი შემოეჭირა. ამ კიმონოს უკვე მოეჭამა დრო და სხეულზე სასაცილოდ ჩამოკონწიალებულიყო. დედის უმოძრაო სილუეტი, მონასტრის წყვდიადის ავისმომასწავებელ ფონზე, გარდაცვლილ ადამიანს მაგონებდა.

შევყოყმანდი. თავიდან მისი იქ ყოფნა უცნაურად მომეჩვენა. მერელა გავარკვიე, რომ ჩემი გაქცევის შემდეგ უხუცესს ჩვენებთან დაერეკა და დედაჩემისთვის ყველაფერი მოეყოლა. დაზაფრული, მყისვე ჩამოსულიყო კიოტოში და მას მერე მონასტერში მელოდებოდა.

პოლიციელმა ზურგზე ხელი წამკრა. რაც უფრო ვუახლოვდებოდი, დედაჩემის სილუეტი მით უფრო პატარავდებოდა და მალე მისი თავი ჩემი თვალების ქვეშ მოექცა. სახე მახინჯურად მოღრეცოდა და ქვევიდან ამომყურებდა.

წინათგრძნობას თითქმის არასდროს მოვუტყუებივარ. რაღა დროს იყო, მაგრამ დედის ღრმად ჩამჯდარმა, ცბიერმა თვალებმა დამარწმუნა, რომ ჩემი სიძულვილი გამართლებული იყო. მძულდა თავად ის აზრი, რომ ამ ქალმა გამაჩინა. და ის მტანჯველი, ბინძური მოგონება... ადრეც გიამბეთ, რომ იმ ამბავმა დედას დამაშორა. შურისძიებაზე ფიქრიც კი არ შემეძლო, მაგრამ მაინც ვერ ვივიწყებდი...

ახლა კი, მტკივნეულ დედობრივ გრძნობებში ნახევრად ჩამხრჩვალი ქალის ყურებისას, უეცრად გავაცნობიერე: ამიერიდან თავისუფალი ვიყავი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ის ველარასდროს შემაშინებდა.

– უმადურო! უსინდისო! – ხმამაღლა ამოიხრიალა. მისი ხმა მომაკვდავის ბოლო ამოსუნთქვას ჰგავდა. გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რომ ლოყაზე უსუსური სილა ვიგრძენი.

პოლიციელი უსიტყვოდ უყურებდა, როგორ მილაწუნებდა სახეში დედაჩემი. თითები უთრთოდა და ხელში ძალა არ ჰქონდა, მაგრამ მისი წვეტიანი ფრჩხილები სეტყვასავით მეყრებოდა. დავინახე, რომ ამ დროსაც კი საწყლად გამოიყურებოდა და მზერა მოვარიდე. ოდნავ რომ დაწყნარდა, უკვე შეცვლილი ტონით მკითხა:

– ასე შორს... ამ სიშორეზე წასასვლელი ფული სად იშოვე?

– ფული? ფული მეგობარს ვესესხე.

– მატყუებ? მოიპარე, არა?

– არ მომიპარავს-მეთქი.

დედამ შვებით ამოისუნთქა, თითქოს ეს მისი ერთადერთი სადარდებელი ყოფილიყო.

– მართლა? ცუდი არაფერი ჩაგიდენია?

– არა.

– მართლა? კიდევ კარგი. ახლა, ხომ იცი, უხუცესს შენდობა უნდა სთხოვო. მე უკვე მოვუბოდიშე, მაგრამ შენც მთელი გულით უნდა სთხოვო პატიება. უხუცესი სულგრძელი კაცია და ალბათ ამ ამბავზე თვალს დახუჭავს, მაგრამ თუ ამჯერადაც არ ისწავლი ჭკუას, მაშინ მე, საწყალს, სიკვდილის მეტი აღარაფერი დამრჩენია. აუცილებლად წარმატებას უნდა... ეგ იქით იყოს და, ჯერ ბოდიში უნდა მოვიხადოთ.

მე და პოლიციელი დედას უსიტყვოდ გავყევით. მას პოლიციელთან მისალმებაც კი დავიწყებოდა. ვუყურებდი დედის ჩამოძენძილ ქამარს და ვფიქრობდი: „ნეტავ რა არის მისი ასეთი სიმახინჯის მიზეზი?“ ამ ქალის სიმახინჯის საფუძველი... ჰმმ, ეს მისი იმედი იყო – უკურნებელი იმედი, ჭუჭყიან კანში ჩაბუდებული, ჯიუტი მუნის ტკიპასავით, არანაირ ძალას რომ არ ნებდება და აუტანელი ქავილის გრძნობას იწვევს.

***

დადგა ზამთარი. ჩემი გადაწყვეტილება თანდათან მყარდებოდა. ჩანაფიქრის განხორციელებას სულ სამომავლოდ ვდებდი, მაგრამ ეს დაუსრულებელი გადადება სულაც არ მაწუხებდა...

თუმცა ნახევარი წლის განმავლობაში სულ სხვა საკითხი არ მაძლევდა მოსვენებას. ყოველი თვის ბოლოს ქაშივაგი ვალის დაბრუნებას მთხოვდა, მატყობინებდა, თუ რამდენი პროცენტი დაერიცხა ჩემს სესხს და, საშინელი ლანძღვა-გინებით, ფულს ითხოვდა. მე კი ვალის დაბრუნებას არ ვაპირებდი. მასთან შეხვედრისთვის თავი რომ ამერიდებინა, საკმარისი იყო, უბრალოდ, ლექციები გამეცდინა.

არ გაგიკვირდეთ, რომ არ ვყვები, თუ როგორ ვყოყმანობდი, ან როგორ მღრღნიდა ეჭვები ჩემი გადაწყვეტილების შესახებ. საქმე ისაა, რომ ჩემს გულში უკვე ადგილი აღარ ჰქონდა ეჭვსა და ყოყმანს. ამ ნახევარი წლის განმავლობაში ჩემი მზერა მხოლოდ იმ წერტილზე იყო მიჯაჭვული, სადღაც მომავალში რომ მელოდებოდა. ამ დროს, ალბათ, ჭეშმარიტ ბედნიერებას განვიცდიდი.

უპირველეს ყოვლისა, ჩემი ბერული ცხოვრება ბევრად გაიოლდა. ის აზრი, რომ ოქროს ტაძარი ადრე თუ გვიან უნდა დამწვარიყო, ყველაზე აუტანელ სირთულეებსაც კი საოცრად ამარტივებდა. მონასტრის ბინადრების მიმართ ჩემი დამოკიდებულება შეიცვალა. სიკვდილის პირას მყოფივით ვცდილობდი, ყველასთან თბილი ურთიერთობა მქონოდა, თავაზიანი და ხალისიანი ვყოფილიყავი. თვით ბუნებასთანაც კი ავაწყვე ურთიერთობა. იმ ფაფუკგულიან ჩიტუნებთანაც კი უცნაურ სიახლოვეს ვგრძნობდი, ზამთარში, დილაობით, ტოტებზე შემორჩენილი ბაძგის საკენკად რომ მოფრინდებოდნენ ხოლმე.

უხუცესის სიძულვილიც კი გადამავიწყდა! დედისგან, ბერებისგან, ყველაფრისგან თავისუფალი ვიყავი. თუმცა იმდენად ბრიყვიც არ გახლდით, რომ დამეჯერებინა, თითქოს სამყარომ ჩემს ჩაურევლად იცვალა სახე. თუკი შედეგის მხრიდან შევხედავთ, ნებისმიერი საქციელის პატიება შეიძლება. მეც ყველაფერს ასე ვუყურებდი,

მით უმეტეს, რომ ამ შედეგამდე ჩემმა გადაწყვეტილებამ მიმიყვანა და სწორედ ეს იქცა ჩემი თავისუფლების საფუძვლად.

მიუხედავად იმისა, რომ ოქროს ტაძრის დაწვის იდეა მოულოდნელად მეწვია, ეს აზრი ჩემს სულს საგანგებოდ შეკერილი ტანსაცმელივით მოერგო. მეჩვენებოდა, თითქოს ჩემში ეს სურვილი დაბადებიდანვე იზრდებოდა, ძლიერდებოდა და მხოლოდ ყვავილის გაშლას ელოდა. დაბადებიდან თუ არა, სულ ცოტა, იმ დღიდან მაინც, როცა მამამ ოქროს ტაძრის სანახავად წამიყვანა. ოქროს ტაძარი ყმაწვილის მზერას შეუდარებელ მშვენიერებად წარმოუდგა – აი, მიზეზიც, თუ რატომ გადავწყვიტე, ცეცხლი წამეკიდებინა და დამნაშავედ ვქცეულიყავი.

შოვას ეპოქის ოცდამეხუთე წლის ჩვიდმეტ მარტს ოტანის უნივერსიტეტის მოსამზადებელი განყოფილება დავხურე. ორი დღის შემდეგ, ცხრამეტ მარტს კი ოცდაერთი წლის შევსრულდი. ამ სამი წლის განმავლობაში მეტად შთამბეჭდავი შედეგი ვაჩვენე: მოსწრების მიხედვით, სამოცდაცხრამეტ სტუდენტს შორის სამოცდამეცხრამეტე გახლდით, ხოლო მშობლიურ ენაში ჩემმა ᲐᲑᲒᲐᲡᲔᲑᲐᲛ, ორმოცდაორი ქულით, სტუდენტების მიერ სხვადასხვა საგანში მიღებული ყველაზე დაბალი ქულის რეკორდი მოხსნა. ექვსას თექვსმეტი საათიდან ორას თვრამეტი საათი, ანუ მესამედზე მეტი მქონდა გაცდენილი. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ბუდას მოძღვრების გათვალისწინებით, ამ უნივერსიტეტიდან არავის აძევებდნენ და მეც ძირითად კურსზე ჩავირიცხე. უხუცესმაც, თავისი სიჩუმით, თანხმობა მომცა.

ლექციებს აქაც ვაცდენდი და გვიანი გაზაფხულიდან ადრეულ ზაფხულამდე, როცა ყველაზე სასიამოვნო ამინდები დგას ხოლმე, მთელ დღეებს ბუდისტური ტაძრებისა და შინტოისტური სალოცავების თვალიერებაში ვატარებდი, თუმცა მხოლოდ იქ მივდიოდი, სადაც შესვლა უფასო იყო. ყველაფერი მოვიარე, სადაც კი ფეხით მისვლა შევძელი.

ერთი ასეთი გასეირნება დღემდე არ მავიწყდება. მიოშინჯის ტაძართან ახლოს, ქუჩაში მივაბიჯებდი, როცა უეცრად ჩემ წინ შევამჩნიე სტუდენტი, რომელიც ზუსტად ჩემნაირად მიბოდიალობ-

და. სიგარეტის მაღაზიის ძველ, დაბალ შენობაში რომ შევიდა, უნიფორმის ქუდის ქვეშ მისი პროფილი დავინახე. თვალში მეცა თეთრი კანი, თხელი წარბები და მკაფიოდ გამოკვეთილი სახის ნაკვთები. ქუდზე მივხვდი, რომ კიოტოს უნივერსიტეტის სტუდენტი უნდა ყოფილიყო. თვალის კუთხით გამომხედა და მომეჩვენა, თითქოს მის მზერას შავბნელი ჩრდილი მოჰყვებოდა. ინტუიცია მკარნახობდა, ისიც უთუოდ პირომანიაკი იქნებაო.

დღის სამი საათი იქნებოდა. რაიმეს დაწვისთვის შეუფერებელი დრო იყო. მოასფალტებულ გზაზე პეპელა დაბნეულად ფარფატებდა. მაღაზიის წინ, ქოთანში ნახევრად გამხმარი კამელია ირხეოდა. მისი მოწითალო-მოყავისფრო, გამხმარი ნაწილი ცეცხლით გატრუსულს წააგავდა. ავტობუსი არა და არ ჩანდა – ქუჩაზე თითქოს დრო გაჩერებულიყო.

არ ვიცი, რამ მაფიქრებინა, რომ ეს სტუდენტი ცეცხლის წასაკიდებლად მიაბიჯებდა, მაგრამ, რატომღაც, დარწმუნებული ვიყავი: ის დამნაშავე იყო. შეგნებულად შეარჩია დანაშაულის ჩასადენად ყველაზე რთული დრო და დღისით-მზისით წყნარად მიემართებოდა აკვიატებული სურვილის ასასრულებლად. წინ ცეცხლი და ნგრევა ელოდა, უკან კი უარყოფილი წესრიგი რჩებოდა – ასეთ შეგრძნებებს მიჩენდა მისი უნიფორმის მკაცრი ზურგი. ანდა შეიძლება, უბრალოდ, ჩემს წარმოდგენაში პირომანიაკის ზურგი სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო – მზით განათებული შავი სარჟის ნაჭერი უკეთურებასა და ბოროტებას აფრქვევდა.

ნაბიჯი შევანელე და გადავწყვიტე, სტუდენტს ავდევნებოდი. მარცხენა მხარს რაღაცნაირად მიათრევდა და მისი ზურგის სილუეტი ჩემს ზურგს მახსენებდა. ჩემზე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ იგივე მარტოობა, იგივე უბედურება და იგივე შერყეული აზრები იმავე საქციელისკენ უბიძგებდნენ. სანამ მალულად მივდევდი, ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, რომ ჩემსავე საქციელს წინასწარ ვჭვრეტდი.

გვიანი მაისის ნათელი დღეები და მძიმე, ბლანტი ჰაერი ასეთ ზმანებებს იწვევენ ხოლმე. თითქოს გავორდი, მეორე მე ჩემს საქ-

ციელს წინასწარ ბაძავდა და დეტალურად მაჩვენებდა, თუ როგორ ჩაივლიდა ყველაფერი, როცა, ბოლოს და ბოლოს, ჩანაფიქრის აღსრულებას გადავწყვეტდი.

ავტობუსი კი ისევ არ ჩანდა. ქუჩაში სულიერი არ ჭაჭანებდა. ჩემ წინ მიოშინჯის ტაძრის დიდებული სამხრეთის კარიბჭე გამოჩნდა. მომეჩვენა, თითქოს ფართოდ გაღებული ჭიშკარი ყველანაირ მოვლენას განურჩევლად ისრუტავდა. მის უზარმაზარ ჩარჩოს საკუთარ თავში მოექცია იმპერატორის მოციქულთა კარიბჭისა და სამონის კარიბჭის ჩახლართული კონსტრუქციები, ბუდას დარბაზის სახურავი, უამრავი ფიჭვის ხე, ცის ნაწილი, მაკრატლით გამოჭრილს რომ ჰგავდა, და ღრუბლების პატარ-პატარა ნაგლეჯები. რაც უფრო ვუახლოვდებოდი ჭიშკარს, მის მიერ შთანთქმული სამყარო მით უფრო ფართოვდებოდა და ქვით მოკირწყლული ბილიკებიდან პაგოდებიან კედლებამდე უამრავ ნივთსა თუ მოვლენას აერთიანებდა. როცა ჭიშკარში გავიარე, მივხვდი  რომ უკლებლივ ყველა ღრუბელი და უკიდეგანო ლურჯი ცაც ამ საიდუმლოებით მოცულ სამყაროს შთაენთქა. „აი, ჭეშმარიტად დიდი მონასტერი!“ – გავიფიქრე.

სტუდენტი ჭიშკარში შევიდა. იმპერატორის მოციქულთა კარიბჭეს მოუარა და სამონის კარიბჭის წინ, გუბურის ნაპირთან გაჩერდა. მერე გუბურაზე გადებულ ჩინური სტილის ხიდზე ავიდა და მის თვალწინ აღმართულ სამონის კარიბჭეს ახედა. „როგორც ჩანს, ამ კარიბჭის დაწვას აპირებს!“ – გავიფიქრე.

ეს დიდებული კარიბჭე უდავოდ შესაფერისი იყო იმისთვის, რომ ცეცხლის ალში გახვეულიყო. ასეთ ნათელ, მზიან დღეს ცეცხლი, ალბათ, არც კი გამოჩნდებოდა. სანამ მისი ენები ზეცას არ გალოკავდა და ყოვლისმომცველი ბოლი ცის ლურჯ ფერს არ აამღვრევდა, მანამდე ვერც მიხვდებოდნენ, რომ სადღაც ხანძარი სილამაზეს ნთქავდა.

სტუდენტი კარიბჭეს მიუახლოვდა. მე ნაგებობის აღმოსავლეთ კედელს მოვეფარე. უკვე ის დრო იყო, როცა შესაწირის სათხოვნელად გასული ბერები, ჩვეულებრივ, თავიანთ ოთახებში ბრუნდე-

ბიან ხოლმე. აღმოსავლეთის მხრიდან, ქვით მოკირწყლულ ბილიკ-ზე სამკაციანი ჯგუფი გამოჩნდა. ფეხზე ჩალის დაწნული სანდლები ეცვათ და ხელში ბამბუკის ფართო ქუდები ეჭირათ. მოწყალების მთხოვნელ ბერთა წესის მიხედვით, ისე იყურებოდნენ დაბლა, რომ წინ მხოლოდ სამი-ოთხი შაკუს მანძილი გამოჩენილიყო, და მდუმა-რედ მოძრაობდნენ. მომიახლოვდნენ თუ არა, მკვეთრად გაუხვიეს მარჯვნივ და თვალს მიეფარნენ.

სტუდენტი ისევ კარიბჭის წინ იდგა და ყოყმანობდა. საბო-ლოოდ, ერთ-ერთ ბოძს ამოეფარა და ჯიბიდან ცოტა ხნის წინ ნა-ყიდი სიგარეტი ამოაძვრინა. აღელვებულმა, აქეთ-იქით მიმოიხედა. მეგონა, რომ სიგარეტი სხვების თვალის ასახვევად ამოიღო და სი-ნამდვილეში შენობისთვის ცეცხლის მოკიდებას აპირებდა, მაგრამ ერთი ღერი პირში ჩაიდო, თავი დახარა და ასანთი გაჰკრა.

ასანთი აინთო და წამით გამჭვირვალე შუქი გაკრთა. ვიფიქ-რე, რომ სტუდენტი ცეცხლის შუქს ვერ დაინახავდა, რადგან მზის სინათლე სამონის კარიბჭეს სამი მხრიდან ურტყამდა და ჩრდი-ლი მხოლოდ ჩემს მხარეს ეცემოდა. გუბურის გვერდით, კარიბჭის ბოძთან შეფარებული სტუდენტის სახესთან ალი ათრთოლდა, მაგ-რამ მკვეთრად დაქნეულმა ხელმა სამუდამოდ ჩააქრო.

სტუდენტმა ასანთის ჩაქრობა არ იკმარა. ჩამქრალი ღერი საძირკვლის ქვაზე დააგდო და ფეხსაცმლის ლანჩით გულიანად მოსრისა. მერე, თითქოს ჩემი შემორჩენილი იმედის ჩაქრობაც უნ-დაო, სიგარეტი სიამოვნებით გააბოლა და ქვის ხიდი გადაიარა, იმპერატორის მოციქულთა კარიბჭეს გვერდი აუქცია, სამხრეთის ჭიშკრით ფართო გამზირზე გავიდა და გზაზე გაწელილ სახლების ჩრდილში გაუჩინარდა...

პირომანიაკი კი არა, უბრალოდ, მოსეირნე სტუდენტი იყო – ალბათ ცოტა ღარიბი და მოწყენილი, მაგრამ ჩვეულებრივი ახალ-გაზრდა, ეს იყო და ეს.

თავიდან ბოლომდე ვაკვირდებოდი მის საქციელს: როგორ ლაჩ-რულად ცქმუტავდა, როცა სიგარეტს მოუკიდა, როგორ უხარო-და თავისი პატარა კანონდარღვევა – სტუდენტივით, ხელმოკლე

ადამიანივით; რა მედიდური პოზა მიიღო, როცა ჩამქრალი ასანთი ფეხით გულიანად მოსრისა – გამომივიდა ესეც „ცივილიზებული კულტურის“ წარმომადგენელი... მერეღა ვიგრძენი, რომ მასში ყველაფერი გულს მირევდა. სწორედ ამ ავადსახსენებელი კულტურის გამოა, რომ ასანთის მცირე ცეცხლიც კი უსაფრთხოების ჩარჩოებშია მოქცეული. ალბათ თავი ცეცხლის მბრძანებელი ჰგონია და სიამაყით აღარ არის, რომ უსაფრთხოების დაცვით საზოგადოების წინაშე ვალი სრულად მოიხადა.

სწორედ ამგვარი კულტურის „წყალობითაა“, რომ მეიჯის რესტავრაციის შემდეგ კიოტოსა და მის შემოგარენში ტაძრები ხანძრისგან თითქმის აღარ ნადგურდებიან. შემთხვევით რომც გაჩნდეს, მეხანძრეები მყისიერად უმკლავდებიან: ნაწილებად ყოფენ და მალევე აქრობენ. თუმცა მეიჯიმდე ასე არ ყოფილა. მაგალითად, ჩიონინის ტაძარი ეიკიოს ეპოქის მესამე წელს ხანძრისგან მთლიანად განადგურდა და მომდევნო საუკუნეებშიც არაერთხელ გაუჩნდა ცეცხლი. მეიტოკუს ეპოქის მეოთხე წელს ნანძენჯის ბუდას დარბაზი, კანონიკის დარბაზი, პილიგრიმების სალოცავი და დიდი ღრუბლის საცავიც ცეცხლმა შეიწირა. გენკის ეპოქის მეორე წელს ნერიაკუჯის ტაძარი ფერფლად იქცა. კენინჯის ტაძარი, ტენმონის ეპოქის ოცდამეერთე წელს, ომის დროს გაჩენილი ხანძრისგან დაიწვა. სანჯუსანგენის დარბაზი – კენჩოს ეპოქის პირველ წელს, ხოლო ჰონოჯის ტაძარი ტენშიოს ეპოქის მეათე წელს შეიწირა ხანძარმა.

ძველად ცეცხლი ცეცხლთან მეგობრობდა. ხანძარი არავის აძლევდა უფლებას, რომ ასე უდიერად დაენაწევრებინათ და დაემცირებინათ. ყოველთვის ახერხებდა სხვა ცეცხლთან დაძმობილებას და, საბოლოოდ, **უთვალავი პატარა** კოცონი ერთ დიდ ხანძრად იკვრებოდა. ალბათ ადამიანიც ასე იყო. ცეცხლი, სადაც უნდა ყოფილიყო, ყოველთვის ახერხებდა, თავისი მოძმისთვის ხმა მიეწვდინა. მონასტრები ძირითადად გაუფრთხილებლობით, ცეცხლის ერთი შენობიდან მეორეზე გადასვლით ან ომის დროს გაჩენილი ხანძრით ნადგურდებოდნენ. ტაძრის შეგნებულად დაწვის თაობაზე

არც ერთი ხელნაწერი არაფერს გვამცნობს. და ეს ბუნებრივიცაა, რადგან, თუკი ჩემნაირი ადამიანი ძველ ეპოქებშიც არსებობდა, ის მხოლოდ და მხოლოდ მოთმინებით უნდა აღჭურვილიყო და ჩუმად დალოდებოდა. ტაძარი ადრე თუ გვიან მაინც დაიფერფლებოდა. ხანძრები იყვნენ ყოვლისმომცველნი და თავაშვებულნი. თუ ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა, ცეცხლი თავს აიწყვეტდა, თანამეინახეებს ხელს ჩასჭიდებდა და თავიანთ საკეთებელს ერთად გააკეთებდნენ. ის, რომ ოქროს ტაძარმა ეს უბედურება აიცილა, მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითობა იყო და სხვა არაფერი. ცეცხლს თავად ბუნება შობდა, სამყაროში განადგურებისა და უარყოფის ძალა სუფევდა, სამონასტრო ნაგებობები კი აუცილებლად იწვებოდნენ, რადგან მაშინ მიწაზე ბუდისტური წესები და კანონები ბატონობდნენ. ამიტომ, ვინმეს შეგნებულადაც რომ წაეკიდებინა ცეცხლი, ეს ბუნების ძალების მოწოდებად აღიქმებოდა და ალბათ ჟამთააღმწერელიც ასე აღნუსხავდა.

ძველ დროში სამყარო ქაოსს მოეცვა. თუმცა ახლაც, შოვას ეპოქის ოცდამეხუთე წელსაც კი, მსოფლიოში არანაკლები არეულობა და შფოთი გამეფებულიყო. და თუ ძველად ხანძრებს საფუძვლად ქაოსი ედოთ, მაშ, ახლა რატომ უნდა გადარჩენოდა ოქროს ტაძარი დაწვას?

***

ლექციებზე შესვლა მეზარებოდა და ხშირად დროს ბიბლიოთეკაში ვკლავდი. ერთხელაც, იქიდან გამოსული, შემთხვევით ქაშივაგის გადავეყარე, რომელთან შეხვედრასაც ასე გავურბოდი. დამინახა, როგორ ვცდილობდი თვალის არიდებას და თავისი სასაცილო ნაბიჯით ამედევნა. რომ გავიქცე, ეს დაგრეხილფეხება ვერაფრით ვერ დამეწევა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ამ აზრმა, პირიქით, ადგილზე გამაშეშა. ქაშივაგიმ მხარში რომ ხელი ჩამავლო, სულს ძლივსღა იბრუნებდა.

ექვსის ნახევარი ხდებოდა და ლექციები უკვე დამთავრებული უნდა ყოფილიყო. ქაშივაგის რომ არ გადავყროდი, ბიბლიოთეკიდან

გამოსულმა, შენობას უკნიდან მოვუარე და ბარაკებთან გავედი, რომლებშიც აუდიტორიები იყო განთავსებული. ქაშივაგი ბარაკებსა და მაღალი ქვის კედელს შორის, გზაზე დავინახე. კამპუსის ეს ნაწილი გავერანებული იყო, უწესრიგოდ ამოსულ ქრიზანთემებს შორის ქაღალდის ნაგლეჯები და ცარიელი ბოთლები ეყარა. ეზოში ბავშვები შემოპარულიყვნენ და ბეისბოლის ბურთით თამაშობდნენ. ბარაკის ჩალეწილი ფანჯრიდან აუდიტორიის დამტვერილი მაგიდები მოჩანდა – უსიამოვნო სანახავი იყო, მაგრამ ბავშვების ჟივილ-ხივილი შენობაში დაბუდებულ უკაცრიელობის განცდას ამსხვრევდა.

ქაშივაგის დანახვისას არ გავჩერებულვარ. ბარაკს გავცდი, მთავარი შენობის დასავლეთ ნაწილთან გავედი და იქღა შევჩერდი. მეორე მხარეს დაბალი შენობა იდგა, წარწერით „სტუდია“ – აქ იკებანის შემსწავლელი წრე იყო. ჩამავალი მზის შუქი ღობის გასწვრივ ჩამწკრივებული ქაფურის ხეების ფოთლებში აღწევდა და სტუდიის სახურავის მიღმა, მთავარი შენობის წითელი აგურით ნაშენებ კედელზე ირეკლებოდა. წითელი აგურები მწუხრის შუქ-ჩრდილებში მხიარულად ბზინავდნენ.

ქაშივაგი კედელს მიეყრდნო და სული მოიბრუნა. ქაფურის ხის მოშრიალე ფოთლების ჩრდილი მის მუდმივად ფერმკრთალ ლოყაზე ფერადად ათამაშდა. შეიძლება ეს მხოლოდ და მხოლოდ ილუზია იყო – აგურის კედლის წითელი ანარეკლი, ასე რომ არ უხდებოდა მისი სახის ნაკვთებს.

– ხუთი ათას ასი იენია! – როგორც იქნა, ამოღერღა ქაშივაგიმ. – მაისის ბოლოსთვის ხუთი ათას ასი იენი დაგროვდა. იცოდე, სულ უფრო ძნელად გასასტუმრებელი გაგიხდება!

უბის ჯიბიდან დაკეცილი თამასუქი ამოიღო, მუდმივად თან რომ ატარებდა, გაშალა და თვალებზე ამაფარა. მერე, როგორც ჩანს, შეეშინდა, ფურცელს დასახევად არ ვწვდომოდი და აჩქარებით უკანვე ჩაიკეცა. მხოლოდ შხამიანი წითელი ფერის ფართო ანაბეჭდი გავარჩიე. ჩემი ნათითური საშინლად მკაფიო და უმოწყალო მეჩვენა.

– დროზე დაყაჭე, რაც დასაბრუნებელი გაქვს! შენთვისვე იქნება უკეთესი. როგორც გინდა, ისე დააბრუნე, თუ გინდა, სწავლის ფულს მოაკელი.

მე ვდუმდი. ვის ადარდებს ფულის დაბრუნება, როცა სამყარო სულ მალე განადგურდება? სულ ორიოდე წამით მოვიხიბლე იმ იდეით, რომ ჩემი ჩანაფიქრი ქაშივაგისთვის გამენდო, მაგრამ თავი დროზე შევიკავე.

– რას გაჩუმებულხარ? საკუთარი ენაბლუობის გრცხვენია? რაღა დროს ეგაა! შენი ენაბლუობის ამბავი ამანაც კი იცის, ამანაც! – მომაძახა და მუშტი აგურის კედელს მიარტყა, მწუხრის შუქს მხიარულად რომ ირეკლავდა. მუშტი მეწამული ფხვნილით შეუფერადდა. – ამ კედელმაც კი იცის. უნივერსიტეტში აღარავინ დარჩა, შენი ენაბლუობის შესახებ რომ არ სმენოდეს.

მე მაინც უსიტყვოდ მივჩერებოდი. ამ დროს ახლომახლო მოთამაშე ბავშვების ბურთი ჩვენ შორის შემოგორდა. ქაშივაგი დაიხარა, რომ ბურთი აეღო და ბავშვებისთვის დაებრუნებინა. ამის შემხედვარეს, ბოროტული ინტერესი გამიჩნდა – მისცემდნენ კი დაგრეხილი ფეხები იმის საშუალებას, რომ მიწვდომოდა მისგან ერთი შაკუს დაშორებით დაგდებულ ბურთს? როგორც ჩანს, ჩემი მზერა უნებლიეთ მის ფეხებს მიეჯაჭვა. ქაშივაგიმ თითქმის ზებუნებრივი სისწრაფით გამოიცნო ჩემი ფიქრები. ბოლომდე დახრილიც კი არ იყო, რომ მყისვე გასწორდა და მწველი სიძულვილით სავსე მზერა მომაპყრო – ჩვეული ცივსისხლიანი გამოხედვა გაჰქრობოდა.

ერთ-ერთი ბავშვი შიშით მოგვიახლოვდა, ბურთს დასწვდა და გაიქცა. საბოლოოდ, ქაშივაგიმ კბილებში გამოსცრა:

– კარგი, თუ ეგრე გინდა, მაშინ მეც ჩემებურად მოვიქცევი. მომავალ თვეს სახლში ვბრუნდები და იცოდე, იქამდე აუცილებლად ბოლომდე გაგფცქვნი. ასე რომ, მზად იყავი!

***

ივნისში ძირითადი სალექციო კურსები მთავრდებოდა და სტუდენტები სახლებში დასაბრუნებლად ემზადებოდნენ. ათი ივნისი იყო – არასოდეს დამავიწყდება ეს დღე.

წვიმა დილიდან გულს აწვრილებდა, დაღამებისას კი კოკისპირულად დაუშვა. „სამკურნალო ქვის“ შემდეგ ჩემს ოთახში წიგნს ვკითხულობდი. რვა საათისთვის სტუმართა დარბაზისა და დიდი წიგნთსაცავის დერეფნიდან ნაბიჯების ხმა მომესმა. როგორც ჩანს, უხუცესი სტუმარს იღებდა, რაც იშვიათი მოვლენა იყო. ყველაზე უცნაური კი თვითონ ნაბიჯების ხმა გახლდათ, რომელიც ქარიშხლის დროს ხის კარზე წვიმის კაკუნს წააგავდა. მორჩილის ფეხის ხმა, რომელიც მას წინ მოუძღოდა, მეტად წყნარი და გაწონასწორებული იყო. სტუმრის მძიმე ნაბიჯები დერეფნის ძველ ფიცრებს უცნაურად აჭრიალებდა.

წვიმის ხმა მონასტრის ბნელ სივრცეებს ავსებდა – თითქოს ამ ძველი, უზარმაზარი შენობის აურაცხელ ოთახებსა და დერეფნებში შემოჭრილიყო. სამზარეულოც, სამუშაო ოთახიც, უხუცესის საცხოვრისიცა და სტუმართა დარბაზიც წვიმის ხმას სრულიად დაემორჩილებინა. ამ დროს მე მხოლოდ ოქროს ტაძარს დაპატრონებულ წვიმაზე ვფიქრობდი. შოჯი ოდნავ გადავწიე. ქვებით მოფენილ შიდა ეზოში წყლის შავი, მბზინავი ნაკადები ქვიდან ქვაზე გადადიოდნენ.

ახლად მიღებული მორჩილი უხუცესის ოთახიდან მობრუნდა, ჩემს ოთახში თავი შემოყო და მითხრა:

– უხუცესთან ვიღაც ქაშივაგია მოსული. შენი მეგობარია, არა?

მყისიერად შევშფოთდი. ეს ახლომხედველი, სათვალიანი კაცი, დღისით დაწყებით სკოლაში რომ მასწავლებლობდა, უკვე თავის ოთახში დაბრუნებას აპირებდა, როცა შევაჩერე და შიგნით შემოვიპატიჟე. არ მინდოდა, მარტო დავრჩენილიყავი, რადგან ვერ გავუძლებდი იმაზე ფიქრს, თუ რა ხდებოდა ახლა უხუცესის ოთახში.

ხუთიოდე წუთი გავიდა. უეცრად უხუცესის ზანზალაკი აწკრიალდა, რომლის ხმამაც წვიმის ხმაური მბრძანებლურად გაარღვია და ჩემს ოთახში შემოიჭრა. ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ.

– ალბათ შენ გიხმობენ, – მითხრა ახლად მიღებულმა მორჩილ-მა. მე მძიმედ წამოვდექი.

უხუცესის მაგიდაზე ჩემი დიდი თითის ანაბეჭდიანი თამასუქი იყო გაშლილი. მან ქაღალდს ხელი დაავლო და, დერეფანში დაჩოქილს, სახეზე ამაფარა. ოთახში შესვლის უფლება არ მოუცია.

– ეს შენი ანაბეჭდია?

– დიახ, – ვუპასუხე.

– ეს რა საქციელია?! იცოდე, ერთხელაც თუ გამეორდება რამე მსგავსი, მონასტრიდან შენი გაგდება მომიწევს. კარგად დაიხსომე! უკვე მერამდენედ... – როგორც ჩანს, ქაშივაგის წინ ლაპარაკის გაგრძელება არ უნდოდა და წინადადება არ დაუმთავრებია. – ფულს მე დავუბრუნებ, ასე რომ, შეგიძლია დაგვტოვო.

ამ დროს ქაშივაგისთვის თვალის შევლება მოვახერხე. ანგელოზის სახით იდგა და თვალს მარიდებდა. როდესაც ბოროტებას სჩადიოდა, თითქოს ხასიათიდან ყველაზე მთავარი რამ მოაცილესო, უმანკო გამომეტყველებას გაუცნობიერებლად იღებდა ხოლმე. მისი ეს თვისება მარტო მე ვიცოდი.

როცა ოთახში დავბრუნდი, ახლად მიღებული მორჩილი უკვე წასულიყო. წვიმის ხმაურსა და სრულ მარტოობაში, უეცრად, სრული თავისუფლების შეგრძნება დამეუფლა.

„მონასტრიდან შენი გაგდება მომიწევს“, – უხუცესის პირიდან ასეთი სიტყვები პირველად მოვისმინე. ეს უკვე დაპირებას ჰგავდა. უეცრად ყველაფერმა სიცხადე შეიძინა: უხუცესს ჩემი გაგდება უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. დროზე უნდა მემოქმედა!

ქაშივაგის რომ არ დავესმინე, უხუცესიც არ მეტყოდა ამ სიტყვებს და მეც კიდევ გადავდებდი ჩანაფიქრის შესრულებას. როცა ვფიქრობ, რომ ქაშივაგის საქციელმა გადაწყვეტილების მიღების ძალა მომცა, მის მიმართ უცნაური მადლიერების გრძნობაც კი მიჩნდება.

წვიმის შეწყვეტას პირი არ უჩანდა. ივნისი იყო, მაგრამ მაინც სუსხი იგრძნობოდა. ფიცრის კედლებში მოქცეული ჩემი პატარა საცხოვრისი, ნათურის მბჟუტავ შუქში, გავერანებულ, მიტოვებულ

საკუჭნაოს წააგავდა. ამ ადგილიდან ადრე თუ გვიან გამაგდებენ-მეთქი, გავიფიქრე. ოთახს არავითარი მორთულობა არ ჰქონდა, გახუნებული ტატამი კუთხეებში დაგლეჯილიყო და ჩალის შიშველი ღეროები ჯიუტად გამოსჩროდა. ბნელ ოთახში შესვლისას, სანამ შუქს ავანთებდი, ტატამის გაგლეჯილ ადგილს ხშირად ფეხს წამოვდებდი ხოლმე, მაგრამ ერთხელაც არ მომსვლია თავში, რომ დამეკერებინა. ჩემს ცხოვრებისეულ ვნებებს ტატამისთვის არ ეცალათ.

ზაფხულის მოახლოებასთან ერთად ოთახის ჩაკეტილ სივრცეში ჩემი სხეულის მომჟავო სუნი იბუდებდა. სასაცილოდ მეჩვენებოდა, რომ, ბერობის მიუხედავად, ჩვეულებრივი ჭაბუკის სუნი ამდიოდა. ამ სუნით განიერი, ოთხკუთხა ბოძი და შავად მბზინავი ფიცრის კედლებიც კი გაჟღენთილიყვნენ. ჟამთასვლის ნალექით დაფარული ხის ღრიჭოებიდან ახალგაზრდული ბოროტების მყრალი ოხშივარი გამოდიოდა. ბოძი და კედლის ფიცრები თითქოს ამოუცნობ უძრავ არსებებად ქცეულიყვნენ.

ამ დროს ისევ ის უცნაური ნაბიჯების ხმა გაისმა. წამოვდექი და დერეფანში გავედი. მოშორებით, უხუცესის ოთახიდან გამომავალ შუქში, ნავისებურ ფიჭვს ფართოდ გაეშალა მუქი მწვანე „აფრები“, რომელთა ფონზეც ქაშივაგის სილუეტი მოაბიჯებდა. თითქოს ისედაც მორყეული ძრავის მექანიზმი ბოლომდე გადაეწვაო, უეცრად ადგილზე შედგა. მე კი... მე სახეზე ღიმილი მეხატა. ამის შემხედვარე ქაშივაგის შიშის მსგავსი გრძნობა აღებეჭდა სახეზე. პირველად ვხედავდი მის ასეთ გამომეტყველებას, რამაც კმაყოფილების გრძნობა მომგვარა.

– არ შემოხვალ? – ვკითხე.

– რაო? შენ მე ნუ მაშინებ! დიდი უცნაური ვინმე ხარ.

ბოლოს და ბოლოს, ოთახში შემოსვლა გაბედა და შეთავაზებულ გაცრეცილ ძაბუტონზე[18] გვერდულად დაჯდა, უფრო სწორად, დაენარცხა, როგორც სჩვეოდა ხოლმე. თავი ასწია და ოთახს თვალი მოავლო. წვიმის ხმა სქელ ფარდად ეფარებოდა გარესამყა-

[18] თხელი დასაჯდომი ბალიში.

როს. დროდადრო წყლის შხეფები ტერასას ხვდებოდა და ასხლეტილი წვეთები შოჯიზე ხმაურობდნენ.

– კარგი, ჰო. ნუ შემიძულებ ახლა, – მითხრა ქაშივაგიმ, – ბოლოს და ბოლოს, შენ მაიძულე, რომ ასეთი გზები მეძებნა. ასე რომ, საკუთარ თავს დააბრალე...

ჯიბიდან როკუონჯის მონასტრის ბეჭდიანი კონვერტი ამოიღო და შიგნით ჩალაგებული ბანკნოტების თვლას მოჰყვა. კონვერტში მხოლოდ სამი ახალთახალი ათასიენიანი კუპიურა იდო.

– სულ ახალი კუპიურებია, არა? – ვუთხარი. – ჩვენი წინამძღვარი წესრიგის მოყვარული კაცია, ყოველ მესამე დღეს მამასახლისს ხურდა ფულის ქაღალდის ფულში გადასაცვლელად ბანკში აგზავნის ხოლმე.

– ნახე, მარტო სამი ათასია! – წამოიძახა ქაშივაგიმ. – დიდი ძუნწი ვინმე ჩანს ეს თქვენი წინამძღვარი. ეგრე თქვა, სტუდენტებს შორის ვალზე პროცენტების დარიცხვას არ ვცნობო. თვითონ კიდევ რამდენ ფულს ხაპავს...

მისმა იმედგაცრუებამ ძალიან ნასიამოვნები დამტოვა. გულიანად გადავიხარხარე და ისიც ამყვა. მაგრამ შერიგების განცდა დიდხანს არ გაგრძელებულა. ქაშივაგიმ სიცილი უცბად მოსხიპა, სადღაც შუბლთან მომაჩერდა და მოკლედ მოჭრა:

– მეჩვენება, რომ ამ ბოლო დროს რაღაც დამღუპველი გაქვს ჩაფიქრებული, ოღონდ ვერ ვხვდები – რა.

მისი მზერის სიმძიმე მტანჯავდა, მაგრამ როცა გავიაზრე, რომ სიტყვა „დამღუპველში“ ჩემი ჩანაფიქრისგან მეტად შორს მდგომ რაღაცას გულისხმობდა, სიმშვიდე დამიბრუნდა.

– არა, არაფერი ისეთი.

– მართლა? დიდი უცნაური ვინმე ხარ, ხომ იცი? ყველაზე უცნაური, ვისაც კი შევხვედრივარ.

მივხვდი, რომ ეს სიტყვები იმ თბილი ღიმილით დავიმსახურე, სახიდან რომ არ გადამდიოდა, მაგრამ ის ჩემი მადლიერების ნამდვილ მიზეზს ვერაფრით ჩასწვდებოდა და ამაზე ფიქრი ჩემს ღიმილს კიდევ უფრო მეტ ნათელს სძენდა.

– სახლში გამგზავრებას აღარ აპირებ? – ვკითხე მეგობრულად, თითქოს ჩვენ შორის არაფერი მომხდარიყო.

– ხვალ ვაპირებ დაბრუნებას. სანომიის ზაფხული... უჰ, მოწყენილობა მომკლავს იქ.

– მაგ დროს უნივერსიტეტშიც ველარ შევხვდებით ხოლმე...

– შენ მაინც ცხვირს არ ყოფ ლექციებზე და... – მიპასუხა ქაშივაგიმ. თან უნიფორმის საკინძე შეიხსნა და უბეში რაღაცის ძებნა დაიწყო. – ვიფიქრე, სახლში დაბრუნებამდე გავახარებ-მეთქი და ეს წამოგიღე. შენ მას ძალიან აფასებდი და... - წერილების დასტა ამოიღო, წინ დამიგდო და უდარდელად დააყოლა: – წაიკითხე, წაიკითხე. სახსოვარია ცურუკავასგან.

– ეს როგორ? ცურუკავასთან მეგობრობდი?

– როგორ გითხრა. მე ჩემებურად ვემეგობრებოდი, მაგრამ ის არასდროს მთვლიდა მეგობრად. თუმცაღა გულს მარტო მე მიშლიდა ხოლმე. მისი სიკვდილიდან უკვე სამი წელი გავიდა და ვიფიქრე, არაფერი დაშავდებოდა, ვინმეს თუ წავაკითხებდი. მით უმეტეს, შენ. მასთან ძალიან ახლოს იყავი და მაინც ვაპირებდი, ერთ დღეს შენთვის მეჩვენებინა.

ყველა წერილი სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დაეწერა – მაისის რიცხვებით იყო დათარიღებული. როგორც ჩანს, ცურუკავა დედაქალაქში დაბრუნების მეორე დღიდან, მთელი თვის განმავლობაში, თითქმის ყოველდღე სწერდა ქაშივაგის. ჩემთვის კი ერთი წერილიც არ გაუმეტებია. ეჭვი არ იყო, ხელწერა ცურუკავას ეკუთვნოდა. ეს კუთხოვანი, ბავშვური ნაწერი არაფერში შემეშლებოდა. მსუბუქი ეჭვიანობის განცდა გამიჩნდა. რას წარმოვიდგენდი, რომ ნათელი და გამჭვირვალე ემოციებით სავსე ცურუკავა, რომელიც ჩემთან ყოველთვის ქაშივაგის ბოროტ ბუნებას ლანძღავდა და ჩვენს ურთიერთობას აუგად იხსენიებდა, თურმე ჩემს ზურგს უკან, მალვით, მასთანვე მეგობრობდა.

წერილები თარიღების მიხედვით დავალაგე და თხელ საფოსტო ფურცლებზე იეროგლიფების კითხვას შევუდექი. მეტად გაუგებარი წერის სტილი ჰქონდა, აზრი განუწყვეტლივ უწყდებოდა.

ზოგჯერ კითხვაც კი მიჭირდა, მაგრამ პირველივე წერილიდან ვიგრძენი, რომ სტრიქონებს შორის რაღაც ბუნდოვანი ტკივილი იყო დაბუდებული. მომდევნო წერილებმა ცურუკავას ტანჯვას თანდათან სიცხადე შესძინა. ვკითხულობდი და ცრემლები ღაპაღუპით მდიოდა. ამავე დროს მანცვიფრებდა იმ დარდის ბანალურობა, რომელსაც მისთვის ხელი დაერია. ეს იყო ჩვეულებრივი უიღბლო სიყვარულის ამბავი. ცხოვრების არმცოდნე, გამოუცდელ ცურუკავას გოგო შეჰყვარებოდა, რომელთან ურთიერთობასაც მშობლები უშლიდნენ. შეიძლება წერისას, უნებურად, გოგოს და თავის გრძნობებს აზვიადებდა კიდეც... ერთ-ერთმა აბზაცმა თავზარი დამცა:

„ახლა, როცა ვფიქრობ, მეჩვენება, რომ ეს განწირული სიყვარულიც ჩემი უბედური სულის ბრალია. მეჩვენება, რომ დაბადებიდან შავბნელი სული დამყვა, რომელსაც არასოდეს შეუცნია უბორკილო სიხალისის ბედნიერება“.

ბოლო წერილში მგზნებარე აზრთა ნაკადი მოულოდნელად წყდებოდა და მაშინ პირველად მიკბინა ეჭვმა, რომელიც აქამდე წამითაც არ გამჩენოდა.

– ნუთუ მან...

ქაშივაგიმ თავი დამიკრა.

– ჰო, თავი მოიკლა. ეჭვიც არ მეპარება, რომ ასე იყო. ოჯახის წევრებმა კი ხალხის თვალში ნამუსი მოწმინდეს და სატვირთო მანქანის ამბავი შეთხზეს.

რისხვისგან ენა უფრო მეტად დამება და ძლივს ამოვთქვი:

– არ თქვა ახლა, პასუხი არ მიმიწერიაო!

– მივწერე, მაგრამ, როგორც ჩანს, წერილი მისი სიკვდილის შემდეგ ჩავიდა.

– რა მისწერე?

– სიკვდილი არ გაბედო-მეთქი. მეტი არაფერი.

დავდუმდი. ჩემი ღრმა რწმენა, რომ შეგრძნებებს არასდროს მოვუტყუებივარ, ფუჭი აღმოჩნდა. ქაშივაგიმ კი ჩემს თავდაჯერებულობას ბოლო დარტყმა მიაყენა:

– რაო? წერილები წაიკითხე და ცხოვრებისეული ხედვები შეგეცვალა? გეგმები და ჩანაფიქრები ჩაგეშალა?

ცხადზე ცხადი იყო, რატომ მაჩვენა ქაშივაგიმ ეს წერილები სამი წლის შემდეგ. თუმცა, როგორი თავზარდამცემიც უნდა ყოფილიყო ჩემთვის, ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლებოდა ის მზის სხივები, ფოთლებში რომ აღწევდნენ და ზაფხულის ცხელ დღეს მდელოზე წამოწოლილი ყმაწვილის თეთრ პერანგზე თამაშობდნენ. ცურუკავამ სიკვდილიდან სამი წლის შემდეგ სახე იცვალა. ის, რაც მას მივანდე და მეგონა, რომ მის სიკვდილთან ერთად გაქრა, ახლა, ახალ სინამდვილეში განხორციელებული, თავიდან იბადებოდა. ვიწამე, რომ მეხსიერების არსებობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რასაც მის მნიშვნელობად მიიჩნევენ. რომ არ მეწამა, მაშინ თავად სიცოცხლე იქცეოდა ნაცარტუტად... ქაშივაგი კი მიყურებდა და ტკბებოდა ჩემს სულზე სისხლიანი კალოს გამართვითა და მისი შედეგით.

– რაო? – არ ისვენებდა ის. – შენში რაღაც განადგურდა, არა? ჩემთვისაც რთულია იმის ყურება, როგორ იმძიმებს სულს ჩემი მეგობარი მყიფე ტვირთით. ამ ტვირთის განადგურება სწორედაც ჩემი კეთილშობილების გამოვლინებაა.

– რას იზამ, თუ გეტყვი, რომ ჯერ არაფერიც არ განადგურებულა?

– გეყოფა ეგ ბავშვური გაჯიუტება, – დამცინა ქაშივაგიმ. – მინდოდა, შენთვის გამეგებინებინა, რომ მხოლოდ ცნობიერებას შეუძლია სამყაროს შეცვლა. გესმის? ამ სამყაროში სხვა ვერაფერი მოახდენს სულ მცირე ცვლილებასაც კი. მხოლოდ ცნობიერებას შეუძლია ყველაფერი ხელუხლებლად დატოვოს და ამავე დროს სახეც უცვალოს. ცნობიერებისთვის სამყარო მუდმივად უცვლელი და ამავე დროს მუდმივად ცვალებადია. ალბათ იკითხავ, მერე მაგით მე რაო, მაგრამ მინდა იცოდე, რომ ადამიანს ცნობიერების იარაღი სიცოცხლის ასატანად აქვს ნაბოძები. მხეცს ასეთი რამ არ სჭირდება, მისთვის სიცოცხლე არასოდეს არის მტანჯველი. სიცოცხლემ თავადვე შეაიარაღა ცნობიერებით ადამიანი, რომლის

ხვედრიც მისი აუტანლობაა. თუმცა სიცოცხლის სიმძიმეს ამით არაფერი მოჰკლებია. ეს არის და ეს.

– არ გგონია, რომ სიცოცხლის ასატანად სხვა ხერხიც არსებობს?

– არა. ამის იქით მხოლოდ ჭკუიდან გადასვლა და სიკვდილია.

– ცნობიერება ნამდვილად არაა ის, რაც სამყაროს სახეს უცვლის, – დაუფიქრებლად ვუპასუხე და ლამის საკუთარი ჩანაფიქრი გავეცი. – მხოლოდ და მხოლოდ ქმედებას შეუძლია სამყაროს შეცვლა.

ქაშივაგიმ თავისი ცივი, თითქოს ორაზროვანი ღიმილით გამაწყვეტინა:

– აჰა, დაიწყო ისევ თავისებურად. ნუთუ ვერ ხვდები, რომ ამ შენს საოცნებო სილამაზეს ცნობიერების საფარველქვეშ თვლემა სწყურია? გახსოვს კატა კოანიდან „ნანსენი კლავს კატას“? ამ კატის შეუდარებელი სილამაზეც ასევეა. მის გამო დაპირისპირებული ბერები ცნობიერად ცდილობდნენ, კატის სილამაზე დაეცვათ, ცხოველი გაენებივრებინათ, ტკბილი და უშფოთველი ძილის საშუალება მიეცათ. წინამძღვარი ნანსენი კი მოქმედებების ადამიანი იყო! ამიტომაც გამოსჭრა კატას ყელი და მოისროლა. მოგვიანებით დაბრუნებულმა ჩოშიუმ კი საკუთარი ფეხსაცმელები თავზე დაილაგა. ამით იმის თქმა უნდოდა, რომ სილამაზე ცნობიერების საფარქვეშ უნდა თვლემდეს. და არ არსებობს ცალკეული ადამიანის განსხვავებული ცნობიერება. ცნობიერება ადამიანთა ზღვა, მათი ერთობის ველია, თავად მათი არსებობის ფორმაა. მე მგონი, სწორედ ამის თქმა უნდოდა ჩოშიუს. შენ ახლა, ალბათ, ნანსენის მხარეს დაიჭერ, არა?.. სილამაზე – ეს შენი სანუკვარი სილამაზე სხვა არაფერია, თუ არა სულის იმ ნარჩენების აჩრდილი, რომლებიც ცნობიერებამ ვერ მოიცვა; ილუზიაა იმ „სხვა ხერხებისა“, რომლებიც, შენი აზრით, სიცოცხლის ტვირთს გვიმსუბუქებენ. შეიძლება ითქვას, რომ სინამდვილეში მსგავსი რამ არ არსებობს. მაგრამ ის, რაც ამ აჩრდილს აძლიერებს და სინამდვილის განცდას ანიჭებს, ისევ და ისევ ცნობიერებაა. ცნობიერებისთვის სილამაზე ნუგეშად

ვერასოდეს იქცევა. საყვარლად დაუდგება, ცოლადაც გაჰყვება, მაგრამ ნუგეშად ვერასოდეს მოევლინება. თუმცა ნუგეშის მიცემის უნარს მოკლებული სილამაზისა და ცნობიერების ქორწინებისგან რაღაც მაინც იბადება – რაღაც ეფემერული, უსარგებლო, ცარიელი ბუშტის მსგავსი. ადამიანები ამას ხელოვნებას უწოდებენ.

– სილამაზე... – დავიწყე და ენა საშინლად დამება. შეიძლება ბრიყვულ აზრად გეჩვენოთ, მაგრამ იმ წამს ეჭვმა გამკრა, რომ ჩემი ენაბლუობაც სილამაზის ჩემეული აღქმისგან იყო გაჩენილი. – სილამაზე... სილამაზე ახლა უკვე მტერია ჩემთვის!

– სილამაზე მტერიაო? – ქაშივაგიმ თვალები დააჭყიტა. მერე სახეზე ისევ ის ჩვეული, ფილოსოფიური სიმხნევე დაუბრუნდა და დასძინა: – აი, მესმის ცვლილება. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ შენი პირიდან რამე მსგავსს გავიგონებდი. როგორც ჩანს, დროა, საკუთარ ცნობიერებას სათვალის ლინზა გამოვუცვალო.

მთელი საღამო ვსაუბრობდით და მეგობრულად ვკამათობდით. წვიმა შეწყვეტას არ აპირებდა. წასვლამდე ქაშივაგიმ სანომიისა და კობეს ახალი პორტის შესახებ მომითხრო. მიყვებოდა, როგორ გადიოდნენ ზაფხულობით პორტიდან უზარმაზარი გემები. ვუსმენდი და ჩემში მაიძურუს მოგონებები იღვიძებდა. მაშინ პირველად დაემთხვა ერთმანეთს ორი ღატაკი სტუდენტის აზრები. „ვერავითარი ცნობიერება და ქმედება ვერ შეედრება ყველაფრისგან გაქცევის ბედნიერებას“, – გადავწყვიტეთ ჩვენ.

ალბათ უბრალო დამთხვევა არ იყო, რომ ყოველთვის, როცა კი შერისხვას ვიმსახურებდი, უხუცესი, სასჯელის ნაცვლად, რაიმე წყალობით მაჯილდოებდა. მაისის იმ საღამოს შემდეგ, როცა ქაშივაგი ფულის გამოსართმევად მოვიდა, უხუცესმა დამიბარა და პირველი სემესტრის სწავლის გადასახადი – 3400 იენი, გზის ფული – 350 იენი და საკანცელარიო ნივთების შესაძენად საჭირო 550 იენი პირადად გადმომცა. უნივერსიტეტის წესი იყო, რომ სწავლის საფასური სემესტრის ბოლოს, ზაფხულის არდადეგების დაწყებამდე უნდა გადაგვეხადა. თუმცა არაფრით არ მოველოდი, რომ იმ შემთხვევის მერე უხუცესი ამ თანხას გადაიხდიდა. რომც მოესურვებინა, მეგონა, ფულს არ მანდობდა და პირდაპირ უნივერსიტეტს გაუგზავნიდა.

თუმცა უხუცესზე არანაკლებ კარგად მესმოდა, რომ ჩემთვის ფულის ამგვარად გადმოცემა ნდობას სულაც არ ნიშნავდა. ამ უსიტყვო, მდუმარე მოწყალებაში მისი რბილი, სიყალბით სავსე, ატმისფერი ხორცის მსგავსი რაღაც იმალებოდა. ხორცი, **რომელიც** ენდობოდა იმას, რაც ღალატის ღირსია, და ღალატობდა იმას, რაც ნდობას იმსახურებს – გარყვნილების არმცოდნე, თბილი, ბაცი ატმისფერი ხორცი, რომელიც მხოლოდ თავისი თავის გამრავლებას ემსახურებოდა...

ისევე, როგორც მაშინ, როცა იურის სასტუმროს ნომერში პოლიციელის დანახვისას წამიერად შემიპყრო შიშმა, ახლაც შემაკრთო იმ აბსურდულმა აზრმა, თითქოს უხუცესს ამოეცნო ჩემი განზრახვა და განგებ მაძლევდა ფულს, რათა ჩანაფიქრის აღსრულების საბაბი არ მოეცა. მეჩვენებოდა, რომ სანამ ამ ფულს ასე ველოლიავებოდი, ვერ მოვიკრებდი ბოლო ნაბიჯის გადასადგმელად საკმარის ვაჟკაცობას. ეს თანხა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამომეყენებინა. ღატაკი ადამიანისთვის ფულის ხარჯვა რთული ამოცანაა. თან ფული ისე უნდა დამეხარჯა, რომ უხუცესს რისხვა ვერ დაეძლია და მყისიერად გავეძევებინე მონასტრიდან.

იმ დღეს სამზარეულოში ვმორიგეობდი. „მკურნალი ქვის“ შემდეგ ჭურჭელს ვრეცხავდი და თან სატრაპეზოსკენ ვიყურებოდი. ყველა უკვე გასულიყო და გარშემო სიჩუმეს დაესადგურებინა. სატრაპეზოსა და სამზარეულოს შორის გაჭვარტლული, შავად მბზინავი ბოძი იდგა, რომელზეც დროის სვლისგან გახუნებული აბრა იყო მიკრული, წარწერით:

„უფალო, მოგვეც სიფხიზლე, ხანძრისგან თავი დავიცვათ“.

თვალწინ წარმომიდგა ამ წმინდა ნიშანში გამოკეტილი, ტყვედქმნილი ცეცხლის ფერმკრთალი ლანდი. ნათლად დავინახე, როგორ ავადმყოფურად ბჟუტავდა წმინდა სიტყვებში გამომწყვდეული, ერთ დროს დიდებული და მოელვარე კოცონი. ნეტავ დამიჯერებს ვინმე, თუ ვიტყვი, რომ იმ დროს ცეცხლის აჩრდილის მიმართ ხორციელ ვნებას განვიცდიდი? თუმცა რა არის აქ დაუჯერებელი? განა ბუნებრივი არაა, რომ სხეულითაც იგივე მეგრძნო, თუკი ჩემი სიცოცხლის სურვილი მთლიანად ცეცხლზე იყო დამოკიდებული? ჩემი ლტოლვა ცეცხლს მოხდენილ ფორმებს ანიჭებდა. ისიც ხვდებოდა, რომ ჩემი თვალები, შავად მბზინავი ბოძის მიღმა, მის ციალს უმზერდნენ – ჩემს დასანახად მომხიბვლელად ინაზებოდა. ის ხელები, წვივები, მკერდი – ღმერთო, რა ფაქიზი და უსუსური იყო მისი სხეული!

თვრამეტი ივნისის საღამოს ფული ჩავიჯიბე, მონასტრიდან გავიპარე და კიტაშინჩის უბნისკენ გავემართე, რომელსაც ხშირად

მეხუთე უბანსაც უწოდებენ ხოლმე. ვიცოდი, რომ იქ ფასები შედარებით დაბალი იყო და თან მორჩილებსაც კეთილი თვალით უყურებდნენ. მეხუთე უბანი ჩვენი მონასტრიდან ფეხით ოცდაათი-ორმოცი წუთის სავალზე იყო.

ჩახუთული საღამო იდგა. ცაზე გაბნეული ღრუბლებიდან მთვარე ორჭოფულად იყურებოდა. ხაკისფერ შარვალსა და სვიტერში ვიყავი გამოწყობილი. ფეხზე ხისძირიანი სანდლები მეცვა.

რამდენიმე საათში, ალბათ, ამავე ტანსაცმლით დავბრუნდებოდი უკან... მაგრამ ნეტავ საიდან გამიჩნდა თავდაჯერება, რომ ამ სამოსის უკან უკვე სულ სხვა ადამიანი იქნებოდა?

ოქროს ტაძრის დაწვას თითქოს იმისთვის ვაპირებდი, რომ ცხოვრება თავისუფლად გამეგრძელებინა, მაგრამ სინამდვილეში ჩემი საქციელი სიკვდილისთვის მზადებას უფრო მაგონებდა. წითელი ფანრების უბანში ჩემი მისვლაც იმ ყმაწვილის საქციელს ჰგავდა, რომელიც თვითმკვლელობის წინ საროსკიპოში მიდის, რათა ერთხელ მაინც შეიცნოს ქალის ალერსი. სანერვიულო არაფერი მქონდა, რადგან მეძავთან წასვლა წინასწარ გამზადებულ საბუთზე ხელის მოწერასავითაა, ასე რომ, უმანკოება რომც დამეკარგა, „სხვა ადამიანად“ მაინც ვერ ვიქცეოდი.

უკვე შემეძლო აღარ შემშინებოდა იმ იმედგაცრუების, რომელსაც ოქროს ტაძარი იწვევდა, როცა ჩემსა და ქალს შორის გადაულახავ კედლად აღიმართებოდა ხოლმე. შემეძლო მშვიდად ვყოფილიყავი, რადგან უკვე აღარ მაღელვებდა ოცნება, რომ ქალის ალერსი ისევ ცხოვრების მონაწილედ მაქცევდა. ჩემს სიცოცხლეს, ამ ყველაფრის მიღმა, მყარად გაედგა ფესვები, ხოლო ყველა უწინდელი საქციელი მხოლოდ და მხოლოდ საზარელი ფორმალობა იყო და სხვა არაფერი...

ასე ვცდილობდი საკუთარი თავის დარწმუნებას, მაგრამ ამ დროს ქაშივაგის სიტყვები გამახსენდა: „მეძავები ხომ სიყვარულის გარეშე ეძლევიან კლიენტს. მათთვის სულერთია, კლიენტი მოხუცი იქნება, მათხოვარი, ცალთვალა თუ მომხიბვლელი, ახალგაზრდა ყმაწვილი. კეთროვანსაც კი მიუწვებიან, თუკი ვერაფერს

შეატყობენ. ჩვეულებრივი ადამიანი ასეთ თანასწორობას წყნარად უყურებს და თავის პირველ ქალში ფულს იხდის. მაგრამ მე ასეთი თანასწორობა არ მეპიტნავებოდა. ვერ ავიტანდი იმ აზრს, რომ ქალი ვინმე უნაკლო კაცსაც და მეც ერთნაირად მოგვიალერსებდა. ეს ჩემთვის უსაშინლესი თვითგმობის ტოლფასი იქნებოდა".

ეს სიტყვები ახლა უკვე მოსვენებას არ მაძლევდნენ. მაგრამ, ქაშივაგისგან განსხვავებით, ენაბლუობის გარდა, სხვა თვალშისაცემი ნაკლი არ მქონდა და შემეძლო უბრალოდ დამეჯერებინა, რომ ჩემი სიმახინჯე ჩვეულებრივ ფარგლებს არ სცდებოდა. „ვაი და მეძავმა, თავისი ქალური ინტუიციით, ჩემს შუბლზე ბოროტი გენიოსის ჩანაფიქრი ამოიკითხოს?" – გავიფიქრე და უეცრად ისევ შფოთვამ შემიპყრო.

ფეხები აღარ მემორჩილებოდნენ. აზრები ამებნა. ველარ გამეგო, ბოლოს და ბოლოს, უმანკოებას იმისთვის ვკარგავდი, რომ ოქროს ტაძარი დამეწვა, თუ ოქროს ტაძარს ვანადგურებდი იმისთვის, რომ ქალის ალერსი შემეცნო. ამ დროს, ყოველგვარი მიზეზისა თუ კავშირის გარეშე, გულში ძველი, კეთილშობილური შეგონება „ტემპო კანან" – „ჟამი ტანჯვისა და უბედობისა" ამიხმიანდა. „ტემპო კანან, ტემპო კანან..." – ავჩურჩულდი და სვლა განვაგრძე.

ფიქრებში გართულმა, უეცრად აღმოვაჩინე, რომ ჩახჩახა აბრებით განათებული, სათამაშო ავტომატებისა და ბარების ქუჩა უკან მომეტოვებინა და წყვდიადში ჩაძირულ ქუჩაზე მივაბიჯებდი, სადაც მხოლოდ წესრიგის დაცვით დაკიდებული თეთრი ქაღალდის ფანრები კიაფობდა.

მონასტრიდან გამოსვლის წუთიდან არ მასვენებდა ზმანება, რომ უიკო ისევ ცოცხალი იყო და სადღაც აქვე იმალებოდა. ეს ზმანება ძალას მმატებდა. ოქროს ტაძრის დაწვის გადავწყვეტილებამ, ღრმა ბავშვობის მერე, პირველად განმაცდევინა უბიწოებისა და განწმენდის შეგრძნება. ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ მინდოდა, კიდევ ერთხელ შევხვედროდი ცხოვრების დასაწყისში ნანახ ადამიანებს, კიდევ ერთხელ შევსწრებოდი განცდილ მოვლენებს. მაშინ ასე მეგონა.

განზრახვის აღსრულებით თითქოს სიცოცხლეში დაბრუნებას ვაპირებდი, მაგრამ, რატომღაც, დღითიდღე მიპყრობდნენ უკეთური აზრები. მეგონა, რომ სულ მალე სიკვდილი მეწვეოდა და ვლოცულობდი, ოქროს ტაძრის დაწვამდე მაინც გაეხანგრძლივებინა ჩემთვის სიცოცხლე. ავადმყოფობა კი არა, რაიმე დაავადების სიმპტომიც არ მეტყობოდა, მაგრამ დღითიდღე უფრო მტკივნეულად ვგრძნობდი მთელ იმ სიმძიმეს, რომლითაც ჩემი სიცოცხლის განმსაზღვრელი პირობები და მათი თანამდევი პასუხისმგებლობა მხრებზე დამწოლოდა.

წინა დღით, როცა მონასტერს ვალაგებდით, საჩვენებელ თითში ცოცხის ხიჭვი შემერჭო. ამ პატარა ხიჭვმაც კი გულში შფოთვა ჩამითესა. უეცრად ის პოეტი გამახსენდა, ვარდის ეკალზე გაკაწრულმა თითმა რომ სიკვდილამდე მიიყვანა. მდაბიოები მსგავსი მიზეზით არ კვდებიან, მე კი ჩემმა გადაწყვეტილებამ ღირებულ და მნიშვნელოვან ადამიანად მაქცია, ასე რომ, არავინ უწყოდა, როგორ სიკვდილს მიმზადებდა იღბალი. საბედნიეროდ, თითი არ დამიჩირქდა და იმ დღეს მხოლოდ მსუბუქ ტკივილსღა ვგრძნობდი, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ მაგრად დავაჭერდი.

რა თქმა უნდა, მეხუთე უბანში წასვლამდე ყველა საჭირო ჰიგიენური ზომა მივიღე. წინა დღით განგებ წავედი მონასტრიდან შორს, ერთ-ერთ აფთიაქში, სადაც ვერავინ მიცნობდა და პრეზერვატივების შეკვრა ვიყიდე. ამ რეზინის ნაწარმის ფერმკრთალი, ხორკლიანი ზედაპირი ავადმყოფურ შთაბეჭდილებას ტოვებდა. წინა ღამით შეკვრიდან ერთი პრეზერვატივი ამოვიღე და სასინჯად მოვირგე. ოთახის კედელზე ენდროსფერი პასტელით შესრულებული ბუდას კარიკატურა და კიოტოს ტურისტული ასოციაციის მიერ გამოცემული კალენდარი ეკიდა, გაცვეთილ ტატამიზე უშნიშას ბუდას მანტრაზე გადაშლილი სუტრების წიგნი და ჩემი ბინძური წინდები ეყარა. ამ ყველაფერს შორის გლუვი, ნაცრისფერი, უცხვირპირო ბუდას ქანდაკების მსგავსად წამოჭიმული ჩემი ასო საზარელი სანახაობა იყო. მისმა უსიამოვნო ფორმამ ერთ-ერთი უძველესი რელიგიური რიტუალი – „ბოროტების მოკვეთა“ გამახსენა,

რომელიც ძველად ხორციელი ვნებებისგან გასათავისუფლებლად კაცის სასქესო ორგანოს მოკვეთას გულისხმობდა, ახლა კი მხოლოდ ზეპირ გადმოცემებში იყო შემორჩენილი...

ქაღალდის ფარნების რიგში, ვიწრო ქუჩაზე შევუხვიე.

ქუჩაზე ასზე მეტი სახლი იქნებოდა, მაგრამ ყველა ერთ სტილში იყო ნაგები. ამბობდნენ, რომ ამ უბნის ბატონ-პატრონი ხანდახან ძებნილებსაც მალავდა ხოლმე. თურმე ყველაფერი ისე მოეწყო, რომ ზარის ღილაკს თუ დააჭერდა, ხმა ყველა საროსკიპოს გადაეცემოდა და მოახლოებულ საფრთხეს ძებნილს ატყობინებდნენ. უკლებლივ ყველა შენობა ორსართულიანი იყო და შესასვლელთან გისოსებიანი სარკმელი ჰქონდა. ძველი, მძიმე კრამიტით დაფარული სახურავები ნესტით გაჟღენთილ მთვარის შუქში ერთ სიმაღლეზე ჩამწკრივებულიყვნენ. ყველა შესასვლელში მუქი იისფერი ფარდა ეკიდა, რომელზეც თეთრი საღებავით იმ უბნის დასახელების – „ნიშიჯინის“ იეროგლიფები იყო გამოსახული. კართან წინსაფრიანი მეპატრონე ქალები ისხდნენ, ფარდიდან თავი გამოეყოთ და გამვლელებს იპატიჟებდნენ.

ჩემი სული შვებას ვერ პოულობდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს რაღაც წესრიგს მოვწყდი, რომელიღაც რიგიდან მხოლოდ მე ამოვვარდი და ახლა დაღლილ ფეხებს გავერანებულ, უცნობ მიწაზე მივათრევდი. ვნებას ბნელი ზურგი მოეშვირა ჩემთვის, ხელები მუხლებზე შემოეჭდო და საცოდავად მოკუნტულიყო.

„ასეა თუ ისე, ახლა, აქ, ამ ფულის დახარჯვა ჩემი მოვალეობაა, – ვარწმუნებდი საკუთარ თავს. – სწავლის თანხა მთლიანად აქ უნდა დავხარჯო. მაშინ უხუცესს დამაჯერებელი მიზეზი ექნება ჩემს გასაძევებლად“.

ამ ჩანაფიქრში მცირე წინააღმდეგობასაც კი ვერ ვხედავდი – თუკი ეს ჩემი ჭეშმარიტი სურვილი იყო, გამოდიოდა, რომ მე უხუცესი მიყვარდა.

ქუჩაში ამ უბნისთვის უჩვეულოდ ცოტა ხალხი იყო. როგორც ჩანს, კლიენტები მოგვიანებით დაიწყებდნენ შეგროვებას. ჩემი გეტის ხის ძირები მოურიდებლად ხმაურობდნენ მოკირწყლულ ქუჩა-

ზე. საროსკიპოს მეპატრონეთა შეძახილების ხმა წვიმების სეზონის დამძიმებულ, ნესტით გაჟღენთილ ჰაერში დაცოცავდა. ფეხის თითებით გეტის მოშვებულ ღვედებს ვეჭიდებოდი. ომის დამთავრების მერე, როცა ფუდოსანის მთიდან კიოტოს გადმოვყურებდი, ალბათ ეს უბანიც ქალაქის შუქთა თვალუწვდენელ ციალში იმალებოდა...

იმ ადგილას, საითაც ფეხები მიმაქანებდნენ, უიკო უნდა ყოფილიყო. ერთ-ერთ გზაჯვარედინზე, კუთხეში შევჩერდი და პირველსავე საროსკიპოში შევედი. მას „დიდი ჩანჩქერი" ერქვა და ექვსი ტატამის სიგანის მისაღები ოთახი ჰქონდა, რომლის კუთხეშიც, ორთქლმავლის მომლოდინე მგზავრებივით, სამი ქალი ჩამომსხდარიყო. ერთ-ერთს, კიმონოში გამოწყობილს, ყელი დაბინტული ჰქონდა. დანარჩენ ორს ევროპული ტანსაცმელი ეცვა. ერთი დახრილიყო, წინდა ჩაეწია და წვივებს გულიანად იფხანდა. უიკო გასული იყო. მისმა არყოფნამ სიმშვიდე დამიბრუნა.

ქალმა, რომელიც ფეხს იფხანდა, იმ ძაღლივით ამომხედა, პატრონის დაძახილზე რომ წამოხტება ხოლმე. მრგვალი, ოდნავ გასივებული სახე პუდრითა და პომადით ისე მოეთხუპნა, ბავშვის ნახატს მოგაგონებდათ. უცნაურია, მაგრამ მის სახეში კეთილგანწყობა გამოსჭვიოდა. ქუჩის კუთხეში შემოფეთებული უცნობივით მიყურებდა. მისი თვალები თითქოს უარს ამბობდნენ, ჩემი ვნება ეღიარებინათ.

რადგან უიკო გასული იყო, მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ვის ავირჩევდი. ცრურწმენა შემომრჩენოდა, რომ თუ დიდხანს ვიყოყმანებდი, აუცილებლად არასწორ არჩევანს გავაკეთებდი. ისევე, როგორც მეძავს არ აქვს საშუალება, კლიენტები აირჩიოს, მეც არ უნდა მეჭოჭმანა ბევრი. სილამაზის აღქმის იმ საშინელი შეგრძნებისთვის სულ მცირე ჩარევის უფლებაც კი არ უნდა მიმეცა.

– რომელი მოგწონს? – მკითხა საროსკიპოს მეპატრონემ.

თითი იმ ქალისკენ გავიშვირე, წელან ფეხს **რომ იფხანდა. მის** წვივზე დარჩენილი პატარა წითელი ლაქა ალბათ იმ კოღოს ნაკბენი იყო, იატაკის ფილებს რომ დასტრიალებდა. კოღოს ნაკბენმა თითქოს მასთან დამაკავშირა... მისი წყალობით, ქალს უფლება მიეცა, მომავალში მნიშვნელოვან მოწმედ ქცეულიყო.

ქალი წამოდგა, გამიღიმა და სვიტერის სახელოზე მსუბუქად შემეხო.

სანამ ძველი, ჩაბნელებული კიბით მეორე სართულზე ავდიოდით, ჯერ კიდევ უიკოზე ვფიქრობდი. რაღა მაინცდამაინც ახლა გადაწყვიტა გასვლა – რაღა ამ დროს გადაწყვიტა სამყაროს დატოვება? ახლა აქ თუ არ არის, ესე იგი, რამდენიც უნდა ვეძებო, ვერსად ვიპოვი... როგორც ჩანს, ჩვენი სამყაროს მიღმა, აბაზანის მისაღებად ან რაიმე მსგავს, ყოველდღიურ საქმეზე იყო გასული.

ჩემს წარმოდგენაში უიკოს სიცოცხლეშიც შეეძლო ორ პარალელურ სამყაროს შორის თავისუფლად მისვლა-მოსვლა. იმ საბედისწერო ღამესაც თითქოს ხან უარყოფდა ამ სამყაროს, ხან ისევ უბრუნდებოდა მას. უიკოსთვის ალბათ მეც დროებითი მოვლენა ვიყავი. მის მიერ კონგოს ტაძრის პავილიონში დატოვებული სისხლის გუბე კი ისეთივე ეფემერული იყო, როგორც სარკმლის რაფაზე დარჩენილი მტვრის ნაწილაკები, დილით ფანჯრის გამოღებისთანავე გაფრენილი პეპელა რომ ტოვებს.

მეორე სართულის შუაგულში ღია ვერანდა იყო, რომელსაც გარშემო ჩუქურთმებიანი მოაჯირი მიუყვებოდა. შენობიდან შენობამდე გადებულ ჯოხებზე წითელი ქვედაბოლოები, საცვლები და ღამის პერანგები შრებოდა. სიბნელეში ღამის პერანგები ადამიანების ლანდებს მაგონებდნენ.

რომელიღაც ოთახში ქალი მღეროდა. მისი მელოდიური ხმა წყალივით მოედინებოდა. დროდადრო კაციც აჰყვებოდა ხოლმე, თუმცა მისი სიმღერა რიტმიდან ამოვარდნილი იყო. სიმღერა შეწყდა და ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ, თითქოს ძაფი გაწყდაო, ქალი აკისკისდა:

– ...კოს ხმას ჰგავს, – თქვა ჩემმა რჩეულმა.

– ვერაფრით ვერ მოვაშლევინე, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა საროსკიპოს მეპატრონემ და ოთხკუთხა ზურგი იმ მხარეს შეაქცია, საიდანაც კისკისის ხმა მოდიოდა. იაპონური სტილის ოთახი, რომელშიც შემიყვანეს, სამიოდე ტატამისხელა, ვიწრო, უგემოვნოდ მოწყობილ სივრცეს წარმოადგენდა. კედლის ნიშის მაგივრად

ჩვეულებრივ სადგამზე დადებული ორი პატარა ქანდაკება დამ-ხვდა: სიუხვის ღიპიანი, მხიარული ღმერთი ჰოტეი და მანეკინეკო – კატა, რომელიც თათის ქნევით ეპატიჟება სტუმრებსა და სიმ-დიდრეს. კედელზე წესების გრძელი სია მიეკრათ და კალენდარი დაეკიდათ. ჭერზე მბჟუტავი ნათურა ეკიდა. ფართოდ გაღებული ფანჯრიდან იმ კლიენტების ნაბიჯების ხმა ისმოდა, ღამის გასარ-თობის ძიებაში ამ უბანს რომ მოწყდომოდნენ.

საროსკიპოს მეპატრონემ მკითხა, ერთ საათს დარჩები თუ დი-ლამდეო. ერთი საათი ოთხასი იენი ღირდა. ფული ჩავუთვალე და საკეც შევუკვეთე თავისი მისაყოლებლით.

საროსკიპოს მეპატრონე შეკვეთილის ამოსატანად ქვედა სარ-თულზე ჩავიდა, მეძავი კი ჩემკენ მაინც არ იწეოდა. მხოლოდ მას მერე მოჩოჩდა, რაც უკან მობრუნებულმა მეპატრონემ დაუცაცხა-ნა. ახლოდან რომ დავაკვირდი, შევამჩნიე, რომ ცხვირის ქვეშ კანი ოდნავ გახეხილი და გაწითლებული ჰქონდა. როგორც ჩანს, მოწყე-ნილობისას, მოფხანა და მოსრესა ჩვევად აქვს ქცეული-მეთქი, გა-ვიფიქრე. თუმცა შეიძლება ცხვირის ქვეშ ეს სიწითლე, უბრალოდ, გათხაპნილი ტუჩსაცხი იყო და სხვა არაფერი...

ნუ გაგიკვირდებათ, რომ საროსკიპოში პირველად მოსული, ასეთ დეტალებს ვაკვირდებოდი. უბრალოდ, ვცდილობდი, სიამოვნების მტკიცებულება მეპოვა ყველაფერში, რასაც ჩემი მზერა სწვდებო-და. ქალის ყოველ ნაკვთს სპილენძის გრავიურასავით ვსწავლობდი, მაგრამ მისი სახის ნაწილები ჩემგან ერთი და იმავე მანძილით დაშო-რებული მეჩვენებოდა, თითქოს თვალწინ ბრტყელი დაფა მქონოდა.

ქალმა მითხრა, მარიკო მქვიაო და დააყოლა:

– მგონი, სადღაც მინახიხარ.

– არა მგონია. აქ პირველად ვარ.

– მართლა პირველად ხარ ასეთ ადგილას?

– კი, პირველად.

– ჰო, ალბათ ეგრეცაა. ხელიც კი გიკანკალებს.

მაშინღა შევამჩნიე, რომ ხელი, რომელშიც საკეს პატარა, ფაი-ფურის ჭიქა მეჭირა, მიკანკალებდა.

– მარიკო, თუ მართალს გეუბნება, ჩათვალე, ამაღამ გაგმართლებია, – მიაძახა მეპატრონემ.

– სიმართლეს მეუბნება თუ არა, მაგას სულ მალე გავარკვევ, – უხალისოდ უპასუხა მარიკომ. მის სიტყვებში ოდნავი ვნებაც კი არ იგრძნობოდა. თითქოს მისი სული, დახუჭობანას თამაშში გართული ბავშვივით, სულ სხვა, ჩვენი სხეულებისგან მოშორებულ ადგილას იმალებოდა. ბაცი მწვანე პერანგი და ყვითელი ქვედაბოლო ეცვა. ლაქი მხოლოდ ცერა თითებზე ესვა – როგორც ჩანს, რომელიმე დაქალისგან სასინჯად ეთხოვა.

საბოლოოდ, რვა ტატამის სიგანის საძინებელში შევედით. მარიკო ცალი ფეხით ლეიბზე შედგა და სანათიდან ჩამოკონწიალებულ ზონარს მოქაჩა. შუქის ქვეშ აბრეშუმის ჭრელი გადასაფარებლის ფერებმა გაიელვა. ოთახში ფრანგული თოჯინებით სავსე თახჩაც კი იყო.

ტანსაცმელი უხერხულად გავიხადე. მარიკომ მხრებზე ღია ატმისფერი, პირსახოცის ნაჭრის ხალათი მოიცვა და შიგნიდან ტანსაცმელი გაიძრო. ბალიშის გვერდით წყალი დავინახე და ხარბად დავეწაფე. მარიკომ ყლუპების ხმაზე გაიცინა და, ისე, რომ არც მობრუნებულა, მითხრა:

– როგორი წყლის მოყვარული ყოფილხარ!

მერე, როცა უკვე ერთმანეთის პირისპირ ვიწექით, ცხვირზე თითით მსუბუქად შემეხო და კიდევ ერთხელ მკითხა ღიმილით:

– ნუთუ მართლა პირველად ხარ?

ტორშერის შუქშიც ყველაფერს გულმოდგინედ ვაკვირდებოდი. სამყაროს თვალიერება თავად ჩემი არსებობის მტკიცებულებას წარმოადგენდა. პირველად ვუყურებდი უცხო ადამიანის თვალებს ასე ახლოდან. სამყაროს უკვე სულ სხვანაირად აღვიქვამდი, უწინდელისგან სრულიად განსხვავებულად. ახლა უცხო ადამიანი მოურიდებლად იჭრებოდა ჩემს არსებაში. უცხო ტანის სითბო და იაფფასიანი სუნამოს სურნელი ერთიანად მომაწყდა. ცოტაც და, უცხო სხეული მთლიანად შთანმთქავდა. პირველად ვხედავდი, როგორ ერწყმოდა უცხო ადამიანის სამყარო ჩემსას.

მისთვის მე კაცთა მოდგმის უნივერსალური ერთეული ვიყავი. ვინ წარმოიდგენდა, რომ ვინმე ოდესმე ასე აღმიქვამდა! ენაბლუობა, სიგონჯე და სიღატაკე ნელ-ნელა შემომაძარცვეს, თითქოს გაშიშვლების შემდეგაც კი ისევ და ისევ მაძრობდნენ სამოსის ახალ ფენებს. სრულ სიამოვნებას განვიცდიდი, მაგრამ ვერაფრით დამეჯერებინა, რომ ეს განცდა ნამდვილად მე მეკუთვნოდა. სადღაც შორს გრძნობა, რომელიც სამყაროსგან მუდმივად მაუცხოებდა, უეცრად ადუღდა, აბუყბუყდა და საბოლოოდ განადგურდა... მარიკოს მყისიერად მოვცილდი და შუბლი ბალიშში ჩავრგე. თავის ნაწილზე, გაცივებული და დაბუჟებული რომ მქონდა, მუშტი მსუბუქად დავირტყი და დავიზილე. ამის შემდეგ უცნაურმა გრძნობამ შემიპყრო, თითქოს ყველამ და ყველაფერმა მიმატოვა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ ავტირებულიყავი.

როცა ყველაფერი მოვითავეთ, მარიკომ თავისი ამბების მოყოლა დაიწყო – როგორ გადმოსახლდა ნაგოიიდან კიოტოში და როგორ მოხვდა აქ. უგულისყუროდ ვუსმენდი, რადგან ჩემი ფიქრები მთლიანად ოქროს ტაძარს დასტრიალებდა. თუმცა ამჯერად ეს ფიქრები დაფანტული და აბსტრაქტული იყო, მოკლებული ჩვეულ ვნებასა და სიღრმეს.

– კიდევ გამომიარე, – მითხრა მარიკომ. ჩემზე ერთი-ორი წლით უფროსი თუ იქნებოდა, მეტის ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო. ოფლით დაცვარულ ძუძუებს ვუყურებდი და ვხვდებოდი, რომ ისინი არასოდეს გადაიქცეოდნენ ოქროს ტაძრად – ეს უბრალო ხორცის ნაგლეჯები. კრძალვითა და რიდით მივადე თითი მკერდზე.

– პირველად ხედავ? – მკითხა მარიკომ. მერე წამოიმართა, მკერდზე დაიხედა და, თითქოს პატარა ცხოველს ეთამაშებაო, სათუთად შეარხია. ძუძუს თანთალმა მაიძურუს ყურის დაისი გამახსენა. ჩამავალი მზის ნელი კვდომა და ჩემ თვალწინ მოთანთალე ხორცის წარმავალობა ერთმანეთს ერწყმოდა. შვებას მანიჭებდა იმის წარმოდგენა, რომ დაისის ღრუბლებში გახვეული მზის მსგავსად, ხორცსაც სულ მალე ღამის წყვდიადის უძირო სამარე ელოდებოდა.

***

მეორე დღეს იმავე საროსკიპოში იმავე ქალს მივაკითხე. არა მარტო იმიტომ, რომ დასახარჯი ფული ჯერ კიდევ საკმაოდ მქონდა. პირველი გამოცდილება, ჩემს ფანტაზიებში დახატულ ექსტაზთან შედარებით, იმდენად უხეირო აღმოჩნდა, რომ აუცილებლად კიდევ ერთხელ უნდა მეცადა, რათა როგორმე წარმოსახულ სიამოვნებას მივახლოებოდი. სხვებისგან განსხვავებით, სინამდვილეში ჩადენილი ყველა ჩემი საქციელი ჩემივე წარმოსახვის ერთგულ, მაგრამ საცოდავ იმიტაციად იქცეოდა ხოლმე. თუმცა „წარმოსახვა“ შესაფერისი სიტყვა არაა – ეს უფრო, ალბათ, მოგონებებია, ჩემი არსის საწყისიდან რომ იღებს სათავეს. ვერაფრით ვიშორებ იმ განცდას, რომ ყველაფერი, რასაც ცხოვრება მიმზადებს, ოდესღაც უკვე გამოცდილი მაქვს, თანაც ყველაზე ნათელი და ბრწყინვალე სახით. მეჩვენებოდა, რომ ასეთი ხორციელი აქტიც კი – არ მახსოვს, სად და როდის (ალბათ უიკოსთან ერთად) – მაგრამ უფრო მძაფრად და მგრძნობიარედ უკვე განმეცადა. ჩემი წარმოსახვა ყველანარი სიამოვნების სათავედ ქცეულიყო და ის, რასაც ნამდვილი სამყარო მთავაზობდა, მხოლოდ წვეთი იყო წარმოსახვის უკიდეგანო ზღვისა.

ცხადად მახსოვს, რომ ღრმა წარსულში, სადღაც, შეუდარებელი სილამაზის დაისს შევესწარი. ნუთუ ჩემი ბრალია, რომ მას მერე ნანახი ყველა მზის ჩასვლა მეტ-ნაკლებად უფერულად და ულიმღამოდ მეჩვენება?

წინა დღით მარიკო ისე მექცეოდა, თითქოს მდაბიო ვყოფილიყავი. ამიტომ მეორე დღეს ბუკინისტებთან გავიარე, ერთი ძველი წიგნი ვიყიდე, ჯიბეში ჩავიდე და „დიდი ჩანჩქერისკენ“ გავემართე. ეს იყო მეთვრამეტე საუკუნის იტალიელი კრიმინალისტის, ჩეზარე ბეკარიას „დანაშაული და სასჯელი“. რამდენიმე ფურცლის წაკითხვის მერე მივხვდი, რომ განმანათლებლობისა და რაციონალიზმის კლასიკურ ნარევს წარმოადგენდა და კითხვა მივატოვე, მაგრამ იქვე გამკრა თავში, რომ შეიძლებოდა სათაურს მეძავ ქალზე შთაბეჭდილება მოეხდინა.

მარიკო ისევ ისე გაღიმებული შემხვდა, როგორც წინა დღეს. ღიმილი კი იგივე იყო, მაგრამ „წინა დღეს“ მასზე კვალი არ დაეტოვებინა. თავაზიანად და გულგრილად მექცეოდა, თითქოს ქუჩის კუთხეში შემოფეთებული უცნობი ვყოფილიყავი. თუმცა მისი სხეული რაღაცით სწორედაც ქუჩის კუთხეს ჰგავდა.

ისევ იმ ვიწრო, უგემოვნო ოთახში შემიყვანეს და საკე დამისხეს. ამჯერად საუბარში უხერხულობა აღარ იგრძნობოდა.

– ყოჩაღ, სხვისთვის გადაწოდებისას ჭიქას ზურგით შენკენ ატრიალებ. ასეთი ახალგაზრდა ხარ და ასე კარგად აღზრდილი ყოფილხარ! – მითხრა საროსკიპოს მეპატრონემ.

– კი მაგრამ, ყოველდღე აქ თუ მოხვალ, წინამძღვარი არ გაგიბრაზდება? – მკითხა მარიკომ და, როცა ჩემი გაოცებული სახე შეამჩნია, სიცილით დასძინა: – რა რთული გამოსაცნობი ეგაა. ახლა შენხელა ბიჭებს მომღერლებივით გრძელი თმები აქვთ. გადაპარსული თავით ბუდისტი ბერები თუღა დაიარებიან. შენნაირებს აქ მაშინვე ვცნობთ ხოლმე. ბევრი, ვინც ახლა ცნობილი და პატივცემული ბერია, ახალგაზრდობაში ჩვენთან დაიარებოდა... ეგ იქით იყოს და, გინდა გიმღერო? – მკითხა და მოულოდნელად ერთ-ერთი პოპულარული სიმღერა წამოიწყო, პორტის ქალის ცხოვრებაზე.

მეორე აქტმა უკვე ნაცნობ გარემოში, მსუბუქად ჩაიარა. ამჯერად თითქოს სიამოვნებაც კი ვიგრძენი, მაგრამ ეს იმ სახის სიამოვნება არ იყო, ჩემს წარმოსახვაში რომ განვიცდიდი ხოლმე. ეს იყო ჩვეულებრივი, დეგრადირებული კმაყოფილების გრძნობა, რომ, უბრალოდ, ავხორცული ვნებების დაცხრომა შევძელი.

მერე, მოულოდნელად, მარიკომ, უფროსი დასავით, დარიგებები დამიწყო და ეს წამიერი სიამოვნების შეგრძნებაც დამიმსხვრია.

– ასეთ ადგილებში სიარულს არ გირჩევ, შენ ხომ სერიოზული ბიჭი ხარ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია და... შენს საქმეს მთელი გულისყურითა და შემართებით უნდა მიუდგე. არა, კი მინდა, რომ მოხვიდე ხოლმე, მაგრამ იმედია, გამიგებ, რა გულითაც გეუბნები ამ ყველაფერს. ისე გიყურებ, როგორც პატარა ძმას და...

ალბათ მსგავსი დიალოგი რომელიღაც იაფფასიან რომანში ჰქონდა ამოკითხული. ამ სიტყვებს განსაკუთრებული გრძნობისა და სიღრმის გარეშე წარმოთქვამდა, თითქოს რაღაც ბალადა შეეთხზა და ახლა მოელოდა, რომ თავისსავე გამოგონილ გრძნობებში ავყვებოდი. თუ პასუხად ავტირდებოდი, მაშინ ხომ საერთოდაც ბედნიერებას მივანიჭებდი.

მე კი ასე არ მოვიქეცი. უეცრად ბალიშის ქვეშიდან „დანაშაული და სასჯელი“ გამოვიღე და მარიკოს ცხვირწინ დავუდე. გაფაციცებით გადაფურცლა, მაგრამ მალევე მობეზრდა და უსიტყვოდ მოისროლა ისევ ბალიშისკენ. წიგნის არსებობა უსწრაფესად წაიშალა მისი მეხსიერებიდან.

უბრალოდ, მინდოდა ეგრძნო, თუ რა ელოდა სამყაროს და, ჩემი სახით, რა მოვლენების შემოქმედს შეახვედრა ბედმა. მინდოდა, ოდნავ მაინც მიახლოებოდა იმ აზრს, რომ ჩემთან ყოფნით სამყაროს დაქცევას უწყობდა ხელს. ვფიქრობდი, რომ ქალთა მოდგმის წარმომადგენლისთვის ეს პატარა ამბავი არ უნდა ყოფილიყო. საბოლოოდ, ველარ მოვითმინე და ისეთი რამ წამოვროშე, რისი თქმაც ნამდვილად არ ღირდა:

– ერთი თვე... ჰო, დაახლოებით ერთ თვეში ჩემი სახელი ყველა გაზეთსა თუ ჟურნალში გამოჩნდება. მერე აუცილებლად გამიხსენე.

ვთქვი ეს თუ არა, გული საშინლად ამიფრიალდა. მარიკომ კი პირში დამცინა. სიცილისგან მკერდი აუთამაშდა, თავის შეკავება სცადა და სახელოზე იკბინა, მაგრამ შემომხედა თუ არა, ისევ ახარხარდა. ამჯერად მთელი სხეული აუთამაშდა. ნეტავ რა არის ასეთი სასაცილო, როგორც ჩანს, ვერ ავუხსენი, როგორც საჭიროა-მეთქი, ვფიქრობდი. მარიკომ ჩემი გამომეტყველება შენიშნა და სიცილი შეწყვიტა.

– რა არის სასაცილო? – ვკითხე.

– დიდი ტრაბახა ვინმე ჩანხარ. სასაცილოა, აბა რაა, რა მატყუარა ყოფილხარ!

– ტყუილს როგორ ვიკადრებ.

– კარგი, გეყოფა უკვე. ააა, ახლა სიცილით გავიგუდები. ასეთ მატყუარას ასეთი სერიოზული სახე როგორ გაქვს, – ისევ სიცილი აუტყდა.

შეიძლება ამ სიცილს სულაც მარტივი მიზეზი ჰქონდა – შეიძლება სულაც ჩემს ენაბლუობაზე ხარხარებდა... არ ვიცი, მაგრამ ცხადი იყო, რომ ჩემი ნათქვამიდან ერთი სიტყვაც არ დაიჯერა.

მარიკომ არ დამიჯერა. მის თვალწინ მიწისძვრაც რომ მომხდარიყო, ეს ბრიყვი მაინც არ დაიჯერებდა. მთელი სამყარო რომ განადგურებულიყო, ალბათ მარტო ეს ქალი დარჩებოდა უვნებელი. მხოლოდ იმის სჯეროდა, რაც მისი აზროვნების ჩარჩოში ეტეოდა, სამყარო კი ამ ჩარჩოში ვერასოდეს განადგურდებოდა. მარიკოს აზროვნება ვერასოდეს მიაღწევდა ამ ნიშნულს. ამ მხრივ ქაშივაგის ჰგავდა. მისი ქალური რეინკარნაცია იყო, ოღონდ ისეთი, ბევრს რომ არ ფილოსოფოსობს.

სალაპარაკო ამოგვეწურა და მარიკომ ისევ ღიღინი წამოიწყო. მკერდი ისევე მოშიშვლებული ჰქონდა. მის ხმადაბალ ღიღინს ბუზის ბზუილის ხმა შეერია. აბეზარი მწერი გარშემო უვლიდა და დროდადრო მკერდზე აჯდებოდა. მარიკო უბრალოდ ჩაილაპარაკებდა ხოლმე: „მეღიტინება“ და ბუზს არ იგერიებდა. ბუზი თითქოს მთელი ტანით ეტმასნებოდა მის შიშველ ძუძუს. ჩემდა გასაოცრად, ამ საძაგელი მწერის ალერსი მას სულაც არ აწუხებდა.

სახურავზე უეცრად წვიმა ახმაურდა. მომეჩვენა, თითქოს წვიმა მხოლოდ ამ სახურავს უმიზნებდა. მის წვეთებს სივრცეში გაშლის უნარი დაეკარგათ, ქალაქის ამ პატარა უბანში დაკარგულიყვნენ და, დაბნეულები, ჩვენს სახურავზე შეყოვნებულიყვნენ. წვიმის ხმაც, ჩემსავით, იმ პატარა სივრცეში არსებობდა, ტორშერის შუქს ღამის წყვდიადისთვის რომ გამოეგლიჯა.

თუკი ბუზი მარიკოს ასე ეტანებოდა... „ნუთუ უკვე ლპობა აქვს დაწყებული? – გავიფიქრე. – იქნებ მისი ურწმუნოებაც სწორედ ლპობის ნიშანია? ან იქნებ ბუზს ის იზიდავს, რომ მარიკო თავის განსაკუთრებულ სამყაროში მარტო ცხოვრობს?“ ამ კითხვებზე პასუხს ვერაფრით ვპოულობდი.

უეცრად მივხვდი, რომ ქალს მკვდარივით ჩასძინებოდა და ტორშერის შუქით მრგვლად განათებულ მკერდზე მოკალათებული ბუზიც არ იძროდა, თითქოს მისთვისაც დაერია ძილს ხელი.

***

მას შემდეგ „დიდ ჩანჩქერში“ აღარ წავსულვარ. იმ სახლში რა საქმეც მქონდა, ყველაფერი მოვითავე. ისღა დამრჩენოდა, დავლოდებოდი, წინამძღვარი როდის შეიტყობდა სწავლის გადასახადის შესახებ და მონასტრიდან გამაგდებდა.

თუმცა მე არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიმენიშნებინა, რომ ფული გავფლანგე. გამოტყდომა საჭირო არ იყო, მას ჩემი აღიარების გარეშე უნდა ეყონოსა, რომ ფული აღარ მქონდა.

მიჭირს ავხსნა, თუ რატომ ვენდობოდი უხუცესის ინტუიციას და გარკვეულწილად მოვითხოვდი კიდეც, რომ დამხმარებოდა. ნუთუ ჩემი ბოლო გადაწყვეტილების აღსრულებაც იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, გამაძევებდა თუ არა? მე ხომ დიდი ხნის წინ მივხვდი, რა უსუსურიც გახლდათ...

საროსკიპოში ჩემი მეორე წასვლიდან რამდენიმე დღეში უხუცესის ერთ განსაკუთრებულ თვისებაში დავრწმუნდი. დილით ადრე, ჯერ კიდევ მონასტრის ჭიშკრის გაღებამდე, ოქროს ტაძრის სიახლოვეს სასეირნოდ გამოვიდა, რაც მისთვის მეტად უჩვეულო იყო. ეზოს დალაგებაში გართულ ბერებს ორიოდე საქებარი სიტყვა გადმოუგდო და, ლაბადის თეთრი კალთების ფრიალით, სეკატეის ჩაის დარბაზისკენ მიმავალ ქვის კიბეებს აუყვა. ვიფიქრე, ალბათ ჩაის დასალევად და სიმშვიდეში განსამარტოებლად მიდის-მეთქი.

განთიადს უკვე ეტყობოდა მწველი მზის პირველი შემოტევა. ლურჯი ცის ძირში მზის მცხუნვარებისგან წითლად შეღებილი ღრუბლები ლივლივებდნენ – თითქოს სირცხვილის ალმური მოსდებიათო.

დალაგებას მოვრჩით თუ არა, ბერები პირდაპირ მონასტრის მთავარი შენობისკენ გაემართნენ, მე კი გადავწყვიტე, სეკატეის ჩაის დარბაზისთვის მომევლო და დიდი წიგნთსაცავის უკანა მხარეც დამელაგებინა.

ცოცხი ავიღე, ბამბუკის ჯოხებით შეღობილ ქვის კიბეებს ავუყევი და ჩაის დარბაზთან გავედი. ხეებს წვიმის სისველე შერჩენოდათ. ბუჩქების ნამიან ფოთლებზე, წყლის წვეთებში მზის სხივები ირეკლებოდა და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს მცენა-

რეებს დროზე ადრე გამოელოთ წითელი ნაყოფი. ობობის დაცვარული ქსელიც ალისფრად ლივლივებდა.

აღფრთოვანებით ვჭვრეტდი, როგორ ეფინებოდა ციური ფერი მიწიერ საგნებს. მონასტრის სიმწვანეში ჩამალული ნესტიც ხომ ზეციდან ნაბოძები საჩუქარი იყო. ყველაფერი თითქოს მაღლიდან გადმოსული წყალობით გაჟღენთილიყო – ჰაერში მიწიერი ლპობისა და ზეციური სიწმინდის შერეული სუნი ტრიალებდა. მიწიერ საგნებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, როგორ უნდა უარეყოთ ან ერთი, ან მეორე.

სეკატეის ჩაის დარბაზის გვერდით ჩრდილოეთის ვარსკვლავის კოშკია აღმართული, რომლის სახელიც ცნობილი შეგონებიდან მოდის: „ჩრდილოეთის ვარსკვლავი აქ სუფევს და სხვა ყველა, უთვალავი ვარსკვლავი მის გარშემო ბრუნავს“. თუმცა ეს უკვე ის კოშკი აღარ იყო, რომელიც თავის დროზე იოშიმიცუს ბრძანებით ააგეს. გასულ საუკუნეში გადააკეთეს და ჩაის დარბაზის შესაფერისი, მომრგვალებული ფორმა მისცეს. უხუცესი სწორედ ამ კოშკში უნდა ყოფილიყო, რადგან სეკატეის ჩაის დარბაზი ცარიელი ჩანდა.

მასთან პირისპირ შეხვედრა არ მინდოდა. ბუჩქების ღობის გასწვრივ, მალვით თუ გავივლი, იქიდან ვერ დამინახავს-მეთქი, გავიფიქრე. ასეც მოვიქეცი და ფეხაკრეფით გავიარე.

ჩრდილოეთის ვარსკვლავის კოშკის კარი ღია იყო. კედლის ნიშაში, ჩვეულებისამებრ, ოკიო მარუიამას მოხატული გრაგნილი ეკიდა. ნიშაში ასევე მოწყობილი იყო მინიატურული საკურთხეველი – ინდოეთიდან ჩამოტანილი სანდალოზის ხისგან გამოთლილი ნაკეთობა ასწლეულების მანძილზე მთლიანად გაშავებულიყო. მარცხნივ თუთის ხისგან რიკიუს სტილში გამოთლილი თაროები და მოხატული ფუსუმაც[19] მოჩანდა. უნებლიეთ ღობიდან თავი ამოვყავი და მიმოვიხედე.

ბნელ კუთხეში, სვეტთან, დიდი თეთრი ფუთის მსგავსი რაღაც შევნიშნე. კარგად დავაკვირდი და მივხვდი, რომ ეს **თეთრსამოსიანი** წინამძღვარი იყო. საცოდავად მოკრუნჩხულიყო, თავი მუხლებს შორის ჩაერგო და სახეზე ლაბადის გრძელი სახელოები აეფარებინა.

---

[19] გასაწევი თხელი კედელი.

არ მოძრაობდა. სულ ოდნავაც არ ინძრეოდა. ვუყურებდი და გრძნობები ტალღებად მაწყდებოდა. თავიდან ვიფიქრე, რომ რაღაც დაავადებამ დარია ხელი და ახლა იკრუნჩხებოდა. უნდა მივსულიყავი და დავხმარებოდი, მაგრამ რაღაც ძალამ ადგილზე გამაშეშა. ის ხომ ოდნავაც არ მიყვარდა და მზად ვიყავი, ოქროს ტაძარი მეორე დღესვე დამეწვა. მაშ, რატომ უნდა ვქცეულიყავი თვალთმაქცად? თან, დახმარების შემთხვევაში, წინამძღვრის მადლიერებასა და სიყვარულს თუ დავიმსახურებდი, ამას შეიძლება ჩემი გადაწყვეტილების სიმტკიცე შეესუსტებინა.

ცოტა კიდევ დავაკვირდი და დავასკვენი, რომ ავადმყოფობა არაფერ შუაში იყო. ზუსტად ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, თუმცა კი უხუცესი წამოგორებულ მხეცად მომეჩვენა, რომელსაც სიამაყისა და ღირსებისა აღარაფერი შერჩენოდა. დავინახე, რომ ლაბადის სახელოები ძლივს შესამჩნევად უთრთოდა, თითქოს რაღაც უჩინარი ტვირთი დასწოლოდა მხრებზე.

„ნეტავ რა აწვება ასეთი სიმძიმით? – ვფიქრობდი. – დარდი? თუ საკუთარი უსუსურობის აუტანელი განცდა?“

ყური ნელ-ნელა მიეჩვია იქაურობას და გავიგონე, რომ უხუცესი ჩუმად ბუტბუტებდა, თითქოს ლოცვას ამბობსო. მაგრამ ზუსტად ვერ გავარჩიე, რომელი სუტრა იყო. უცბად გავიფიქრე, მას ჩვენთვის უცნობი, ბნელით მოცული სულიერი სამყარო აქვს, რომელთან შედარებითაც ჩემი მცირე ბოროტება და სიზარმაზე ბანალური ცოდვებია, აღნიშვნადაც რომ არ ღირს-მეთქი. მომეჩვენა, თითქოს ეს ფიქრი ჩემს სიამაყეს შეურაცხყოფდა.

და მაშინ მივხვდი, რომ უხუცესი ზუსტად იმ პოზაში მოკრუნჩხულიყო, რომელსაც „ეზოში ლოდინი“ ეწოდება. ასე, ბარგზე თავჩამოდებულები ისხდნენ ხოლმე პილიგრიმი ბერები, რომლებსაც ტაძარში შესვლა ეკრძალებოდათ. ჭეშმარიტად გასაოცარი თავმდაბლობა ჰქონდა, თუკი ამ წოდებისა და პატივის მქონე მოძღვარი მოხეტიალე ბერის რიტუალს ბაძავდა. გაუგებარი იყო, ვის ან რის მიმართ ავლენდა ასეთ თავმდაბლობას. იქნებ ბალახზე, ხეების ფოთლებსა თუ ობობის ქსელებზე გაჩენილი ნამის წვეთებივით,

ამომავალი მზის მიმართ მოკრძალებას რომ გამოხატავენ, ბოროტების არმცოდნე უხუცესიც, საკუთარი თავმდაბლობით, პირველი ცოდვის სიმძიმეს განადიდებდა, რომელიც მის სხეულს აწვებოდა და მძინარე მხეცივით აკრავდა მიწას?

„ჩემს დასანახად აკეთებს!“ – უეცრად გავიფიქრე. უთუოდ ასეა. იცოდა, რომ აქ გავივლიდი და ახლა ჩემთვის აწყობს ამ წარმოდგენას. უხუცესმა გააცნობიერა თავისი უსუსურობა და გაუგონარი ცინიზმით სავსე ხერხი მოიგონა, რომ გული მომიკლას, ჩემი თანგრძნობა გამოიწვიოს და მაიძულოს, პატიების სათხოვნელად დაჩოქილი ვეახლო!

თუმცა უნდა ვაღიარო, რომ სანამ მის ასეთ დამამცირებელ კრუნჩხვას ვაკვირდებოდი, გულში აღფრთოვანების განცდაც შემომეპარა. მთელი ძალით ვცდილობდი, ამ გრძნობას წინ აღვდგომოდი, მაგრამ უკვე ნამდვილად იმ ზღვარზე ვიდექი, რომლის იქითაც უხუცესის სიყვარული დამიმორჩილებდა. „ჩემს დასანახად აკეთებს!“ – ამ ფიქრის წყალობით, ყველა განცდამ ფერი იცვალა და გადაწყვეტილება კიდევ უფრო განმიმტკიცდა.

სწორედ ამ წამს გადავწყვიტე, რომ აღარ დაველოდებოდი, როდის გამაძევებდა უხუცესი მონასტრიდან, ისე აღვასრულებდი ჩემს განზრახვას. ამ დღიდან მე და ის სხვადასხვა სამყაროში მცხოვრებ უცნობებად ვიქეცით, რომლებსაც ერთმანეთთან არაფერი აკავშირებდათ და ერთმანეთზე გავლენას ვერ მოახდენდნენ... აღარ იყო საჭირო უცხო ძალაზე მინდობა ან რაიმეს მოლოდინი, მე თვითონ უნდა მიმეღო გადაწყვეტილება და დამენთო ცეცხლი.

ცაში ღრუბლებმა იმატა და განთიადის წითელი ფერი გაიცრიცა. მზის მაცოცხლებელმა სხივებმა ჩრდილოეთის ვარსკვლავის კოშკის ვერანდიდან უკან დაიხიეს. უხუცესი ისევ ისე მოკრუნჩხული იყო. მე სწრაფად გავეცალე იქაურობას.

***

ოცდახუთ ივნისს კორეაში მღელვარება დაიწყო. სამყარო ნამდვილად დაცემისა და განადგურებისკენ მიექანებოდა. უნდა მეჩქარა!

# თავი 10

მეხუთე უბანში ჩემი ვიზიტის მეორე დღესვე ექსპერიმენტის ჩატარება გადავწყვიტე და ოქროს ტაძრის ჩრდილოეთის კარს დაახლოებით ექვსსანტიმეტრიანი ორი ლურსმანი ამოვაძვრე.

ტაძრის პირველ სართულს – წყლით განწმენდის დარბაზს დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან თითო ორკარიანი შესასვლელი ჰქონდა. მოხუცი ექსკურსიამძღოლი ღამღამობით დასავლეთის კარებს შიგნიდან ურდულით კეტავდა, ხოლო აღმოსავლეთისას გარედან ბოქლომს ადებდა ხოლმე. თუმცა მე ვიცოდი ხერხი, როგორ უნდა შევმძვრალიყავი შიგნით, გასაღების გარეშე. აღმოსავლეთ შესასვლელიდან ჩრდილოეთისკენ – სწორედ იქ, სადაც ტაძრის მაკეტი იდგა – კიდევ ერთი კარი იყო გაჭრილი, რომელსაც უკვე დიდი ხანი იყო, აღარ იყენებდნენ. ფიცრები გამომპალიყო და ანჯამებიდან ექვსიოდე ლურსმანს თუ გამოვაძრობდი, კარი ჩარჩოდან ადვილად ამოვარდებოდა. ლურსმნებიც იმდენად მორყეულიყვნენ, რომ თითებითაც თავისუფლად ამოვიღებდი. საცდელად ორი ლურსმანი ამოვაძვრე, ქაღალდში გავახვიე და მაგიდის უჯრაში ღრმად შევინახე. გავიდა რამდენიმე დღე, მაგრამ ვერავინ ვერაფერი შენიშნა. ერთი კვირის შემდეგაც ვერაფერი შეამჩნიეს. ოცდარვაში, ღამით, ლურსმნები ისევ უკან შევარჭვე.

მას მერე, რაც უსუსურად მოკუნტული უხუცესი ვნახე და გადავწყვიტე, რომ ამიერიდან მხოლოდ საკუთარ ძალას დავეყრდნობოდი, აღარ დამიხანებია და იმ დღესვე იმადეგავის რაიონში, ნიშიჯინის პოლიციასთან ახლოს, აფთიაქში დარიშხნის საყიდლად გავემართე. თავიდან აფთიაქარმა ოცდაათი ტაბლეტი გადმომიღო, მაგრამ ეს დოზა ჩემთვის საკმარისი არ იქნებოდა და დაახლოებით ასტაბლეტიანი დიდი ბოთლი შევიძინე. იქვე ახლოს, რკინეულობის მაღაზიაში, ოთხმოცდაათ იენად თორმეტსანტიმეტრიანი დასაკეცი დანაც ვიყიდე, თავისი ქარქაშით.

ამ მისვლა-მოსვლაში რამდენჯერმე პოლიციის შენობას ჩავუარე. ფანჯრებიდან შუქი გამოდიოდა და დავინახე, როგორ შევიდა განყოფილებაში ერთ-ერთი პოლიციელი, გაღეღილი პერანგითა და ხელში ჩანთით. ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია. ბოლო ოცი წელი იყო, არავინ მაქცევდა ყურადღებას და ახლა, ასეთ გადამწყვეტ დროსაც კი, არაფერი იცვლებოდა. ახლაც არავინ მანიჭებდა მნიშვნელობას. ჯერჯერობით მეც ერთ-ერთი ვიყავი იმ მილიონობით ადამიანს შორის, ამ ქვეყნის ყველაზე შეუმჩნეველ, უსახურ ნაწილს რომ შეადგენენ. სამყაროს არ ადარდებს, ეს ადამიანები იცოცხლებენ თუ მოკვდებიან, მაგრამ მათში არის რაღაც, რაც სიმშვიდის განცდას გვანიჭებს. პოლიციელმაც ამიტომ ჩამიარა მშვიდად და ერთხელაც არ გამოუხედავს ჩემკენ. შენობაზე ფარნით განათებული, ვერტიკალური წარწერა ეკიდა – „ნიშიჯინის პოლიციის განყოფილება“. ერთი იეროგლიფი ჩამოვარდნილიყო და მის ადგილას ცარიელ კედელზე ნათურის მკრთალი, წითელი შუქი ირეკლებოდა.

უკანა გზაზე იმ საღამოს შეძენილ ნივთებზე ვფიქრობდი. ეს ნივთები სულს მიფორიაქებდნენ და მოსვენებას მიკარგავდნენ.

მართალია, დანა და დარიშხანი იმ შემთხვევისთვის მჭირდებოდა, თუ სიკვდილს გადავწყვეტდი, მაგრამ მაინც ისე მიხაროდა, როგორც ახლად დაქორწინებულ ყმაწვილს, რომელიც ოჯახის მომავალს გეგმავს და სახლისთვის ახალ ნივთებს ყიდულობს. მონასტერში დაბრუნების შემდეგაც ამ ორ ნივთს თვალს ვერ ვაცილებდი. დანა ქარქაში-

დან ამოვიღე და მისი ბასრი პირი გავლოკე. ლითონი მყისვე დაიორთქლა, ხოლო ენის წვერზე, სიცივის მკაფიო შეგრძნებასთან ერთად, შორეული სიტკბოების განცდაც დამრჩა. სიტკბო ჩემს ენას დანის თხელი პირის წიაღიდან, მისი ლითონის შეუღწეველი არსიდან გადმოეცემოდა. ეს მკვეთრად გამოკვეთილი ფორმა, ზღვასავით ღრმა, ლურჯი, რკინისფერი... ამ ყველაფერს ცივი და მკაფიო სიტკბო დაჰყვებოდა, რომელიც ენის წვერზე მომდგარ ნერწყვს შეერია. სიტკბოების განცდა თანდათან მინავლდა და დამრჩა სასიამოვნო ფიქრი, რომ ოდესმე ჩემი ხორცი ამ მათრობელა შეგრძნებებს ხარბად შეხვრეპდა. სიკვდილის ბნელი ცა ისე ნათლად მომეჩვენა, როგორც სიცოცხლის ზეცა. შავბნელმა ფიქრებმა დამტოვეს და ვირწმუნე, რომ ამქვეყნად დარდი და ტკივილი აღარ არსებობდა.

ომის მერე ოქროს ტაძარზე უახლესი ხანძარსაწინააღმდეგო განგაშის მოწყობილობა დაამონტაჟეს. შენობის შიდა ნაწილში ჰაერი გარკვეულ ტემპერატურას თუ მიაღწევდა, როკუონჯის მონასტრის დერფანში განგაშის ზარს უნდა დაერეკა. მაგრამ ოცდაცხრა ივნისს შემთხვევით გაირკვა, რომ სისტემა დაზიანებული იყო. დაზიანება მოხუცმა ექსკურსიამძღოლმა აღმოაჩინა. მე სამზარეულოში გავიგონე, როგორ ჰყვებოდა მოხუცი ამ აღმოჩენის შესახებ. მომეჩვენა, თითქოს თავად ზეცამ მომცა ნიშანი, რომ სანუკვარი საქციელი ჩამედინა.

მეორე დილას მამასახლისმა მწარმოებელთან დარეკა და მოწყობილობის შეკეთება სთხოვა. კეთილმა ექსკურსიამძღოლმა განგებ მომძებნა, რომ ეს ამბავი ეხარებინა. ტუჩზე ვიკბინე – რა საოცარი შესაძლებლობა გავუშვი ხელიდან! მომეცემოდა კი მეორედ ასეთი შანსი?

საღამოს ხელოსანი მოვიდა. ჩვენ დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალ-ყურს მის მუშაობას. მაგრამ რემონტი დიდხანს გაიწელა. ხელოსანი ვერაფერში გარკვეულიყო, ხშირ-ხშირად იჩეჩდა მხრებს და ცნობისმოყვარეთა ჯგუფიც თანდათან თხელდებოდა. ბოლოს მეც გავეცალე. ისღა დამრჩენოდა, დავლოდებოდი, როდის დასრულდებოდა შეკეთება და გაისმოდა საცდელი განგაშის გამყი-

ნავი ხმა, მონასტრის ყველა კუნჭულში რომ შეაღწევდა, ჩემთვის კი სასოწარკვეთისა და უიმედობის ზარად გაისმოდა... და მეც ველოდი. ღამის სიბნელემ ტაძარი ისე დაფარა, როგორც ზღვის მოქცევა ნთქავს ნაპირს. ხელოსანმა პატარა ფანრის დახმარებით გააგრძელა საქმიანობა. ზარი არა და არ რეკდა. ბოლოს ხელოსანმა ხელი ჩაიქნია – თქვა, ხვალ მოვალო, და წავიდა.

პირველ ივლისს პირობა გატეხა და არ მოვიდა. თუმცა მონასტერში არავინ შეწუხებულა – ვერ ხედავდნენ მიზეზს, რომ შეკეთება დაეჩქარებინათ.

ოცდაათი ივნისის საღამოს ისევ წავედი იმადეგავის რაიონში საყიდლებზე. ამჯერად ფუნთუშები და ტკბილი ლობიოს გულიანი ვაფლი ვიყიდე. მონასტერში საჭმელს მხოლოდ დადგენილ საათებში ვიღებდით, ამიტომ შუალედებში, როცა ვახერხებდი, ჩემი ღარიბული დანაზოგით აქ სასუსნავს ვყიდულობდი ხოლმე. თუმცა ტკბილეული, რომელიც იმ დღეს ვიყიდე, შიმშილის მოსაკლავად არ მინდოდა. არც ფუნთუშების დარიშხნით გატენას და ჭამას ვაპირებდი. თუ მაინცდამაინც უნდა ავხსნა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ შინაგანმა შფოთვამ მაიძულა საყიდლებზე გასვლა.

მიმართება ჩემსა და იმ ქაღალდის ფუთას შორის, ხელში რომ მეჭირა... მიმართება ამ გამომხმარ ფუნთუშებსა და ერთადერთ განზრახვას შორის, სულ მალე რომ ავისრულებდი... ვცდილობდი, როგორმე კავშირი დამენახა მათ შორის. ღრუბლებში გამოჟონილი მზის სხივები ქალაქის ქუჩებში ნესტიანი, ცხელი ნისლივით ჩამდგარიყვნენ. ოფლის ჩუმმა წვეთებმა ზურგი ცივ ზოლებად დამისერა. საშინელმა მოთენთილობამ დამრია ხელი.

მე და ფუნთუშები. ნეტავ რა კავშირი შეიძლება იყოს ჩვენ შორის? მეჩვენებოდა, რომ რაც უნდა მხნედ ყოფილიყო ჩემი სული, ეულად დარჩენილი სტომაქი მაინც მომთხოვდა გარანტიას, რომ სიმარტოვეს არ დავურღვევდი. ჩემი შიგნეული ქუჩის ბინძურ ძაღლს მაგონებდა, რომლის მოთვინიერებაც შეუძლებელია. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა სიმაღლეებს ესწრაფოდა ჩემი სული, ჩემი კუჭი და ნაწლავები – ეს უგრძნობი, ყრუ ორგანოები მაინც

ნელთბილ ყოველდღიურობაზე იოცნებებდნენ, და მე ეს ძალიან კარგად ვიცოდი.

ვიცოდი, რომ ჩემს კუჭს ფუნთუშები და ტკბილი ლობიოს გულიანი ვაფლი ენატრებოდა. მაშინაც კი, როცა ჩემი სული ძვირფასი ქვების ბრწყინვალებაზე ოცნებობდა, ჩემი კუჭ-ნაწლავი ჯიუტად განაგრძობდა ტკბილ ცომეულზე ბოდვას... ოდესმე ეს ფუნთუშეული კარგ ხელჩასაჭიდს შესთავაზებს მათ, ვინც ჩემი დანაშაულის არსში ჩაწვდომისათვის იმთავითვე განწირულ მცდელობებს არ დაიშურებენ. ალბათ იტყვიან: „მას ხომ შიოდა. მაინც რაოდენ ადამიანურია ეს ყველაფერი!“

***

და აი, ეს დღეც დადგა – შოვას ეპოქის ოცდამეხუთე წლის პირველი ივლისი. ზემოთაც დავწერე, რომ ხანძარსაწინააღმდეგო განგაშის მოწყობილობის შეკეთებას პირი არ უჩანდა. საღამოს ექვსი საათისთვის ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი. მოხუცმა ექსკურსიამძღოლმა კიდევ ერთხელ დაურეკა ხელოსანს, მაგრამ იმან მოუცლელობისთვის მოუბოდიშა და დაჰპირდა, რომ მეორე დღეს აუცილებლად მოვიდოდა.

დღის განმავლობაში ოქროს ტაძარი ასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა. ამ დროისთვის კი ხალხის ნაკადი უკვე შემცირებულიყო, რადგან შვიდის ნახევარზე მონასტერი იკეტებოდა ხოლმე. სამუშაო დღე მთავრდებოდა და ხელოსანთან ტელეფონზე საუბრის შემდეგ ფიქრებში გართული მოხუცი ექსკურსიამძღოლი უშფოთველად გასცქეროდა სამზარეულოს აღმოსავლეთით გაშენებულ ბაღჩას.

წვიმა გულის გამაწვრილებლად ცრიდა. დილიდან რამდენჯერმე შეწყდა და ისევ დაიწყო. მსუბუქი ნიავი ქროდა და დახუთულობის შეგრძნებას აქარწყლებდა. ბაღჩაში გოგრის ყვავილის ფურცლები წვიმისგან ილუმპებოდნენ. მზრუნველი ხელით გაწკრიალებულ შავმიწა კვლებში ერთი თვის წინ დათესილ სოიას უკვე კვირტი გამოეტანა.

მოხუცს ერთი ჩვევა ჰქონდა: ფიქრებში წასული, ყბას ამოძრავებდა და ამ დროს კბილის უხარისხო პროთეზი ტკაცატკუცს ატეხდა ხოლმე. დამთვალიერებლებს ყოველდღე ერთსა და იმავე ამბავს უყვებოდა, მაგრამ, მორყეული პროთეზის გამო, მისი ჩლიფინის გარჩევა სულ უფრო რთული ხდებოდა. რჩევებს ყურს არ უგდებდა და, ბებრული სიჯიუტით, ექიმთან მისვლაზე უარს ამბობდა. ახლა კი ბაღჩას გასცქეროდა და რაღაცას ჩურჩულებდა. ჩაიჩურჩულებდა და მერე ისევ პროთეზს აატკაცუნებდა, ტკაცუნს შეწყვეტდა და ისევ აჩურჩულდებოდა. ალბათ იმაზე ბუზღუნებდა, რომ ხანძარსაწინააღმდეგო განგაშის მოწყობილობის შეკეთებას ვერა და ვერ დაადგა საშველი.

მისი ბუზღუნიდან სიტყვაც არ მესმოდა, მაგრამ მომეჩვენა, თითქოს ამბობდა, რომ ველარც ხანძარსაწინააღმდეგო განგაშის მოწყობილობას და ველარც მის პროთეზს... ახლა რაიმეს შეკეთება უკვე გვიანი იყო.

ღამით მონასტერს იშვიათი სტუმარი ეწვია – უხუცესის ძველი მეგობარი, წინამძღვარი ძენკაი-კუვაი-ოშიო, რომელიც ფუკუის პრეფექტურაში რიუჰოჯის მონასტერს ხელმძღვანელობდა. მონასტრის სასწავლებელში ის უხუცესთან და მამაჩემთან მეგობრობდა.

მისი მობრძანებისთანავე უხუცესს ტელეფონით დაურეკეს. როგორც ყოველთვის, სადღაც გასულიყო – დაახლოებით ერთ საათში დაბრუნდებოდა. ძენკაი-ოშიო კი სამი დღით დარჩენას აპირებდა.

გამახსენდა, რა სიამოვნებით ჰყვებოდა ხოლმე მამაჩემი ძენკაი-ოშიოს ამბებს – ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებდა. მისი ჭეშმარიტად მკაცრი, ვაჟკაცური გარეგნობა და ხასიათი ბუდისტი ბერის კლასიკურ იერს მაგონებდა. ასე, ექვსი შაკუს სიმაღლის, შავგვრემანი, ხშირწარბიანი, ბრგე კაცის ბოხი ხმა მთელ მონასტერში ჭექა-ქუხილივით **გრგვინავდა.**

ერთ-ერთი მორჩილი მოვიდა და გადმომცა, რომ სტუმარს უხუცესის დაბრუნებამდე ჩემთან საუბარი უნდოდა. შევყოყმანდი. ვშიშობდი, რომ ძენკაი-ოშიო, თავისი უმწიკვლო, ნათელი მზერით, ჩემს თვალებში მზაკვრულ ჩანაფიქრს ამოიკითხავდა.

ის სტუმართა დარბაზში ფეხმორთხმით იჯდა და მამასახლისის მორთმეულ საკესა და სამარხო მისაყოლებელს შეექცეოდა. მორჩილი, რომელიც სტუმარს ემსახურებოდა, მე შევცვალე, მაგიდასთან ჩავიჩოქე და ჭიქაში საკე დავუსხი. ეზოში დასადგურებული წვიმიანი უკუნეთისკენ ზურგით ვიჯექი. ასე რომ, მას სხვა არაფერი დარჩენოდა – ჩემი სახისა და ჩემ უკან გამეფებული ღამის – ამ ორმაგი წყვდიადისთვის უნდა ეყურებინა.

თუმცა ძენკაი-ოშიო ისეთი ადამიანი იყო, რომელსაც ადვილად ვერაფერი ერევა. პირველად მხედავდა, მაგრამ გულიდან ამოსული სიტყვებით მესაუბრებოდა. მითხრა, რომ მამას ძალიან ვგავდი და უხაროდა, გაზრდილს რომ მხედავდა; და რომ მამაჩემის სიკვდილი მისთვის ჭეშმარიტად გულდასაწყვეტი ამბავი იყო.

მასში ის საოცარი უბრალოება იგრძნობოდა, ჩვენს წინამძღვარს ასე რომ აკლდა, და ძალა, რომელიც მამაჩემს ასე არ ჰყოფნიდა. მისი მზით გარუჯული კანი, ფართო ნესტოები და ღრმად ჩამჯდარ თვალებზე გადმოფარებული ხშირი წარბები ობეშიმის ნიღაბს მაგონებდა, რომლითაც ნოს თეატრში ბრაზიან ღმერთებს ასახიერებენ. მაინცდამაინც დალაგებული სახის ნაკვთები არ ჰქონდა. თითქოს მოჭარბებულ შინაგან ძალას გარეთ გამოეხეთქა და სახის წყობა აერ-დაერია. მისი წაწვეტებული ყვრიმალები იმ კლდეებს მაგონებდნენ, სამხრეთის სკოლის ნახატებზე რომ გვხვდება ხოლმე.

ძენკაი-ოშიოს ამგვარ გარეგნობასა და ბოხ ხმაში უცნაური სიკეთე გამოსჭვიოდა, რომელმაც უმალვე იპოვა გამოძახილი ჩემს გულში. თუმცა ეს ჩვეულებრივი მიწიერი სიკეთე არ იყო. მის სიკეთეს ხორკლიანი, უხეში ზედაპირი ჰქონდა – იმ ტლანქ ფესვებს მაგონებდა, სოფლის განაპირას, უზარმაზარ ხეს რომ ასაზრდოებენ, რათა ამ უკანასკნელმა სიცხისგან გათანგულ მგზავრს მოსასვენებელი ჩრდილი არ მოაკლოს. რაც უფრო მეტს ვესაუბრებოდი, მით უფრო მიძლიერდებოდა შიში, რომ მის ყოვლისმომცველ სიკეთესთან შეხება ჩემს იმღამინდელ გადაწყვეტილებას შეასუსტებდა. ისიც კი ვიფიქრე, რომ უხუცესმა მეგობარი განგებ მოიწვია ჩემს შესაჩერებლად, თუმცა ვხვდებოდი, რომ ძენკაი-ოშიო ჩემი გულის-

თვის ფუკუის პრეფექტურიდან ამხელა გზას არ გამოივლიდა. ის უბრალო სტუმარი იყო, რომელსაც ბედმა არგუნა, უდიდესი კატასტროფის მოწმე გამხდარიყო.

თითქმის ორი გოს[20] სიდიდის საკეს დოქი უკვე გამოეცალა. ამიტომ თავი დავუკარი და ახლის მოსატანად სამზარეულოში გავედი. როდესაც შემთბარი დოქით ხელში უკან მოვბრუნდი, უცნობი განცდა დამებადა. არასოდეს ვესწრაფოდი, რომ გარშემომყოფებს ჩემი გაეგოთ, მაგრამ იმ წამებში დაუოკებელმა სურვილმა შემიპყრო, ძენკაი-ოშიომდე, და მხოლოდ ძენკაი-ოშიომდე, მიმეტანა ჩემი გულისნადები. როცა სტუმარს საკეს ვუსხამდი, ჩემი თვალები უკვე გულწრფელობით ბრწყინავდნენ. ეს ცვლილება მასაც არ უნდა დარჩენოდა შეუმჩნეველი.

– რას ფიქრობთ ჩემზე? – ვკითხე.

– ჰმ... სერიოზულ, ბეჯით ყმაწვილს ჰგავხარ. შეიძლება ყველასგან ფარულად გართობასაც არ იკლებ ხოლმე. არ ვიცი, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა ალბათ გასართობი ფული არც გაქვთ. ეჰ, ადრე კარგი დრო იყო. მახსოვს, ახალგაზრდობაში როგორ ვცულლუტობდით ხოლმე მამაშენი, მე და თქვენი წინამძღვარი.

– მართლა ჩვეულებრივ სტუდენტს ვგავარ?

– ჩვეულებრიობაში არაფერია ცუდი. ჩვეულებრივი იყავი და გარშემომყოფებიც უფრო კეთილად განეწყობიან შენ მიმართ.

ძენკაი-ოშიოს სული მოკლებული იყო პატივმოყვარეობას. მაღალი წოდების ბერებს ხშირად სთხოვენ აზრის გამოთქმას სხვადასხვა საკითხზე, დაწყებული ადამიანთა ბუნებით და დამთავრებული ანტიკვარიატით. ამიტომ ისინი პირდაპირ მსჯელობას ხშირად თავს არიდებენ, რათა, მცდარი პასუხის შემთხვევაში, სხვებმა არ დასცინონ. რა თქმა უნდა, რაიმე ძენ-ბუდისტურ შეგონებას უმალვე მოიშველიებენ ხოლმე, მაგრამ, **როგორც წესი, ისეთ** ორჭოფულ პასუხს იძლევიან, რომლის გაგება ისეც შეიძლება და ასეც. ძენკაი-ოშიო კი მათგან განსხვავდებოდა. მივხვდი, რომ ყო-

[20] დაახლოებით 0.18 ლიტრი.

ველთვის იმას ამბობდა, რასაც გრძნობდა და ხედავდა. უბრალო, სუფთა და ძლიერ თვალებში არეკლილი ნივთებისა თუ მოვლენებისგან რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ მოითხოვდა – თუ მნიშვნელობა ექნებოდათ, ხომ კარგი, თუ არა და, არც ეგ აწუხებდა. ყველაზე მეტად კი აღმაფრთოვანა მისმა თვისებამ, შეეხედა ყველაფრისთვის და ყველასთვის (მაგალითად, ჩემთვის) არა თავისი განსაკუთრებული თვალით, არამედ ისე, როგორც ყველა დანარჩენი შეხედავდა. მისთვის სუბიექტურ სამყაროს აზრი არ ჰქონდა. მივხვდი, რისი თქმაც უნდოდა ჩემთვის და სული დამიწყნარდა. სანამდე სხვების თვალში ჩვეულებრივ სტუდენტად ვრჩებოდი, მანამდე ვიქნებოდი ჩვეულებრივი და როგორი უცნაური საქციელიც უნდა ჩამედინა, ჩემი ჩვეულებრიობა მაინც საცერში გატარებული ბრინჯის მარცვალივით დარჩებოდა.

უეცრად საკუთარი თავი სტუმრის თვალწინ ამოზრდილ პატარა ხედ წარმოვიდგინე.

– ესე იგი, საკმარისია, ისე ვიცხოვრო, როგორც ხალხი მოელის ჩემგან და ყველაფრი კარგად იქნება? – ვკითხე.

– არც ისე მარტივია ეგრე ცხოვრება, – მიპასუხა ძენკაიოშიომ, – მაგრამ რაიმე უცნაურიც რომ ჩაიდინო, ხალხი ცოტა ხანში ისევ ჩვეულებრივად აღგიქვამს. ადამიანებს მოკლე მახსოვრობა აქვთ.

– ნეტავ რომელი უფრო მდგრადი და ხანგრძლივია: ისეთი „მე“, როგორსაც ხალხის თვალი ხედავს თუ ისეთი, როგორიც თავად წარმომიდგენია?

– არც ერთს უწერია დიდი დღე და არც – მეორეს. რაც უნდა ეცადო, რომელიმეს ცხოვრება გაუხანგრძლივო, ადრე თუ გვიან, ყველაფერი დასრულდება. სანამ ორთქლმავალი მიქრის, მგზავრები სხედან, ხოლო როცა ორთქლმავალი ჩერდება, მგზავრების ჯერი დგება, რომ ამოძრავდნენ. მოძრაობასაც და დასვენებასაც – ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. ამბობენ, სიკვდილი ბოლო დასვენებააო, მაგრამ განა ვინმემ იცის, ეს როდემდე გრძელდება?

– გევედრებით, ჩემს ზრახვებს ფარდა ახადეთ, – როგორც იქნა, ამოვღერღე. – მე ისეთი ადამიანი არ ვარ, როგორიც თქვენ გგონიათ. გთხოვთ, უფრო ღრმად ჩაიხედეთ ჩემს სულში.

ძენკაი-ოშიომ საკეს ჭიქა გამოცალა და ჯიქურ შემომხედა. თავზე მძიმე დუმილი დამაწვა, წვიმისგან გალუმპული, უზარმაზარი, შავი კრამიტის სახურავივით, ჩვენს მონასტერს რომ ადგა. ტანში გამცრა. მოულოდნელად ძენკაი-ოშიომ მხიარულად გადაიხარხარა:

– არც არაფერი გაქვს ისეთი, ფარდის ახდა რომ სჭირდებოდეს. ყველაფერი ისედაც შუბლზე გაწერია.

ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს უკლებლივ ყველა ჩემი ფიქრი გაიგეს. პირველად ცხოვრებაში, ჩემი სული სუფთა, ცარიელ ფურცელს ჰგავდა. და ამ ახლად წარმოქმნილ სიცარიელეში ახლებური ძალით დამატყდა თავს გამბედაობისა და ვაჟკაცობის ნაკადი, ჩემი განზრახვის აღსასრულებლად რომ მჭირდებოდა.

ამასობაში უხუცესიც დაბრუნდა. საღამოს ცხრა საათი იყო. როგორც ყოველთვის, გუშაგთა ოთხკაციანი ჯგუფი შემოვლაზე გავიდა. არაფერი საეჭვო ან უჩვეულო არ შეუმჩნევიათ.

ჩვენი წინამძღვარი და ძენკაი-ოშიო გვიანობამდე შეყვნენ საკეს სმას და, საბოლოოდ, ერთ-ერთ მორჩილს ღამის პირველის ნახევარზე მოუწია სტუმრის საძინებლამდე მიცილება. ამის მერე უხუცესმა „განბანვის ახსნა“ გამოაცხადა, როგორც ამას მონასტერში უწოდებენ, და აბანოში შევიდა. უკვე ორი ივნისი იყო. ღამის პირველ საათზე გუშაგმა ბოლო რიტუალი შეასრულა და მონასტერი სრულ სიწყნარეში ჩაეფლო. წვიმაც კი უხმოდ ცრიდა.

ტატამიზე გაშლილ ლეიბზე მარტო ვიჯექი და ველოდი, ღამის სიჩუმე მონასტერს სრულად როდის შთანთქავდა. ღამე ნელ-ნელა მუქდებოდა და მძიმდებოდა. ჩემი ვიწრო ოთახის ფართო ბოძები და ფიცრის კედლები ბებერ ღამეს მხარს აშველებდნენ და თან მისივე უკარება დიდებულებით იმოსებოდნენ.

რაღაცის თქმა დავაპირე, მაგრამ ჩემმა ენაბლუობამ სიტყვები პირშივე ჩამიტოვა. ბგერები, თითქოს ჩემს საწვალებლად, არა

და არ სწყდებოდნენ ტუჩებს – აი, ისე, ჩანთაში რაღაცას რომ ეძებ, ხელს აფათურებ, მაგრამ საჭირო ნივთს ვერაფრით ვერ პოულობ. ჩემი მძიმე და ბნელი შინაგანი სამყარო უძირო ღამეს ჰგავდა, სიტყვები კი, ღამის ჭიდან ამოქაჩული ძველი სათლივით, ჭრიალით ამომდიოდა. „ცოტაც და... – გავიფიქრე, – ცოტაც უნდა მოვითმინო და ჟანგმოკიდებული კლიტე, ჩემს შინაგან სამყაროსა და გარესამყაროს რომ ჰყოფს, მთელი ბრწყინვალებით გაიხსნება. სამყაროებს შორის ორპირი ქარი თავისუფლად იქროლებს. ჭიდან სათლი მსუბუქი რხევით ამოიწევა, ჩემ თვალწინ თვალუწვდენელი მდელო გადაიშლება და ის პატარა საიდუმლო ოთახიც განადგურდება... ამ ყველაფერს ისე ნათლად ვხედავ, თითქოს აქვე ხდებოდეს. უკვე ახლოს ვარ, სულ ცოტაც და ხელით მივწვდები...“

მთელი საათი სიბნელეში ვიჯექი, ბედნიერების შეგრძნებით სავსე. მომეჩვენა, რომ ასეთი ბედნიერება ცხოვრებაში არასოდეს განმეცადა... უეცრად წყვდიადს თავი დავაღწიე.

დიდი წიგნთსაცავის უკან ფეხაკრეფით გავედი, წინასწარ მომზადებული ჩალის სანდლები უჩუმრად ამოვიცვი და მონასტრის უკან, თხრილის გასწვრივ, ჩუმი ნაბიჯით სახელოსნოსკენ გავემართე. სახელოსნოდან ხის მასალა გაეტანათ, მაგრამ ჰაერში მიწაზე მიმოფანტული სველი ნახერხის სუნი ტრიალებდა. იქვე იყო დახვავებული ჩალაც, რომელსაც მონასტერი ხელსაქმისთვის ყიდულობდა ხოლმე. ზოგჯერ ორმოცი კონაც კი შეგვიძენია, მაგრამ ამჯერად გახარჯულიყო და სამი კონაღა დარჩენილიყო.

სამივე კონა ამოვიიღლიავე და ბაღჩის განაპირას გავედი. სამზარეულოდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. საკუჭნაოს კუთხეს რომ გავცდი და მამასახლისის საცხოვრისს გავუსწორდი, უეცრად მისი ფეხისალაგის ფანჯარაში შუქი აინთო. მყისვე ჩავიკუზე.

გავიგონე, როგორ ჩაახველა ვიღაცამ და მივხვდი, რომ ტუალეტში მამასახლისი იყო. როგორც იქნა, შარდის ნაკადის ხმაც გაისმა, მე კი ეს ორიოდე წუთი საუკუნედ მეჩვენა.

ვშიშობდი, ჩალის კონები არ დამსველებოდა და, მოკუნტულმა, მკერდქვეშ ამოვიდე. გვიმრის ბუჩქებში, ნიავი რომ მსუბუქად აშ-

რიალებდა, ტუალეტის სუნს დაებუდებინა, წვიმა კი ამ სიმყრალეს უმოწყალოდ ამძაფრებდა... შარდვის ხმა შეწყდა. გავიგონე, როგორ მიეჯახა მამასახლისი ფიცრის კედელს – როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძილ-ბურანში იყო. ფანჯარაში შუქი ჩაქრა. ჩალით ხელში, ისევ დიდი წიგნთსაცავის უკან გავედი.

მთელი ჩემი ავლადიდება ძველი, პატარა ჩემოდანი და დაწნული სკივრი იყო, რომელშიც წვრილმანებს ვინახავდი. ვაპირებდი, ეს ყველაფერი ცეცხლისთვის მიმეცა. საბუთები, ტანსაცმელი და სხვა რამეები წინასწარ მქონდა ჩალაგებული. მინდა, მკითხველმა შეაფასოს ჩემი წინდახედულება. საკიდის მაგვარი ნივთები, რომლებსაც გადატანისას შეიძლება ხმაური გამოეწვიათ, და ცეცხლგამძლე ნივთები, მაგალითად, საფერფლე, ჭიქა, სამელნე და ა. შ. ბალიშში შევჩურთე, ნაჭერი შემოვახვიე და ცალკე გადავდე. ჩემი ლეიბები და საბნები აუცილებლად უნდა დამეწვა, ამიტომ ეს ყველაფერი ნელ-ნელა დიდი წიგნთსაცავის უკან მოვაქუჩე. ამის მერე ოქროს ტაძრის ჩრდილოეთ კარების ჩამოსახსნელად გავემართე.

ლურსმნები გულგამომპალი ფიცრიდან ერთიმეორის მიყოლებით ისე თავისუფლად ამოვიდა, თითქოს სველი თიხიდან ამომეძრო. გადმოხრილ კარს მთელი ტანით შევეყუდე – ნახევრად დამპალი ხის გამობერილი ადგილი პირდაპირ სახეზე მომებჯინა და ლოყა გადამიხეხა. თუმცა კარი არც ისე მძიმე იყო, როგორც წარმომედგინა – ჩამოხსნილი, იქვე, მიწაზე დავაწვინე. ოქროს ტაძრიდან უკუნეთი შემომცქეროდა.

კარის ჭრილი იმხელა იყო, რომ ადამიანი გვერდულად ძლივს შეეტეოდა. ასანთი გავკარი და ტაძრის წყვდიადში შევაბიჯე. უეცრად ჩემ თვალწინ ვიღაცის სახე გაკრთა. წამიერად თავზარი დამეცა, მაგრამ უმალვე მივხვდი, რომ საკუთარ სახეს ვუყურებდი, რომელიც ოქროს ტაძრის მაკეტზე დაფარებულ შუშის ყუთში ირეკლებოდა.

ამის დრო და ადგილი არ იყო, მაგრამ ყუთში გამოკეტილმა მაკეტმა თვალი მომტაცა. გულდასმით დავაკვირდი. ასანთის შუქით განათებული მინიატურული ტაძრის უკან ჩრდილები კრთოდნენ,

კონსტრუქციის ფაქიზი დეტალები კი თითქოს შფოთავდნენ და შიშისგან ცახცახებდნენ. თუმცა ეს ყველაფერი მალევე უკუნეთმა ჩაყლაპა – ასანთი ბოლომდე ჩაიწვა.

ვიცი, უცნაურია, მაგრამ მბჟუტავმა ნამწვმა მოსვენება არ მომცა – მიოშინჯის მონასტერში ნანახი სტუდენტივით, იატაკზე დავაგდე და ფეხით გავსრისე. ასანთის ახალ ღერს მოვუკიდე, სუტრების ექვსკუთხა საცავსა და სამი ბოდჰისატვის ქანდაკებას გვერდით ჩავუარე და შესაწირის სკივრის წინ გავჩერდი. ფულის ჩასაყრელ ჭრილებში ჩრდილები ტალღებად ათამაშდნენ. სკივრის უკან როკუონჯის ამშენებლის, იოშიმიცუ აშიკაგას ხის ქანდაკება იდგა, რომელიც ეროვნულ საგანძურად იყო მიჩნეული. ეს იყო მჯდომარე ფიგურა, გამოწყობილი კანონიკურ ბუდისტურ სამოსში, ფართოდ გაშლილი გრძელი სახელოებით. მარჯვენა ხელში მარცხნივ გადახრილი კვერთხი ეჭირა. დაჭყეტილი თვალები ჰქონდა, გადაპარსული თავი კი ლაბადაში ჩაფლულ კისერზე ედგა. მის თვალებში ასანთის შუქმა გაიბრწინა, მაგრამ ოდნავაც არ შემშინებია. პატარა ქანდაკება შემზარავი და ამავე დროს საცოდავი სანახავი იყო. ოდესღაც ძლიერი მბრძანებელი ახლა მისი აშენებული დიდებული ტაძრის კუთხეში დამჯდარიყო და არც მართვის თავი ჰქონდა, არც – მბრძანებლობის.

სათევზაო პავილიონში გამავალი დასავლეთის კარი გამოვაღე. როგორც ვთქვი, კარი შიგნიდან იღებოდა. წვიმიანი ღამის ცაც კი უფრო ნათელი იყო, ვიდრე ოქროს ტაძარში დაბუდებული წყვდიადი. კარის ჟანგიანმა ანჯამებმა შეთქმულებივით გაიჭრიალეს და ღამის ნიავის ლურჯი ნაკადი შემოუშვეს.

„იოშიმიცუს თვალები... მისი დაჭყეტილი თვალები... – ვფიქრობდი, სანამ დიდი წიგნთსაცავის უკანა გასასვლელისკენ მალულად მივაბიჯებდი, – ყველაფერი ხომ მის თვალწინ მოხდება... **დიდი** ხნის მკვდარი, მზერაწართმეული მოწმის თვალწინ...“

შარვლის ჯიბეში რაღაცა ხმას გამოსცემდა. ალბათ ასანთია-მეთქი, გავიფიქრე და გავჩერდი. ასანთის კოლოფში ყვავილის ფურცლები ჩავტენე და ხმა ჩავახშე. მეორე ჯიბე, რომელშიც

ცხვირსახოცში გახვეული დარიშხანის ბოთლი და დანა მედო, ხმას არ გამოსცემდა. სვიტერის ჯიბე, ფუნთუშას, ვაფლსა და სიგარეტს რომ მალავდა, იმთავითვე ჩუმად იყო.

ამის შემდეგ მექანიკურად ვმოქმედებდი. დიდი წიგნთსაცავის უკან დალაგებული ჩემი ბარგი ოქროს ტაძარში გადავიტანე და იოშიმიცუს წინ დავახვავე. სულ ოთხი გზა გავაკეთე. თავიდან კოლოებისგან დამცავი ბადე და ლეიბი წავიღე. ამას საბნები მივაყოლე. მერე ჩემოდანი და სკივრი, ბოლოს კი ჩალის კონები გადავიტანე. ეს ყველაფერი უწესრიგოდ დავყარე და შუაში, სადაც კოლოებისგან დამცავი ბადე მქონდა გაშლილი, ჩალა შევტენე – მეგონა, რომ ბადეც ადვილად უნდა აალებულიყო.

ბოლო გზაზე ის ფუთა წამოვიღე, რომელშიც რთულად დასაწვავი ნივთები მქონდა. ამჯერად ოქროს ტაძრის აღმოსავლეთით, ტბის ნაპირს მივადექი. აქედან პირდაპირ ვუყურებდი ქვის პატარა კუნძულს, იოჰაკუს რომ უწოდებენ. დაბალტანიანი ფიჭვები ძლივს მიფარავდნენ წვიმისგან.

წყლის ზედაპირი მკრთალად ირეკლავდა ბნელი ღამის ცას. ტბის ხშირი წყალმცენარეები ხმელეთის გაგრძელებას წააგავდა. მათ შორის, პატარ-პატარა სივრცეებში, წყლის გარჩევა შეიძლებოდა. წვიმის სუსტი წვეთები წყალს არც ეტყობოდა. დაბინდული, წყალბნელი ტბა თითქოს უკიდეგანოდ გაფართოებულიყო.

პატარა კენჭს დავწვდი და ტბაში ჩავაგდე. წყალმა ისეთი ხმა გამოსცა, მომეჩვენა, თითქოს ჩემ გარშემო ჰაერი გაიბზარა. მოვიკუნტე და გავიყურსე, თითქოს ვცდილობდი, უნებლიეთ გამოწვეული ხმა სიჩუმით ჩამეხშო.

წყალში ხელი ჩავყავი თუ არა, კანზე წყალმცენარეების უსიამოვნო შეხება ვიგრძენი. პირველ რიგში, საკიდი ჩავუშვი, მერე – საფერფლე, ბოლოს კი ჭიქასა და სამელნეს გამოვემშვიდობე. ბალიში და ფუთა ისევ გვერდით მედო. ორივე იოშიმიცუს ქანდაკებასთან გადავიტანე და ისღა დამრჩენოდა, ყველაფერი ცეცხლისთვის მიმეცა, რომ უეცრად საშინელი შიმშილი ვიგრძენი. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს სხეული მღალატობდა. ჯიბეში ჯერ

კიდევ მქონდა ფუნთუშები და ვაფლი. სველი ხელი სვიტერის სახელოზე შევიწმინდე და ხარბად მივაძეხი. ჩემი კუჭი გემოს არ დაგიდევდათ, ბოლო ხმაზე გაჰკიოდა და მეც ტკბილეულს ორივე ხელით ვიტენიდი პირში. გული აჩქარებით ფეთქავდა. როგორც იქნა, ყველაფერს მუცელში გადავუძახე და ტბის წყალს დავეწაფე.

ჩანაფიქრის აღსრულებამდე ერთი ნაბიჯიღა მქონდა დარჩენილი. ხანგრძლივი, მომქანცველი სამზადისი უკვე ჩავლილი იყო, ახლა კიდეზე ვიდექი და ისღა დამრჩენოდა, სხეული უფსკრულისათვის მიმენდო. ერთი ნაბიჯი, ხელის ერთი მოძრაობა და საწადელს მივაღწევდი! ვერც კი წარმომედგინა, რომ ჩემსა და ჩემს საქციელს შორის უზარმაზარ ნაპრალს დაეღო პირი, მთელ ჩემს ცხოვრებას ჩაყლაპვას რომ უქადდა. იმ წამს გადავწყვიტე, გამომშვიდობებისას ბოლოჯერ დავმტკბარიყავი ოქროს ტაძრის სილამაზით...

ტაძარს წვიმიანი ღამის უკუნეთში კონტური დაეკარგა. თითქოს მის ადგილას ღამის სიშავე შედედებულიყო. მზერა დავძაბე და ნელ-ნელა „მშვენიერების მწვერვალის“ წაწვეტებული სახურავი, მოქცევის ქვაბული და წყლით განწმენდის დარბაზის დახვეწილი სვეტები გამოიკვეთა, მაგრამ ის ფაქიზი დეტალები, ოდესღაც ასე რომ აღმაფრთოვანებდა, ერთფეროვან წყვდიადს შთაენთქა.

მაგრამ რაც უფრო მიძლიერდებოდა სილამაზის მოგონებები, მით უფრო მეტ ძალას იძენდა სიბნელე, თავისი სურვილისამებრ რომ ძერწავდა შავ ფონზე სილუეტებს. სიბნელის ამ მორევში ჩემი წარმოსახული სილამაზე იმალებოდა. მოგონებების ძალა სილამაზის ფაქიზ ნაკვთებს ღამის მარწუხებიდან გლეჯდა და შუქსა და ბრწყინვალებას მატებდა... ნათება ნელ-ნელა გაძლიერდა, ოქროს ტაძარს მწუხრის შუქივით დაადგა თავს და კონტური მკაფიოდ გამოუკვეთა. ტაძრის ყოველი კუნჭული ნათელს მოეცვა. ასეთი ბრწყინვალებით ის არასოდეს წარმომდგარიყო ჩემ წინაშე. შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს განსაკუთრებული ხედვის უნარი შევიძინე, რომელიც მხოლოდ ბრმებს შეიძლება ჰქონდეთ. საკუთარმა ბრწყინვალებამ ტაძარი თითქოს გამჭვირვალე გახადა და მოქცევის ქვაბულის ჭერზე გამოსახულ ციურ არსებებსა თუ „მშვენიერე-

ბის მწვერვალის“ კედელზე შემორჩენილ ოქროს ფურცლებს ჩემი მზერა თავისუფლად მისწვდა. შენობის ნატიფი ფასადი მის ინტერიერს შეერწყა, მაგრამ მე ერთი შეხედვით ვარჩევდი ტაძრის კონსტრუქციასა თუ ძირითადი ნაწილის გამჭვირვალე კონტურს, რთულ, განმეორებად დეტალებსა თუ დეკორაციებს, სიმეტრიასა თუ კონტრასტს. პირველი და მეორე სართულები ერთი ზომის იყო და, მიუხედავად მცირე განსხვავებებისა, ორივეს უზარმაზარი პაგოდის კალთები იცავდა. სართულები ტყუპების მიერ ნანახ მსგავს სიზმრებს ან ერთნაირად სასიამოვნო მოგონებებს ჰგავდნენ. ცალცალკე განწირულნი იყვნენ დავიწყებისთვის, ერთად კი შეეძლოთ ოცნება – სინამდვილედ, ხოლო სიამოვნება არქიტექტურად ექციათ. „მშვენიერების მწვერვალის“ წაწვეტებული ფორმა სინამდვილეს ამსხვრევდა და, დიდებული ბნელი ეპოქის ამაღლებული ფილოსოფიის საწყისებს ჩამწვდარი, ამავე ფილოსოფიას ემორჩილებოდა. შეფიცრულ სახურავზე ამაყად შემომდგარი, უკეთური ვნებებით სავსე ბრინჯაოს ფენიქსი კი, უკუნ ღამესთან პირისპირ დარჩენილიყო.

თუმცა, როგორც ჩანს, ხუროთმოძღვარს ესეც არ ეჩვენა საკმარისად და წყლით განწმენდის დარბაზს დასავლეთის მხარეს პატარა სათევზაო პავილიონი მიუშენა. თითქოს სილამაზის ყოველგვარი ძალა მოიხმო, რათა როგორმე დაემსხვრია მოსაწყენი წონასწორობა. პავილიონი თავად ამ არქიტექტურის მეტაფიზიკას ეწინააღმდეგებოდა. ნაგებობა სულ ოდნავ გადმოდიოდა ტბაზე, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ოქროს ტაძრის გულს სწყდებოდა და ცდილობდა, სადმე შორს გაქცეულიყო – იმ ფრინველად მეჩვენებოდა, რომელმაც ტაძრის კონსტრუქციას თავი დააღწია, ფრთები გაშალა, ტბის თავზე აფრინდა და ახლა მიწაზე დაშვებას ელტვოდა. ეს იყო სიმბოლო ხიდისა, სამყაროს განმსაზღვრელ წესრიგსა და უკიდეგანო სივრცეებს გრძნობებთან რომ აკავშირებდა. დიახ, ზუსტად ასე იყო! ოქროს ტაძრის სულმა აქ, ჩატეხილი ხიდის მსგავს ამ პავილიონში ჰპოვა დასაბამი, სამსართულიან კოშკად განსხეულდა და ისევ ამ ხიდიდან ჰპოვებ-

და თავისუფლებას. ტბის ზედაპირზე მოლივლივე გრძნობათა განუსაზღვრელი ძალა იმ ენერგიის სათავე იყო, რომელმაც თავად ტაძარი ააშენა, მაგრამ მას მერე, რაც ამ ძალამ სამსართულიან წესრიგში გამომწყვდეული სილამაზის ფორმა მიიღო, ასეთ არსებობას ველარ გაუძლო; სხვა აღარაფერი დარჩენოდა – სათევზაო პავილიონში უნდა გადასულიყო და იქიდან ისევ ტბის ზედაპირზე, გრძნობათა ამ უკიდეგანო ლივლივში – მშობლიურ სამყაროში გაქცეულიყო. მანამდეც, როცა სარკის ტბაზე გაწოლილ დილის ნისლს ან საღამოს ბურუსს ვუყურებდი, არაერთხელ მიფიქრია, რომ ეს იყო სასუფეველი იმ დიდებული და ყოვლისმომცველი ძალისა, ოქროს ტაძარი რომ ააგო.

სილამაზე ყველა მცირე დაპირისპირებას, ქიშპსა თუ უთანხმოებას ჰარმონიად აქცევდა. ის შენობის ყოველ კუთხეში გაბატონებულიყო! ოქროს ტაძრის არქიტექტურაც, ლურჯ ქაღალდზე ოქროსფერი საღებავით დაწერილი წმინდა სუტრების იეროგლიფების მსგავსად, უკუნი ღამის ფონზე ოქროსფერი შტრიხების დატანით იყო შექმნილი, მაგრამ მე უკვე ველარ ვიგებდი მისი სილამაზის არსს. სილამაზე თავად ტაძარი იყო, თუ მის გარშემო ჩამოწოლილი, ცარიელი ღამე? სილამაზე, ალბათ, ორივეს ერთად მოიცავდა – პატარა ნაწილიც იყო და მთლიანობაც, ოქროს ტაძარიც და მის გარშემო გამეფებული წყვდიადიც. ვფიქრობდი და მეჩვენებოდა, რომ თანდათან ვწვდებოდი სილამაზის ამოუხსნელ საიდუმლოს. თუ დავაკვირდებოდით ცალკეულ დეტალებს – ამ სვეტებს, მოაჯირებს, დარაბებს, სარკმლებსა თუ პაგოდის აზიდულ კალთებს, წყლით განწმენდის დარბაზს, მოქცევის ქვაბულს, „მშვენიერების მწვერვალსა“ და სათევზაო პავილიონს, ტაძრის ჩრდილებს, ტბაში მიმოფანტულ კუნძულებს, ტანდაბალ ფიჭვებსა და ნავის მისაბმელსაც კი, მაშინ მივხვდებოდით, რომ სილამაზე რომელიმე დეტალით არ მთავრდება და ვერც ერთი დეტალით აღწევს სრულყოფილებას – ყოველი მათგანი მომდევნო ნაწილის სილამაზეს წინასწარ ჭვრეტს. დეტალის სილამაზე, თავისთავად, შფოთვითაა სავსე – დღენიადაგ ოცნებობს სრულყოფილებაზე, მაგრამ არასო-

დეს შეუცნია იგი და მომდევნო დეტალის შეუცნობელი სილამაზის ხიბლით ვერ ისვენებს. ერთი დაპირება სილამაზისა მეორეს ებმება და არარსებული მაცდური ხიბლი ოქროს ტაძრის არსს აყალიბებს. თავად ეს დაპირება მხოლოდ და მხოლოდ სიცარიელეს მოასწავებს. სიცარიელე თავად ამ სილამაზის კონსტრუქციას წარმოადგენს. გამოდის, რომ დეტალის არასრულ სილამაზეში მომდევნო სიცარიელის დაპირებაა და ოქროს ტაძრის ხის ნატიფი კონსტრუქცია ისევე თრთის მომდევნო სიცარიელის მოლოდინში, როგორც ქარისგან ატაცებული ძვირფასი მძივი.

მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ოქროს ტაძრის სილამაზე არ ქრებოდა! მუდმივად რაღაცაში პოულობდა გამოძახილს და მეც მიჩვეული გახლდით ამ გამოძახილის განუწყვეტელ ჟღერადობას, სამუდამოდ სმენადაქვეითებული ავადმყოფივით, ყურებში დღენიადაგ გულისგამაწვრილებელი ზარის ხმა რომ უდგას. თუ სილამაზეს ხმას შევადარებთ, მაშინ თავად ტაძარი რკინის პატარა ეჟვანი ან მუსიკალური საკრავი – კოტო ყოფილა, რომელიც ხუთას წელზე მეტია, არ ჩუმდება. ეს ხმა თუ შეწყდა....

უეცრად საშინელმა დაღლილობამ დამრია ხელი.

ჩემი წარმოსახული ოქროს ტაძრის ლანდი, ღამეული ტაძრის ფონზე, ჯერ კიდევ მკაფიოდ ჩანდა. მისი ბრწყინვალება არა და არ იკლებდა. წყლით განწმენდის დარბაზის მოაჯირები მორჩილად იხევდნენ ნაპირისაკენ, ხოლო ტენჯიკუს სტილში აღმართულ სვეტებზე შემდგარი მოქცევის ქვაბულის ტერასა ამაყად ლივლივებდა ტბის თავზე. ტბის ანარეკლი, თავისი მოუსვენარი ციალით, პაგოდის კალთების ქვევიდან ანათებდა. სწორედ ეს წყალი იყო, მწუხრის მზის შუქსა და მთვარის სხივებს მისტიკურ ციალად რომ გარდაქმნიდა და ოქროს ტაძარს ფრთებს ასხამდა, მოძრაობის იდუმალ უნარს ანიჭებდა. წყლის ლივლივი ტაძრის გაყინულ ფორმას ალღობდა და მეჩვენებოდა, თითქოს მთელი შენობა წყლის, ქარისა და ცეცხლის მაგვარი მასალით იყო ნაშენები, მუდმივად რომ კრთოდა და ციალებდა.

ამ სილამაზეს ვერაფერი შეედრებოდა! ზუსტად ვიცოდი, სად იყო ჩემი აუტანელი დაღლილობის სათავე. სილამაზემ ბოლო ძალა

მოიკრიბა და ცდილობდა, ისევ ის უსუსურობის შეგრძნება მოეხვია თავზე, მანამდეც რომ არაერთხელ მიგრძნია. ხელ-ფეხი მომიდუნდა. სულ ერთი ნაბიჯიღა მქონდა დარჩენილი ჩემი განზრახვის აღსრულებამდე, მაგრამ ახლა სანუკვარი მიზნისაგან ისევ შორს ვიდექი.

– ამდენი ვიწვალე, ყველაფერი შევამზადე, – ჩავილაპარაკე, – ბოლო ნაბიჯი კი მთლიანად ოცნებას დამსგავსებია. მაშ, იქნებ არცაა საჭირო ამ ბოლო ნაბიჯის გადადგმა – მე ხომ ეს ოცნება სრულად გამოვცადე... იქნებ ამ ყველაფერს უკვე აზრი არც აქვს?.. ალბათ ქაშივაგი მართალი იყო, როცა თქვა, სამყაროს ცნობიერება ცვლის და არა – ქმედებაო. არსებობს ცნობიერება, რომელიც თითქმის ყველაფერში ქმედებას ბაძავს და, ალბათ, ჩემი ცნობიერებაც ამგვარია. ასეთ ცნობიერებას შეუძლია ნებისმიერი ქმედება დაჯაბნოს. იქნებ ეს ხანგრძლივი და საფუძვლიანი სამზადისი სწორედ იმის გასაცნობიერებლად მჭირდებოდა, რომ მოქმედება საჭირო არაა? განა ჩემთვის ამ ქმედების ჩადენა სრულიად ზედმეტი არ იქნება? ის ჩემი ცხოვრებისა და ნებისაგან მოწყვეტილად არსებობს – უცხო, ცივი, რკინის მექანიზმივით, რომელიც ჩემ თვალწინ დევს და ელოდება, როდის ავამუშავებ. საერთო მასთან არაფერი მაქვს: აქამდე ჩემს თავს ვეკუთვნოდი, მაგრამ რასაც ეს ქმედება მიმზადებს, იმას ჩემთან კავშირი აღარ აქვს... მაშ, რატომ უნდა ვაიძულო თავი, ვუღალატო საკუთარ „მეს“?

ფიჭვის ფესვებთან ჩავიკეცე და ზურგით ხეს მივეყრდენი. მხიბლავდა ხის ცივი და სველი ქერქი. მომეჩვენა, რომ ეს გამყინავი სიცივე თავად მე ვიყავი. თითქოს სამყაროც გაყინულიყო, ვნებები და სურვილები მასში ადგილს ვეღარ პოულობდნენ. ჩემს სხეულს ნელ-ნელა აბსოლუტური კმაყოფილების შეგრძნება დაეუფლა.

„ოჰ, რა საშინლად დავიღალე! – გავიფიქრე, – სიცხე მიწევს და მოთენთილობა მიპყრობს. ხელებიც კი აღარ ემორჩილებიან ჩემს ნება-სურვილს. ნამდვილად რაღაც უცნობმა სენმა დამრია ხელი“.

ოქროს ტაძარი კი ისევ ბრწყინავდა – იმ თვალწარმტაცი დაისის ხედვით, შუნტოკუმარუ რომ ტკბებოდა ნოს სპექტაკლში „სუსტი ბერი“. უსინათლო შუნტოკუმარუმ ნათლად დაინახა ნა-

ნივის ზღვაში ჩამავალი მზე. იმ წყვდიადში, რომლისთვისაც სიბრმავემ გაწირა, ბერი მკაფიოდ არჩევდა უღრუბლო ცის ფონზე ზღვიდან ამოზრდილ კუნძულებსა და კლდეებს.

სხეული დამიბუჟდა და აღარ მემორჩილებოდა. თვალებიდან ცრემლები წამსკდა. მზად ვიყავი, დილამდე ასე, გაუნძრევლად ვმდგარიყავი.

ერთი სიტყვითაც არ გავიმართლებ თავს...

მთელი ამ ხნის განმავლობაში გიმტკიცებდით, ბავშვობის მოგონებებს უძლურების მეტი არაფერი მოაქვს-მეთქი, მაგრამ შევმცდარვარ – უეცრად აშლილ მოგონებებს აღდგენის, განახლების მაგიური ძალა გააჩნიათ. წარსული ყოველთვის წარსულისკენ არ გვექაჩება. მასში ის ძლიერი ზამბარებიცაა, რომლებიც ჩვენთან შეხებისას მყისვე იშლებიან და წინ, მომავლისკენ გვიბიძგებენ.

დაღლილობას ჩემი სხეულისთვის ძალა წაერთვა, ჩემი სული კი წარსულის მოგონებებში იქექებოდა. გონებაში რაღაც სიტყვები ამომიტივტივდა და ისევ გაქრა. სულმა თითქოს მიაგნო საჭირო სიტყვებს, მაგრამ ისინი ისევ დაიმალნენ... ეს სიტყვები მე მიხმობენ-მეთქი, გავიფიქრე. თითქოს ცდილობენ, მომიახლოვდნენ და ძალა შემმატონ-მეთქი.

„უკან მიიხედე, გარეთ გაიხედე და თუ დაინახავ, მყისვე მოკალი!“ – გაიჟღერა უეცრად პირველმა წინადადებამ. ეს იყო ცნობილი შეგონება რინძაის სკოლის წმინდა ტექსტებიდან. და სიტყვებმა ერთიმეორის მიყოლებით გამოხეთქეს: „ბუდას თუ შეხვდები, მოკალი ბუდა! მამამთავარს თუ შეხვდები, მოკალი მამამთავარი! წმინდანს თუ შეხვდები, მოკალი წმინდანი! დედ-მამას თუ შეხვდები, მოკალი დედ-მამა! ნათესავს თუ შეხვდები, მოკალი ნათესავი! და მხოლოდ მაშინ დააღწევ თავს მიწიერ ცოდვებს“.

სიტყვებმა უსუსურობის მარწუხებიდან გამომგლიჯეს. **უეცრად** სხეულში ძალის მოზღვავება ვიგრძენი. ცნობიერების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ცდილობდა ამ საქციელის უაზრობაში ჩემს დარწმუნებას, მაგრამ ჩემი ძალა ფუჭ ქმედებებს აღარ უფრთხოდა. გინდ ფუჭი იყოს, მაინც მივიყვან ამ საქმეს ბოლომდე-მეთქი, გავიფიქრე.

ბალიში, ფუთასთან ერთად, იღლიაში ამოვიდე და წამოვდექი. ოქროს ტაძარს გავხედე და შევამჩნიე, რომ მისი მბრწყინავი ლანდი იცრიცებოდა. წყვდიადი ნელ-ნელა ნთქავდა მის მოაჯირებს. ხის ნატიფ სვეტებს ნათელი შემოეძარცვა. პაგოდის კალთებზე შიგნიდან არეკლილი წყლის ციალიც გაქრა. საბოლოოდ, ყველა დეტალი სიბნელეში ჩაიმალა. ოქროს ტაძარი უფორმო შავ სილუეტად გადაიქცა...

ტაძარს ჩრდილოეთიდან შემოვურბინე. ფეხი იქაურობას შეჩვეული მქონდა და ერთხელაც არ წავბორძიკებულვარ. წყვდიადი თითქოს ერთიმეორის მიყოლებით მიღებდა კარებს და წინ მიმიძღოდა.

სათევზაო პავილიონის მხრიდან ღიად დატოვებული დასავლეთის კარების ბნელ ჭრილში დაუფიქრებლად შევვარდი... იღლიაში ამოჩრილი ბალიში და ფუთა დახვავებულ ნივთებზე მოვისროლე. გული ბედნიერებისაგან გამალებით მიცემდა. სველი ხელები ოდნავ მითრთოდა. ასანთიც ოდნავ დასველებულიყო – პირველი ღერი არ აინთო. მეორე გადამიტყდა. მესამემ იკადრა ანთება და ქარისგან დასაცავად მოფარებული ჩემი ხელის თითებს შორის გამოანათა.

ცოტა ხნის წინ მე თვითონ შევტენე ჩალის კონები დახვავებულ ნივთებს შორის, ახლა კი ეს ყველაფერი დამვიწყებოდა და, ასანთით ხელში, ჩალის ძებნას შევუდექი. სანამ ვეძებდი, ასანთი ჩამეწვა. ჩავიკუზე და ამჯერად ორი ღერი ერთად გავკარი.

ცეცხლმა იატაკი ჩალის ჩახლართული ჩრდილებით მოხატა და თვალწინ გადამხმარი მინდვრის ნათელი ფერები გამიკრთა. ალი ოთხივე მიმართულებით მყისიერად გავრცელდა. ენები ბოლის ფარდის უკან ჩაიმალნენ, მაგრამ ცეცხლი კოლოებისგან დამცავ ბადეს გადაედო და ამჯერად მეორე მხრიდან გამოჩნდა. გარემო თითქოს ერთიანად გამოცოცხლდა.

ამ დროს ჯერ კიდევ ნათელ გონებას ვინარჩუნებდი. ასანთის რაოდენობა შეზღუდული იყო, ამიტომ მეორე მხრიდან მოვუარე, ერთი ღერი ამოვიღე და ჩალის მეორე კონას მოვუკიდე. ბრდღვიალა ცეცხლმა გული გამითბო. მონასტრის ბერებს შორის კოცონის გაჩაღება ყველაზე მეტად მე მეხერხებოდა.

წყლით განწმენდის დარბაზში უზარმაზარი მოციმციმე ჩრდილი ამოიზარდა. შუაგულში მდგარი სამი წმინდა გარდასახვის – ამიდას, კანონისა და სეიშის ქანდაკება წითლად განათდა. იოშიმიცუს თვალები უბრწყინავდა. ქანდაკებების უკან ჩრდილები ფრიალებდა.

სიცხეს თითქმის ვერ ვგრძნობდი. ვუყურებდი, როგორ მოედო ცეცხლი შესაწირის სკივრს და მერეღა ამოვისუნთქე. ახლა შემიძლია მშვიდად ვიყო-მეთქი.

დარიშხანი და დანა სულ დამვიწყებოდა. უეცრად აზრი დამებადა, რომ „მშვენიერების მწვერვალზე", ცეცხლით მოცულს, დამეტოვებინა ეს სამყარო. ცეცხლს გვერდი ავუარე და ვიწრო კიბეზე ავირბინე. მოქცევის ქვაბულის კარი ღია დამხვდა, მაგრამ ამას ოდნავაც არ დავუეჭვებივარ. როგორც ჩანს, მოხუც ექსკურსიამძღოლს მეორე სართულზე გამავალი კარის დაკეტვა დავიწყებოდა.

ბოლის ნაკადი ფეხდაფეხ მომდევდა. განუწყვეტლივ ვახველებდი, მაგრამ ეშინის სტილში შესრულებულ ქალღმერთ კანონის ქანდაკებასა და ჭერზე გამოსახულ ციურ არსებებს მზერას ვერ ვწყვეტდი. ბოლი უკვე მოქცევის ქვაბულს ავსებდა. კიდევ ერთი სართული ავირბინე და „მშვენიერების მწვერვალის" კარს დავეჯაჯგურე.

კარი არ იღებოდა. მესამე სართული მყარად იყო ჩარაზული.

კარს მუშტები დავუშინე. ალბათ ხმამაღლა ვაბრახუნებდი, მაგრამ არაფერი მესმოდა. მთელი ძალით ვურტყამდი. მეჩვენებოდა, რომ შიგნიდან ვიღაცას უნდა გაეღო. მართალია, აქ „მშვენიერების მწვერვალზე" სიკვდილის ოცნებამ მომიყვანა, მაგრამ ახლა, როცა ბოლი უკვე ზურგთან მომდგომოდა, ვეღარ გამეგო, მესამე სართულისაკენ სიკვდილისათვის ვილტვოდი, თუ, პირიქით, გადარჩენისთვის. კარის იქით მხოლოდ და მხოლოდ პატარა ოთახი მელოდა. კარგად ვიცოდი, რომ კედლებზე აკრული ოქროს ფურცლებიდან აღარაფერი დარჩენილიყო, მაგრამ მეჩვენებოდა, თითქოს კარის იქით ოთახის ყოველი კუთხე მოოქროვილი იყო. ვერ აგიხსნით, რა ლტოლვას ვგრძნობდი იმ თვალისმომჭრელი ოთახის მიმართ,

სანამ მუშტებს გამეტებით ვუშენდი მის კარს. „ოღონდაც კი შემაღწევინა... – ვფიქრობდი, – ოღონდაც ამ მოოქროვილ ოთახში შემაღწევინა...“

მთელი ძალით ვუტყამდი. ხელებით, ფეხებით, მთელი ტანით ვასკდებოდი, მაგრამ კარი არ იღებოდა. მოქცევის ქვაბული უკვე პირთამდე სავსე იყო ბოლით. ჩემ ფეხქვეშ ცეცხლის ტკაცუნი გაისმა. კვამლი მახრჩობდა და გონების დაკარგვამდე ცოტაღა მაკლდა. ხველას ვიკავებდი და ისევ კარს ვებრძოდი. კარი არ იღებოდა.

მივხვდი, რომ „მშვენიერების მწვერვალმა“ უარმყო, მაგრამ წამითაც არ მიყოყმანია. მოვბრუნდი და კიბეზე ჩამოვირბინე. ბოლის მიუხედავად, როგორღაც, პირველ სართულამდე ჩავაღწიე, ალბათ ცეცხლში გავლაც მომიწია. საბოლოოდ, დასავლეთის კარებთან აღმოვჩნდი და გარეთ გავვარდი. თვითონ არ ვიცოდი – სად, მაგრამ იტადენივით[21] თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი.

წარმოდგენა არ მაქვს, რამდენი ვირბინე უკანმოუხედავად. არც ის მახსოვს, რა ადგილებში დავრბოდი, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩრდილოეთის ვარსკვლავის კოშკს გავცდი, უკანა ჭიშკრიდან მეიოდენის ტაძართან გავედი და ბამბუკებსა და აზალიებს შორის გაჭრილი ბილიკებით ჰიდარიდაიმონჯის მთაზე ავირბინე. ყოველ შემთხვევაში, როცა გონს მოვედი, სწორედ აქ, ამ მთის წითელი ფიჭვების ქვეშ ვიწექი და ვცდილობდი, სული მომეთქვა. ეს სწორედ ის მთაა, ოქროს ტაძარს ჩრდილოეთიდან რომ იცავდა.

გონზე მაშინღა მოვედი, როცა თავზე რომელიღაც ფრინველმა დამჭყივლა. თვალები გავახილე და დავინახე, როგორ გადამიფრინა პირდაპირ სახეზე უზარმაზარი ფრთების ფრთხიალით.

ზურგზე გაშხლართული, ღამის ცას შევცქეროდი. ფრინველების გუნდი ფიჭვების კენწეროებს ხმაურით დასტრიალებდა. ბოლში გახვეული ნაპერწკლები, ჩემს თავს ზემოთ, ცაში რომ ფარფატებდნენ, თანდათან იცრიცებოდნენ და ქრებოდნენ.

---

[21] ფეხმარდი ღმერთი ბუდისტური მითოლოგიიდან.

წამოვიწიე და ოქროს ტაძრის მხარეს, ხეებისკენ გავიხედე. ჩემს სმენას უცნაური ხმები სწვდებოდა – თითქოს უამრავ პეტარდს ერთად აფეთქებდნენ, ანდა ბრბო ყველა სახსარს ერთად ატკაცუნებდა.

აქედან ოქროს ტაძარი არ ჩანდა, მხოლოდ ბოლში გახვეული ცეცხლის ენები ამოზრდილიყვნენ ცის კაბადონზე. ხეებს შორის ჯერ კიდევ ფერფლი ფრიალებდა, ცა ტაძრის თავზე ოქროს მტვერში გახვეულიყო. ფეხი ფეხზე გადავიდე და სანახაობით ვტკბებოდი.

საბოლოოდ რომ გამოვფხიზლდი, მაშინღა შევამჩნიე, რომ მთელი სხეული დამწვრობებითა და ნაკაწრებით მქონდა დაფარული. აქა-იქ სისხლი მდიოდა. კარზე რტყმისგან გადატყავებულ თითებზე სისხლი შედედებულიყო. ჭრილობები მდევარს თავდაღწეული მხეცივით გავილოკე.

ჯიბეები მოვიჩხრიკე და ხელში დანა და ნაჭერში გახვეული დარიშხანის ბოთლი მომხვდა. ამოვიღე და მთელი ძალით მოვისროლე ხეობის უფსკრულში.

მეორე ჯიბეში სიგარეტი აღმოვაჩინე. დამღლელი სამუშაოს მერე შესვენებაზე გასული მუშასავით, ერთი ღერი ამოვიღე და მოვუკიდე. მოწევა მეამა. უნდა ვიცხოვრო-მეთქი, გადავწყვიტე.

## უკვე გამოიცა:

**იუკიო მიშიმა**
ოქროს ტაძარი

**ბოჰუმილ ჰრაბალი**
მეტისმეტად ხმაურიანი მარტოობა

**ბოჰუმილ ჰრაბალი**
ვემსახურებოდი ინგლისის მეფეს

**პიერ ბული**
ხიდი მდინარე კვაიზე

**ჯულიან ბარნსი**
მსოფლიოს ისტორია 10 ½ კარად

**ჯულიან ბარნსი**
დროის ხმაური

**ჯულიან ბარნსი**
ინგლისი, ინგლისი

**ჯულიან ბარნსი**
ფლობერის თუთიყუში

**დინო ბუცატი**
თათრების უდაბნო

**ჯონ ფაულზი**
ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი

**ჯონ ფაულზი**
კოლექციონერი

**იტალო კალვინო**
უხილავი ქალაქები

**პიერ პაოლო პაზოლინი**
ქუჩის ბიჭები

**კურტ ვონეგუტი**
სასაკლაო 5

**უმბერტო ეკო**
მტრის ხატის შექმნა

**უმბერტო ეკო, კარდინალი მარტინი**
რა სწამს მას, ვისაც არ სწამს

**ჰერმან ბროხი**
მთვარეულები

**მაიკლ ონდაჩი**
ინგლისელი პაციენტი

**ელის მანრო**
ძვირფასი სიცოცხლე

**სალმან რუშდი**
ეშმაკეული აიები

**სალმან რუშდი**
ჯოზეფ ანტონი

**ფილიპ როთი**
ამერიკული პასტორალი

**მარგარეტ ეტვუდი**
ბრმა მკვლელი

**სემუელ ბეკეტი**
მოლოი

**რადიარდ კიპლინგი**
კიმი

**ჯონ ბენვილი**
ზღვა

**გ. კ. ჩესტერტონი**
მოთხრობები მამა ბრაუნზე

**რომენ გარი**
თეთრი ძაღლი

**პიტერ კერი**
ძარცვა

**პოლ ოსტერი**
მისნის ღამე

**პოლ ოსტერი, ჯონ მაქსველ კუტზეე**
აქ და ახლა

**ჯონ მაქსველ კუტზეე**
სირცხვილი

**ჰენრი მილერი**
კირჩხიბის ტროპიკი

**მილან კუნდერა**
ყოფის აუტანელი სიმსუბუქე

**ჯეკ კერუაკი**
გზაზე

**ჩაკ პალანიკი**
მებრძოლთა კლუბი

**უილიამ ფოლკნერი**
დროშები მტვერში

**პ. გ. ვუდჰაუსი**
დაიკიდე, ჯივზ!

**ედით უორტონი**
უმანკოების ხანა

**ორჰან ფამუქი**
სტამბოლი

დიდუნუ.ge